*დანართი №2*

# ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმა

*(ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება)*

შპს სკოლა ლიცეუმი სანთელი

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**
თავმჯდომარე: ლელა ჯაში
**წევრები:**
მამუკა ხამხაძე- ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი;
ეკატერინე ვეკუა - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
იოსებ ლაზარიშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ნათელა ბასილია - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
ნაია ენდელაძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
დიმიტრი პოპოვი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
სოფიო ხვადაგიანი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
ირაკლი ქობალია - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
ლელა მანგოშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი;
მიხეილ გაფრინდაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი.

## ნაწილი I. შესავალი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია შესახებ | |
|---|---|
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება | შპს სკოლა ლიცეუმი სანთელი |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 406091857 |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | ქ. თბილისი |
| იურიდიული მისამართი | მუხაძის N15 |
| ფაქტობრივი მისამართი | სამგორის მუნიციპალიტეტი, მუხაძის N15 |
| საფოსტო ინდექსი | 0198 |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი | http://santeli.ge/ |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა | Santeli@inbox.ru |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი | (+995 32) 2458076 |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი) | 2023 წლის 5 მაისის MES 6 23 0000509264 ბრძანება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 30 და 31 მაისი, 2023წ. |

## IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

***„ზოგადი განათლების შესახებ“*** საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

| N | **ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება** | **ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური** | **ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა** | **ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი - I-VI კლასები; | ქართული ენა | ქ. თბილისი, სამგორის მუნიციპალიტეტი, მუხაძის N15 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2 | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო - VII-IX კლასები; | ქართული ენა | ქ. თბილისი, სამგორის მუნიციპალიტეტი, მუხაძის N15 |
| 3 | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო - X-XII კლასები. | ქართული ენა | ქ. თბილისი, სამგორის მუნიციპალიტეტი, მუხაძის N15 |

## V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

*მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.*

*შპს სკოლა-ლიცეუმი სანთელის შეფასების პროცესი აქტიურ რეჟიმში წარიმართა. ორი სავიზიტო დღის განმავლობაში ექსპერტებმა განიხილეს სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია, შედგა ინტერვიუირების პროცესი როგორც სკოლის თანამშრომლებთან, ასევე, მოსწავლეებთან და მშობლებთან. ექსპერტებმა ადგილზე დათვალიერების საფუძველზე შეისწავლეს სკოლის მატერიალური რესურსიც.*
*საგნობრივ ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ ონლაინ რეჟიმში გასაუბრებოდნენ შესაბამის მასწავლებლებს და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით, გარდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტისა, რომელმაც ვიზიტის პერიოდში განიხილა კურიკულუმები, დაათვალიერა სასწავლო გარემო და გაესაუბრა საგნობრივი კათედრის წარმომადგენლებს.*
*ვიზიტის ბოლოს ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა.*

## VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

*ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა | აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა | ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა |
|---|---|---|
| 140 | 72 | 140 |

### VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

## ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

### I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| სტანდარტი 1<br>სკოლის ფილოსოფია | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომპონენტი 1.1<br>სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| **კომპონენტი 1.2**<br>სკოლის დაგეგმვა და განვითარება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 3**<br>სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.1**<br>პერსონალის მართვა | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.2**<br>პერსონალის განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.3**<br>პროცესების მართვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.4**<br>ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.5**<br>მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| **კომპონენტი 3.6**<br>საინფორმაციო რესურსები | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.7**<br>ფინანსური რესურსები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 4**<br>**მოსწავლეთა მხარდაჭერა** | ☒ შეესაბამება<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 4.1**<br>მოსწავლეთა უფლებების დაცვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.2**<br>მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| | ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება | აღწერა<br>*(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
|---|---|---|
| | | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| მოსწავლეთა რაოდენობა: 140 | ☒<br>ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება<br>☐ | |

## III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ექსპერტთა ჯგუფმა მეტწილ შესაბამისად შეაფასა ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა.

## IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.*

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი 1* | სკოლის ფილოსოფია | *ხარვეზი* |
| *ინდიკატორი* | | |
| *სტანდარტი 3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *ხარვეზი* |
| *ინდიკატორი* | | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| *სტანდარტი 4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | |
|---|---|---|
| | | |

| *სტანდარტი 2* | სასკოლო კურიკულუმი - დაწყებითი საფეხური | *ხარვეზი* |
|---|---|---|
| | | |

## V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)*[1]

| *სტანდარტი 1* | სკოლის ფილოსოფია | *სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი 1.2.1.1* | *სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;* | *დაწესებულებამ, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების რევიზირებისას/შედგენისას, შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად, უზრუნველყოს საზოგადოების პრიორიტეტების და ინტერესების გათვალისწინება და მოახდინოს პროცესების დამადასტურებელი მტკიცებულებების დოკუმენტირება.* |

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი 3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | |
| *ინდიკატორი 3.1.2.3* | *პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვას და დასაქმება ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით.* | *სკოლის პედაგოგებმა უზრუნველყონ სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობების წარმოდგენა* |
| | | |
| *სტანდარტი 4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | *სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
| *ინდიკატორი ....* | | |
| *ინდიკატორი 3.4.1.1* | *სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;* | *დაწესებულებამ უზრუნველყოს საევაკუაციო გასასვლელის უსაფრთხოება (მე-2 სართულის საევაკუაციო გასასვლელი ქმნის რისკებს მოსწავლეთა გადაადგილებისათვის).* |
| *ინდიკატორი 3.5.1.5* | *სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა* | *დაწესებულებამ უზრუნველყოს ბიბლიოთეკის და კომპიუტერული ლაბორატორიის გამიჯვნა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში ხელსაბანის დამონტაჟება.* |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი 3.6.1.2* | *ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.* | *დაწესებულებამ უზრუნველყოს ბიბლიოთეკის და კომპიუტერული ლაბორატორიის გამიჯვნა* |

| *სტანდარტი 2* | სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური | *სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი 2.2.2.1* | *სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;* | ***უცხოური ენები*** *- სკოლამ უზრუნველყოს კურიკულუმის შედგენა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად., რათა გათვალისწინებულ იქნას სამიზნე ცნებები და მისაღწევი შედეგები.* ***სახელმწიფო ენა -*** *სკოლამ უზრუნველყოს კურიკულუმის შედგენა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად.* |
| *ინდიკატორი 2.2.2.3* | *შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;* | ***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** *- დაწესებულებამ უზრუნველყოს შეფასების სისტემის ორიენტირება მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.* |
| *ინდიკატორი 2.2.2.4* | *შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;* | ***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *- სკოლამ უზრუნველყოს შეფასების რუბრიკების შემუშავება მოსწავლეთა ჩართულობით, ასევე დანერგოს მოსწავლეთა/სასკოლო* |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| | | *საზოგადოების ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების პრაქტიკა.*<br>***სახელმწიფო ენა -*** *დაწესებულებამ უზრუნველყოს შეფასების რუბრიკების შემუშავე მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა შესაბამისად.* |
| *ინდიკატორი 2.2.2.5* | *სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;* | ***უცხოური ენები*** *- სკოლამ უზრუნველყოს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის შედგენა და ამოქმედება.* |
| *ინდიკატორი 2.3.1.1* | *მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;* | ***სახელმწიფო ენა*** *- სკოლამ უზრუნველყოს სასწავლო პროცესის მონიტორინგის და შეფასების პროცესის განხორციელება სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმების შესაბამისად.*<br>***მათემატიკა*** *- სკოლამ უზრუნველყოს სასწავლო პროცესის მონიტორინგი.* |
| *ინდიკატორი 2.3.1.3* | *მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.* | ***სახელმწიფო ენა*** *- დაწესებულებამ უზრუნველყოს კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება.*<br>***მათემატიკა*** *- დაწესებულებამ უზრუნველყოს კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება.* |
| *ინდიკატორი 2.3.2.1* | *შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;* | ***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *- სკოლამ გაწეროს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში რომელ მრავალფეროვან წყაროებზე (ვინ? რა?) დაყრდნობით მოხდება* |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| | | *შეფასება, როგორ ფორმატში და რომელი ინსტრუმენტების გამოყენებით.*<br>***უცხოური ენები*** *- სკოლამ შეადგინოს დოკუმენტი, სადაც აღწერილი იქნება ერთიანი მიდგომა სასკოლო კურიკულუმის შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვების მეთოდების, წყაროების და რესურსების შესახებ.*<br>***სახელმწიფო ენა -*** *სკოლამ შეადგინოს დოკუმენტი, სადაც აღწერილი იქნება ერთიანი მიდგომა სასკოლო კურიკულუმის შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვების მეთოდების, წყაროების და რესურსების შესახებ* |
| *ინდიკატორი 2.3.2.2* | *შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;* | ***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *- სკოლამ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში მკაფიოდ გაწეროს, რამდენად ურთიერთდაკავშირებულად/სხვადასხვა კონტექსტების გათვალისწინებით ხდება დანერგვის პროცესის ამსახველი მასალების დამუშავება*<br>***უცხოური ენები*** *- სკოლამ შეადგინოს დოკუმენტი, სადაც ასახული იქნება ინფორმაციის შეგროვება ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც გავლენას ახდენს მოსწავლის პროდუქტიულობაზე.* |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი 2.3.2.3* | *შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;* | ***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *- სკოლამ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში მკაფიოდ გაწეროს რომელი და რამდენი მეთოდი გამოიყენება დანერგვის პროცესის მონაცემების შეგროვებისას.* ***მათემატიკა*** *- დაწესებულებამ შეფასებებისას გამოიყენოს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდი.* ***სახელმწიფო ენა*** *- დაწესებულებამ შეფასებებისას გამოიყენოს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდი.* ***უცხოური ენები*** *- დაწესებულებამ შეიმუშავოს ერთიანი დოკუმენტი, სადაც აღწერილი იქნება, თუ როგორ ხდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასებ* |
| *ინდიკატორი 2.3.2.4* | *შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.* | ***საზოგადოებრივი მეცნიერებები, უცხოური ენები, სახელმწიფო ენა*** *- სკოლამ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწეროს რა მექანიზმით მოხდება შეფასებისას სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინება.* |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| *სტანდარტი 2* | სასკოლო კურიკულუმი<br>საბაზო საფეხური | *სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი 2.2.2.1* | *სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;* | ***უცხოური ენები*** *- სკოლამ უზრუნველყოს კურიკულუმის შედგენა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად., რათა გათვალისწინებულ იქნას სამიზნე ცნებები და მისაღწევი შედეგები.*<br>***სახელმწიფო ენა -*** *სკოლამ უზრუნველყოს კურიკულუმის შედგენა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად.* |
| *ინდიკატორი 2.2.2.3* | *შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;* | ***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** *- დაწესებულებამ უზრუნველყოს შეფასების სისტემის ორიენტირება მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.* |
| *ინდიკატორი 2.2.2.4* | *შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;* | ***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *- სკოლამ უზრუნველყოს შეფასების რუბრიკების შემუშავება მოსწავლეთა ჩართულობით, ასევე დანერგოს მოსწავლეთა/სასკოლო საზოგადოების ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების პრაქტიკა.*<br>***სახელმწიფო ენა -*** *დაწესებულებამ უზრუნველყოს შეფასების რუბრიკების* |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| | | შემუშავება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა შესაბამისად. |
| *ინდიკატორი 2.2.2.5* | *სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;* | ***უცხოური ენები*** *- სკოლამ უზრუნველყოს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის შედგენა და ამოქმედება.* |
| *ინდიკატორი 2.3.1.1* | *მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;* | ***სახელმწიფო ენა*** *- სკოლამ უზრუნველყოს სასწავლო პროცესის მონიტორინგის და შეფასების პროცესის განხორციელება სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმების შესაბამისად.* ***მათემატიკა*** *- სკოლამ უზრუნველყოს სასწავლო პროცესის მონიტორინგი.* |
| *ინდიკატორი 2.3.1.3* | *მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.* | ***სახელმწიფო ენა*** *- დაწესებულებამ უზრუნველყოს კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება.* ***მათემატიკა*** *- დაწესებულებამ უზრუნველყოს კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება.* |
| *ინდიკატორი 2.3.2.1* | *შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს,* | ***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *- სკოლამ გაწეროს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში რომელ მრავალფეროვან წყაროებზე (ვინ? რა?) დაყრდნობით მოხდება შეფასება, როგორ ფორმატში და რომელი ინსტრუმენტების გამოყენებით.* ***უცხოური ენები*** *- სკოლამ შეადგინოს დოკუმენტი, სადაც აღწერილი იქნება ერთიანი* |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| | | *მიდგომა სასკოლო კურიკულუმის შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვების მეთოდების, წყაროების და რესურსების შესახებ.*<br>***სახელმწიფო ენა -*** *სკოლამ შეადგინოს დოკუმენტი, სადაც აღწერილი იქნება ერთიანი მიდგომა სასკოლო კურიკულუმის შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვების მეთოდების, წყაროების და რესურსების შესახებ* |
| *ინდიკატორი 2.3.2.2* | *შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;* | ***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *- სკოლამ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში მკაფიოდ გაწეროს, რამდენად ურთიერთდაკავშირებულად/სხვადასხვა კონტექსტების გათვალისწინებით ხდება დანერგვის პროცესის ამსახველი მასალების დამუშავება*<br>***უცხოური ენები*** *- სკოლამ შეადგინოს დოკუმენტი, სადაც ასახული იქნება ინფორმაციის შეგროვება ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც გავლენას ახდენს მოსწავლის პროდუქტიულობაზე.* |
| *ინდიკატორი 2.3.2.3* | *შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;* | ***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *- სკოლამ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში მკაფიოდ გაწეროს რომელი და რამდენი* |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| | | *მეთოდი გამოიყენება დანერგვის პროცესის მონაცემების შეგროვებისას.*<br>***მათემატიკა*** *- დაწესებულებამ შეფასებებისას გამოიყენოს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდი.*<br>***სახელმწიფო ენა*** *- დაწესებულებამ შეფასებებისას გამოიყენოს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდი.*<br>***უცხოური ენები*** *- დაწესებულებამ შეიმუშავოს ერთიანი დოკუმენტი, სადაც აღწერილი იქნება, თუ როგორ ხდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასებ* |
| *ინდიკატორი 2.3.2.4* | *შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.* | ***საზოგადოებრივი მეცნიერებები, უცხოური ენები, სახელმწიფო ენა*** *- სკოლამ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწეროს რა მექანიზმით მოხდება შეფასებისა სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინება.* |

| *სტანდარტი 2* | სასკოლო კურიკულუმი<br>საშუალო საფეხური | *სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი 2.2.2.1* | *სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების* | ***უცხოური ენები*** *- სკოლამ უზრუნველყოს კურიკულუმის შედგენა ეროვნული სასწავლო* |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| | *გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;* | *გეგმის მოთხოვნების შესაბამისად., რათა გათვალისწინებულ იქნას სამიზნე ცნებები და მისაღწევი შედეგები.*<br>***სახელმწიფო ენა -*** *სკოლამ უზრუნველყოს კურიკულუმის შედგენა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად.* |
| *ინდიკატორი 2.2.2.3* | *შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;* | ***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** *- დაწესებულებამ უზრუნველყოს შეფასების სისტემის ორიენტირება მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.* |
| *ინდიკატორი 2.2.2.4* | *შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;* | ***საზოგადოებრივი მეცნიერებები -*** *სკოლამ უზრუნველყოს შეფასების რუბრიკების შემუშავება მოსწავლეთა ჩართულობით, ასევე დანერგოს მოსწავლეთა/სასკოლო საზოგადოების ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების პრაქტიკა.*<br>***სახელმწიფო ენა -*** *დაწესებულებამ უზრუნველყოს შეფასების რუბრიკების შემუშავება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა შესაბამისად.* |
| *ინდიკატორი 2.2.2.5* | *სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;* | ***უცხოური ენები*** *- სკოლამ უზრუნველყოს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის შედგენა და ამოქმედება.* |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი 2.3.1.1* | *მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;* | ***სახელმწიფო ენა*** *- სკოლამ უზრუნველყოს სასწავლო პროცესის მონიტორინგის და შეფასების პროცესის განხორციელება სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმების შესაბამისად.* ***მათემატიკა*** *- სკოლამ უზრუნველყოს სასწავლო პროცესის მონიტორინგი.* |
| *ინდიკატორი 2.3.1.3* | *მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.* | ***სახელმწიფო ენა*** *- დაწესებულებამ უზრუნველყოს კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება.* ***მათემატიკა*** *- დაწესებულებამ უზრუნველყოს კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება.* |
| *ინდიკატორი 2.3.2.1* | *შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს,* | ***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *- სკოლამ გაწეროს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში რომელ მრავალფეროვან წყაროებზე (ვინ? რა?) დაყრდნობით მოხდება შეფასება, როგორ ფორმატში და რომელი ინსტრუმენტების გამოყენებით.* ***უცხოური ენები*** *- სკოლამ შეადგინოს დოკუმენტი, სადაც აღწერილი იქნება ერთიანი მიდგომა სასკოლო კურიკულუმის შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვების მეთოდების, წყაროების და რესურსების შესახებ.* |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| | | ***სახელმწიფო ენა*** *- სკოლამ შეადგინოს დოკუმენტი, სადაც აღწერილი იქნება ერთიანი მიდგომა სასკოლო კურიკულუმის შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვების მეთოდების, წყაროების და რესურსების შესახებ* |
| *ინდიკატორი 2.3.2.2* | *შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;* | ***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *- სკოლამ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში მკაფიოდ გაწეროს, რამდენად ურთიერთდაკავშირებულად/სხვადასხვა კონტექსტების გათვალისწინებით ხდება დანერგვის პროცესის ამსახველი მასალების დამუშავება*<br>***უცხოური ენები*** *- სკოლამ შეადგინოს დოკუმენტი, სადაც ასახული იქნება ინფორმაციის შეგროვება ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც გავლენას ახდენს მოსწავლის პროდუქტიულობაზე.* |
| *ინდიკატორი 2.3.2.3* | *შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;* | ***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *- სკოლამ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში მკაფიოდ გაწეროს რომელი და რამდენი მეთოდი გამოიყენება დანერგვის პროცესის მონაცემების შეგროვებისას.* |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| | | ***მათემატიკა*** *- დაწესებულებამ შეფასებებისას გამოიყენოს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდი.*<br>***სახელმწიფო ენა*** *- დაწესებულებამ შეფასებებისას გამოიყენოს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდი.*<br>***უცხოური ენები*** *- დაწესებულებამ შეიმუშავოს ერთიანი დოკუმენტი, სადაც აღწერილი იქნება, თუ როგორ ხდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასებ* |
| *ინდიკატორი 2.3.2.4* | *შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.* | ***საზოგადოებრივი მეცნიერებები, უცხოური ენები, სახელმწიფო ენა*** *- სკოლამ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწეროს რა მექანიზმით მოხდება შეფასებისა სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინება.* |

## VI. რჩევა

*გთხოვთ, გადმოიტანოთ* არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

| *სტანდარტი 1* | სკოლის ფილოსოფია | *რჩევა* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი ....* | | ..... |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| | | |
| | | |
| *სტანდარტი 3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *რჩევა* |
| *ინდიკატორი ...* | | ..... |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი 4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | *რჩევა* |
| *ინდიკატორი ....* | | |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი 2* | სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება) | *რჩევა* |
| *ინდიკატორი ....* | | ..... |
| | | |
| | | |

## VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

## VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

*სკოლამ სრულად გაიზიარა ექსპერტების დასკვნის პროექტში ასახული პოზიცია, რასაც ადასტურებს სკოლის კორესპონდენცია, რომელიც გადაიგზავნა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (N07, 17.07.2023წ.). დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*მიხედვით გაიწერა შესაბამისობის უზრნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები, საჭირო რესურსები და ა.შ. აღსანიშნავია, რომ:*

- *რიგი ინდიკატორები ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისი,,, ვინაიდან, სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს ცვლილებებს შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადების (არაუმეტეს 12 თვე) მიხედვით;*
- *გარკვეული ინდიკატორები შესაბამისობის გეგმაში მითითებული იყო როგორც ,,დასრულებული“ - ექსპერტებმა განიხილეს აღნიშნული ინდიკატორების მიხედვით სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები (საკანონმდებლო აქტები, დანართები, ცვლილების დოკუმენტები და ა.შ) და დაადგინეს შესაბამისობა მითითებული ინდიკატორების შესრულების შესახებ.*
- *განხორციელებულ ცვლილებები სკოლის მატერიალური რესურსის მიმართულებით (მატერიალური რესურსის შეძენა, შენობის მოწყობა და ა.შ.), რომელთა შესახებ სკოლამ შესაბამისობის გეგმაში მიუთითა როგორც ,,დასრულებული,, და წარმოადგინა ფოტომასალა, ექსპერტებმა ვერ მიიღეს მტკიცებულებად. შესაბამისად, ზემოაღნიშნული ინდიკატორები ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი - შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადების (არაუმეტეს 12 თვე) გათვალიწინებით.*

## ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

### 1. სკოლის ფილოსოფია

### 1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

#### 1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. შპს სკოლა ლიცეუმის სანთელი (შემდგომში სკოლა, დაწესებულება) მისიაში ვხვდებით ამონარიდებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ეროვნული სასწავლო გეგმის'' (შემდგომში ესგ) ტექსტიდან. კერძოდ, სკოლის მისიაში ასახულია ფრაგმენტები ესგ-ს II თავის, მე-4, მე-5 და მე-6 მუხლში წარმოდგენილი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მისიიდან. ვინაიდან, ეროვნული სასწავლო გეგმა ეფუძნება „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 18 ოქტომბრის №84 დადგენილებით დამტკიცებულ ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, კრიტერიუმი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნასთან. მისიაში დეკლარირებულია ზოგადი ხასიათის და შინაარსის მიზნები - მნიშვნელოვანია, რომ სკოლის მისია იყოს უფრო კონკრეტული და ასახავდეს იმ ამოცანებს, დაწესებულების ძლიერ მხარეებს თუ სკოლისთვის დამახასიათებელ ასპექტებს, რომელიც საშუალებას მისცემს ყველა დაინტერესებულ პირს წარმოდგენა შეექმნას სკოლის შინაარსზე, მიზნებზე, მის უპირატესობაზე და ა.შ. მისია უნდა ასახავდეს სკოლის იდენტობას.
   რაც შეეხება სკოლის ხედვას, ისევე როგორც სკოლის მისია, სკოლის ხედვაც არ ეწინააღმდეგება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, თუმცა, არის ზოგადი ხასიათის და არ აღწერს სამომავლოდ, დროის გარკვეულ პერიოდში, სკოლა საკუთარი საქმიანობით როგორ განვითარდება, რა გამოწვევებს დაძლევს და/ან წარმატებას მიაღწევს.

**ინდიკატორი 1.1.1.1 დაკმაყოფილებულია**

2. პირველი კომპონენტის განხილვისას უკვე აღინიშნა, რომ სკოლის მისია და ხედვა ზოგად ხასიათს ატარებს და დეკლალირებულია იმგვარად, რომ არ ჩანს სკოლის გამოკვეთილი როლი. თუმცა, ამ ზოგად ფორმულირებაში მთავარი ასპექტი მკაფიოდ არის წარმოდგენილი - მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე და განვითარებაზე ორიენტირება.

**ინდიკატორი 1.1.1.2 დაკმაყოფილებულია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. ის, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, სკოლის წარმომადგენლებმა ინტერვიუირების მიმდინარეობისას დაადასტურეს. პროცესის ამსახველი მტკიცებულებებს ვხვდებით შპს სკოლა-ლიცეუმი სანთელის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმში N1, 07.09.2022წ.. როგორც აღნიშნული დოკუმენტიდან ირკვევა, სკოლა-ლიცეუმის სანთელი მისია, ხედვა და ღირებულებების განხილვა და დამტკიცება სწორედ ზემოაღნიშნულ სხდომაზე განხორციელდა. **თუმცა, სკოლას არ აქვს შემუშავებული მეთოდოლოგია**, რომელიც საშუალებას მისცემს ყველა დაინტერესებულ პირს (მათ შორის მოსწავლეს, მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს) მონაწილეობა მიიღოს შედგენის პროცესში - რათა მისია, ხედვა და ღირებულებები ზუსტად და მკაფიოდ ასახავდეს სკოლის დანიშნულებას, სამომავლო გეგმებს თუ ღირებულებათა ძირითად მახასიათებელს. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (დასრულებულია -18.07.2023) - ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**
4. დაწესებულებას **არ აქვს გაწერილი მისიის, ხედვის და ღირებულებების გაზიარების მექანიზმები**. სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით, მისიის გადახედვა ხორციელდება ყოველი სასწავლო წლის დაწყებამდე და გამომდინარეობს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმიდან. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლის პედაგოგები და ადმინისტრაცია მონაწილეობდა განხილვაში და შესაბამისად, გაზიარებულ იქნა მათ მიერ. თუმცა, რამდენად გაიზიარეს მისია სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებმა, აღნიშნულის მტკიცებულება სკოლამ ვერ წარმოადგინა და შესაბამისად, სკოლის მისიაში, ხედვასა და ღირებულებების შინაარსში არ არის ასახული სხვა დაინტერესებული მხარეების ინტერესები (მოსწავლე, მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი).

   დაწესებულების ინსტიტუციური ღირებულებათაგან ერთ-ერთი, სწორედ ურთიერთთანამშრომლობაა - ,,სკოლა-ლიცეუმის ყველა სუბიექტი - მოსწავლე, მასწავლებელი, მშობელი იზიარებს ურთიერთთანამშრომლობის პრინციპებს,, (ამონარიდი სტრატეგიული განვითარების გეგმიდან), თუმცა, მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების/შედგენის ნაწილში აღნიშნული არ დასტურდება. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (დასრულებულია 18.07.2023) - ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**
5. პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით, სკოლის მისია განთავსდა სკოლის დერეფანში თვალსაჩინო ადგილას, რაც დადასტურდა ვიზიტის მიმდინარეობისას. სკოლის ხედვა და ღირებულებები დეკლარირებულია სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმაში. აგრეთვე, ხელმისაწვდომია სკოლის ვებ. გვერდზე (სკოლის მისიასთან ერთად, ვებ. გვერდზე წარმოდგენილის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიზნები). **სკოლის ხედვა და ღირებულებები ერთიანი ფორმულირებით არის წარმოდგენილი და არ შეესაბამება სტატეგიული განვითარების გეგმაში არსებულ დეფინიციას. სკოლამ**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (დასრულებულია - 18.07.2023) - ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

6. ვიზიტის მიმდინარეობისას, ექსპერტები დაინტერესდნენ შპს სკოლა-ლიცეუმის სანთელის სახელწოდებაში, რა დატვირთვას ატარებდა ტერმინი ,,ლიცეუმი“. თუმცა, კონკრეტული პასუხი აღნიშნულთან დაკავშირებით ვერ მიიღეს. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს . **ინდიკატორი 1.1.1.6 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- შპს სკოლა-ლიცეუმი სანთელის მისია, ხედვა და ღირებულებები;
- სასკოლო-სასწავლო გეგმა;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- .პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N1, 07.09.2022წ.;
- სკოლის ვებ. გვერდი;
- ინტერვიუ სასკოლო საზოგადოებასთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

### 1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლა ლიცეუმ სანთელს შემუშავებული აქვს დოკუმენტი, სახელწოდებით ,,სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“ (წესი დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით №ბ-16, 01.09.2022წ.), რომელიც განსაზღვრავს სკოლა-ლიცეუმი სანთელის სტრატეგიული დაგეგმვის მიზანს, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესს და ეტაპებს. სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის ფორმირებას დოკუმენტის მე -3 მუხლი არეგულირებს და განსაზღვრავს ჯგუფის წევრების ფუნქციებს. ესენია:

1. სტრატეგიული დაგეგმვის ინიცირება;
2. სტრატეგიული გეგმის მომზადება და განხილვა;
3. სტრატეგიული გეგმის დამტკიცება;
4. სამოქმედო გეგმის შედგენა.

სკოლას წარმოდგენილი აქვს 2021-2022 სასწავლო წლის SWOT ანალიზი, რომელიც შედგენილია დაწესებულების საჭიროების კვლევის საფუძველზე. ეყრდნობა სკოლის საგნობრივი კათედრების წლიურ ანგარიშებს, მოსწავლეების, მასწავლებლების და მოსწავლეთა მშობლების გამოკითხვას. კვლევის შედეგებით განისაზღვრა სკოლის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, შემუშავდა რეკომენდაციები და დაიგეგმა აქტივობები სუსტი მხარეების გასაუმჯობესებლად, რაც აისახება სკოლის SWOT-ანალიზში და შემდგომში სკოლის ერთწლიან სტრატეგიულ გეგმაში. აღსანიშნავია, რომ ექსპერტებმა დაადგინეს კორელაცია ამ ორ დოკუმენტს შორის.

თუმცა, **სკოლის ადმინისტრაციამ ვერ წარმოადგინა სტრატეგიული განვითარების გეგმის და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესის დამადასტურებელი მტკიცებულებები (მშობელთა და მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგები, შეხვედრის სხდომის ოქმები**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და ა.შ.). მათ აღნიშნეს, რომ არ ახდენდნენ შეხვედრების და/ან დაგეგმილი აქტივობების დოკუმენტირებას. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 14.07.2023-20.09.2023) - ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი.
სკოლამ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების რევიზირებისას/შედგენისას უზრუნველყოს საზოგადოების პრიორიტეტების და ინტერესების გათვალისწინება და მოახდინოს პროცესების დამადასტურებელი მტკიცებულებების დოკუმენტირება.
2. სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა მოიცავს 2023-2030 წწ. უნდა აღინიშნოს, რომ დოკუმენტის ფორმატი არ არის სათანადოდ სტრუქტურირებული და არ მოიცავს ყველა წლის აქტივობებს (მაგ. არ არის ასახული 2025-2026 წელი). თუმცა, გარკვეული ამოცანები ყოველწლიურ ხასიათს ატარებს და ასევეა მითითებულია განხორციელების ვადაში. რაც შეეხება სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისობას სკოლის მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან, კორელაციის დადგენა შესაძლებელია სტრატეგიული გეგმის კონკრეტულ ამოცანებთან მიმართებით. ინდიკატორი 1.2.1.2 დაკმაყოფილებულია

3ექსპერტებმა განიხილეს სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს 2023-2024 პერიოდს. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ეფუძნება საქართველოს კანონს "ზოგადი განათლების შესახებ" და გამომდინარეობს სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმიდან. სამოქმედო გეგმა მოიცავს კონკრეტულ ამოცანებს, პასუხისმგებელ პირებს და განხორციელების ვადებს, რომელიც განსაზღვრავს დაწესებულებისთვის როგორ კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებების შესრულებას, ისე, სკოლის ინსტიტუციური განვითარებისკენ მიმართულ აქტივობებს. ინდიკატორი 1.2.1.3 დაკმაყოფილებულია
4. სკოლის დოკუმენტაციის შესწავლის, მატერიალური და ადამიანური რესურსის განხილვის საფუძველზე, ექსპერტებმა განიხილეს სკოლის სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი ამოცანები და მიიჩნიეს ისინი რეალისტურად. მათი უმეტესობა განსაზღვრავს სკოლის ნაბიჯებს, რომლებიც დაწესებულების განვითარებაზე აისახება. პასუხისმგებელი პირები და შესრულების ვადები სტრუქტურირებულია და პროცესების მაქსიმალურ სიზუსტეს განაპირობებს. ინდიკატორი 1.2.1.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

*-კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლა ლიცეუმი სანთელის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“;
- სკოლა ლიცეუმი სანთელის დირექტორის ბრძანება №-17, 01.09.2022წ. - სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დამტკიცების შესახებ;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სამოქმედო გეგმა;
- SWOT ანალიზი;
- ინტერვიუ სასკოლო საზოგადოებასთან.

### 1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლა ლიცეუმი სანთელის დირექტორის ბრძანების №ბ-30, 18.01.2023წ. საფუძველზე შექმნილია სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი, რომლის ფუნქციებია მონიტორინგი გაუწიოს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულებას და შეფასებას, დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით. ვინაიდან, ვიზიტის პერიოდში აკადემიური წელი არ იყო დასრულებული, სკოლა გეგმავდა ზემოაღნიშნული განეხორციელებინა არდადეგების დადგომისთანავე. თუმცა, ვინაიდან **სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია არ მოიცავს მონიტორინგის და შეფასების განხორციელების მექანიზმებს,** არ არის გარკვეული, როგორ წარიმართება პროცესები. შესაბამისად, სკოლამ უნდა შეადგინოს (ან, შეიტანოს ცვლილება უკვე არსებულ წესში) დოკუმენტი, რომელშიც დეტალურად იქნება გაწერილი მონიტორინგის და შეფასების მექანიზმები. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (დასრულებულია18.07.2023) - ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**
2. როგორც ზემოთ აღინიშნა (ინდიკატორი 1.2.2.1), **სკოლას არ განუხორციელებია სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება. დაწესებულებას არ აქვს გაწერილი/დაგეგმილი პროცედურები. სამოქმედო გეგმის სტრატეგიულ ამოცანათა შორისაც არ არის მითითებული მონიტორინგის და შეფასების მექანიზმები - შესაბამისად, არც განხორციელების ვადები. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (დასრულებულია 18.07.2023)- ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სკოლის ვებ. გვერდზე არ არის წარმოდგენილი წინა წლების სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები, ვინაიდან, ვიზიტის პერიოდში, სასწავლო წელი ჯერ არ იყო დასრულებული. თუმცა, წინა წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგები ცნობილი იყო სასკოლო საზოგადოებისთვის. მნიშვნელოვანია, რომ სკოლამ გაწეროს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში და სამოქმედო გეგმაში ერთ-ერთ ამოცანად ვალდებულება - ყოველწლიურად, გეგმის შესაბამისად, შედეგების ასახვა ვებ. გვერდზე. **ინდიკატორი 1.2.2.3 დაკმაყოფილებულია**

4. წინა სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები სკოლამ გამოიყენა შემდგომი განვითარებისთვის. ვინაიდან, სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოკვეთს - რა შესრულდა ან/და რისი შესრულება ვერ იქნა უზრუნველყოფილი, რამდენად განაპირობა ჩამოყალიბებულმა ამოცანებმა სტრატეგიული მიზნების მიღწევა, მნიშვნელოვანია, რომ მომავალში სასკოლო საზოგადოების ჩართულობით მომზადდეს შესაბამისი ანგარიშები, რის საფუძველზე გამოკვეთილი ახალი გარემოებები აისახება სტრატეგიული განვითარების ან/და სამოქმედო გეგმაში, რაც გაზრდის მათ ეფექტურობას. **ინდიკატორი 1.2.2.4 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლა ლიცეუმი სანთელის დირექტორის ბრძანების №ბ-30, 18.01.2023წ. - სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის შექმნის შესახებ;
- სკოლა ლიცეუმი სანთელის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სკოლის ვებ. გვერდი;
- ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან.

.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

### 3.1. პერსონალის მართვა

#### 3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლა-ლიცეუმის მართვა ხორციელდება "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის და სკოლა-ლიცეუმის წესდების საფუძველზე.
სკოლას წარმოდგენილი აქვს **სკოლის სტრუქტურა** გრაფიკული გამოსახულების სახით, რომლის მიხედვითაც სკოლის სტრუქტურა მოიცავს შემდეგ ერთეულებს: პარტნიორთა (დამფუძნებელთა) კრებას, დირექციას, ადმინისტრაციას, პედაგოგიურ საბჭოს, საგნობრივი ჯგუფის კათედრებს, მშობელთა კომიტეტს და მოსწავლეთა თვითმმართველობას. სტრუქტურის შემადგენელი ნაწილების ფუნქციები და ურთიერთმიმართება მოცემულია სკოლის წესდებაში (თავი II - სკოლის სტრუქტურა და მართვა) და ჩაშლილია ცალკეულ მუხლებში.
სკოლის მართვის უმაღლესი ორგანოა **პარტნიორთა (დამფუძნებელთა) კრება,** რომლის უფლებამოსილებები განსაზღვრულია სკოლის წესდებით. პარტნიორთა კრება უფლებამოსილია გაეცნოს სკოლაში მიმდინარე სასწავლო თუ სხვა პროცესების მიმდინარეობას; კრება ნიშნავს და ათავისუფლებს სკოლის დირექტორს.
**სკოლის დირექცია შედგება** დირექტორის, დირექტორის მოადგილის (სასწავლო პროცესისა და ხარისხის მართვის დარგში), ფინანსური მენეჯერისაგან.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის მართვას ახორციელებს დირექტორი, რომელიც წარმოადგენს სკოლას მესამე პირებთან ურთიერთობაში. წესდებაში განსაზღვრულია დირექტორის ვალდებულებები და პასუხისმგებლობები. მაგ. დირექტორი ამტკიცებს სასკოლო სასწავლო გეგმას.

**დირექტორს ჰყავს ერთი მოადგილე** სასწავლო პროცესისა და ხარისხის მართვის დარგში, რომელიც ხელმძღვანელობს სასწავლო-აღმზრდელობით სფეროს. მისი ფუნქციები გაწერილია ცალ-ცალკეა სასწავლო პროცესისა და ხარისხის მართვის მიმართულებით.

დირექციის წევრია **ფინანსური მენეჯერი,** რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს დირექტორი.

**ადმინისტრაციაში** შედის - საქმისწარმოებისა და IT მენეჯერი, უსაფრთხოების დაცვისა და ტექნიკური უზრუნველყოფის მენეჯერი, ფსიქოლოგი, მედდა (სამედიცინო სამსახური), ბიბლიოთეკარი (წესდების თავი მე-3 - სკოლის ადმინისტრაცია). სკოლის სტრუქტურით გათვალისწინებული სამსახურების კომპეტენცია და საქმიანობის წესი განისაზღვრება ამ წესდებით და დირექტორის მიერ დამტკიცებული სტრუქტურული ერთეულების დებულებებით. დირექტორი თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საქმისწარმოებისა და IT მენეჯერს, ფსიქოლოგს, ბიბლიოთეკარს.

**პედაგოგიური პერსონალი შედგება** - 17 მასწავლებლისაგან.

**დამხმარე პერსონალს მიეკუთვნება -** საშტატო ნუსხით გათვალისწინებული სკოლის საქმიანობისათვის აუცილებელი სხვა პირები.

საშტატო განრიგის მიხედვით ასეთი პირია ტექნიკური პერსონალი - ერთი დამლაგებელი.

სკოლამ წარმოადგინა 2022-2023 ს/წ **საშტატო განრიგი,** რომელიც დამტკიცებულია სკოლა-ლიცეუმის დამფუძნებელთა კრებაზე 2022წ. 29 აგვისტოს. საშტატო განრიგით გათვალისწინებულია 28 საშტატო ერთეული. ფსიქოლოგი, ბიბლიოთეკარი და მედდა დასაქმებულია 0.5 საშტატო ერთეულზე. საშტატო განრიგით გათვალისწინებულია ერთი კლასის დამრიგებელი, დანარჩენი კლასების დამრიგებლები საშტატოში ასახული არ არის. დამრიგებლის შერჩევა ხდება სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის პედაგოგთა კონტიგენტიდან პიროვნული თვისებების და ღირებულებების, პროფესიული დონის და გამოცდილების გათვალისწინებით და მტკიცდება დირექტორის ბრძანებით. კლასის დამრიგებლის მოვალეობები და საქმიანობის პრინციპები მოცემულია წესდების მუხლი 5.3.2.

**სკოლაში მოქმედი კოლეგიური სტრუქტურული ერთეულებია** პედაგოგიური საბჭო, რომელიც საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობს წესდებითა და პედსაბჭოს დებულებით.

სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივი კათედრები. წესდებისა და სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით სკოლაში ფუნქციონირებს 5 საგნობრივი კათედრა: სახელმწიფო ენისა და უცხოური ენების (ინგლისური და რუსული), საზოგადოებრივი მეცნიერებების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, სპორტისა და ესთეტიკური აღზრდის, დაწყებითი საფეხურის (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა და ბუნებისმეტყველება). კათედრების საქმიანობას არეგულირებს სკოლის წესდება და კათედრების დებულება. კათედრა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

იკრიბება სემესტრში მინიმუმ ორჯერ. კათედრა აუცილებლად უნდა შეიკრიბოს სასწავლო წლის დაწყებამდე. კათედრის სხდომა ფორმდება კათედრის სხდომის ოქმით. სკოლას წარმოდგენილი აქვს სხვადასხვა კათედრის ოქმები, მათ შორის ოქმები სასწავლო წლის დასაწყისში.

**სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა.** წესდების მუხლში 5.7. გაწერილია თვითმმართველობის ფუნქციები და საქმიანობის წესი. სკოლას წარმოდგენილი აქვს მოსწავლეთა თვითმმართველობის გეგმით შესრულებული ერთ-ერთი აქტივობა - სასკოლო ექსკურსიის სახით.

სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულებისა და პირების ფუნქციები და საქმიანობები მკაფიოდაა განსაზღვრული სკოლის წესდებაში და სტრუქტურული ერთეულების დებულებებში. კერძოდ:

- **დირექციის ყველა წევრის უფლება-მოვალეობები გაწერილია თანამდებობრივ ინსტრუქციებში და სკოლის წესდებაში -** თავი II „სკოლის სტრუქტურა და მართვა“: დირექტორის უფლება-მოვალეობები-პასუხისმგებლობები; სასწავლო პროცესში და ხარისხის მართვის დარგში დირექტორის მოადგილის უფლება-მოვალეობები; ფინანსური მენეჯერის უფლება-მოვალეობები.
- **ადმინისტრაციული პერსონალის უფლება-მოვალეობები გაწერილია თანამდებობრივ ინსტრუქციებში და სკოლის წესდებაში -** თავი III „სკოლის ადმინისტრაცია“: საქმისწარმოების და IT მენეჯერის; უსაფრთხოების დაცვისა და ტექნიკური მენეჯერის, სკოლის ფსიქოლოგის, ბიბლიოთეკარის; სკოლის მედდას (სამედიცინო სამსახურის);
- **მასწავლებლის უფლება-მოვალეობები გაწერილია სკოლის წესდებაში** - მუხლი 5.3.1.
- სკოლაში არსებული **საგნობრივი ჯგუფები და საგნის კათედრები განისაზღვრება სკოლის წესდებით** (მუხლი 5.5.) და **კათედრის დებულებით.** კათედრის დებულებაში მოცემულია რომელი საგნები შედის კონკრეტულ კათედრაში. განსაზღვრულია კათედრის ფუნქციები, მოვალეობები, კათედრების მოწყობა და კათედრის თავმჯდომარის ფუნქციები, ასევე კოორდინაცია. კათედრა ანგარიშვალდებულია პედსაბჭოსა და დირექტორის წინაშე. ასევე, კათედრის დებულებით განისაზღვრება **კათედრის თავმჯდომარის პორტფოლიო.**
- **პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის საქმიანობა რეგულირდება** ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულებით, რომელიც განსაზღვრავს ხარისხის ჯგუფის შემადგენლობას და საქმიანობას.
- **სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალების შესწავლის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა-ლიცეუმში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების და პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული.**

**ინდიკატორი 3.1.1.1. დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სკოლა-ლიცეუმის წესდების (სკოლის სტრუქტურა და მართვა) თანახმად, სასკოლო საზოგადოებას წარმოადგენს სკოლა-ლიცეუმის ყველა თანამშრომელი, რომელთა მოვალეობანი და უფლებამოსილებანი განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, თანამდებობრივი ინსტრუქციებით, სკოლა-ლიცეუმის წესდებით და შინაგანაწესით. გადაწყვეტილებას სკოლის სტრუქტურული ერთეულების შექმნის ან გაუქმების შესახებ იღებს შპს სკოლა-ლიცეუმი სანთელის პარტნიორთა კრება, რომელიც წარმოადგენს საზოგადოების უმაღლეს მმართველობით ორგანოს. სკოლის სტრუქტურული ერთეულების კომპეტენცია, საქმიანობის წესი განისაზღვრება „წესდებით“ და დირექტორის მიერ დამტკიცებული სტრუქტურული ერთეულების დებულებებით.

სკოლაში ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილების არსებული პრაქტიკა ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის წარმატებით განხორციელებას.

**ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილების, ანგარიშვალდებულების სასკოლო პრაქტიკა ასეთია:**

სკოლის დირექტორი შპს პარტნიორთა კრებას წარუდგენს **ყოველწლიურ ანგარიშს** სკოლის საგანმანათლებლო, ფინანსური და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობის შესახებ. დირექტორი უფლებამოსილია მისი არყოფნის შემთხვევაში, დებულებით გათვალისწინებული დირექტორის უფლებამოსილების დელეგირება მოახდინოს დირექტორის მოადგილეზე სასწავლო აღმზრდელობითი პროცესისა და ხარისხის მართვის დარგში; ანაწილებს ფუნქციურ მოვალეობებს დაქვემდებარებაში მყოფ თანამშრომლებს შორის აძლევს მათ მითითებებს და დავალებებს; ახორციელებს კონტროლს დისციპლინის დაცვაზე მათ მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებისას

**სკოლის დირექტორი პასუხისმგებელია:** ა) ეროვნული სასწავლო გეგმის, განათლების სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტების შესრულებასა და სააღმზრდელო პროცესზე; ბ) სკოლაში მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნაზე.

**სკოლის დირექტორი ვალდებულია:** მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის უფლებებისა და თავისუფლებების ნებისმიერი შეზღუდვა განახორციელოს გონივრულად და პროპორციულად კანონმდებლობით დადგენილი წესის საფუძველზე, მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის სრული დაცვით, ჯეროვანი და სამართლიანი პროცედურით.

დირექტორმა თავისი შეხედულებისამებრ შეიძლება შექმნას დროებით სამუშაო ჯგუფები გარკვეული ვადით. მაგ. ხარისხის განვითარების ადა პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი.

**სკოლის დირექტორის ერთი მოადგილე** (სასწავლო პროცესი და ხარისხის მართვის დარგში) ხელმძღვანელობს სასწავლო - აღმზრდელობით პროცესს. ის ასევე ხელმძღვანელობს ხარისხის მართვის მენეჯმენტს. ორგანიზებას უწევს მასწავლებელთა კვალიფიკაციისა და პროფესიული ოსტატობის ამაღლებას. სკოლის დირექტორს წარუდგენს წინადადებებს სკოლის სტრუქტურისა და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საშტატო განრიგის ოპტიმიზაციის მიზნით. ადგენს პედაგოგთა პროფესიულ საჭიროებებს და ამის შესაბამისად გეგმავს მათი განვითარებისთვის საჭირო სამუშაო შეხვედრებს, უზრუნველყოფს მათ გეგმაზომიერად განხორციელებას, ზედამხედველობას უწევს კათედრების მუშაობას, იბარებს ანგარიშს და აწვდის დირექტორს.

**ფინანსური მენეჯერის ფუნქციაა** აწარმოოს სკოლის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, სკოლა-ლიცეუმის მატერიალურ–ტექნიკური რესურსით, ინვენტარით, საკანცელარიო ნივთებით და სხვა საჭირო ფასეულობით უზრუნველყოფა და მათი აღრიცხვა. ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარდგენა. წარადგინოს დირექტორის წინაშე ნახევარ წლიური და წლიური ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

**საქმის წარმოებისა და IT მენეჯერი** მისი ფუნქციაა უზრუნველყოს სკოლა-ლიცეუმი ინფორმაციული ტექნოლოგიების გამართული მუშაობით. ასევე აწარმოოს მოსწავლეთა, ადამიანური რესურსებისა და საერთო ბრძანებების წიგნი და სკოლის არქივი. იგი პასუხისმგებელია სკოლაში კომპიუტერული სისტემის გამართულ მუშაობაზე და ანგარიშვალდებულია დირექტორის წინაშე.

**უსაფრთხოების დაცვისა და ტექნიკური უზრუნველყოფის მენეჯერი** პასუხისმგებელია უსაფრთხოებაზე და მატერიალური რესურსებზე.

**სკოლის ფსიქოლოგის საქმიანობა** არის ფართო პროფილის და მუშაობს არა მარტო სსსმ მოსწავლეებთან (სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე), არამედ ყველა მოსწავლესთან საჭიროების მიხედვით. იგი ვალდებულია ხელი შეუწყოს პირველკლასელთა ადაპტაციას სასკოლო ცხოვრებაში. ფსიქოლოგი ვალდებულია ყოველი წლის ბოლოს ანგარიში ჩააბაროს დირექტორს.

ბიბლიოთეკარს და მედდას თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს დირექტორი. მათი ფუნქცია-მოვალეობები განსაზღვრულია თანამდებობრივი ინსტრუქციებითა და შრომით ხელშეკრულებებით.

**ინდიკატორი 3.1.1.2. დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- წესდება.
- შინაგანაწესი.
- თანამდებობრივი ინსტრუქციები.
- კათედრის დებულება.
- პედსაბჭოს დებულება.
- სასკოლო შეფასების სისტემის დებულება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- უსაფრთხოების დებულება.
- ხარისხის მართვის (პროფესიული მხარდაჭერის) დებულება.
- დამფუძნებელთა კრების ოქმი #2.
- სტრატეგიული გეგმა. სვოტ ანალიზი
- სამოქმედო გეგმა.
- თანამშრომლებსა და მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ნიმუშები.
- საკონკურსო კომისია და კონკურსის ჩატარების წესი.

### 3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება შრომის დისციპლინის დაცვის უზრუნველყოფით და პერსონალის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა პროფესიონალური განხორციელებით.

**სკოლის შინაგანაწესის მე-6 მუხლით განსაზღვრულია პერსონალის ქცევის წესი,** კერძოდ სამუშაო და დასვენების დროები, მათ შორის უქმე დღეები. შინაგანაწესის მე-8 მუხლში გაწერილია პერსონალის საქმიანობის პრინციპები (კეთილსინდისიერება, პატიოსნება,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პასუხისმგებლობა სხვა). კოლეგებთან ურთიერთობისას პერსონალი უნდა ხელმძღვანელობდეს პროფესიული სოლიდარობის პრინციპით. მუხლი 5 აწესრიგებს პერსონალური მონაცემების დამუშავებას, გამოყენებას და გავრცელებას.

ის რომ სკოლაში პერსონალის მართვა ხორციელდება სამსახურებრივი მოვალეობების პროფესიონალური განხორციელებით და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად, დასტურდება სკოლის მიერ დამტკიცებული კონკურსის ჩატარების წესი. კერძოდ:

**შინაგანაწესის მე-12 მუხლი აწესრიგებს სკოლაში თანამშრომლის მიღებას.** სკოლა-ლიცეუმში პედაგოგის მიღება ხდება **კონკურსის წესით.** გათვალისწინებულია შიდა კონკურსი და ვაკანსიის ვერ შევსების შემთხვევაში ღია კონკურსის გამოცხადება. განსაზღვრულია შიდა და ღია კონკურსის დროს ინფორმაციის განთავსების წესი/პირობები. ასევე კონკურსის ეტაპები, საკონკურსო კომისიის შემადგენლობა. კომისიის მუშაობის წესი განსაზღვრული უნდა იყოს სკოლის დირექტორის ბრძანებით. გათვალისწინებულია სხვა თანამშრომლების სამსახურში მიღების პირობები (სკოლაში განცხადების წარდგენა და სკოლის დირექტორთან გასაუბრება). გათვალისწინებულია თანამშრომლის მიღება კონკურსის საფუძველზეც. გათვალისწინებული და დარეგულირებულია სამუშაოს შეთავსების პირობები.

შინაგანაწესი (მე-19 მუხლი) ასევე ითვალისწინებს მასწავლებლის წახალისების სახეებს და მათი გამოყენების წესს. (მე-20 მუხლი) ითვალისწინებს შრომის დაცვის უსაფრთხოების ინსტრუქციას. (21-ე მუხლი) განსაზღვრავს პერსონალის მატერიალურ პასუხისმგებლობას. (23-ე მუხლი) აწესრიგებს თანამშრომლების დისციპლინურ გადაცდომებს და დისციპლინურ სახდელებს.

**შინაგანაწესი (მე-9 მუხლი) განსაზღვრავს, თუ როგორ ხორციელდება ადამიანური რესურსების მართვა.** კერძოდ, განსაზღვრულია სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმები - დასაქმებულ პირთა პროფესიული საჭიროებების დადგენა, მისი ანალიზი და ინტერვენციების დაგეგმვა-განხორციელება. სასწავლო პროცესის სხვადასხვა მიმართულების ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად კვლევების, მათ შორის პრაქტიკული კვლევების ჩატარება, სვოტ ანალიზი. ამის დამადასტურებლად სკოლას მოტანილი აქვს 2021-2022 ს.წ ჩატარებული კვლევა, რომლის მასალა წარმოდგენილია მტკიცებულების სახით. სკოლაში შექმნილია **თანამშრომლობითი გარემო** - მასწავლებლებსა და დირექციას შორის კეთილგანწყობილი დამოკიდებულებებია.

სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვას აწესრიგებს ხარისხის მართვის პროფესიული მხარდაჭერის დებულება. **სასწავლო პროცესის მონიტორინგს ახორციელებს სკოლის დირექტორი ან მის მიერ განსაზღვრული პირი/ჯგუფი -** ასეთი ჯგუფი სკოლაში არის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი.

**ინდიკატორი 3.1.2.1 დაკმაყოფილებულია.**

**2. სკოლის განმარტებით, სკოლა-ლიცეუმის პერსონალის პროფესიული უნარ-ჩვევები და კვალიფიკაცია შესაბამისობაშია სტანდარტებთან.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი მასალების გაცნობით ირკვევა, რომ სკოლას გარკვეულწილად აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა, რაც გამოიხატება შემდეგში: სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო შეფასების სისტემა, რომელსაც საერთო ხელმძღვანელობას უწევს სკოლის დირექტორი. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც მონიტორინგს და დახმარებას უწევს პედაგოგებს სასწავლო პროცესში. შეფასების ობიექტია მასწავლებელი, მოსწავლე და დირექცია. შეფასების არასასურველი შედეგების შემთხვევაში გათვალისწინებულია ინდივიდუალური წინადადებების შემუშავება კონკრეტული პერსონისათვის დახმარების აღმოსაჩენად. თუმცა არ არის წარმოდგენილი აღნიშნულის დამადასტურებელი კონკრეტული მაგალითი.

**სკოლის დირექტორის მოადგილე ხელმძღვანელობს ხარისხის** მართვის მენეჯმენტს. ესწრება გაკვეთილებს, ზრუნავს მასწავლებელთა პროფესიონალიზმის ამაღლებაზე. ადგენს პედაგოგთა პროფესიულ საჭიროებებს და ამის შესაბამისად გეგმავს მათი განვითარებისთვის საჭირო სამუშაო შეხვედრებს, უზრუნველყოფს მათ გეგმაზომიერად განხორციელებას, ზედამხედველობას უწევს კათედრების მუშაობას, იბარებს ანგარიშს და აწვდის დირექტორს.

სკოლა იკვლევს თუ თანამშრომელთა საჭიროებებს კითხვარების მეშვეობით.

**სკოლაში მოქმედებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭრის ჯგუფი.** ჯგუფი არის მასწავლებლის პროფესიული სტანდარტისა და მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული სქემის მოთხოვნებთან მასწავლებლის კომპეტენციის შესაბამისობის უზრუნველყოფის, ასევე, სკოლის ინსტიტუციური განვითარების მხარდაჭერის მიზნით შექმნილი ორგანო. ჯგუფი შექმნილია სკოლა-ლიცეუმის დირექტორის 2020 წლის 14 სექტემბრის #12 ბრძანებით და დაკომპლექტებულია 6 უფროსი მასწავლებლით. სკოლაში შემუშავებულია ხარისხის მართვის ჯგუფის დებულება. ჯგუფის ორგანიზებით ტარდება სკოლა-ლიცეუმის კოლეგებთან სამუშაო შეხვედრები,

ჯგუფის წევრები ეხმარებიან კოლეგებს პროფესიული საჭიროებების განსაზღვრაში, პროფესიული განვითარების აქტივობების შემუშავებასა და განხორციელებაში. ჯგუფის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა საგაკვეთილო დაკვირვება. სკოლას შემუშავებული აქვს განმავითარებელი უკუკავშირის ფორმა პროფესიული განვითარების ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის შესრულებაზე, ასევე გაკვეთილის გეგმისა და საგაკვეთილო შეფასების ფორმა/ნიმუში.

**2021-2022 ს/წელს** (2021 წლის ნოემბერში) **სკოლას ჩატარებული აქვს საჭიროებების,** თანამშრომელთა დამოკიდებულებების მოლოდინების კვლევა. **კვლევა** ეხებოდა მოსწავლეებს, მასწავლებლებს და მშობლებს და მიზნად ისახავდა (სხვა მიზანთა შორის) სკოლის სხვადასხვა სტრუქტურული ელემენტების მუშაობის ეფექტურობის გამოვლენას, პრობლემების იდენტიფიცირებას და მომდევნო ს/წლის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პერიოდში სასწავლო გეგმის გაუმჯობესებას. შესაბამისი სიახლეების ასახვას სასწავლო პროცესის უკეთ განხორციელების მიზნით. სკოლის განმარტებით, კვლევაში მონაწილეობა მიიღო მოსწავლეთა 10%-მ (73 მოსწავლიდან). ასეთი მცირერიცხოვანი ჯგუფის გამოკითხვა რამდენად შედეგის მომცემი შეიძლება იყოს? ამ კვლევის მასალები წარმოდგენილი არ არის.

**კვლევით გამოიკვეთა სკოლის ძლიერი მხარეები:**

**მასწავლებლების გამოკითხვის შედეგების ანალიზით** ირკვევა:

- მასწავლებლებმა გამოავლინეს მე-3 თაობის ესგ-ს ცოდნა.
- ისინი სწავლების დროს უპირატესობას ანიჭებენ პროექტულ სწავლებას, კვლევას და პრეზენტაციას.
- შეფასების კრიტერიუმების შემუშავების დროს ჩართული არიან მოსწავლეები.
- შემაჯამებელი დავალებების შეფასების კრიტერიუმები თვალსაჩინოდაა განთავსებული საკლასო ოთახებში (ვიზიტის დროს ვნახეთ კლასებში გამოკრული მოსწავლეთა შემაჯამებელი/პროექტული დავალებები შეფასებების რუბრიკების ფორმები, ასევე ბავშვებთან გასაუბრების დროს მოსწავლეებმა გამოავლინეს საგანში შეფასების კრიტერიუმების ცოდნა).
- სკოლა-ლიცეუმის პედაგოგებსა და დირექციას შორის შექმნილია თანამშრომლობითი და მეგობრული გარემო. რაც გამოიკვეთა და დადასტურდა ადგილზე ვიზიტის დროს.
- დირექციის მხრიდან ხორციელდება მასწავლებელთა განვითარებაზე ზრუნვა და პერიოდული მონიტორინგი.

**კვლევის დროს გამოვლინდა გასაუმჯობესებელი მხარეები:**

- **ინტერნეტთან დაკავშირებული პრობლემების მოწესრიგება** - ცალკეულ საკლასო ოთახებში ინტერნეტის კაბელის შეყვანა, ლეპტოპების შეძენა და კომპიუტერების გამართული მუშაობა.
- ასევე **მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდა** საგანმანათლებლო პროექტებში ჩასართავად. მეტი შემეცნებითი, საინტერესო გასვლითი ღონისძიების განხორციელება.

  ამ კვლევის შემდეგ, 2022-2023 ს/წელს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სკოლას **შედგენილი აქვს თანამშრომელთა პროფესიული ზრდისათვის დაგეგმილი აქტივობების გეგმა.** გეგმაში გაწერილია აქტივობები და მათი აღწერილობა, შესრულების პერიოდი და პასუხისმგებელი პირი. მასწავლებელთა შიდა სასკოლო შეფასების სისტემის დანერგვა, გაკვეთილებზე საქმიანი და თანამშრომლობითი ურთიერთდასწრება, თანამშრომლობის გააქტიურება როგორც სკოლის შიგნით, ასევე სხვადასხვა სკოლებთან გამოცდილებისა და მიღწევების გაზიარების მიზნით. თუმცა გეგმაში ნაკლებად ჩანს კონკრეტული ღონისძიებები, რომელიც მოემსახურება პროფესიულ განვითარებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**სკოლაში თანამშრომლებზე დაკვირვება - პერსონალის ძლიერი და სუსტი მხარეების დასადგენად,** მათი ინტელექტუალური რესურსისა და საჭიროებების განსაზღვრისათვის ხდება ხარისხის განვითარების ჯგუფის ფორმატში. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სკოლა მცირეკონტიგენტიანია (73 მოსწავლე) და სულ 17 მასწავლებელია, ჯგუფის წევრები ესწრებიან მასწავლებლებს გაკვეთილებზე, აძლევენ განმავითარებელ შეფასებას და რეკომენდაციებს. ამის დასტურია წარმოდგენილი ურთიერთდასწრების მასალები.

მასწავლებლები იკრიბებიან სამუშაო შეხვედრებზე, სადაც ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას. ამის შესახებ ისაუბრეს მასწავლებლებმა სკოლაში ვიზიტის დროს. არ ჩანს სკოლის მიერ ორგანიზებული ტრენინგები. სკოლას წარმოდგენილი აქვს კათედრის პორტფოლიოები, სადაც არის გაკვეთილებზე დასწრებების განრიგები და დასწრების მასალები შესაბამისი უკუკავშირებით.

**წარმოდგენილი მასალებით დასტურდება რომ სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა.**

**ინდიკატორი 3.1.2.2. დაკმაყოფილებულია.**

3. **პერსონალის შერჩევა ხორციელდება ღია კონკურსის წესით. სკოლა ახორციელებს პერსონალის კვალიფიკაციის დონისა და პროფესიული ჩვევების გამოვლენის ხელშეწყობას;**

სკოლის საქმიანობა მიმართულია იმისაკენ, რათა პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფდეს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;

სკოლას მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად შემუშავებული აქვს **კონკურსის ჩატარების წესი,** რომელიც ემყარება მოქმედ კანონმდებლობას. **შინაგანაწესის მე-12 მუხლი** აწესრიგებს სკოლაში თანამშრომლის მიღებას. სკოლა-ლიცეუმში პედაგოგის მიღება ხდება კონკურსის წესით. სკოლაში ვაკანსიის შევსებისათვის გათვალისწინებულია შიდა და ღია კონკურსის ჩატარება.

**სკოლას ჩატარებული აქვს ღია კონკურსი,** გამოცხადებული აქვს ვაკანსია რუსული ენისა და ლიტერატურის საათებზე 2023 წლის 13 მარტს. კონკურსის გამოცხადების პირობები განისაზღვრება კონკურსის განაცხადის ნიმუშით, რომელიც ითვალისწინებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს კონკურსანტის მიმართ. კონკურსის ეტაპებს. სკოლას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს კონკურსში მონაწილის ნუცა ვახტანგაძის საკონკურსო განაცხადი, კონკურსის შეფასების კრიტერიუმები. სკოლის მიერ ნ. ვ. შერჩეულია მასწავლებლად მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით.

2022 წლის 2 ნოემბერს სკოლას გაფორმებული აქვს **ხელშეკრულება #31 ი.მ. -** სთან სპორტის მასწავლებლის პოზიციაზე 2023 წლის 1 ივლისამდე, მაგრამ აღნიშნულ შემთხვევაში არ არსებობს კონკურსის მასალები. სკოლის დირექტორის მოადგილის განმარტებით, ი. მ. ტექნიკური მიზეზით ვერ შეძლო დარეგისტრირება ელექტრონულ სისტემაში, რამაც ხელი შეუშალა საკონკურსო შერჩევის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცედურის ჩატარებას. ამასთან, ი. მ., როგორც მოწვეული მასწავლებლის საათობრივი დატვირთვა შეადგენს 12 საათს, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით მოწვეული მასწავლებლის სამუშაო დატვირთვა უნდა შეადგენდეს არა უმეტეს მასწავლებლის სრული დატვირთვისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული საგაკვეთილო საათების 50%-ისა.

აღნიშნული სამართლებრივი აქტით არ არის დაცული საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს #174/ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დამტკიცებისა და შეწყვეტის წესის“ მოთხოვნები.

**წარმოდგენილი მასალების შესწავლით შეიძლება დავასკვნათ, რომ პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები ნაკლებად უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით. გარდა ამისა, მასწავლებელთა პირად საქმეებში ყველა მასწავლებელს არ აქვს წარმოდგენილი ცნობები სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ.**

**სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 10.07.2023-31.08.2023)- ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი. სკოლის პედაგოგებმა უზრუნველყონ სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობების წარმოდგენა.**

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება პროფესიულ საქმიანობაში კანონმდებლობის და სკოლა-ლიცეუმში მოქმედი აქტების მოთხოვნების განუხრელი დაცვას.**

სკოლაში დასაქმებულია 23 თანამშრომელი, ამათგან 17 მასწავლებელი, დირექტორი და დირექტორის მოადგილე, ერთი მედდა, ერთი ბუღალტერი, ერთი დამლაგებელი, უსაფრთხოების მენეჯერი.

17-დან 10 უფროსი მასწავლებელია, ორი მასწავლებლობის მაძიებელი, ხუთი უსტატუსო მასწავლებელი (ნ.ვ., მ.ზ., ნ.ი., მ.ჩ. და თ.ჩ). მათ ელექტრონულ ბაზაში მითითებული არა აქვთ სტატუსი.

**მასწავლებლის სტატუსი მითითებული არ არის** რამდენიმე შრომით ხელშეკრულებაში: ნ.ი. 2022წ. 08.11. გაფორმებული ხელშეკრულება #31, მ. ჩ.-სთან 2022წ. 15.09. გაფორმებული ხელშეკრულება #29. მასწავლებლების კვალიფაკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, ასევე შესაბამისობაშია დაკავებულ პოზიციასთან მედდის - კვალიფიკაცია (სამედიცინო განათლება), ბიბლიოთეკარის კვალიფიკაცია (საბიბლიოთეკო განათლება), ფსიქოლოგის - კვალიფიკაცია (ფსიქოლოგი).



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლას წარმოდგენილი აქვს მასწავლებელთა მონაცემები, ასევე ამონაწერი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან მასწავლებელთა შესახებ. წარმოდგენილია თანამშრომელთა პირადი საქმეები.

**წარმოდგენილი მასალების შესწავლით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.**

**ინდიკატორი 3.1.2.4. დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის განმარტებით, სკოლაში გადაწყვეტილებების მიღების პროცესი არის ობიექტური, მიუკერძოებელი და გამჭვირვალე. გადაწყვეტილების მიღების და მომზადების პროცესში ჩართვის უფლება აქვს ყველა მსურველს, რომელზეც აისახება ეს გადაწყვეტილება. **გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობას ადასტურებს სკოლაში მოქმედი მმართველობითი კოლეგიური ორგანო პედსაბჭო.** სკოლას შემუშავებული აქვს პედაგოგიური საბჭოს დებულება, რომლის მე-2 მუხლით პედ-საბჭო შეიმუშავებს სასკოლო დოკუმენტებს - სკოლის მისიას, წესდებას, სტრატეგიული განვითარების გეგმას. ასევე ერთწლიანი განვითარების გეგმას, საქმისწარმოების წესს და სხვა. დებულებით განსაზღვრულია, რომ პედაგოგიური საბჭო მუშაობს მის მიერ დამტკიცებული სამუშაო გეგმით.

**კოლეგიური სტრუქტურული ერთეულების საქმიანობაში მონაწილეობენ მასწავლებლები,** კერძოდ, სკოლის მიერ წარმოდგენილი პედსაბჭოს ოქმებით დასტურდება მასწავლებლების ჩართულობა ისეთი სასკოლო საკითხების განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებაში, როგორიცაა მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავება, სასკოლო სასწავლო გეგმის განხილვა, აკადემიური მოსწრების შედეგების განხილვა და სხვა. **პედსაბჭო გადაწყვეტილებას იღებს ხმების უმრავლესობით.** მტკიცებულების სახით სკოლას წარმოდგენილი აქვს პედსაბჭოს #1 ოქმი 07.09.2023წ. #2 ოქმი #19.09.2023წ. #3 ოქმი 27.12.2022წ. სადაც მოცემულია საბჭოს სხდომაში მონაწილე პირთა ნუსხა და კენჭისყრის შედეგები ცალკეულ საკითხებზე.

ადგილზე ვიზიტის დროს გასაუბრებისას დირექტორის მოადგილემ განაცხადა, რომ სკოლაში გუნდური მუშაობა პრიორიტეტია, რაც გამოიხატება სასკოლო ღონისძიებებში მასწავლებლების ჩართულობაში, საერთო გასვლითი ექსკურსიების მოწყობაში.

**სკოლაში ფუნქციონირებს კოლეგიური ორგანოები - საგნობრივი კათედრების სახით.** სკოლას შემუშავებული აქვს კათედრების დებულება, რომლის მიხედვითაც გადაწყვეტილების მიღება ხდება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. საილუსტრაციო მტკიცებულების სახით სკოლას წარმოდგენილი აქვს საბუნებისმეტყველო კათედრის და სახელმწიფო ენისა და უცხო ენების კათედრის პორტფოლიო, სადაც მოცემულია კათედრის სხდომაში მონაწილე პირთა ნუსხა და კენჭისყრის შედეგები ცალკეულ საკითხებზე. კოლეგიურ ორგანოებში



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებელთა მონაწილეობა დასტურდება მასწავლებლებთან ონლაინ გასაუბრებითაც სკოლაში ვიზიტის დროს. მტკიცებულების სახით ასევე წარმოდგენილია დაწყებითების კათედრების სხდომის ოქმები, სადაც საუბარია მასწავლებელთა ურთიერთდასწრებაზე, სამოქმედო გეგმის დამტკიცებასა და სხვა საკითხებზე ერთობლივად მუშაობაზე.

**სასკოლო დოკუმენტაციის შესწავლითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია გადაწყვეტილებათა მონაწილეობითი და გუნდურად მიღების პრინციპი.**

**ინდიკატორი 3.1.2.5. დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლის განმარტებით, სკოლა ზრუნავს თანამშრომელთა მოტივაციის გაზრდაზე მათი მიღწევების წახალისების გზით**, რაც გაწერილია სკოლის შინაგანაწესში (მე-19 მუხლი „წახალისების სახეები“). მუშაობაში მოპოვებული წარმატებისათვის, შრომითი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის, აგრეთვე განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის, ასევე სასკოლო და საქალაქო ოლიმპიადებსა და პროექტებში აქტიური მონაწილეობისთვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები: 1. დირექტორის მიერ ბრძანებით მადლობის გამოცხადება. 2. წლის საუკეთესო მასწავლებლის საპატიო სიგელით დაჯილდოება. 3. ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, 4. ხელფასის გაზრდა.
სკოლაში ვიზიტის დროს დირექტორის მოადგილემ გასაუბრების დროს წარმატებული გამოცდილების აღიარების მაგალითად მოიყვანა ერთ-ერთი მასწავლებლის წარმატება სასკოლო ცხოვრებაში და მშობლებთან ურთიერთობაში, რომელსაც დირექციის გადაწყვეტილებით ჩაერიცხა პრემია 100 ლარის ოდენობით. ინფორმაცია სკოლის მიღწევების და გამორჩეული აქტივობების შესახებ ქვეყნდება სკოლის სოციალურ ქსელში.
სკოლაში ვიზიტისას დოკუმენტაციის დათვალიერების დროს დაფიქსირდა მადლობის გამოცხადების შემთხვევები.

**ინდიკატორი 3.1.2.6 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- **პერსონალის პირადი საქმეები.** ხელშეკრულებები, პირადი განცხადებები, დანიშვნის ბრძანებები -- მასწ. ქართულის, გეოგრაფიის, ისტორია/სამოქალაქო განათლების, ბიოლოგიის, დ/კლასის უსტატუსო, ფიზიკა/მათემატიკის, სპორტის, დ/კლასის უფროსი, ქიმია-ისტი-ჭადრაკის, მათემატიკის უფროსი, ინგლისურის, მედდის, სახვითი ხელოვნების, დ/კლასის მაძიებლის, მუსიკის უსტატუსო, დ/კლასის, რუსულის უფროსი, ინგლისური ენის, დირექტორის მოადგილე, უსაფრთხოების დაცვის მენეჯერი, დირექტორის, ფინანსური მენეჯერის.
- შინაგანაწესი.
- სტრატეგიული გეგმა.
- სვოტ -ანალიზი.
- ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების განვითარების პროგრამა 2022-2023 ს/წ.
- პერსონალის შერჩევის ამსახველი დოკუმენტები - საკონკურსო კომისიის ოქმები და მასალები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ **არ შეესაბამება**

### 3.2. პერსონალის განვითარება

#### 3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **სკოლას აქვს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერი ჯგუფი. რომელიც სამოქმედო გეგმის შესაბამისად წარმართავს გუნდურ მუშაობას მასწავლებლებთან, კათედრებთან და ახორციელებს მონიტორინგს.**

**სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები. კერძოდ,** დირექტორის მოადგილე ადგენს პედაგოგთა პროფესიულ საჭიროებებს და ამის შესაბამისად გეგმავს მათი განვითარებისთვის საჭირო სამუშაო შეხვედრებს, უზრუნველყოფს მათ გეგმაზომიერად განხორციელებას, ზედამხედველობას უწევს კათედრების მუშაობას, იბარებს ანგარიშს და აწვდის დირექტორს.

**საჭიროებების დადგენის ერთ-ერთი მექანიზმია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი.** ჯგუფი შედგება 6 წევრისაგან (დ/მოადგილე და კათედრებიდან წარმოდგენილი კანდიდატები). ჯგუფის მიზანია მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის და მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემის მოთხოვნებთან მასწავლებლის კომპეტენციის შესაბამისობის უზრუნველყოფა, ასევე, სკოლის ინსტიტუციური განვითარების მხარდაჭერა. ასევე მასწავლებლის საქმიანობის შიდა შეფასება; სკოლა-ლიცეუმის ადმინისტრაციის და სასწავლო პროცესის ხარისხის მართვის წევრთა და მასწავლებელთა პროფესიული მხარდაჭერა. სკოლა-ლიცეუმში პროფესიული დიალოგის გაძლიერებისა და თანამშრომლობითი კულტურის განვითარების ხელშეწყობა. მე-4 მუხლით განსაზღვრულია ჯგუფის სამოქმედო პრინციპები: თანამშრომლობა, თანასწორობა, სანდოობა, გამჭვირვალობა, ობიექტურობა და სამართლიანობა. ჯგუფს ჰყავს ხელმძღვანელი, რომლის ფუნქციები გაწერილია ამ დებულების მე-5 მუხლით. დებულების მე-7 მუხლით გაწერილია ჯგუფის შეხვედრების ინტენსივობა.

**დებულების მე-9 მუხლით გაწერილია - ვინ და როგორ ეხმარება მასწავლებელს პროფესიულ განვითარებაში:** 1. ჯგუფის წევრის მოვალეობების: კოლეგებთან სამუშაო შეხვედრების დასწრება ან ორგანიზება, 2. კოლეგების დახმარება პროფესიული საჭიროებების განსაზღვრაში, პროფესიული განვითარების აქტივობების შემუშავებასა და განხორციელებაში, 3. მასწავლებლის საქმიანობის (მათ შორის საგაკვეთილო პროცესის) დაკვირვება, 4. მასწავლებლის კონსულტირება პროფესიული განვითარების ერთწლიანი სამოქმედო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გეგმის შემუშავებაში და გაწერილი აქტივობების მხარდაჭერაში. შემუშავებულია - დანართი #1. ყოველი წლის ბოლოს განიხილავს მასწავლებლის პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებული აქტივობების შედეგებს და მასწავლებელს აძლევს განმავითარებელ უკუკავშირს. ასეთი პრაქტიკული მაგალითები სკოლაში ვერ მოვიძიეთ. შემუშავებულია - დანართი #2. წინასწარ შემუშავებული ინსტრუმენტის (კითხვარი, დაკვირვების სქემა) გამოყენებით აფასებს მასწავლებლის პროცესის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საქმიანობას.

ამ დებულების მე-10 მუხლში გაწერილია გაკვეთილზე დაკვირვების პროცედურები და პირობები. შემუშავებულია დანართები დასაკვირვებელი გაკვეთილის გეგმის, გაკვეთილის შეფასების სქემის.

**სკოლის შინაგანაწესში - მე-9 მუხლი - გაწერილია** სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმები, მათ შორის **დასაქმებულ პირთა პროფესიული საჭიროებების დადგენა,** მისი ანალიზი და ინტერვენციების დაგეგმვა-განხორციელება; სასწავლო პროცესის სხვადასხვა მიმართულების ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად კვლევების, მათ შორის პრაქტიკული კვლევების ჩატარება, შემაჯამებელი სამუშაოების და კომპლექსური დავალებების მუდმივი მონიტორინგი, კონკრეტული მოსწავლეების საჭიროებებზე და შესაძლებლობებზე მორგებული გეგმის შემუშავება და ამ გეგმის განხორციელების მუდმივი მონიტორინგი

**სკოლას აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების სასკოლო პროგრამა 2022-2023 ს/წ.** სკოლის მისიიდან გამომდინარე ადამიანური რესურსის პროფესიული მხარდაჭერის განვითარება გამომდინარეობს შვიდწლიანი სტრატეგიული მიზნებიდან. სკოლის მისიაა: სკოლა-ლიცეუმი განახორციელებს სწავლა/სწავლების ხარისხის ამაღლებას, მაღალკვალიფიციური პედაგოგების დასაქმებას და ა.შ.
**ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების სასკოლო პროგრამა** მიზნად ისახავს კონკრეტული ამოცანების გადაჭრას. პროგრამით გათვალისწინებულ აქტივობებს და ადგენს მონიტორინგის განხორციელების მექანიზმებს. სასკოლო პროგრამის შესრულების ანალიზი მოხდება ყოველი სასწავლო წლის ბოლოს, რის საფუძველზეც ცვლილებები და დამატებები შევა სკოლის თანამშრომელთა პროფესიული განვითარების სასკოლო პროგრამაში. ამ დოკუმენტით გაწერილია შემდეგი აქტივობები: მაგ. სკოლის მიზნების მისაღწევად სკოლაში არსებული ადამიანური და პროფესიული რესურსების შესაბამისობაში მოყვანა, სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში მოსწავლის აქტიურ ჩართვას, ინოვაციური აზროვნების წახალისებას, საგანმანათლებლო ტექნოლოგიების ეფექტურ გამოყენება (მაგ. რა მეთოდები და ტექნოლოგიები გამოიყენეს წელს) და სხვა;

**ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების განვითარების გზები ასახულია** პოზიციების შესაბამის სამუშაო აღწერილობებში დირექციის შეხვედრებზე რეგულარულად განიხილება ადამიანური რესურსების მართვის მეთოდების და პროცედურების ეფექტიანობა;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საჭიროების შემთხვევაში, მუშავდება ადამიანური რესურსების სტაბილურობისათვის შესაბამისი რეკომენდაციები; ტარდება სამუშაო პირობების შესახებ დასაქმებულთა აზრის პერიოდული კვლევა და ანალიზი და ა.შ.

**სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებელთა პროფესიული უნარ-ჩვევების და ცოდნის შეფასების რეგულაცია.**

**ინდიკატორი 3.2.1.1. დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა ახორციელებს პერსონალის მხარდაჭერას შესაძლებლობების გათვალისწინებით, ხდება პერსონალის მიღწევებისა და წარუმატებლობების ანალიზი და გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობების დაგეგმვა.**

**სკოლას აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების სასკოლო პროგრამა 2022-2023 ს/წ.** რომელიც გამომდინარეობს სკოლის სტრატეგიული მიზნებიდან: კერძოდ, სკოლა ლიცეუმის განვითარების სტრატეგიას ერთ-ერთი ორიენტირია სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება, არსებული გამოწვევების და მათი დაძლევის მექანიზმების შემუშავება.

**ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების სასკოლო პროგრამა 2022-2023 ს/წ.** ადგენს მონიტორინგის განხორციელების მექანიზმებს. სასკოლო პროგრამის შესრულების ანალიზი მოხდება ყოველი სასწავლო წლის ბოლოს, რის საფუძველზეც ცვლილებები და დამატებები შევა სკოლის თანამშრომელთა პროფესიული განვითარების სასკოლო პროგრამაში. ამ დოკუმენტით გაწერილია შემდეგი აქტივობები: მაგ. სკოლის მიზნების მისაღწევად სკოლაში არსებული ადამიანური და პროფესიული რესურსების შესაბამისობაში მოყვანა; თანამშრომელთა შერჩევის საკონკურსო კომისიის დაკომპლექტება, სკოლაში დასაქმებული თანამშრომლების ფუნქციების განსაზღვრა და თანამდებობრივი ინსტრუქციების შემუშავება; მასწავლებელთა შიდა სასკოლო შეფასების სისტემის დანერგვა. ძირითადი კრიტერიუმების განსაზღვრა. მასწავლებელთა პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის განვითარების სასკოლო პროგრამის მონიტორინგი; სადამრიგებლო პროგრამების მონიტორინგი; კათედრების მუშაობის მონიტორინგი; **მასწავლებელთა არსებული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მექანიზმების შემუშავება და დანერგვა;** მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება და ხელშეწყობა მასწავლებელთა სერტიფიცირებისათვის; პედაგოგების ურთიერთთანამშრომლობის სისტემის დანერგვა და ჯანსაღი კონკურენტული გარემოს დამკვიდრება სკოლაში. გაკვეთილებზე საქმიანი და თანამშრომლობითი ურთიერთდასწრება და სხვა.

ამ ეტაპზე რაიმე შუალედური ანგარიშის მასალა სკოლას არა აქვს მაგ. მიმდინარე სასწავლო წელს პერსონალის/მასწავლებლის გამოვლენილი საჭიროებისა და მასზე სათანადო უკუკავშირის გაცემის. დირექტორის მოადგილის განმარტებით, ს/წლის ბოლოს მოხდება მონაცემების დაჯამება და ანალიზი.

**ინდიკატორი 3.2.1.2. დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. **სკოლა ხელს უწყობს სკოლაში დასაქმებული პირების კარიერულ ზრდას. ახდენს ტრენინგების და სამუშაო შეხვედრების ორგანიზებას, ხელს უწყობს პედაგოგებს გაიარონ ტრენინგები და აიმაღლონ კვალიფიკაცია და სტატუსი.**

სკოლის დირექტორის მოადგილის განმარტებით, მასწავლებლები გადიან მასწავლებლის სახლის ტრენინგებს, თუმცა ეს მიმდინარე პროცესია და ჯერ დამადასტურებელი სერტიფიკატები არ წარმოუდგენიათ.

დირექტორის მოადგილე ზრუნავს მასწავლებელთა პროფესიონალიზმის ამაღლებაზე; ადგენს პედაგოგთა პროფესიულ საჭიროებებს და ამის შესაბამისად გეგმავს მათი განვითარებისთვის საჭირო **სამუშაო შეხვედრებს,** უზრუნველყოფს მათ გეგმაზომიერად განხორციელებას.

**ინდიკატორი 3.2.1.3. დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა ყველანაირად ცდილობს, რომ სკოლაში შექმნას გახსნილი თანამშრომლობაზე აგებული გარემო, და ამ გარემოში ადვილად მოხდეს მასწავლებელთა ინტეგრაცია. აწყობს შეხვედრებს არაფორმალურ გარემოში და სხვა.**

სკოლას აქვს გაწერილი ვინ და როგორ ეხმარება თანამშრომლებს სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციაში. კერძოდ, სკოლას აქვს სამოქმედო გეგმა - ხარისხის უზრუნველყოფის ძირითადი საორგანიზაციო საკითხები 2022-2023 ს/წ. ამ გეგმით გათვალისწინებულია ახალგაზრდა დამწყები პედაგოგების დახელოვნების ხელშეწყობა. ამაზე პასუხისმგებელი პირი არის დირექტორის მოადგილე სასწავლო აღმზრდელობით პროცესში და ხარისხის მართვის დარგში, კათედრების თავმჯდომარეები. მიმდინარე ს/წელს ასეთი პრაქტიკის არსებობა მოცემული მომენტისათვის რაიმე მასალის სახით არ დასტურდება.

**ინდიკატორი 3.2.1.4. დაკმაყოფილებულია.**

5. **ყველა ის ინიციატივა, რომელიც შესაძლებლობას აძლევს სკოლის პერსონალს განვითარდეს წახალისებულია სკოლის მიერ. წახალისების ფორმები გაწერილია შინაგანაწესში.**

სკოლის განმარტებით, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით განსაზღვრულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისების მექანიზმები. ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევით, დაკვირვების შედეგად ან ზეპირსიტყვიერად პერსონალის მხრიდან. ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტში გაწერილია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაფიქსირების და წახალისების მექანიზმი.

**ინდიკატორი 3.2.1.5. დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა.
- კითხვარი თანამშრომელთა საჭიროებების კვლევაზე.
- თანამშრომელთა პროფესიული ზრდისათვის დაგეგმილი აქტივობების გეგმა.
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მასალები.
- საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის ოქმები. ურთიერთდასწრების მასალები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 3.3. პროცესის მართვა

**3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად**

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **სკოლის განმარტებით, სასკოლო სასწავლო გეგმა დაფუძნებულია მე-3 თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმაზე და გამომდინარეობს სკოლა-ლიცეუმის მისიიდან და ხორციელდება სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის დებულებით, რომელიც დამტკიცებულის სკოლია დირექტორის 01.09.2022 წლის N-ბ/16 ბრძანებით.**

სკოლას შემუშავებული აქვს 2022-2023 ს/წ სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის დებულება, რომლის მიზანია უზრუნველყოს სკოლა-ლიცეუმში სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება, შეფასების შიდა მექანიზმების შემუშავება საჭირო წინადადებების და რეკომენდაციების სახით.

**სკოლა-ლიცეუმის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები მოიცავს უწყვეტ ციკლს,** რომელიც გულისხმობს: დაგეგმვას, განხორციელებას, შეფასებას, რეკომენდაციების შემუშავებას, ინტერვენციას და მის შედეგებზე დაკვირვებას, შემდგომი საჭიროებების დადგენისათვის. დებულების მე-3 მუხლის მიხედვით, სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებას ხელმძღვანელობს ხარისხის განვითარების ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედის სკოლა-ლიცეუმის დირექტორი, სასწავლო პროცესისა და ხარისხის მართვის მენეჯერი და კათედრის ხელმძღვანელები, ასევე მშობელთა კომიტეტის სამი წევრი, რომლებიც ზედამხედველობას უწევენ სკოლაში სასწავლო პროცესის შეფასებისა და გაუმჯობესების პროცესს. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ეფექტური ფუნქციონირებისთვის გამოიყენება: მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება. მშობლებთან რეგულარული შეხვედრა, მცირერიცხოვანი კლასები, მოსწავლის აკადემიური თავისუფლება. კომფორტული სასიამოვნო გარემო. თუმცა სკოლის აღწერილობაში ნაკლებად ჩანს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის კონკრეტული აქტივობები.

**ამ დებულების მიხედვით, ხარისხის განვითარების ჯგუფის ფუნქციაა** - მე-3 თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა. სკოლა-ლიცეუმის ყველა მასწავლებელთან თანამშრომლობით. (კურიკულუმები, კომპლექსური დავალებები). 2. სკოლის რესურსების, მატერიალურ–ტექნიკური ბაზისა და დამხმარე რესურსების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისობის დადგენა ავტორიზაციის სტანდარტებთან; 3. სასკოლო გარემოს გაუმჯობესების მიზნით **სოციალური კვლევის ჩატარება.** მოსწავლეებისა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვის ორგანიზება.

**სკოლას წარმოდგენილი აქვს სამოქმედო გეგმა - ხარისხის უზრუნველყოფის ძირითადი საორგანიზაციო საკითხები 2022-2023 ს/წ.** ამ გეგმაში ძნელად იკითხება კონკრეტული მიზნები. მაგ. II თავი ეხება კათედრებთან მუშაობის ორგანიზებას, III თავი - საგანმანათლებლო პროცესების ხელმძღვანელობას. IV თავი - პედაგოგიური კონტროლს საგანმანათლებლო პროცესზე და ა.შ.

**ინდიკატორი 3.3.1.1. დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის „წესდებაში“ აღწერილია საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი ფუნქციები და პროცესები.** პედაგოგიური საბჭო წარმოადგენს სასწავლო პროცესის ძირითად ღერძს, რომელიც აანალიზებს სწავლა-სწავლების ხარისხის შეფასებასა და მონიტორინგს. ასევე მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს სასკოლო საზოგადოებაში მოსწავლეთა თვითმმართველობა.

საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული **მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე** პროცესები (ნაბიჯები და ეტაპები) **იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის შინაგანაწესში და სკოლის წესდებაში.** სკოლის წესდებაში აღწერილია მმართველობითი პროცესები (სკოლის ადმინისტრაციული მართვა, დირექციისა და ადმინისტრაციის ფუნქციები მართვის პროცესში, გაწერილია პასუხისმგებლობები და ანგარიშვალდებულებები).

**2022-2023 სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით** სწავლისა და სწავლების ძირითადი ასპექტები და საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება რეგულირდება სკოლა-ლიცეუმის დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით - ბრძანებით დამტკიცებული „შინაგანაწესით.“ **სასწავლო პროცესს ირიბულად განიხილავს ასევე წესდების მე-2 თავი, სადაც აღწერილია დირექტორის მოადგილის ფუნქცია-მოვალეობები საწავლო პროცესში.**

**წესდებაში მოცემულია** სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის წესი, იგივეს აწესრიგებს შინაგანაწესის გარკვეული მუხლები. წესდების მე-6 თავით მოწესრიგებულია კლასიდან კლასში გადაყვანის წესი, მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესი. თუმცა ამ ჩანაწერში არის შეუსაბამობა მოქმედ კანონმდებლობასთან - მოსწავლეს სტატუსის შეჩერება გათვალისწინებულია 90 სასწავლო დღის განმავლობაში სკოლაში ზედიზედ არ გამოცხადების შემთხვევაში.

მე-7 მუხლი ეხება - მოსწავლეთა საჩივრების განხილვას (ძლიან მოკლედ - ზედაპირულია).

**შინაგანაწესი** ნაწილობრივ ეხება ძირითად პროცესს - საგანმანათლებლო პროცესს: გათვალისწინებულია სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმები და ელექტრონული ჟურნალით სარგებლობის წესი.

**შინაგანაწესი** ასევე ეხება მმართველობით პროცესებს: სკოლის ადმინისტრაციული მართვა, დირექციისა და ადმინისტრაციის ფუნქციები მართვის პროცესში, გაწერილია პასუხისმგებლობები და ანგარიშვალდებულებები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შინაგანაწესით მოწესრიგებულია საკადრო საკითხები: შრომით ურთიერთობის წარმოშობის და შეწყვეტის წესი და პირობები, სამსახურში გამოუცხადებლობის წესი, წახალისების სახეები და მათი გამოყენების წესი, პერსონალის მატერიალური პასუხიმგებლობა, მასწავლებლის/დამრიგებლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებს,

**დამხმარე პროცესები (საკადრო პოლიტიკა, საქმისწარმოების პროცესები და სხვა) აღწერილია სკოლის შინაგანაწესში და სხვა დოკუმენტებში. შინაგანაწესი** აწესრიგებს შრომითი ურთიერთობის წარმოშობას (სკოლაში პედაგოგის/თანამშრომლის მიღებას, წარსადგენ დოკუმენტაციას). ადგენს შრომითი დისკრიმინაციის ამკრძალავ ნორმებს. აწესრიგებს შრომითი ურთიერთობის პირობებს (სამსახურში გამოუცხადებლობის შეტყობინების წესს, ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობას და მიცემის წესს, შვებულებას ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო და სხვა). აწესრიგებს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის პირობებს. მატერიალური რესურსების მართვას აწესრიგებს შესაბამისი წესი. საქმისწარმოების პროცესები ჩანს სკოლის მიერ შემუშავებული საქმისწარმოების წესში.

**ინდიკატორი 3.3.1.2. დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლაში არსებობს მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა საჩივრის განხილვის წესი.**

შინაგანაწესის მუხლი 28 არეგულირებს მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა საჩივრის განხილვის წესს. ეს წესი ზოგადია და არ აკონკრეტებს მექანიზმებს და პროცედურებს. წესდების მე-7 თავი ასევე აწესრიგებს საჩივრის განხილვას, თუმცა იქაც იგივე მოკლე განმარტებაა, რაც შინაგანაწესშია მოცემული.

სკოლაში კონკურსის ჩატარებისას კანდიდატს შეუძლია კომისიის და დირექტორის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საპრეტენზიო კომისიაში. საჩივრების მიღება და განხილვა ხდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით.

წარმოდგენილი მასალები და მტკიცებულებები შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

**ინდიკატორი 3.3.1.3. დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლას შემუშავებული აქვს რიგი მექანიზმები რომელიც უზრუნველყოფს პერსონალის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვას და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფას.**

**შინაგანაწესი მე-6 თავში** გაწერილია მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა უფლებების დაცვის გარანტიები. განსაზღვრულია -მშობლის ინფორმირების წესი, მოწესრიგებულია მშობლის უფლებები და ვალდებულებები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შინაგანაწესის I თავი - ზოგადი დებულებები შეეხება დისკრიმინაციის აკრძალვას, პერსონალური მონაცემების დამუშავებას, გამოყენებას და გავრცელებას.

წესდების მე-5.3. მუხლი აწესრიგებს მასწავლებლის უფლებებს და ვალდებულებებს. ასევე დამრიგებლის საქმიანობის პრინციპებს ესგ-ის საფუძველზე. სკოლას წარმოდგენილი აქვს სკოლასა და მშობელს შორის ხელშეკრულების შაბლონი, რომლითაც რეგულირებულია სკოლისა და მშობლის ურთიერთვალდებულებები, მშობლის გაფრთხილების წესი და სხვა, რაც უზრუნველყოფს მშობლის უფლებების დაცვას. არ ჩანს, ეს ხელშეკრულება მოქმედია თუა არა. სკოლას შემუშავებული აქვს მშობლებთან ურთიერთობის წესი.

**ინდიკატორი 3.3.1.4. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ბრძანება ხარისხის განვითარების ჯგუფის შექმნის შესახებ.
- ხარისხის განვითარების ჯგუფის სამოქმედო გეგმა.
- 2022-2023 ს/წ ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების გეგმა.
- შინაგანაწესი. - გასაჩივრების პროცედურები. პერსონალის და მშობლის უფლებების დაცვის მექანიზმები.
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-2023
- სასკოლო გეგმის დანართები.
- ხარისხის უზრუნველყოფის დებულება.
- უსაფრთხოების დებულება.
- ვებ-გვერდი,
- პერსონალის და მშობლის უფლებების დაცვის მექანიზმები.

**3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს და მოქმედებს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების და მშობელთან ურთიერთობის დებულება.**

მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირება და სასკოლო საზოგადოებისაგან უკუკავშირის მიღება ხდება მშობლებთან დირექციის შეხვედრებზე, მშობლებთან პერიოდული გასაუბრებით. სკოლა ახდენს ადეკვატურ **რეაგირებას მშობლის თხოვნაზე, რისი** პრაქტიკული მაგალითებიც მოიყვანეს მშობლებმა გასაუბრების მომენტში და გამოხატეს კმაყოფილება სკოლის დირექციისა და მასწავლებლების მიმართ.

სკოლის დირექციის განმარტებით, სკოლაში მოქმედებს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი. ეს წესი დარეგულირებულია სკოლის შინაგანაწესის 27-ე მუხლით. მშობელი უფლებამოსილია დაწესებულების ვებ-გვერდის მეშვეობით „santeli.ge" გაეცნოს სკოლაში მიმდინარე პროცესებსა და მოვლენებს. დამრიგებლის მიერ მოსწავლის აკადემიური მოსწრების, ქცევის წესის, გაკვეთილების გაცდენა–დაგვიანების შესახებ და სხვა. აგრეთვე **„მშობელთა ინფორმირების დებულება"** ითვალისწინებს მშობელთან ინდივიდუალური შეხვედრის, ელექტრონული ფოსტის, სატელეფონო ზარის ან წერილობითი შეტყობინების გაგზავნას.

**სკოლის წესდება არეგულირებს** კლასის დამრიგებლის მოვალეობებს. დამრიგებლის მოვალეობაა მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს გააცნოს მათი უფლებები და მოვალეობები (სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ეთიკის კოდექსი, სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი საკითხები და სხვა). ასევე რეგულარულად მიაწოდოს მშობელს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მიღწევების, დისციპლინის, პიროვნული პრობლემებისა თუ წარმატებების შესახებ. საჭიროების შემთხვევაში შეხვდეს დაინტერესებულ მშობელს და მიაწოდოს მას მოსწავლესთან და სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაცია.

სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-2023 ს/წ წერია: სკოლა-ლიცეუმის დირექცია უზრუნველყოფს სასკოლო სასწავლო გეგმის სრული ვერსიის თანაბარ ხელმისაწვდომობას. სასწავლო წლის ბოლოს: ტარდება ყველა დაინტერესებული მხარისთვის ტრადიციული შეხვედრები მომავალი სასწავლო წლის დაგეგმვის მიზნით, ინფორმაცია ზიარდება სკოლა-ლიცეუმის ვებგვერდით santeli.ge და კლასის დამრიგებლების მეშვეობით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორი 3.3.2.1. დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლაში ფორმირებულია მშობელთა კომიტეტი, რომელიც ჩართულია სასკოლო საზოგადოების აქტივობებში, განსაკუთრებით არაფორმალური განათლების კუთხით.** სასკოლო საზოგადოება აქტიურად არის ჩართული კოლეგიალურ ორგანოებში, კათედრები, პედაგოგიური საბჭო. მშობლებთან გასაუბრების დროს მათ დაადასტურეს მშობელთა მონაწილეობა ერთობლივ გასვლით შემეცნებით ღონისძიებებში. სკოლა-ლიცეუმი სანთელის 2022-2023 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის დებულებას - დანართის სახით ახლავს სამოქმედო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს მშობელთა ინფორმირებას და აქტიურ ჩართვას სასკოლო ცხოვრებაში. რის შესრულებაზეც პასუხისმგებელი პირები არიან - კლასის დამრიგებელი, კათედრის თავმჯდომარე და მშობელთა კომიტეტი.
რაც შეეხება მოსწავლეთა თვითმმართველობას, მათი აქტიურობა შედარებით ნაკლებია, რაც გამოწვეულია სკოლის მცირეკონტიგენტიანობით. სკოლის წესდების 5.7 მუხლი არეგულირებს სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის საქმიანობას.
სკოლას აქვს პედაგოგიური საბჭოს დებულება, რომელიც აწესრიგებს პედ-საბჭოს მუშობას. მასში ნათქ ვამია, რომ პედსაბჭოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის უფლება აქვს წევრთა 1/3-ს ნებისმიერ დროს. ასევე პედსაბჭოს სხდომებზე შეიძლება მოწვეულ იქნენ მოსწავლეთა მშობლები და საშუალო საფეხურის მოსწავლეები. მასწავლებლებთან გასაუბრებითაც გამოჩნდა მათი მონაწილეობა სასკოლო ცხოვრებაში.

**ინდიკატორი 3.3.2.2. დაკმაყოფილებულია**.

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი;
- მშობელთან ურთიერთობის დებულება.
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები;
- ინტერვიუირება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

#### 3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. სკოლა სასკოლო ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს შემდეგი საშუალებებით:** სკოლა-ლიცეუმი განთავსებულია საცხოვრებელი კორპუსებიდან მოშორებით, სკოლის ეზო ყველა მხრიდან შემოღობილია კაპიტალურად, ეზო მოასფალტებულია ასევე, დაგებულია ქვის ფილები, შენობა ორსართულიანია და სართულები ერთმანეთთან დაკავშირებულია გარედან ამავალი კიბით. ეზოში შესვლა-გამოსვლა და გადაადგილება უსაფრთხოა, უკანა ეზოში მოწყობილია მოასფალტებული ღია სპორტული მოედანი.

შენობაში დამონტაჟებულია 8 ერთეული ვიდეო-სათვალთვალო კამერა, მათ შორის გარე ხედვის კამერები. გარე ხედვის კამერები დამონტაჟებულია ცენტრალურ ეზოში და სპორტულ მოედანზე, შიდა ხედვის კამერები - I-II სართულის დერეფნებში და სპორტულ დარბაზში. ვიდეო ჩამწერი მოწყობილობა დამონტაჟებულია სამასწავლებლოში, სადაც ერთ-ერთი კარადის თავზე განთავსებულია მონიტორი. სკოლას წარმოდგენილი აქვს ციფრული ვიდეო-ჩამწერის ნასყიდობის ხელშეკრულება 25.05.2013წ. მონიტორს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მეთვალყურეობას უწევს უსაფრთხოების მენეჯერი, რომელიც სასწავლო პროცესის დროს პერიოდულად მოძრაობს შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე. ოთახში მისი არყოფნის პერიოდში მონიტორს მეთვალყურეობს მორიგე მასწავლებელი.

სკოლას შემუშავებული აქვს სასწავლო აღმზრდელობითი პროცესის უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფის დებულება, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის #ბ/21-1 ბრძანებით 08.09.2022წ. დებულების მიხედვით, უსაფრთხოების დაცვას სკოლაში უზრუნველყოფს უსაფრთხოების მენეჯერი და მორიგე მასწავლებელი. სკოლას გაწერილი აქვს უსაფრთხოების ზომები სპორტული და სხვა კლასგარეშე ღონისძიების ორგანიზებისას.

**შენობაში დაცულია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესები,** კერძოდ შენობაში დამონტაჟებულია ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაცია - ყველა კლასში არის დეტექტორი, დერეფნებში არის ცეცხლმაქრები (სულ 4 ერთეული) დამუხტულ მდგომარეობაში. ორივე სართულზე კედელზე განთავსებულია საევაკუაციო გეგმა, რომელიც შეესაბამება შენობის აზომვით ნახაზს და მასზე მითითებულია საევაკუაციო გასასვლელი. პირველ სართულზე საევაკუაციო გასასვლელი შეესაბამება მოთხოვნილ სტანდარტს, მეორე სართულზე საევაკუაციო გასასვლელი და კიბე შეიცავს რისკებს უსაფრთხო ფიზიკური გადაადგილების თვალსაზრისით. კერძოდ, **მეორე სართულიდან საევაკუაციო კიბემდე მისასვლელი სივრცე დაუცველია, არა აქვს მოაჯირი და კიბეც დამონტაჟებულია ისეთი კუთხით, რომელიც ქმნის რისკებს ადამიანის უსაფრთხო ჩამოსვლისათვის მეორე სართულიდან მიწამდე. სკოლას გაგზავნილი აქვს წერილი შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში 18.05.2023წ. რომელშიც ითხოვს ავტორიზაციასთან დაკავშირებით დაჩქარებულ ვადებში მოახდინოს შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნის გაკეთებას, რომელიც არ იყო წარმოდგენილი ვიზიტის მიმდინარეობისას.** უსაფრთხოების დებულების მიხედვით, უსაფრთხოების მენეჯერი პასუხისმგებელია ელექტრო და სახანძრო უსაფრთხოებაზე, მას ევალება ხანძრის შემთხვევაში დარეკოს სახანძრო სამსახურთან.

**სკოლა უზრუნველყოფს პირველადი დახმარების აღმოჩენას**. კერძოდ, სკოლას შემუშავებული აქვს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმების დოკუმენტი, დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით #21 08.09.2022წ. სკოლა-ლიცეუმის შენობაში განთავსებულია სათანადო ინვენტარითა და მედიკამენტებით აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი. სამედიცინო კაბინეტის მუშაობას წარმართავს ექთანი-მედდა. სასკოლო საზოგადოებას შესაძლებლობა აქვთ ნებისმიერ დროს (სამუშაო საათებში) მიმართონ ექთანს და მიიღონ შესაბამისი სამედიცინო დახმარება. მედდა სკოლის დირექტორთან ერთად აკონტროლებს სამედიცინო კაბინეტში არსებული მედიკამენტების ვარგისიანობის ვადას. სამედიცინო კაბინეტში არსებული მედიკამენტები ინახება დაცულ კარადაში შესაბამის პირობებში და მასთან წვდომა აქვს მხოლოდ ექთანს/მედდა. ექთანი/მედდა აწარმოებს სამედიცინო კაბინეტში არსებული მედიკამენტების ჟურნალს. საჭიროების შემთხვევაში ექთანი ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოიძახოს სასწრაფო სამედიცინო დახმარება. ექთანს თავისი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფუნქციების ეფექტურად შესრულების მიზნით, გამოყოფილი აქვს სათანადო ინვენტარითა და მედიკამენტებით აღჭურვილი ოთახი შენობის მე-2 სართულზე. კაბინეტი არ არის სრულად იზოლირებული დანარჩენი სივრცისაგან - გამოყოფილია არასრული ტიხრით. წინამდებარე წესი უნდა განთავსდეს სკოლა-ლიცეუმის სამედიცინო კაბინეტში და სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილას.

„ზოგადსაგანმათლებლო დაწესებულებებში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს. განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29.01. ბრძანების თანახმად, შექმნილია „სკოლის უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭო“. **სკოლას წარმოდგენილი აქვს წერილი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან #შ-18 29.10.2019წ., რომლითაც შესათანხმებლად წარუდგინა სასწავლო პროცესის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები. თუმცა, სკოლას აღნიშნული წერილი, თანდართული სკოლის მიერ შემუშავებული დოკუმენტით -** „ზოგადსაგანმათლებლო დაწესებულებებში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შესახებ“ **უნდა გადაგზავნილიყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შესათანხმებლად. შესაბამისად, სკოლას აღნიშნული შეთანხმების წერილი არ გააჩნია.**

**სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები ინდიკატორის (შესრულების ვადა - 09.06.2023-17.07.2023)- ვინაიდან, აღნიშნული ეხება მატერიალურ რესურსსაც, ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი. სკოლამ უზრუნველყოს საევაკუაციო გასასვლელის უსაფრთხოება.**

2.. **საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს უსაფრთხოების დაცვის მენეჯერი და სათვალთვალო კამერები.**

**უსაფრთხოების დაცვის მენეჯერი** უფლება-მოვალეობები გაწერილია „თანამდებობრივ ინსტრუქციებში“, რომლის მიხედვითაც: უსაფრთხოების დაცვისა და ტექნიკური უზრუნველყოფის მენეჯერი უშუალოდ დაკავშირებულია სკოლა-ლიცეუმის ბალანსზე აღრიცხული მატერიალური ფასეულობის (ქონების) შენახვასთან, დაცვასთან და გამოყენებასთან. მისი უფლება-მოვალეობებია: 1. სიფრთხილით მოეპყროს, შეინახოს სკოლის მიერ მასზე გადაცემულ მატერიალურ ფასეულობებს და მიიღოს ზომები ზიანის აღმოსაფხვრელად; 2. დროულად აცნობოს სკოლის ადმინისტრაციას ყველა ვითარებაზე, რომელიც ემუქრება მასზე მინდობილი მატერიალური ფასეულობების შენახვის უზრუნველყოფას; 3. აწარმოოს აღრიცხვა, შეადგინოს და დადგენილი წესით წარუდგინოს სასაქონლო– ფულადი და სხვა ანგარიშები მასზე მინდობილი მატერიალური ფასეულობების მოძრობაზე და ნაშთზე; 4. მიიღოს მონაწილეობა მასზედ მინდობილი მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციაში. იგი არის მატერიალურად პასუხისმგებელი პირი და ვალდებულია სკოლა-ლიცეუმის მუშაკის მიზეზით, მასზე მინდობილ მატერიალურ ფასეულობათა დაცულობის უგულებელყოფის შემთხვევაში, სკოლაზე მიყენებული ზარალის ოდენობა აანაზღაუროს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ადგილზე ვიზიტის დროს უსაფრთხოების მენეჯერთან გასაუბრებისას დაზუსტდა, რომ იგი პასუხისმგებელია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზეც. უსაფრთხოების მენეჯერი მოძრაობს შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე და აკონტროლებს გარეშე პირთა გადაადგილებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორი 3.4.1.2. დაკმაყოფილებულია**

3.. **ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფს საშტატო განრიგით არსებული ფსიქოლოგი და მედდა.**

**სკოლას ჰყავს ფსიქოლოგი** ნახევარ განაკვეთზე, რომლის მოვალეობასაც ასრულებს დირექტორის მოადგილე. ფსიქოლოგს აქვს დირექტორის ბრძანებით #ბ-29 09.09.2022წ. დამტკიცებული სამუშაო გეგმა 2022-2023 ს/წ, რომელიც ხელს უწყობს სწავლა-აღზრდის ყოველ ასაკობრივ საფეხურზე აღსაზრდელის სრულყოფილ ფსიქიკურ განვითარებას, შეიმუშავებს და მიაწოდებს რეკომენდაციებს დირექციას, პედაგოგებს და მშობლებს მოსწავლეთა ფსიქოლოგიური აღზრდის საკითხებზე, ხელს უწყობს პირველკლასელთა ადაპტაციას სასკოლო ცხოვრებაში, მოიკვლევს მოსწავლის აკადემიური ჩამორჩენის ან ასოციალური ქცევის ფსიქოლოგიურ მიზეზებს და ჩაატარებს საკორექციო მუშაობას. გარდა ამისა, ფსიქოლოგისათვის გაწერილია თანამდებობრივი ინსტრუქციები, რომლის მიხედვითაც იგი ვალდებულია შეიმუშაოს და მიაწოდოს რეკომენდაციები დირექციას, პედაგოგებსა და მშობლებს მოსწავლეთა ფსიქოლოგიური აღზრდის საკითხებზე, ხელი შეუწყოს მოსწავლეთა და პედაგოგთა კოლექტივებში ჯანსაღი, ფსიქოლოგიური ურთიერთობების დამყარებას. ჩაატაროს საუბრები პედაგოგებთან და მშობლებთან მოსწავლეთა ფსიქოლოგიური კულტურის ასამაღლებლად. ფსიქოლოგთან ადგილზე ვიზიტის დროს გასაუბრებისას დაზუსტდა, რომ ის აწარმოებს სათანადო საუბრებს მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან საჭიროებიდან გამომდინარე.

უსაფრთხოების დებულებაში გათვალისწინებულია ფსიქოლოგიური უსაფრთხოების მიმართულება, რაც ითვალისწინებს მასწავლებლის ვალდებულებას იმოქმედოს მასწავლებლის ეთიკის კოდექსის შესაბამისად. აღნიშნული მუხლი განსაზღვრავს მასწავლებლის ვალდებულებებს ყოველდღიურად ზრუნავდეს გუნდური მუშაობის კომფორტული, ფსიქოლოგიური გარემოს შესაქმნელად; ახსოვდეს, რომ მოსწავლის ინდივიდუალური თვისებების განხილვა შეიძლება მხოლოდ მშობელთან კონფიდენციალური ფორმით; პედაგოგიურ საქმიანობაში ითვალისწინებდეს მოსწავლის ასაკობრივ ცვლილებებს და დაეხმაროს მას გადალახოს წარმოქმნილი სირთულეები და სხვა. ადგილზე ვიზიტის დროს მოსწავლეებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა მასწავლებლის მიმართ კეთილგანწყობილი დამოკიდებულება.

**ინდიკატორი 3.4.1.3. დაკმაყოფილებულია**

4.. **სკოლა უზრუნველყოფილია სანიტარულ ჰიგიენური რესურსებით და შენობაში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.** საკლასო ოთახები ნიავდება პერიოდულად. სანიტარული ნორმების დაცვას უზრუნველყოფს ერთი დამლაგებელი, რომელიც ალაგებს შენობას სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ. დამლაგებელთან გაფორმებულია ხელშეკრულება.

სკოლის სამედიცინო, ჰიგიენურ-სანიტარული პროცესის დაცვას თანამდებობრივ ინსტრუქციის მიხედვით ხელმძღვანელობს მედდა. იგი აკონტროლებს და ყოველდღიურად ატარებს რეიდებს კლასების, დერეფნების, ბუფეტის, ტუალეტის სისუფთავის შემოწმების მიზნით და ყოველდღიურ ინფორმაციას აწვდის დირექტორს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ადგილზე ვიზიტის დროს დავათვალიერეთ სველი წერტილები, რომელიც აკმაყოფილებს სანიტარულ ნორმებს. საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში არ არის წყლის ონკანი, ონკანი დამონტაჟებულია მომიჯნავე სივრცეში.

**ინდიკატორი 3.4.1.4.დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას.** პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი ასახულია შრომით ხელშეკრულებებში. მასწავლებელთან ხელშეკრულების მე-6 მუხლში წერია:

დასაქმებული აცხადებს თანხმობას მისი პერსონალური მონაცემები, რომელიც ცნობილი გახდა შრომით ხელშეკრულების გაფორმების და სასწავლო პროცესში, სკოლის მიერ დამუშავდეს და გამოყენებულ იქნას საჭიროებისამებრ მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში. მაგ. მასწავლებლის პირადი საქმის წარმოებისას, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის დამუშავებისას (გადატანილი დაავადებები, ჩატარებული აცრები), მონაცემთა ბაზის (eschool.emis.ge) ფორმირებისას, მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შეფასებისას, გაკვეთილის მიმდინარეობისას, სამინისტროს მოთხოვნით ინფორმაციის დამუშავებისას. დასაქმებული ხელმოწერით თანხმობას აცხადებს სასკოლო აქტივობისას განახორციელოს მისი ფოტო-ვიდეო გადაღება, აუდიო ჩაწერა, ამ გზით მოპოვებული ინფორმაცია დაამუშაოს და გამოიყენოს საჭიროებისამებრ.

**ინდიკატორი 3.4.1.5.დაკმაყოფილებულია.**

6.. **სკოლის განმარტებით, საზოგადოებასთან დადებულ შრომითი ხელშეკრულებით სკოლა იცავს მის ხელთ არსებულ მონაცემებს.** მოსწავლეთა და დასაქმებულთა პირად საქმეებზე წვდომაზე სკოლაში უფლებამოსილი პირია სკოლის საქმისმწარმოებელი, რომელსაც უწევს პერსონალურ მონაცემთა დამუშავება.

**ინდიკატორი 3.4.1.6. დაკმაყოფილებულია.**

**7. საჭიროების მიხედვით სკოლაში ხორციელდება ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების კუთხით არსებული რესურსების შეფასება და განახლება.** სკოლა შეფასების შედეგებს იყენებს ამ მექანიზმების გაუმჯობესებისათვის.

**ინდიკატორი 3.4.1.7. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ბრძანება მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ.
- სამედიცინო დახმარების მექანიზმები.
- ლაბორატორიით სარგებლობის წესი.
- ფსიქოლოგის სამუშაო გეგმა დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით #ბ-20 09.09.2022წ..
- ხელშეკრულებები.
- მიწერილობა შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან 18.05.2023წ.
- სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით #21 08.09.2022წ.
- წერილი სსიპ განათლების ხარიხის განვითარების ეროვნულ ცენტრს #შ-18 29.10.2019წ.
- დირექტორის ბრძანება #ბ/14 08.10.2019წ. სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ.
- თანამდებობრივი ინსტრუქციები, დამტკიცებული სკოლა-ლიცეუმის წესდებით.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

**3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

*ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.*

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლა უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო საქმიანობისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურით და მატერიალური რესურსით, რაც საჭიროა ბავშვთა ზღვრული რაოდენობისათვის (140 მოსწავლე).

კერძოდ: აზომვითი ნახაზის მიხედვით შენობის პირველი სართულის სასარგებლო ფართია - 256.54 კვ.მ. მეორე სართულის სასარგებლო ფართია - 236.19 კვ.მ. შენობაში არის 12 საკლასო ოთახი, პირველ სართულზე განთავსებულია I, II, III, IV, IX და XII კლასები - 18 და 19 კვ.მ; მეორე სართულზე განთავსებულია V, VI, VII, VIII, X, XI კლასები 14-15-18 კვ.მ. შენობის პირველ სართულზე არის სპორტული დარბაზი 56.56 კვ.მ. რომელიც საჭიროების შემთხვევაში ასრულებს სააქტო დარბაზის ფუნქციასაც. სპორტ-დარბაზში კედელზე დამონტაჟებულია შვედური კედელი, განთავსებულია სპორტული ინვენტარი (ლეიბები, კრივის სავარჯიშო მოწყობილობა). სპორტ-დარბაზში დამონტაჟებულია ერთი ერთეული ვიდეო-თვალი. სპორტ-დარბაზს აქვს ერთი გასახდელი, რომელიც საჭიროებს გამოჯვნას გოგონებისა და ვაჟებისათვის. იმავე სართულზე სხვა სივრცეში არის მინი სპორტული დარბაზი, სადაც დგას ჩოგბურთის მაგიდა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**პირველ სართულზე საკლასო ოთახებს შორის არის ფოიე-საკლასო სივრცე IX კლასისათვის,** რომელიც გარკვეულ შემთხვევებში შესვენების პერიოდში ასრულებს მოსწავლეთა მოსასვენებელი სივრცის ფუნქციას. პირველ სართულზე მოწყობილია ორი ინდივიდუალური სველი წერტილი (1.23 და 1.31 კვ.მ.) და ერთი ადაპტირებული სველი წერტილი (1.40 კვ.მ.) სსსმ მოსწავლისათვის. სველი წერტილების მოპირდაპირე მხარეს ფოიეში (12.33 კვ.მ.) დამონტაჟებულია ხელსაბანი. იმავე სართულის ერთ-ერთ უჯრედში მოთავსებულია ტექნიკური სათავსო დამლაგებლისათვის.

**მეორე სართულზე განთავსებულია ბიბლიოთეკა** 16.18კვ.მ., სადაც იმავდროულად დამონტაჟებულია კომპიუტერები და ასრულებს **კომპიუტერული ლაბორატორიის ფუნქციას.** მეორე სართულზე მდებარეობს **საბუნებისმეტყველო ლაბორატორია** 15.88 კვ.მ. სადაც დამონტაჟებულია გამწოვი, აქვს ბუნებრივი განათება და ვენტილაცია. ლაბორატორია აღჭურვილია საბუნებისმეტყველო საგნების – ქიმია, ფიზიკა ბიოლოგია- ლაბორატორიის ერთი კომპლექტით. ფიზიკური მოვლენის ამსახველი თვალსაჩინოებები, რომლებიც ხელს უწყობენ მოსწავლეებს ფიზიკური მოვლენის ახსნაში, ექსპერიმენტის ჩატარებაში, ახალი საექსპერიმენტო მოდელის შექმნაში. ქიმიის ლაბორატორიისათვის საჭირო ინვენტარით, სადაც მოსწავლეებს შესაძლებლობა ეძლევათ ჩაატარონ სასკოლო პროგრამით გათვალისწინებული ცდები. ბიოლოგიის ნაწილი აღჭურვილია ადამიანის ორგანოების მულაჟებით, მიკროსკოპით და მრავალფეროვანი თვალსაჩინოებით, სადაც მოსწავლეებს შეუძლიათ იმუშაონ მიკროსკოპით, ჩაატარონ სხვადასხვა ექსპერიმენტები. ლაბორატორიაში არ არის ხელსაბანი. ხელსაბანი დამონტაჟებულია ლაბორატორიის ოთახის მომიჯნავე სველ წერტილში. ლაბორატორიაში დგას საექსპერიმენტო მაგიდა, თუმცა არ არის მერხები/სკამები მოსწავლეებისათვის. მეორე სართულზეა **სამედიცინო კაბინეტი** 12.56 კვ.მ. მეორე სართულს აქვს ერთი დერეფანი, რომლის ბოლოს მოწყობილია საევაკუაციო გასასვლელი.

სკოლის ეზოში არის **ღია სპორტული მოედანი,** რომელსაც არა აქვს რბილი საფარი (მოასფალტებულია). დამონტაჟებულია კალათბურთის ფარები და ფრენბურთის ბადე. მოედნის მომიჯნავე კედელთან განთავსებულია საკლასო ოთახები.

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლის მისიით და მიზნებით განსაზღვრული და დაგეგმილი შედეგების მისაღწევად **სკოლას აქვს საჭირო რაოდენობის სასწავლო ინვენტარი - მერხები, სკამები (140 ინდივიდუალური მერხი და სკამი), რაც შეესაბამება მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას.**

**სკოლის მატერიალური რესურსის ჩამონათვალი:** I კლასში - 6 მერხი/სკამი, 1 დაფა და მასწავლებლის მაგიდა. II კლასში - 5 მერხი/სკამი, 1 დაფა და მასწავლებლის მაგიდა. III კლასში - 7 მერხი/სკამი, 1 დაფა და მასწავლებლის მაგიდა. IV კლასში - 5 მერხი/სკამი, 1 დაფა და მასწავლებლის მაგიდა. V კლასში - 5 მერხი/სკამი, 1 დაფა და მასწავლებლის მაგიდა. VI კლასში - 8 მერხი/სკამი, 1 დაფა და მასწავლებლის მაგიდა. VII კლასში - კლასში - 5 მერხი/სკამი, 1 დაფა და მასწავლებლის მაგიდა. VIII კლასში - 4 მერხი/სკამი, 1 დაფა და მასწავლებლის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მაგიდა. IX კლასში - 5 მერხი/სკამი, 1 დაფა და მასწავლებლის მაგიდა. X კლასში - 8 მერხი/სკამი, 1 დაფა და მასწავლებლის მაგიდა. XI კლასში - 5 მერხი/სკამი, 1 დაფა და მასწავლებლის მაგიდა. XII კლასში - 8 მერხი/სკამი, 1 დაფა და მასწავლებლის მაგიდა.

**სკოლის ბიბლიოთეკა აღჭურვილია** წიგნადი ფონდით 600 ერთეული – მოიცავს სასკოლო სახელმძღვანელოებს, მხატვრულ, შემეცნებით, სამეცნიერო, მეთოდურ ლიტერატურას, პერიოდულ გამოცემებს. ბიბლიოთეკაში განთავსებულია დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ყველა საგნის სულ მცირე ერთი ეგზემპლარი. სკოლას აქვს გაფორმებული ხელშეკრულება 22.12.2022წ. **გაზეთ** „ახალ განათლებასთან“, რომლის ეგზემპლარები ინახება ასევე ელექტრონული ვერსიით.

**სკოლას აქვს მატერიალური რესურსების განკარგვის წესი,** რომელიც არეგულირებს სკოლის თანამშრომლებისა და მოსწავლეების მიერ მატერიალური რესურსების განკარგვის წესს, მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით.

**წესის თანახმად,** სკოლა-ლიცეუმის სრულყოფილად ფუნქციონირებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის შესყიდვის მიზნით, დირექცია ფინანსურ მენეჯერთან ერთად ახდენს შესასყიდი მატერიალური რესურსის დადგენას, მისი სავარაუდო ღირებულების (ბაზრის კვლევა) განსაზღვრავს, შესყიდვის ორგანიზების სხვა პროცედურების (ფინანსური რესურსების მოძიება, შესყიდვის დაგეგმვა, შესყიდვის ფორმები, პერიოდი და სხვა ) დაგეგმვას, რაც ზეპირსიტყვიერად ეცნობება დამფუძნებლებს, საკითხის შემდგომი გადაწყვეტილების მიღებისათვის.

სკოლა-ლიცეუმის განკარგულებაში არსებული მატერიალური რესურსების და ინფრასტრუქტურის დაცვაზე გამოყოფილია უსაფრთხოების დაცვისა და ტექნიკური უზრუნველყოფის მენეჯერი. ორ წელიწადში ერთხელ ფინანსური მენეჯერი ინვენტარიზაციის კომისიასთან ერთად ატარებს სკოლის მატერიალური რესურსების **ინვენტარიზაციას**. სასწავლო წლის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი თვისა, სკოლა-ლიცეუმში მიმდინარეობს მატერიალური რესურსის შეფასება და განვითარების მიზნით შესაბამისი გეგმის შემუშავება.

**თუმცა, საიჯარო ხელშეკრულებაში არ არის მითითებული სკოლის შენობით სარგებლობის ვადა. გარდა ამისა, სკოლას არ წარმოუდგენია შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, გაცემული შესაბამის სფეროსი აკრედიტებული ორგანოს მიერ.**

**სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულებულია- 29.06.2023 ) - ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

2. **სკოლაში არსებული ყველა რესურსი მათი გამოყენების წესის დაცვით ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის**

**სკოლას აქვს მატერიალური რესურსების განკარგვის წესი,** რომლის მე-3 მუხლის თანახმად, სკოლა-ლიცეუმის თანამშრომლებსა და მასწავლებლებს უფლება აქვთ ისარგებლონ ლაბორატორიით, სკოლის მიერ შემუშავებული უსაფრთხოების წესების დაცვით, სასკოლო საზოგადოება უფლებამოსილია გაკვეთილებს შორის შესვენების პერიოდში დასვენებისთვის ისარგებლონ შენობაში არსებული ფოიეთი, სკოლის ეზოში არსებული მოსასვენებელი ადგილებით, შემოქმედებითი საქმიანობისათვის შესაბამისი სივრცეებით, ხოლო სპორტული მიზნების განხორციელებისათვის სპორტული მოედნით, სააქტო დარბაზით;

სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიით სარგებლობის წესი, რომელიც ადგენს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიით სარგებლობის უსაფრთხოების ზოგად წესებს. წესები საჯაროდაა გამოკრული და ხელმისაწვდომი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბიბლიოთეკის სივრცეში მოწყობილია IT ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია კომპიუტერული და ქსელური მოწყობილობებით და გამიზნულია სასწავლო პროცესში მოსწავლეების თეორიული ცოდნის მიღებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებისთვის. ლაბორატორიით სარგებლობის წესი თანახმად, ლაბორატორიის დანიშნულებაა ხელი შეუწყოს სკოლის თანამშრომელთა მიერ მათი საქმიანობის ეფექტურად წარმართვას. ბიბლიოთეკაში დამონტაჟებულია 3 ერთეული კომპიუტერი, რომელიც ჩართულია ინტერნეტ-ქსელში.

**ინდიკატორი 3.5.1.2. დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე. წარსულში აქვს ერთ სსსმ მოსწავლესთან სწავლების გამოცდილება, რომელსაც ამ ეტაპზე მოხსნილი აქვს სტატუსი. სკოლაში ნაწილობრივ შექმნილია ინკლუზიური სწავლის გარემო. კერძოდ, შენობაში არის ადაპტირებული სველი წერტილი პირველ სართულზე. შენობას არა აქვს სტატიკური პანდუსი მეორე სართულზე ასასვლელად, აქვს მოძრავი პანდუსი, რომელიც საჭიროების მიხედვით შიძლება დამონტაჟდეს კიბის უჯრედზე სსსმ მოსწავლის მე-2 სართულზე ასასვლელად (მე-2 სართულზე მოთავსებულია კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორია). თუმცა მე-2 სართულზე ასასვლელი კიბე საკმაოდ მაღალი და დამრეცია, რაც ართულებს მოძრავი პანდუსის გამოყენების შესაძლებლობას პრაქტიკაში.

**ინდიკატორი 3.5.1.3. დაკმაყოფილებულია**.

4. სკოლას მნიშვნელოვნად მიაჩნია მოსწავლეებისათვის სკოლაში იყოს სოციალიზაციისათვის შესაფერისი გარემო და ინფრასტრუქტურა, რომელიც მოემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლაში სოციალიზაციას ხელს უწყობს დერეფნისა და საკლასო ოთახების კედლებზე გამოკრული მოსწავლეთა ნამუშევრები, საკლასო/სასკოლო
პროექტების ამსახველი მასალები და მშობლების ხელით შექმნილი სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებები.
შენობაში ნაკლებია მოსწავლეთა შეხვედრებისათვის თავისუფალი სივრცეები. ასეთი სივრცეა სკოლის წინა ეზოში, რომელთანაც დაკავშირებულია პირველი სართულის დერეფანი. სპორტული შეჯიბრებებისა და პრეზენტაციებისათვის სკოლა იყენებს ღია სპორტულ მოედანს და სპორტულ დარბაზს სააქტო დარბაზის ფუნქციით.

**ინდიკატორი 3.5.1.4. დაკმაყოფილებულია.**

5.ამ ეტაპზე, ვერ უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისათვის შესაბამის ინფრასტრუქტურას, კომპიუტერული ლაბორატორია და ბიბლიოთეკა ერთადაა განთავსებული, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში არ არის ხელსაბანი, კომპიუტერულ ლაბორატორიაში არსებული კომპიუტერების რაოდენობა არასაკმარისია მოსწავლეთა განვითარებისათვის.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვინაიდან, ბიბლიოთეკა და კომპიუტერული ლაბორატორია ერთ სივრცეშია განთავსებული, მათზე ხელმისაწვდომობა საჭიროებისამებრ ვერ განხორციელდება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია სკოლამ გამიჯნოს საბიბლიოთეკო სივრცე კომპიუტერული ლაბორატორიის სივრცისგან.

**სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 12.07.2023-17.07.2023)- ვინაიდან, აღნიშნული ეხება მატერიალურ რესურსს, ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი. დაწესებულებამ უზრუნველყოს ბიბლიოეთეკის და კომპიუტერული ლაბორატორიის გამიჯვნა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში ხელსაბანის დამონტაჟება.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- მატერიალური რესურსების განკარგვის წესი.
- ლაბორატორიით სარგებლობის წესი.
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.
- შენობა-ნაგებობის სქემა.
- ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტაცია.
- ბიბლიოთეკის ანგარიში 2022-2023 სასწავლო წლის 1-ელი სემესტრის ანგარიში.
- ნასყიდობის ხელშეკრულება 25.05.2013წ. - ვიდეოსათვალთვალო აპარატურის.
- შესყიდვის ხელშეკრულება 15.02.2014წ. - საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის.
- ჩუქების აქტი 20.08. 2014წ. – 20 მერხისა და 20 სკამის გადაცემის შესახებ. სასაქონლო ზედნადებები.
- ჩუქების ხელშეკრულება 25.06. 2014წ. - ერთი ერთეული ლეპტოპი IBM.
- ჩუქების ხელშეკრულება 05.06.2014წ. - სხვადასხვა საოფისე ინვენტარის (მაგიდა, სეიფი, ფრენბურთის ბადე, ტელევიზორი, სამედიცინო კარადა და სხვა).
- ჩუქების ხელშეკრულება 12.06.2014წ. - კომპიუტერის კომპლექტი.
- ჩუქების ხელშეკრულება 06.06.2014წ. - მხატვრული ლიტერატურა (ხელშეკრულებას არ ახლავს ლიტერატურის ჩამონათვალი).
- ჩუქების ხელშეკრულება 06.06.20214წ. - პროექტორი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ჩუქების ხელშეკრულება 23.06.2014წ. – 18 დასახელების ინვენტარი: მერხები და სკამები, ცეცხლმაქრი, შვედური კედელი, მაგიდის ჩოგბურთის კომპლექტი და სხვა.
- ნასყიდობის ხელშეკრულება 23.06.2017წ. – მხატვრული ლიტერატურა.
- ნასყიდობის ხელშეკრულება 02.02.2017წ. – 25 მერხი და სკამი.
- ნასყიდობის ხელშეკრულება 06.03.2017წ. – 2 კომპლექტი პენტიუმ 4.
- გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულება 1.04.2021წ. - ქიმიური რეაქტივები ლაბორატორიისათვის.
- ხელშეკრულება 11.05.2023წ. – 30 ერთეული მეორადი მერხი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ **არ შეესაბამება**

### 3.6. საინფორმაციო რესურსები

#### 3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს Schoolbook-ი, რომელიც საშუალებას აძლევს მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს ჰქონდეთ ინფორმაცია მოსწავლეების გაცდენა/დასწრების, ნიშნების, კომენტარების, დავალებების, საბოლოო საშუალო ქულების, რეიტინგების, ნიშნების ფურცლისა და სხვა ტიპის რეპორტების შესახებ. სკოლას აქვს კომპიუტერული ტექნიკა. კერძოდ, როგორც პერსონალური, ისე პორტატული კომპიუტერები, პროექტორი, საბეჭდი მოწყობილობები, რომლებიც გამოიყენება სასწავლო პროცესში. სკოლის ვებ. გვერდი მოქმედია და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის. **ინდიკატორი 3.6.1.1 დაკმაყოფილებულია**
2. დაწესებულებას შედგენილი აქვს დოკუმენტი, სახელწოდებით ,,მატერიალური რესურსების განკარგვის წესი“. როგორც ირკვევა, უსაფრთხოების დაცვისა და ტექნიკური უზრუნველყოფის მენეჯერი ვალდებულია შესაბამისი პირობები შეუქმნას სასკოლო საზოგადოებას სამსახურეობრივი მოვალეობების სრულყოფილად შესრულებისა და სასწავლო პროცესის სწავლების ეფექტურად და ხარისხიანად განხორციელებისათვის.

   აღსანიშნავია, რომ სკოლის კომპიუტერული ლაბორატორია განთავსებულია ბიბლიოთეკაში. სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით, მოსწავლეებს, მასწავლებლებს და თანამშრომლებს საშუალება აქვთ გამოიყენოს კომპიუტერული ტექნიკა სასწავლო მიზნებისთვის. თუმცა, ვინაიდან ბიბლიოთეკა და კომპიუტერული ლაბორატორია ერთ სივრცეშია განთავსებული, ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობა საჭიროებისამებრ ვერ განხორციელდება. შესაბამისად, **მნიშვნელოვანია სკოლამ გამიჯნოს საბიბლიოთეკო სივრცე კომპიუტერული ლაბორატორიის სივრცისგან. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 12.07.2023-16.07.2023- ვინაიდან, აღნიშნული ეხება მატერიალურ რესურსს, ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი.დაწესებულებამ უზრუნველყოს ბიბლიოთეკის და კომპიუტერული ლაბორატორიის გამიჯვნა**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ხელშეკრულება Schoolbook-ით სარგებლობის შესახებ;
- შპს სკოლა-ლიცეუმის სანთელის მატერიალური რესურსების განკარგვის წესი;
- კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სკოლის ვებ.გვერდის ვიზუალური დათვალიერება;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ინტერვიუ სასკოლო საზოგადოებასთან.

### 3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. შპს სკოლა-ლიცეუმი სანთელის დირექტორის ბრძანებით №/09-2, 01.09.2022წ. დამტკიცებულია სკოლის საქმისწარმოების წესი, რომელიც განსაზღვრავს სკოლის საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას, ადგენს დოკუმენტებსა და მოქალაქეთა განცხადებებზე , წერილებზე მუშაობის წესს. ექსპერტებმა ვიზიტის პერიოდში გაეცნენ სკოლის საქმისწარმოებას, მათ შორის განიხილეს სარეგისტრაციო ჟურნალები. მათ შორის, საერთო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალებს. როგორც გაირკვა, **2022 წლის ბრძანებების ნომრის მინიჭების დროს გარკვეული ხარვეზები ფიქსირდება,** კერძოდ, **ბრძანების ნომერს ემატება ციფრები, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ისინი მიმდევრობით არ არის შესრულებული (მაგალითად. ბრძანებას №-17, მოსდევს ბრძანება №-17-01). სკოლას განემარტა ზემოაღნიშნული ხარვეზის შესახებ ვიზიტის პერიოდში. გარდა ამისა, ბრძანების ფორმა არ შეიცავს ყველა საჭირო რეკვიზიტს. კერძოდ, გარკვეულ შემთხვევებში ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს არ აქვს სათაური, ასევე, არ არის მითითებული ის ორგანო, რომელშიც შეიძლება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი გასაჩივრება, მისი მისამართი და საჩივრის წარდგენის ვადა** (ხარვეზის საფუძველი: ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი'', თავი IV, მუხლი ,,52“.). **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (დასრულებულია-14.07.2023) - ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

2 როგორც ცნობილია, სკოლის მართვა მოიცავს დაგეგმვის, ორგანიზების და კონტროლის პროცესებს, რომელიც განაპირობებს სკოლის მიზნების მიღწევას. ვიზიტის პერიოდში გამოიკვეთა, რომ დირექცია, პედაგოგიური საბჭო, კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი სტრუქტურირებულია და მათი ფუნქციები განაწილებულია და სამუშაო შეხვედრები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დამადასტურებელი მტკიცებულებები (შეხვედრების და სხდომების ოქმები) სახეზეა. ანგარიშგების სიტემაც ეფუძნება სკოლის სტრუქტურული ერთეულების მუშაობას. პანდემიის პირობებში, სკოლა ეფექტურად იყენებდა ტექნოლოგიებს საკომუნიკაციოდ და ეს ტენდენცია ახლაც გრძელდება **ინდიკატორი 3.6.2.2 დაკმაყოფილებულია**.

3 ვიზიტის პერიოდში, ექსპერტებმა განიხილეს შპს სკოლა-ლიცეუმი სანთელის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. როგორც გაირკვა, სკოლას სრულად აქვს შევსებული ყველა ველი, მათ შორისაა, სკოლის მიერ არჩეული, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალი. ექსპერტები გაეცნენ სკოლის მოსწავლეთა ბაზიდან სკოლის თანამშრომელთა პორტირებულ მონაცემებსაც.**ინდიკატორი 3.6.2.3 დაკმაყოფილებულია**

4 ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა განიხილეს სკოლის კორესპონდენცია, რომელიც ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის შუამდგომლობით გადაიგზავნა სხვადასხვა უწყებაში. მათ შორის არის დაწესებულების წლიური ბალანსი, ინფორმაცია საშუალო საფეხურის კურსდამთავრებულ მოსწავლეებზე და ა.შ.**ინდიკატორი 3.6.2.4. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- შპს სკოლა-ლიცეუმი სანთელის დირექტორის ბრძანებით №8/09-2, 01.09.2022წ. დამტკიცებული სკოლის საქმისწარმოების წესი;
- სარეგისტრაციო ჟურნალები;
- სკოლის მიერ შედგენილი და დამტკიცებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები;
- სკოლის სტრუქტურული ერთეულების შეხვედრების ამსახველი ოქმები;
- შპს სკოლა-ლიცეუმი სანთელის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში - ვიზუალური დათვალიერება;
- სკოლის კორესპონდენცია (მათ შორის, შუამდგომლობის წერილები ისანი-სამგორის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრს);
- ინტერვიუ სასკოლო საზოგადოებასთან.

### 3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **შპს სკოლა-ლიცეუმის ვებ.გვერდი http://santeli.ge/ ვერ ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას სკოლაში არსებული პროცესების, შედგენილი დოკუმენტაციის და განხორციელებული აქტივობების შესახებ.** რიგი დოკუმენტები, ანგარიშები, სკოლის შიდა მარეგულირებელი აქტები არ არის ატვირთული ან მასში გარკვეული ხარვეზებია. ექსპერტებმა განიხილეს სკოლის გვერდი სოციალურს ქსელშიც, რომელშიც 2020 წლის შემდეგ არ არის განახლებული ინფორმაცია და სულ, 100 მიმდევარი ჰყავს. სკოლას შედგენილი და დამტკიცებული აქვს შპს სკოლა-ლიცეუმი სანთელის მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან ურთიერთობის დებულება, რომელიც ასახავს იმ ძირითად ასპექტებს, როგორიც არის მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან ურთიერთობის ფორმა და პრინციპები (მუხლი 6). მეშვიდე მუხლი განსაზღვრავს მშობლისათვის/მოსწავლისათვის სავალდებულოდ მისაწოდებელი ინფორმაციის ჩამონათვალს. სკოლასა და მშობელს შორის ურთიერთობა რეგულირდება ხელშეკრულებითაც. სკოლის დამრიგებლის ფუნქციები და ელექტრონული ჟურნალი კომუნიკაციას ეფექტურს ხდის. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (დასრულებულია- 18.07.2023) - ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. ვინაიდან, სკოლაში ხორციელდება დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები, ინფორმაცია მათი განხორციელების შესახებ წარმოდგენილია სასკოლო-სასწავლო გეგმაში. მითითებულია თითოეული საფეხურის მისია. **ინდიკატორი 3.6.3.2 დაკმაყოფილებულია**
3. ინტერვიუირების დროს, სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებული უკუკავშირი გამოყენებულია სკოლის საქმიანობის გაუმჯობესებისთვის. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ექსპერტებმა ინტერვიურების დრო მიმართეს მოსწავლეებს და მათ მშობლებს. კითხვა ფორმულირებული იყო შემდეგნაირად: კონკრეტული მაგალითების მითითებით წარმოედგინათ ის ცვლილებები, რომელიც განხორციელდა მათი მიმართვის და/ან რეკომენდაციის საფუძველზე - ექსპერტებმა დამაკმაყოფილებელი პასუხი მიიღეს შეკითხვაზე. **ინდიკატორი 3.6.3.3 დაკმაყოფილებულია**

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ. გვერდი, რომელზეც ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე. **ინდიკატორი 3.6.3.4 დაკმაყოფილებულია**

5. ექსპერტებმა დეტალურად განიხილეს სკოლის შპს სკოლა-ლიცეუმი სანთელის ვებ. გვერდი. როგორც უკვე აღინიშნა, **სკოლას მისია დეკლალირებულია ვებ. გვერდზე, თუმცა ხედვა და ღირებულებები არ შეესაბამება სკოლის სტრატეგიული განვითარების დოკუმენტში წარმოდგენილ დეფინიციას.** სკოლის სტრუქტურა ვებ. გვერდზე სქემატურად არის გამოსახული და იერარქიულად წარმოადგენს დაქვემდებარებულ თანამდებობებს და სტრუქტურულ ერთეულებს.
   სკოლაში ჩარიცხვის პროცედურები ასახულია სკოლის წესდებაში. **თავი VI არეგულირებს სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის, კლასიდან კლასში გადაყვანისა და დათხოვნის პირობებს, რაც არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და სასწრაფო წესით საჭიროებს შეცვლას. მაგალითად, ჩარიცხვის დოკუმენტაციაში სკოლა ითხოვს დაბადების მოწმობის დედანის წარდგენას, მობილობის შემთხვევაში მშობელმა უნდა წარმოადგინოს ბრძანებას მოსწავლეთა საერთო სიიდან ამორიცხვის შესახებ, მოსწავლის სტატუსის შეჩერება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ის 90 სასწავლო დღის განმავლობაში ზედიზედ არ ცხადდება სკოლაში და ა.შ.**
   **ინფორმაციას მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისების, გასაჩივრების მექანიზმების შესახებ წარმოდგენილია სკოლის შიანაგანაწესში. შპს სკოლა-ლიცეუმი სანთელის ფინანსური მდგრადობის შესახებ ინფორმაცია, აგრეთვე, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესახებ**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მონაცემებიც არ არის ასახული. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (დასრულებულია- 17.07.2023) - ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

6. რაც შეეხება საკონტაქტო ინფორმაცია, წარმოდგენილია მხოლოდ სკოლის მისამართი (თანდართული რუკით), თუმცა, არ არის წარმოდგენილი სკოლის ელექტრონული ფოსტის მისამართი და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - დასრულებულია 18.07.2023) - ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- შპს სკოლა-ლიცეუმის სანთელი ვებ.გვერდის http://santeli.ge/ ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- შპს სკოლა-ლიცეუმი სანთელის მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან ურთიერთობის დებულება;
- სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში - https://www.facebook.com/profile.php?id=100035421110772;
- ვებ.გვერდის http://santeli.ge/ ვიზუალური დათვალიერება;
- სკოლის ელექტრონული ჟურნალი;
- ინტერვიუ სასკოლო საზოგადოებასთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

### 3.7. ფინანსური რესურსები

#### 3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის განხორციელებას. მოთხოვნის საფუძველზე, სკოლამ წარმოადგინა 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი, ასევე, სკოლის მოგება-ზარალის გეგმა (ფაქტის ანალიზი), სადაც მოსწავლეთა რაოდენობის საფუძველზე, დადგენილია ადმინისტრაციისა და გაყიდვების ხელფასების ხარჯი, ასევე, საანგარიშო პერიოდის (2022 წელი) მოგება/ზარალი. **3.7.1.1. ინდიკატორი შესაბამისობაშია**
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის სისტემა - საპროგნოზო ბიუჯეტი და შემდგომ, მისი შესრულების მაჩვენებელი განიხილება სკოლის ადმინისტრაციის და ბუღალტერის მიერ. შემდგომი ცვლილებები/ინტერვენციები, სწორედ ანალიზის საფუძველზე დგინდება. **3.7.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი;
- სკოლის მოგება-ზარალის გეგმა (ფაქტის ანალიზი);



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- საპროგნოზო ბიუჯეტი;
- ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან და ბუღალტერთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

### 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

#### 4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლა ლიცეუმის სანთელის შინაგანაწესი განსაზღვრავს ადამიანის უფლებათა დაცვას საყოველთაოდ მიღებული სტანდარტებით. დოკუმენტის გარკვეული თავები, სწორედ მოსწავლის უფლებების დაცვას და გარანტიების უზრუნველყოფას ემსახურება. მაგალითისთვის, მე-4 მუხლი, სახელწოდებით ,,დისკრიმინაციის აკრძალვა“, დეტალურად აღწერს, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლის დისკრიმინაციად. ჩამონათვალს შორის, არის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, მოსწავლის პირდაპირი ან არაპირდაპირი შევიწროება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახავი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას და ა.შ. ინტერვიუირების პროცესში სკოლის მოსწავლეებმა და მშობლებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ დაწესებულებაში მოსწავლეები თავს უსაფრთხოდ, დაცულად და კომფორტულად გრძნობენ. შინაგანაწესის 24-ე მუხლი განსაზღვრავს მოსწავლეთა ქცევის წესს. **მე -5 მუხლში კი მითითებულია, რომ დაწესებულებაში იკრძალება ყველა სახის სამოსი და აქსესუარები, რომელიც ხელს შეუშლის საგანმანათლებლო პროცესის ნორმალურ მიმდინარეობას. მათ შორისაა - ქუდის, კეპის, ბენდენის, შარფის და ნებისმიერი სახის თავსახვევის ტარება, რაც ეწინააღმდეგება ,,მოსწავლის ქცევის კოდექსის დამტკიცების შესახებ ,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 79/ნ, 30.08.2010წ. ბრძანების მე-6 მუხლით (,,მოსწავლის ჩაცმის წესი“) წარმოდგენილ რეგულაციებს.** შინაგანაწესის 28-ე მუხლი მოსწავლეთა საჩივრის განხილვის წესს არეგულირებს. **როგორც ირკვევა, საჩივარს განიხილავს სკოლის დირექტორი საჩივრის შეტანიდან ორი კვირის ვადაში, თუმცა აღნიშნული რეგულაცია წინააღმდეგობაშია სკოლის დისციპლინური კომიტეტის დებულებასთან, რომლის ძირითადი ამოცანაა - ,,დისციპლინურ წარმოებაში მონაწილეობის მიღება. იგი განიხილავს სკოლაში გამოვლენილ ნებისმიერ დისციპლინურ გადაცდომას, განხორციელებულს დირექციის, მასწავლებლის, მოსწავლის ან მშობლის მხრიდან,, (მუხლი მე-3, პუნქტი 3.1.).** ვიზიტის პერიოდში ექსპერტები დაინტერესდნენ როგორი იყო დისციპლინური წარმოების სტატისტიკა. როგორც აღმოჩნდა, სკოლაში მოსწავლეებთან დაკავშირებულ დისციპლინურ წარმოებას ადგილი არ ჰქონია. ექსპერტებმა იგივე კითხვით მიმართეს მშობლებსაც მოსწავლეთა დისციპლინურ გადაცდომებთან დაკავშირებით. მათ დაადასტურეს, რომ მოსწავლეთა მცირე კონტიგენტი, დაწესებულების ორგანიზაციული კულტურა განაპირობებს იმას, რომ კონფლიქტური სიტუაციები დაწესებულებაში არ ფიქსირდება.

დაწესებულებაში, ამ ეტაპზე, არ ირიცხება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, თუმცა სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია ინკლუზიური განათლების ძირითადი ასპექტები. სკოლას დამტკიცებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (დასრულებულია - 18.07.2023) ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

2. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლას შედგენილი აქვს დოკუმენტი - შპს სკოლა-ლიცეუმის სანთელის დისციპლინური კომიტეტის დებულება (2022-2023 სასწავლო წელი). სადაც დეტალურად არის გაწერილი კომიტეტის შემადგენლობა, კომპეტენცია, საქმისწარმოების დაწყების საფუძვლები, ინფორმაცია დისციპლინური კომიტეტის სხდომებისა და გადაწყვეტილებების შესახებ. მშობლებმა და მოსწავლეებმა ინტერვიუირებისას დაადასტურეს, რომ ინფორმირებულები არიან კომიტეტის არსებობის შესახებ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის ვებ. გვერდზე სკოლის შინაგანაწესი და სასკოლო-სასწავლო გეგმა თანდართული, დამრიგებლის დებულებით, ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირთათვის, სადაც ასევე ასახულია მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები.**ინდიკატორი 4.1.1.2 დაკმაყოფილებულია.**

3. ვიზიტის პერიოდში, სკოლამ წარმოადგინა სკოლასა და მშობელს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუში, სადაც გაწერილია მხარეთა უფლება მოვალეობანი. წარმოდგენილი ნიმუში, მკაფიოდ ასახავს ყველა ძირითად ასპექტს, რომლის შესახებაც ინფორმირებული უნდა იყოს მშობელი. მაგალითად, II მუხლი აღწერს სკოლა-ლიცეუმის მიერ განსახორციელებელი პროგრამების ჩამონათვალს, III მუხლში ასახულია სკოლის უფლება-მოვალეობები და ა.შ. ვიზიტის პერიოდში სკოლის ადმინისტრაციამ შეიტანა ცვლილება დოკუმენტში. ექსპერტთა რეკომენდაციის საფუძველზე, ხელშეკრულებას დაემატა ჩანაწერი მოსწავლის პერსონალური მონაცემების დაცვის თაობაზე. **ინდიკატორი 4.1.1.3 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- შპს სკოლა-ლიცეუმის სანთელის შინაგანაწესი;
- შპს სკოლა-ლიცეუმის სანთელის სასკოლო-სასწავლო გეგმა;
- სადამრიგებლო დებულება;
- დისციპლინური კომიტეტის დებულება;
- სკოლის ვებ. გვერდის ვიზუალური დათვალიერება;
- ინერვიუ სასკოლო საზოგადოებასთან.

### 4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები, თუმცა, მათი გარკვეული ნაწილი (მოსწავლის ჩარიცხვა, მობილობა, სტატუსის შეჩერება) არ არის შესაბამისობაში მოქმედ კანონმდებლობასთან.**

   ზემოაღნიშნულ რეგულაციებს ვხვდებით როგორც სკოლის წესდებაში, ასევე შინაგანაწესში. ორივე დოკუმენტი განთავსებულია სკოლის ვებ. გვერდზე და შესაბამისად, შეცდომაში შეჰყავს დაინტერესებული პირები.

   ექსპერტები დაინტერესდნენ აღნიშნული საკითხით და უფრო დეტალურად განიხილეს ზემოაღნიშნული პროცესები. როგორც გაირკვა, ჩარიცხვის, მობილობის და სტატუსის შეჩერების პროცედურები კანონით დადგენილი წესით ხორციელდებოდა, თუმცა, არ იყო ასახული საკანონმდებლო აქტებში. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (დასრულებულია 18.07.2023წ.)- ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

2. როგორც პირველი კომპონენტის განხილვისას აღინიშნა, მიუხედავათ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზებისა, მოსწავლეთა ჩარიცხვა და მობილობა კანონით დადგენილი წესით ხორციელდება. ასევე, სკოლამ დაადასტურა, რომ სტატუსის შეჩერების დროს სკოლა ითვალისწინებს მოქმედ კანონმდებლობას და განიხილავს მოსწავლის სტატუსის შეჩერებას იმ შემთხვევაში, თუ 45 სასწავლო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დღის განმავლობაში ზედიზედ არ ცხადდება სკოლაში (ნაცვლად, სკოლის დოკუმენტაციით განსაზღვრული 90 სასწავლო დღისა).**ინდიკატორი 4.1.2.2 დაკმაყოფილებულია.**

3. შპს სკოლა-ლიცეუმი სანთელის დამატებითი მომსახურების სახით, სთავაზობთ მხოლოდ გახანგრძლივებულ სწავლებას და ინფორმაცია აღნიშნულის შესახებ სასკოლო-სასწავლო გეგმაშია წარმოდგენილი (როგორც აღინიშნა, დოკუმენტი საჯაროა და სკოლის ვებ. გვერდზე შესაძლებელია მისი გაცნობა). სკოლის შიდა პოლიტიკას ნაწილობრივ განსაზღვრავს ის საკანონმდებლო აქტები, რომლითაც სკოლა ხელმძღვანელობს და რომელიც ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის. სკოლის ვებ. გვერდზე.**ინდიკატორი 4.1.2.3 დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის გამჭირვალე და კანონმდებლობის შესაბამისი. **ინდიკატორი 4.1.2.4 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- შპს სკოლა-ლიცეუმის სანთელის შინაგანაწესი;
- შპს სკოლა-ლიცეუმის სანთელის წესდება;
- სკოლის ვებ. გვერდის ვიზუალური დათვალიერება;
- ინტერვიუ სასკოლო საზოგადოებასთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## 4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

### 4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლა-ლიცეუმ სანთელის შედგენილი და დამტკიცებული აქვს დოკუმენტი, სახელწოდებით ,,კლასის დამრიგებლის დებულება“, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი ის მხარდამჭერი ღონისძიებები, რომელსაც სკოლა სთავაზობთ თავიანთ მოსწავლეებს. დებულებაში აღწერილია კლასის დამრიგებლის მუშაობის პრინციპები, რომლებიც ეფუძნება თანამშრომლობას როგორც სკოლის მოსწავლესთან, ისე, მათ კანონიერ წარმომადგენელთან. ექსპერტებმა განიხილეს კლასის დამრიგებლების სადამრიგებლო პროგრამებიც. როგორც გაირკვა, ეს არის აქტივობების ჩამონათვალი, რომლებიც მოსწავლეთა განვითარებაზე და მხარდაჭერაზეა ორიენტირებული. აღსანიშნავია, რომ სადამრიგებლო საათის ფარგლებში ხორციელდება ჩანაწერების შედგენა, სადაც გაწერილია შეხვედრის მიმდინარეობა, შედეგი, მოსწავლეთა თვითშეფასება, კლასის დამრიგებლის შეფასება და ა.შ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

როგორც უკვე აღინიშნა, სკოლაში ვიზიტის პერიოდში არ ირიცხებოდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, თუმცა, სასკოლო-სასწავლო გეგმაშია მათი მხარდამჭერი მექანიზმები, რომლებიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. აღსანიშნავია, რომ სკოლას ჰყავს ფსიქოლოგი, რომელიც ეხმარება მოსწავლეებს ემოციებთან გამკლავებაში, კონფლიქტური სიტუაციის მშვიდობიანი გზით გადაჭრაში, სწავლისა და სწავლებისთვის საკუთარ თავში საჭირო ძალების მობილიზებაში და ა.შ. **სკოლა არ აქვს შემუშავებული მექანიზმი, რომელშიც აღწერილი იქნება, თუ როგორ შეუწყობს ხელს დაწესებულება ახალი მოსწავლეების ადაპტაციას.**

ინტერვიუირების დროს მოსწავლეები და მშობლები აღნიშნავდნენ, რომ მათი შვილებს ადაპტაციის პროცესში სირთულეები არ ჰქონიათ და ეს სკოლის დირექციის და დამრიგებლების დამსახურებაა. იმისთვის, რომ პროცესი ორგანიზებული და ეფექტური იყოს, მნიშვნელოვანია სკოლამ საკუთარი გამოცდილების საფუძველზე გაწეროს რეგულაციები, რომლებიც დეტალურად აღწერს იმ ნაბიჯებს, რომელიც სკოლის გარკვეულმა თანამშრომლებმა (ადმინისტრაცია, კლასის დამრიგებელი და/ან ფსიქოლოგი) შესთავაზებს იმ მოსწავლეებს, რომლებიც ჩაირიცხნენ ან, მობილობის საფუძველზე გადმოვიდნენ ახალ გარემოში. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (დასრულებულია - 18.07.2023) - ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

2. ის, რომ მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად დაწესებულების მოსწავლეებმა და მშობლებმა სკოლის მთავარ უპირატესობად დაასახელეს. მათი განმარტებით, აკადემიური სირთულეების დროს, სკოლის მასწავლებლები მათ დამატებით მეცადინეობებს უტარებდნენ. ექსპერტები დაინტერესდნენ, დამატებითი მეცადინეობის შესახებ გადაწყვეტილებას ვინ იღებდა - სკოლის მასწავლებელი, მშობელი, თუ მოსწავლე. როგორც ინტერვიუირების დროს გაირკვა, ზემოთ ჩამოთვლილთაგან სამივეს შეეძლო მიმართვა. თუმცა, უფრო ხშირად, ეს დახმარება მშობლის მიმართვის საფუძველზე ხორციელდებოდა.**ინდიკატორი 4.2.1.2 დაკმაყოფილებულია.**

3. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლა მოსწავლეს სთავაზობს აკადემიურ მხარდაჭერას მყისიერად, როდესაც თავს იჩენს სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები. კლასებში მოსწავლეთა მცირე რაოდენობაც ეხმარება მასწავლებლებს გაითვალისწინონ მოსწავლეთა საჭიროებები და როგორც სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, ისე დამატებითი მეცადინეობების სახით მხარდამჭერი მექანიზმები შესთავაზონ მათ. რაც შეეხება მოსწავლეთა უფლებების დაცვას, ზემოაღნიშნული რეგულაციები სკოლას გაწერილი აქვს საკანონმდებლო აქტებში. სკოლაში შექმნილია დისციპლინური კომიტეტიც.**ინდიკატორი 4.2.1.3 დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. მიუხედავთ იმისა, რომ დამატებითი სავალდებულო მომსახურებას სკოლის არ სთავაზობს მოსწავლეებს, დაწესებულების ადმინისტრაცია მაქსიმალურად ცდილობს ხელი შეუწყოს არაფორმალური აქტივობების განხორციელებას, რაც გამოიხატება სხვადასხვა ხასიათის და შინაარსის ღონისძიებებში, საგანმანათლებლო და შემეცნებით ექსკურსიებში და ა.შ.
   სკოლას ჰყავს მოსწავლეთა თვითმმართველობა (შედგენილია და დამტკიცებულია მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება), რომლებსაც შექმნილი აქვთ 4 კლუბი - ინტელექტუალთა კლუბი, ჟურნალისტთა კლუბი, სპორტის კლუბი, შემეცნებითი-გასართობი პროგრამების კლუბი. სკოლის ეზოს გარშემო მოსწავლეების დარგულია ნარგავები. ისინი, უვლიან და ზრუნავენ მცენარეებზე. **ინდიკატორი 4.2.1.4 დაკმაყოფილებულია.**
5. სკოლის დირექციასთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ მოსწავლეთა და/ან მათი მშობლების უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას. დირექციამ აღნიშნა, რომ მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს შესთავაზოს მოსწავლეებს დამატებითი სავალდებულო და არასავალდებულო მომსახურება წრეების სახით. მშობლებიც დაინტერესებული არიან დაწესებულების მხრიდან მომსახურების გაზრდით. **ინდიკატორი 4.2.1.5 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლა-ლიცეუმი სანთელის კლასის დამრიგებლის დებულება“;
- სადამრიგებლო პროგრამები;
- ხელშეკრულება სკოლის ფსიქოლოგთან;
- სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;
- სკოლის ვებ. გვერდი (წარმოდგენილია არაფორმალური განათლების დამადასტურებელი აქტივობები);
- ინტერვიუ სასკოლო საზოგადოებასთან.

### 4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის გაკვეთილებს შემდეგი განრიგით: 8-გაკვეთილი მე-9 კლასში, 4 გაკვეთილი მე-11 კლასში. სკოლაში, ასევე პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამით გათვალისწინებული სხვა აქტივობების განრიგი: მათ შორის, საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და დასაქმების ობიექტებში ექსკურსიების და სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან შეხვედრების განრიგი. სასკოლო-სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია დაგეგმილი აქტივობების შესახებ ინფორმაცია, რომელიც შთამბეჭდავად გამოიყურება. პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები ასახულია სკოლა- ლიცეუმის 2022-2023 სასწავლო წლის სადამრიგებლო საათის პროგრამებშიც.**ინდიკატორი 4.2.2.1 დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლა გარკვეული სიხშირით აწვდის სკოლის მოსწავლეებს ინფორმაციას კარიერული შესაძლებლობების განვითარების მიმართულებით, რასაც მოწმობს სკოლის მიერ შედგენილი, მრავალფეროვანი აქტივობების ნუსხა. მოსწავლეებმა ინტერვიუირების დროს დაადასტურეს, რომ პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის გაკვეთილები ეხმარება მათ გადაწყვეტილების მიღებაში პროფესიის არჩევის პროცესში.**ინდიკატორი 4.2.2.2 დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუირებისას აღნიშნეს, რომ მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს, რაც აისახა მიმდინარე სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამით გათვალისწინებული აქტივობების შინაარსის და რაოდენობების მრავალფეროვნებაში **ინდიკატორი 4.2.2.3 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- შპს ,,სკოლა ლიცეუმი სანთელის სასკოლო-სასწავლო გეგმა;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სადამრიგებლო პროგრამები;
- ინტერვიუ სასკოლო საზოგადოებასთან.

### 4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. შპს სკოლა-ლიცეუმი სანთელის სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილია ინკლუზიური განათლება, სადაც ეროვნული სასწავლო გეგმით წარმოდგენილი რეგულაციების საფუძველზე ხორციელდება სსსმ მოსწავლის იდენტიფიცირება, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა. ასევე, წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში. ინკლუზიური განათლების მე - 6 თავი აღწერს მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების მართვას. ამ ეტაპზე, სკოლაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე არ ირიცხება. **ინდიკატორი 4.2.3.1 დაკმაყოფილებულია.**
2. ვინაიდან, ამ ეტაპზე სკოლაში არ ირიცხება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, ექსპერტები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას განიხილონ რამდენად ეფუძნება სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. თუმცა, სკოლის ინკლუზიური განათლების კონცეფცია მოიაზრებს პროცესებში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას (ისგ ჯგუფი) **ინდიკატორი 4.2.3.2 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- შპს სკოლა ლიცეუმი სანთელის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. მშობელთა მოთხოვნის საფუძველზე, სკოლაში მოსწავლეებისათვის შეთავაზებულია გახანგრძლივებული სწავლება. გარდა ამისა, სკოლაში თვითმმართველობის მიერ ორგანიზებულია კლუბური მუშაობა - საქმიანობა საინტერესო და მოსწავლეების ინტერესებზეა მორგებული. სკოლა მომავალი სასწავლო წლიდან გეგმავს შესთავაზოს მოსწავლეებს დამატებითი მომსახურება წრეების სახით.

**ინდიკატორი 4.2.4.1 დაკმაყოფილებულია.**

2. როგორც მშობლებთან ინტერვიუირების დროს გაირკვა, სწორედ მათი მოთხოვნის საფუძველზე სკოლაში ხორციელდება გახანგრძლივებული სწავლება. **ინდიკატორი 4.2.4.2 დაკმაყოფილებულია**

3. გახანგრძლივებული სწავლება ხორციელდება უსაფრთხო გარემოში. **.ინდიკატორი 4.2.4.3 დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო-სასწავლო გეგმა;
- თვითმმართველობის დებულება;
- თვითმმართველობის შეხვედრების ამსახველი დოკუმენტაცია;
- ინტერვიუ სასკოლო საზოგადოებასთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## *ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება*

### I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

**ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| სტანდარტი 2 - დაწყებითი საფეხური | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| სასკოლო კურიკულუმი (მიუთითეთ კურიკულუმის სახელწოდება) | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომონენტი 2.1<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომონენტი 2.2<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომონენტი 2.3<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომონენტი 2.4<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

### 2. სასკოლო კურიკულუმი - დაწყებითი საფეხური

### 2.1. კურიკულუმის შემუშავება

#### 2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შეფასებისა და მონიტორინგის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი. შპს სკოლა-ლიცეუმი სანთელის სასკოლო კურიკულუმში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები და პრიორიტეტები. სკოლის მიერ ჩატარებულია სვოტ ანალიზი, რომლის საფუძველზეც გამოიკვეთა სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები, ასევე შესაძლებლობები და საფრთხეები. საჭიროების კვლევა ეყრდნობოდა სკოლის საგნობრივი კათედრების წლიურ ანგარიშებს, მოსწავლეების, მასწავლებლების და მოსწავლეთა მშობლების გამოკითხვას. შემუშავდა რეკომენდაციები და დაიგეგმა აქტივობები სუსტი მხარეების გასაუმჯობესებლად, რაც აისახა სკოლის SWOT-ანალიზში და შემდგომში სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში. სკოლის 2023-2024 ერთწლიანი სამოქმედო გეგმაში სტრატეგიულ ამოცანებს წარმოადგენს: სკოლა-ლიცეუმის მართვა, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მონიტორინგი; სწავლა - სწავლების ხარისხის ამაღლება კურიკულუმების შემუშავება, ინოვაციური პედაგოგიური მიდგომების დანერგვის ხელშეწყობა, საგნობრივი კათედრების სხდომების ჩატარება და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შესაბამისი საკითხების განხილვა; კათედრების მიერ შემაჯამებელი დავალებების ანალიზი; სასწავლო პროცესის მონიტორინგის განხორციელება მოსწავლეთა მიღწევების დინამიკის შესწავლა.

სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა "კურიკულუმის შემუშავების, მონიტორინგისა და განვითარების მეთოდოლოგიების" დოკუმენტი, რომელსაც ადმინისტრაციის წარმომადგენლის განმარტებით ჰქონდა სარეკომენდაციო ხასიათი და ვიზიტის დასრულებამდე დირექტორმა 30.05.2023 წლის N ბ/36 ბრძანებით დაამტკიცა სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად. **2.1.1.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2**. სასკოლო კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. საჭიროების კვლევის მიზანს წარმოადგენდა 2021-2022 წელს დანერგილი სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასება. წინასწარ შემუშავებული შეფასების მექანიზმების გათვალისწინებით, კვლევაში მონაწილეთა დახმარებით სასწავლო პროცესში არსებული სირთულეების აღმოჩენა, მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესებისა და მისწრაფებების გაგება. სკოლის სხვადასხვა სტრუქტურული ელემენტის მუშაობის ეფექტურობის გამოვლენა. კვლევა მოიცავდა სამ ეტაპს. პირველ ეტაპი - კითხვარების მომზადება; კვლევის მეორე ეტაპი - გამოკითხვა - განხორციელდა პირველ სემესტრში. სასწავლო წლის დასასრულს კი კითხვარები ეხებოდა მშობლებთან თანამშრომლობისა და კომუნიკაციის ფორმებს; სკოლის სუსტი და ძლიერი მხარეების გამოვლინებას; მომავალი სასწავლო წლისათვის სასურველ ცვლილებებს; სტრუქტურული ერთეულების მუშაობის შეფასებას. კვლევის მესამე ეტაპი-გამოკითხვის შედეგების ანალიზი. **2.1.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**3.** სკოლის საჭიროების კვლევის პირველ ეტაპზე მომზადდა კითხვარები სამი მიმართულებით: მშობლები, მასწავლებლები და მოსწავლეები. კითხვარები შემუშავდა სკოლის მონიტორინგის ჯგუფის, კათედრის ხელმძღვანელების, დამრიგებლების მიერ, დოკუმენტაცია განხილულ იქნა საგნობრივ კათედრებზე. მშობლებისა და მოსწავლეების გამოკითხვას ორგანიზებას უწევდნენ კლასის დამრიგებლები - უზრუნველყოფდნენ კითხვარების გავრცელებას, შეგროვებასა და მონიტორინგის ჯგუფისათვის წარდგენას. მონიტორინგის ჯგუფმა განახორციელა მასწავლებლების გამოკითხვა. მიზანშეწონილია, სასკოლო საზოგადოების კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულობის მიზნით, მეთოდოლოგიაში მკაფიოდ იყოს განსაზღვრული, მთელი წლის განმავლობაში, რა ფორმით, როგორი ინტენსივობით, რომელი ინსტრუმენტების გამოყენებით მოხდება სასკოლო საზოგადოების წევრების პროცესში ჩართვა. **2.1.1.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში ხაზგასმით არის აღნიშნული სასკოლო საზოგადოების წევრების აქტიური ჩართულობის მნიშვნელობა, ასევე, დოკუმენტში „კურიკულუმის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების დამადასტურებელი დოკუმენტი“ საუბარია მშობლის ინფორმირებაზე მენეჯერის საშუალებით, ასევე, სკოლის ვებ-გვერდზე საჯაროდ ხელმისაწვდომია სასკოლო სასწავლო გეგმა. მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ კათედრაზე მსჯელობენ, თუ როგორ გაუზიარონ კურიკულუმი სასკოლო საზოგადოებას. გეგმავენ, რომ მოაწყონ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები, პრეზენტაციები და გაითვალისწინონ საზოგადოების აზრი სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში; **2.1.1.4. ინდიკატორი შესაბამისობაშია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- 1 წლიანი სამოქმედო გეგმა;
- სკოლაში დამტკიცებული მშობელთა დებულება;
- სკოლის თვითშეფასების დოკუმენტი;
- სასკოლო -სასწავლო გეგმა;
- მასწავლებლების პორტფოლიოები;
- კათედრის პორტფოლიოები;
- კურიკულუმის შემუშავების, მონიტორინგის, შეფასების და განვითარების მეთოდოლოგიები;
- სასკოლო შეფასების სისტემა.
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, მათემატიკის და კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრის პორტფოლიო;
- ინტერვიუირება.

### 2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლა-ლიცეუმ სანთელს განსაზღვრული აქვს, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა დაფუძნებულია მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასა და პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო კონცეფციაზე.
მასწავლებლის პორტფოლიოებში, თემატური მატრიცის ფორმაში დეტალურადაა გაწერილი კომპლექსური დავალება, რომელშიც გვხდება საკვანძო და სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები, რაც მეტაკოგნიტური და სწავლის სწავლის უნარების განვითარების კარგი საშუალებაა. ასევე, მატრიცის ფორმაში არის კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესის და ნამუშევრების პრეზენტაციის ამსახველი ფოტომასალა. თუმცა, კომპლექსური დავალების მსვლელობაში (ეტაპები, ნაბიჯები) არ ჩანს რომელი მეთოდის/რესურსის გამოყენებით ხდება პროდუქტის შექმნის შესახებ ინფორმაციის მიწოდება და გამყარება. საბოლოო პროდუქტის შექმნამდე მხოლოდ ერთი აქტივობაა განსაზღვრული სახელმძღვანელოს რესურსის გამოყენებით, სხვა აქტივობები, დამხმარე რესურსები, ბმულები არ არის მითითებული, წარმოდგენილ მასალაში მკაფიოდ არ ჩანს პროცესის ნაბიჯ-ნაბიჯ განხორციელება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია მოსწავლეზე და პროცესზე ორიენტირებული კონსტრუქტივისტულ პრინციპებზე აგებული პროცესის წარმართვისთვის. სასურველი და მნიშვნელოვანია კურიკულუმებში თითოეულ თემის დონეზე ყველა სამიზნე ცნებაზე ორიენტირება, კონტექსტ-მაგალითებისა და კომპლექსური დავალების იდეების გაწერა შესაბამისი რესურსების მითითებით. წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის ცალკეულ კურიკულუმებზე დაყრდნობით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, სასწავლო კურსით იფარება საფეხურის შედეგები. **2.1.2.1. ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**2.** კათედრის სხდომის ოქმებიდან დგინდება, რომ სკოლას გააზრებული აქვს კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობის ეტაპობრივი დანერგვა და სოლო ტაქსონომიის პრინციპით მოსწავლეთათვის განმავითარებელი შეფასების მიწოდება, სადაც ყველა მოსწავლის მიღწევა აღიწერება სამიზნე ცნებასთან მიმართებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება კიდეც მისი შესრულება, რაც გვიდასტურებს, რომ კურიკულუმი უზრუნველყოფს მოსწავლეებში გლობალურ ფუნქციური უნარების გამომუშავებასა და უპირობოდ პოზიტიური გარემოს შექმნას.

**2.1.2.2. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

3. 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლას გაწერილი აქვს ინკლუზიური განათლების სპეციფიკა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმა და შედგენის პროცედურები, სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასწრებისა და გაცდენების რეგულაციები. ინტერვიურებისას გაირკვა, რომ სკოლას ბოლო პერიოდში არ ჰყოლია სსსმ მოსწავლე, შესაბამისად, შესრულების ანგარიში არ არის წარმოდგენილი. ვინაიდან არ არის წარმოდგენილი არც ერთი მოდიფიცირებული გეგმა, მასწავლებელთა პირველი სემესტრის ანგარიშებზე (წარმოდგენილია კათედრის პორტფოლიოში) დაყრდნობით ვასკვნით, რომ დაწყებით საფეხურზე ხდება მოსწავლეებზე დაკვირვება, პრობლემების გამოკვეთა და ინდივიდუალური უკუკავშირის გაცემა. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა განაცხადეს, რომ იყენებენ მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებულ ადაპტირებულ დავალებებს, დიფერენცირებულ მიდგომებს ამა თუ იმ საკითხების შესწავლისას. სკოლა სწავლისა და განვითარების თანაბარ საშუალებას აძლევს მოსწავლეს, მასწავლებლები აკვირდებიან თითოეულ მათგანს, სწავლობენ მათ თავისებურებებს, ინტერესებს, შესაძლებლობებს და ამ პირობების გათვალისწინებით გეგმავენ სასწავლო პროცესს.

**2.1.2.3. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

4. ინტერვიუდან და პორტფოლიოებში წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. წარმოდგენილი 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, მოსწავლეები ფასდებიან სამი კომპონენტით: ა)მიმდინარე საკლასო დავალება. ბ)მიმდინარე საშინაო დავალება. გ) შემაჯამებელი დავალება. მასწავლებელს უფლება აქვს განმავითარებელი შეფასება გამოიყენოს ნებისმიერ კომპონენტში. კომპლექსური დავალების შესრულების შემდეგ, მოსწავლე ფასდება სოლო ტაქსონომიით. შვიდწლიან განვითარების გეგმაში გაწერილია შეფასების რუბრიკების შემუშავება, რითაც სკოლა იხელმძღვანელებს შემდგომ პერიოდში, საგნობრივად. მნიშვნელოვანია, რომ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შედგენისას ყურადღება უფრო მეტად გამახვილდეს სამიზნე ცნების და თემის მკვიდრ წარმოდგენებზე; **2.1.2.4. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

5. სკოლას წარმოდგენილი აქვს SWOT ანალიზი, რომელშიც გამოკვეთენ სკოლის ძლიერ და სუსტ მხარეებზე. პედაგოგიკის ნაწილში სკოლას ჩატარებული აქვს კვლევა, საჭიროებების დასადგენად. როგორც ინტერვიუდან აგრეთვე მასწავლებლის პორტფოლიოდან გამოჩნდა, მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით. მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების და წლის განმავლობაში მიღწეული შედეგების ანალიზის საფუძველზე, კათედრა ერთობლივად მუშაობს მომავალი წლის კურიკულუმზე, რომელიც ეფუძნება წინარე ცოდნას და ორიენტირებულია შედეგების გაუმჯობესებაზე.**2.1.2.5. ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ფიზიკური აღზრდის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი;
- ფიზიკური აღზრდის პედაგოგის პორტფოლიო;
- საგნობრივი კურიკულემები;
- მასწავლებლების პორტფოლიო;
- განხორციელებული კომპლექსური დავალებების ნიმუშები განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებებით;
- სკოლის 7 წლიანი განვითარების გეგმა, სასკოლო სასწავლო გეგმა;
- SWOT ანალიზი.
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, მათემატიკისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრის პორტფოლიო;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მოსწავლეთა შედეგების ანალიზი და ანგარიში;
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზი;
- ინტერვიუირება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.2.კურიკულუმის განხორციელება**

**2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - დაწყებითი საფეხურის პედაგოგები აქტიურად იყენებენ ისეთ აქტივობებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლის ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში. გაკვეთილები ხალისიანი და საინტერესოა. სასწავლო რესურსებად იყენებენ ნახატებს, გასაფერადებლებს, პოსტერებს. **2.2.1.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - მე და საზოგადოების საგნობრივი კურიკულუმებით განსაზღვრული კომპლექსური დავალებები იძლევა მოსწავლის აქტიურ სუბიექტად გარდაქმნის საშუალებას. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა კომპლექსური ბუნების დავალებები ფრაგმენტულადაა წარმოდგენილი, ხოლო საგან ჩვენი საქართველოს კურიკულუმებში საერთოდ არ არის გაწერილი კომპლექსური ტიპის დავალება. დამრიგებლის პორტფოლიოებში გაწერილია სადამრიგებლო პროგრამები, საფეხურის მანძილზე განსახილველი თემები, ასევე, სემესტრულად განსახილველი თემები, გაწერილია დამრიგებლის სამუშაო გეგმა, დამრიგებლის I სემესტრის ანგარიში და განხორციელებული ღონისძიებების/აქტივობების ამსახველი ფოტომასალა. სასურველია კურიკულუმების კომპლექსური ბუნების დავალებებით გამდიდრება და, ასევე, კლასგარეშე აქტივობების სახით ესგ-ის ერთ-ერთ პრიორიტეტულ თემაზე სასკოლო პროექტის დაგეგმვა-განხორციელება. **2.2.1.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**უცხოური ენები** - უცხოური ენების კათედრამ, მიმდინარე სასწავლო წლისთვის შედგენილ სამოქმედო გეგმაში სწავლების დაწყებით საფეხურზე გაითვალისწინა კომპლექსური, ცხოვრებისეულ კონტექსტთან ახლოს მდგომი პროექტული დავალებები და განახორციელა კიდეც. მასწავლებლების პორტფოლიოებს თან ერთვის მოსწავლეთა ნამუშევრები. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამგავრ სასწავლო გარემოში მოსწავლე, აქტიურ შემოქედებით პროცესშია ჩართული. **2.2.1.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ესთეტიკური აღზრდა** -სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, რაც კარგად ჩანს მასწავლებლის პორტფოლიოში წარმოდგენილი მასალით - კონსტრუქტივისტული მიდგომებით, რესურსებით, მრავალფეროვანი მეთოდებით და სტრატეგიებით. **2.2.1.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**ტექნოლოგიები** -წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების ნიმუში საშუალებას იძლევა შეფასდეს რამდენად შემოქმედებითია სასწავლო პროცესი, მოსწავლეები კეთებით სწავლების ხელშემწყობი გარემოთი მუშაობენ. წინა წელს განხორციელებული დავალებების გადახედვით, გამოვლინდა, რომ სკოლაში მასწავლებელი აძლევდა საშუალებას შემოქმედებითად შეესრულებინათ დავალება. **2.2.1.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**სახელმწიფო ენა** -კათედრას დაგეგმილი აქვს, რომ სწავლა-სწავლების პროცესი წარმართოს კომპლექსური დავალებებით, ამ მეთოდით სწავლება კი მიმდინარეობს შეფასების კომპონენტებში ზემოთ ჩამოთვლილი სწავლების ხუთი პრინციპის დაცვით. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს,რომ მომავალი 2023-2024 სასწავლო წლიდან ყველა თემის ფარგლებში კომპლექსური დავალების ბანკიდან შეარჩევენ კომპლექსურ დავალებებს, რათა მოსწავლეებს მისცენ აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართულობის შესაძლებლობა. **2.2.1.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**მათემატიკა** -სკოლამ წარმოადგინა სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები და მოსწავლეთა ნამუშევრები, რაც იძლევა იმის საფუძველს დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. **2.2.1.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**სპორტი** - სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესებში ჩართულობის მექანიზმები, რომლებიც საჭიროებს სრულყოფას. დაწყებით საფეხურზე ეწყობა სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, სადაც აქტიურად არიან ჩართული მოსწავლეებთან ერთად მშობლები.

თემები, რომელიც განისაზღვრება კურიკულუმებში, ასევე, ჩატარებული და დაგეგმილი სპორტული ღონისძიებები, უზრუნველყოფს მოსწავლეების აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას. **2.2.1.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - ახალი ცოდნის კონსტრუირება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით იკვეთება. წარმოდგენილი გაკვეთილის გეგმებით ირკვევა, რომ დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების გაკვეთილებზე მასწავლებლები ძირითადად იყენებენ გონებრივ იერიშს კითხვა-პასუხით. **2.2.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილია სავალდებულო თემები, რომლებიც დაკონკრეტებულია სხვადასხვა საკითხით, რაც საშუალებას იძლევა გააქტიურდეს მოსწავლის წინარე ცოდნა მათთვის ნაცნობი კონტექსტებით. სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტების შემოტანას ხელს უწყობს ფრაგმენტულად წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, მაგრამ ამ მხრივაც გაუმჯობესებას საჭიროებს საგან მე და საზოგადოებაში მათი ერთეული სახით არსებობა, ხოლო საგან ჩვენი საქართველოს კურიკულუმში საერთოდ არარსებობა.

დამრიგებლის პორტფოლიოში გაწერილია არაფორმალური ხასიათის პროექტები/ღონისძიებები/აქტივობები მათი განხორციელების ამსახველი ანგარიშითა და ფოტომასალით, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის მოსწავლის გამოცდილებასთან დაახლოებას.

სასურველია კურიკულუმების კომპლექსური ბუნების დავალებებით გამდიდრება და, ასევე, კლასგარეშე აქტივობების სახით ესგ-ის ერთ-ერთ პრიორიტეტულ თემაზე სასკოლო პროექტის დაგეგმვა-განხორციელება. **2.2.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**უცხოური ენები** - წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან მტკიცდება, რომ უცხოური ენების კათედრა თემატური დაგეგმვისას ითვალისწინებს მოსწავლეთათვის ნაცნობ კონტექსტს, რომელიც მას ეხმარება ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში. ამ მოსაზრებას ისიც ამყარებს, რომ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, რომლებსაც კათედრაზე ძირითად რესურსად იყენებენ, აგებულია იმგვარად, რომ მოსწავლეებს სხვადასხვა უნარებს ნაცნობ კონტექსტში გამომუშავებაში ეხმარება, ლექსიკური მარაგი კი ნელ-ნელა იზრდება. ასევე, კომპლექსური ბუნების დავალებების შესრულების სხვადასხვა ეტაპზე მოსწავლეს უწევს მისი ნაცნობი პრობლემის გადაჭრა, ანალოგის გაკეთება, ამის საფუძველზე ახალი პროდუქტის შექმნა და მისი ახსნა. შესაბამისად, ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

**2.2.1.2. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**ესთეტიკური აღზრდა** -მასწავლებლების პორტფოლიოებში წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით კარგად ჩანს, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით; **2.2.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**ტექნოლოგიები** - მართალია, სამიზნე ცნებები წარმოდგენილია თემატური გეგმის სახით, თუმცა საკითხები, დალაგებულია თანმიმდევრობით, არის საკითხთა ჯაჭვი. **2.2.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**სახელმწიფო ენა** -კათედრას დაგეგმილი აქვს, რომ სწავლა-სწავლების პროცესი წარმართოს კომპლექსური დავალებებით, ამ მეთოდით სწავლება კი მიმდინარეობს შეფასების კომპონენტებში ზემოთ ჩამოთვლილი სწავლების ხუთი პრინციპის დაცვით. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს,რომ მომავალი 2023-2024 სასწავლო წლიდან ყველა თემის ფარგლებში კომპლექსური დავალების ბანკიდან შეარჩევენ კომპლექსურ დავალებებს, რათა მოსწავლეებს მისცენ აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართულობის შესაძლებლობა.

**2.2.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**მათემატიკა** -წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებაში ჩანს, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. **2.2.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**სპორტი** - სკოლის ფიზიკური აღზრდის მასწავლებლების მიერ სკოლაში განხორციელებული კომპლექსური ტიპის დავალებები ითვალისწინებს, რომ მათზე მუშაობისას განხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის დაშენება. დავალების ყოველ მომდევნო ეტაპზე მუშაობისას, მოსწავლეს წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით გაუადვილდება სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიან მიზნებზე გასვლა.**2.2.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - დაწყებით საფეხურზე ბუნებისმეტყველებაში სასწავლო პროცესში აქცენტი სწავლის სწავლაზე კეთდება. წარმოდგენილი პორტფოლიოებისა და დოკუმენტების მიხედვით, ასევე პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად, გამოიკვეთა, რომ ტარდება კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელშიც გათვალისწინებულია სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე მიმართული შეკითხვები. მასწავლებელი სვამს კითხვებს და აძლევს მითითებებს მოსწავლეს მისი ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინებით, აძლევს სიტყვიერ უკუკავშირს, თუმცა უკუკავშირი ზოგადია და ნაკლებად ასახავს თუ როგორ დაეხმარება მოსწავლეს, გაანალიზოს შესრულებული დავალება. მაგალითად, რა შეასრულა კარგად, რა პირიქით; რომელმა გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა მას წარმატება, რა ხელშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს, რისი პრევენცია შეიძლებოდა თავიდან დაგეგმვის შემთხვევაში და სხვა. ზეპირი გამოკითხვისას მასწავლებლები თავადაც იაზრებენ და აღნიშნავენ, რომ განმავითარებელი შეფასების კომპონენტი დასახვეწია. **2.2.1.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია**.

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - მე და საზოგადოების საგნობრივ კურიკულუმებში ერთეული სახით წარმოდგენილ კურიკულუმებში არის საკვანძო შეკითხვები, სამიზნე ცნების კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები, პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასასმელი შეკითხვები, შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეში სწავლის-სწავლის, რეფლექსიის, თვითრეგულირებული სწავლის უნარების განვითარებას, მაგრამ აქაც გამოწვევაა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპლექსური დავალებების ერთ შეთხვევაში ფრაგმენტულობა, ხოლო მეორე შემთხვევაში არარსებობა. გარდა ამისა, წარმოდგენილი მტკიცებულებებში არ ჩანს თანატოლთა შეფასებისა და თვითშეფასების მაგალითები. სასურველია კურიკულუმების კომპლექსური ბუნების დავალებებით გამდიდრება და, ასევე, კლასგარეშე აქტივობების სახით ესგ-ის ერთ-ერთ პრიორიტეტულ თემაზე სასკოლო პროექტის დაგეგმვა-განხორციელება, ისე, რომ მოსწავლეებს საშუალება ჰქონდეთ მონაწილეობა მიიღონ პროექტის მართვასა და განხორციელებული აქტივობების რეფლექსიაში. **2.2.1.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**უცხოური ენები** - წარმოდგენილ უცხოური ენების საგნობრივ კურიკულუმებში უმრავლეს კლასებში სწავლა ხორციელდება კომპლექსური ტიპის დავალებებით, რომელშიც გათვალისწინებულია საკვანძო შეკითხვები, რომელიც გასდევს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესს, სწორედაც სწავლის -სწავლის სტრატეგიები. კომპლექსური ტიპის დავალებებზე მუშაობისას ასევე წახალისებულია მოსწავლის ფიქრი იმაზე, თუ რა არის მისი მიზანი, რამდენად ეფექტურია მის მიერ შერჩეული სტრატეგიები და სხვა. მასწავლებლების მიერ შექმნილ თემატურ გეგმებში სწავლების დაწყებით საფეხურზე გათვალისწინებულია სქემებითა და დიაგრამებით მუშაობა, რაც თავის მხრივ მეტაკოგნიტური უნარების გაუმჯობესებაზეა მიმართული. მასწავლებლების პორტფოლიოებში წარმოდგენილი გაკვეთილის გეგმებისა და შეფასების ფორმებზე (მოსწავლეთა წერილობითი თვითშეფასება, კომპლექსური დავალების შესრულების ზეპირი რეფლექსია) დაყრდნობითაც მტკიცდება, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.

**2.2.1.3. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**ესთეტიკური აღზრდა** -ინტერვიუდან და პორტფოლიოებში წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე; **2.2.1.3. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**ტექნოლოგიები** - წარმოდგენილ მასალებში, მათ შორის თანდართულ ტექნოლოგიების მატრიცაში, აღწერილია ცოდნის სამ კატეგორიაზე გათვლილი ეტაპები, თანდათულია მოსწავალეთა ნამუშევრები, რომლებიც მოწმობს ამ პროცესების მხარდაჭერას სკოლაში.

**2.2.1.3. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**სახელმწიფო ენა** -კათედრას დაგეგმილი აქვს, რომ სწავლა-სწავლების პროცესი წარმართოს კომპლექსური დავალებებით, ამ მეთოდით სწავლება კი მიმდინარეობს შეფასების კომონენტებში ზემოთ ჩამოთვლილი სწავლების ხუთი პრინციპის დაცვით. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მომავალი 2023-2024 სასწავლო წლიდან ყველა თემის ფარგლებში



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპლექსური დავალების ბანკიდან შეარჩევენ კომპლექსურ დავალებებს, რათა მოსწავლეებს მისცენ აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართულობის შესაძლებლობა. **2.2.1.3. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**მათემატიკა** -როგორც ირკვევა, სკოლაში საკმაოდ კარგად ხორციელდება კომპლექსური დავალებები, რაც ნამდვილად გულისხმობს კეთებით სწავლას **2.2.1.3. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**სპორტი** -სწავლა-სწავლების პროცესში სკოლაში აქცენტები კეთდება ისეთი რესურსების გამოყენებაზე, რომელიც მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების, ორგანიზებულობის და თვითკონტროლის, ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. **2.2.1.3. ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების მასწავლებლები შემაჯამებელ სამუშაოებსა და კომპლექსურ დავალებებში იყენებენ ძირითადად, დეკლარატიულ ცოდნას, თუმცა კომპლექსური დავალებების ბარათებში აქვთ როგორც სამიზნე ცნებებსა და ცოდნის სამივე კატეგორიაზე გამავალი, ასევე მეტაკოგნიტური უნარების შემამოწმებელი კითხვები. **2.2.1.4. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - სასწავლო პროცესის დეკლარატიულ, პროცედურულ და პირობისეულ ცოდნაზე ორიენტირებულობა პირდაპირ კავშირშია საგან მე და საზოგადოების კომპლექსურ დავალებებში გაწერილ სამიზნე ცნების კონსტრუირებაზე ორიენტირებულ შეკითხვებთან, თუმცა კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ აქაც ერთგვარი გამოწვევაა კომპლექსური დავალებების ერთ შეთხვევაში ფრაგმენტულობა, ხოლო მეორე შემთხვევაში (ჩვენი საქართველო) არარსებობა, რადგან ეროვნული სასწავლო გეგმა ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის კარგ მაგალითად განიხილავს პროექტული, პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელებას. სასურველია კურიკულუმების კომპლექსური ბუნების დავალებებით გამდიდრება და, ასევე, კლასგარეშე აქტივობების სახით ესგ-ის ერთ-ერთ პრიორიტეტულ თემაზე სასკოლო პროექტის დაგეგმვა-განხორციელება, ისე, რომ მოსწავლეებს საშუალება ჰქონდეთ მონაწილეობა მიიღონ პროექტის მართვასა და განხორციელებული აქტივობების რეფლექსიაში. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. **2.2.1.4. ინდიკატორი შესაბამისობაშია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**უცხოური ენები** - უცხოური ენის წარმოდგენილ თემატური გეგმებზე, კომპლექსური ტიპის დავალებებზე და მოსწავლეთა ნამუშევრებზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. სახელმძღვანელოში მოცემულ ყველა თავში, მოსწავლე ჯერ ამუშავებს ფაქტობრივ მასალას, ეცნობა ინფორმაციებს როგორც სახელმძღვანელოდან, ასევე სხვა მითითებული წყაროებიდან. როგორც კათედრის პირველი სემესტრის ანგარიშში განმარტავენ მოსწავლეებს არ აქვთ პრობლემები ტექსტზე მუშაობასთან დაკავშირებით (დეკლარატიული ცოდნა). მოსწავლეები ასევე განიხილავენ ცხოვრებისეული კონტექსტის მქონე მაგალითებს (პირობისეული ცოდნა) და იწყენებ ფიქრს იმაზე, თუ სად და როგორ გამოიყენონ ცოდნა (პროცედურული ცოდნა), რაშიც მათ თავისდაუნებურად კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტზე მუშაობის ეტაპი ეხმარება. **2.2.1.4. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**2.2.1.4. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**ესთეტიკური აღზრდა** -ინტერვიუდან და პორტფოლიოებში წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე **2.2.1.4. ინდიკატორი შესაბამისობაშია**;

**ტექნოლოგიები** -წარმოდგენილი დოკუმენტაციით, კერძოდ ტექნოლოგიების საგნის თემატური მატრიცით, ჩანს, რომ სასწავლო პორცესში ხდება ცოდნის ორგანიზება, თემები გამომდინარეობს ცნებებიდან. **2.2.1.4. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**სახელმწიფო ენა** -კათედრას დაგეგმილი აქვს, რომ სწავლა-სწავლების პროცესი წარმართოს კომპლექსური დავალებებით, ამ მეთოდით სწავლება კი მიმდინარეობს შეფასების კომპონენტებში ზემოთ ჩამოთვლილი სწავლების ხუთი პრინციპის დაცვით. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს,რომ მომავალი 2023-2024 სასწავლო წლიდან ყველა თემის ფარგლებში კომპლექსური დავალების ბანკიდან შეარჩევენ კომპლექსურ დავალებებს, რათა მოსწავლეებს მისცენ აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართულობის შესაძლებლობა. **2.2.1.4. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**მათემატიკა** - წარმოდგენილ მასალებში, მოსწავლეთა ნამუშევრებშ ი და საკლასო აქტივობებში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია სამივე ცოდნის კატეგორიაზე.**2.2.1.4. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**სპორტი** - სკოლის ფიზიკური აღზრდის პედაგოგების მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი მომავალში საჭიროებს დახვეწას, რათა უზრუნველყოს მოსწავლეების მიერ თეორიული ცოდნის გამოყენება ფიზიკურ აქტივობებში და მათი გადატანა ახალი აქტივობების შესწავლის პროცესში, რომელიც ორიენტირებული იქნება ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);**2.2.1.4. ინდიკატორი შესაბამისობაშია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების მასწავლებლები მეტნაკლებად იყენებენ ისეთ სტრატეგიებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. პედაგოგებს აქვთ თანამშრომლობა საბაზო-საშუალო საფეხურის ბიოლოგიის, ქიმიისა და ფიზიკის პედაგოგებთან და იღებენ მათგან რჩევებს.**2.2.1.5. ინდიკატორი შესაბამისობაშია**.

**საზოგადოებრივი მეცნიერებები -** საგან მე და საზოგადოების კურიკულუმში ერთი თემის ფარგლებში სკოლას აქვს კომპლექსური დავალების განხორციელების პრაქტიკა, რაც თავისი ბუნებით უზრუნველყოფს მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას, თუმცა კიდევ უნდა გაესვას ხაზი, რომ თითო კლასში მხოლოდ ერთი კომპლექსური დავალება მუშავდება, ხოლო ჩვენი საქართველოს კურიკულუმში აცერთი კომპლექსური ტიპის დავალება არ არის განსაზღვრული. **2.2.1.5. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

დამრიგებლის პორტფოლიოში გაწერილია არაფორმალური ხასიათის პროექტები/ღონისძიებები/აქტივობები მათი განხორციელების ამსახველი ანგარიშითა და ფოტომასალით, რაც ხელს უწყობს ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენებას. სასურველია კურიკულუმების კომპლექსური ბუნების დავალებებით გამდიდრება და, ასევე, კლასგარეშე აქტივობების სახით ესგ-ის ერთ-ერთ პრიორიტეტულ თემაზე სასკოლო პროექტის დაგეგმვა-განხორციელება, ისე, რომ მოსწავლეებს საშუალება ჰქონდეთ მონაწილეობა მიიღონ პროექტის მართვასა და განხორციელებული აქტივობების რეფლექსიაში **2.2.1.5. ინდიკატორი შესაბამისობაშია**.

**უცხოური ენები** - უცხოური ენის კათედრის სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარება. ასევე, თავად შერჩეულ სახელმძღვანელოებში მოცემულ თემატურ ერთეულებში გათვალისწინებულია ინტეგრირებული თემები. კერძოდ: გარემო, ტექნოლოგიები, ხელოვნება და სხვა. საგანთა შორის კავშირები იკვეთება ასევე მასწავლებლების მიერ წარმოდგენილ გაკვეთილის გეგმებში. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში მოსწავლეს უხდება საკუთარი მოსაზრების დასაბუთება, სხვისი მოსაზრების გათვალისწინება, გამოსავლის ძიება, რაც მას ცოდნის ორგანიზების გამოცდილებას სძენს. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. **2.2.1.5. ინდიკატორი შესაბამისობაშია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ესთეტიკური აღზრდა** -ინტერვიუდან და პორტფოლიოებში წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე გამოჩნდა, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). **2.2.1.5. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**ტექნოლოგიები** -რადგან, საგნობრივი კურიკულუმი არ მოიცავს შესასრულებელი კომპლექსური დავალებების ჩამონათვალს, რთულია იმის თქმა, რომ აქტივობები, რომლებიც დაგეგმილია სკოლაში, იძლევა საშუალებას განხორციელდეს მოსწავლეთა ცოდნათა ურთიერთდაკავშირება. **2.2.1.5. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**სახელმწიფო ენა** -კათედრას დაგეგმილი აქვს, რომ სწავლა-სწავლების პროცესი წარმართოს კომპლექსური დავალებებით, ამ მეთოდით სწავლება კი მიმდინარეობს შეფასების კომპონენტებში ზემოთ ჩამოთვლილი სწავლების ხუთი პრინციპის დაცვით. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მომავალი 2023-2024 სასწავლო წლიდან ყველა თემის ფარგლებში კომპლექსური დავალების ბანკიდან შეარჩევენ კომპლექსურ დავალებებს, რათა მოსწავლეებს მისცენ აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართულობის შესაძლებლობა. **2.2.1.5. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**მათემატიკა** - წარმოდგენილ მასალაში ნაწილობრივ ჩანს, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. **2.2.1.5. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**სპორტი** -ფიზიკური აღზრდის საგნობრივი კურიკულუმები და მასში გაწერილი კომპლექსური დავალებები, რომლის გადამუშავების მზაობას და სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანას გამოხატავს სკოლის ფიზიკური აღზრდის პედაგოგი, ხელს შეუწყოფს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. **2.2.1.5. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- მასწავლებლების პორტფოლიოები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კათედრების პორტფოლიოები.
- საგნობრივი კურიკულუმები;
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შემაჯამებელი დავალებების ანალიზი;
- მასწავლებელთა პორტფოლიოები;
- მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი და ანგარიში.
- ინტერვიურება.

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - კურიკულუმების მიხედვით იკვეთება, რომ დაწყებით საფეხურზე დანერგილია კომპლექსური დავალებები და თემატური მატრიცები. მასწავლებლებთან ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ მათ ბოლომდე არ აქვთ გათავისებული სამიზნე ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები. დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმებში არაა წარმოდგენილი განხორციელებული კომპლექსური დავალებების რეფლექსიები, არის მხოლოდ გაკვეთილის შემდგომი რეფლექსიები და შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზი. **2.2.2.1. ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით სამიზნე ცნებებისა და მის მკვიდრი წარმოდგენების გათავისების შესაძლებლობა მხოლოდ ფრაგმენტულად არის შესაძლებელი მე-3 კლასის საგან მე და საზოგადოების ერთეული კომპლექსური დავალების ფარგლებში, რომელშიც გაწერილია სამიზნე ცნება, კომპლექსური დავალების პირობაში ცნების მკვიდრი წარმოდგენების საფუძველზე კი შეფასების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრიტერიუმები (ნაშრომში ხაზგასმით წარმოაჩინეთ), მაგრამ სხვაგან არსად იკვეთება კავშირი სამიზნე ცნებებსა და მის მკვიდრ წარმოდგენებთან. მთლიან საგნობრივ კურიკულუმებში კი მხოლოდ სტანდარტის შედეგებია გაწერილი. აქედან გამომდინარე, სასწავლო პროცესი ფრაგმენტულად უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. სასურველია კურიკულუმების კომპლექსური ბუნების დავალებებით გამდიდრება და, ასევე, კლასგარეშე აქტივობების სახით ესგ-ის ერთ-ერთ პრიორიტეტულ თემაზე სასკოლო პროექტის დაგეგმვა-განხორციელება. **2.2.2.1. ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**უცხოური ენები** - წარმოდგენილი გრძელვადიანი მიზნები ხშირ შემთხვევაში ვერ მოდის კორელაციაში შუალედურ მიზნებთან. ხშირ შემთხვევაში საგნის სწავლების შედეგები მითითებულია ძველი (არამოქმედი) ეროვნული სასწავლო გეგმიდან. ასევე უმეტეს შემთხვევაში, შუალედურ მიზანში (კომპლექსურ დავალებაში) მოხსენიებულია სამიზნე ცნებები სხვა სახელწოდებით, ვიდრე საგნობრივ და მასწავლებლის სამოქმედო გეგმებში. ამ უკანასკნელში სამიზნე ცნებები მითითებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ხდება მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბება, დანაწევრებით მიღებული ცოდნის გამთლიანება, მაგრამ დანამდვილებით ამის თქმა რთულია. მიზანშეწონილია, სასკოლო კურიკულუმი აგებული იყოს მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმის (რომლის დანერგვაც ეტაპობრივად დაიწყო 2018 წლიდან) მიხედვით და გათვალისწინებული იყოს შესაბამისი სამიზნე ცნებები და მისაღწევი შედეგები, რათა დადგინდეს როგორ ხდება სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

**სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 12.07.2023-30.11.2023) - ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი.სკოლამ უზრუნველყოს კურიკულუმის შედგენა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად., რათა გათვალისწინებულ იქნას სამიზნე ცნებები და მისაღწევი შედეგები.**

**ესთეტიკური აღზრდა** -მასწავლებლების პორტფოლიოებში და ინტერვიუებიდან გამოჩნდა, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;**2.2.2.1. ინდიკატორი შესაბამისობაშია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ტექნოლოგიები** -წარმოდგენილ საგნის თემატურ გეგმაში გაწერილია როგორც გრძელვადიანი მიზნები, ასევე საკითხები, გაწერილია საკითხებზე მიბრუნების მიმართულება, სწავლების წლების მიხედვის, საკითხის სიღრმისეულად შესასწავლად. თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, არ ჩანს კომპლექსური დავალებები, მხოლოდ საკითხების ჩამონათვალია. **2.2.2.1. ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**სახელმწიფო ენა** -სასწავლო პროცესი, კურიკულუმის შესაბამისად, არ უზრუნველყოფს სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; არსებული სასწავლო პროგრამები არ აკმაყოფილებს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა არ აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 12.07.2023-30.11.2023) - ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი. სკოლამ უზრუნველყოს კურიკულუმის შედგენა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად.**

**მათემატიკა** -კურიკულუმი ასევე სასწავლო პროექტები ისეა წარმოდგენილი, რომ ნამდვილად იძლევა სამიზნე ცნებების და მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;**2.2.2.1. ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**სპორტი** - სკოლის ფიზიკური აღზრდის სასწავლო პროცესი აუცილებელია ეფუძნებოდეს მეთოდოლოგიურად გამართულ კურიკულუმებს. რომლებშიც ნათლად იქნება ასახული თუ როგორ ხდება სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; ამის მისაღწევად, სკოლის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები მოითხოვს გადამუშავებას რომლის მზაობასაც გამოხატავს პედაგოგი. **2.2.2.1. ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - დაწყებით საფეხურზე საგნობრივი კონტექსტები ძირითადად ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. I-IV კლასის ბუნებისმეტყველების მასწავლებლები ამავდროულად არიან დამრიგებლებიც, ამიტომ ისინი ზრუნავენ მოსწავლეთა განვითარებაზე, უსაფრთხოებაზე, მიკუთვნების გრძნობის გამომუშავებაზე. **2.2.2.2. ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას ემსახურება წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები და მასში გაწერილი საკვანძო შეკითხვები, შეფასების კრიტერიუმები, თუმცა როგორც უკვე რამდენჯერმე აღინიშნა, ასეთი ტიპის დავალებები ერთეული სახითაა წარმოდგენილი, ხოლო საგან ჩვენი საქართველოს კურიკულუმში საერთოდ არ არის გაწერილი. სასურველია კურიკულუმების კომპლექსური ბუნების დავალებებით



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამდიდრება და, ასევე, კლასგარეშე აქტივობების სახით ესგ-ის ერთ-ერთ პრიორიტეტულ თემაზე სასკოლო პროექტის დაგეგმვა-განხორციელება. **2.2.2.2. ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**უცხოური ენები** - წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმზე, მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებზე, სასწავლო პროცესში გამოყენებულ აქტივობებსა და მასწავლებლის პორტფოლიოზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. აქცენტი კეთდება არა მარტო ცოდნის მიწოდებაზე, არამედ საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე. **2.2.2.2. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**ესთეტიკური აღზრდა** -პორტფოლიოებში წარმოდგენილი დავალებები ეხმარება მოსწავლის პიროვნული სოციო-ფსიქოლოგიურ განვითარებას **2.2.2.2. ინდიკატორი შესაბამისობაშია.** .

**ტექნოლოგიები** -მასწავლებელთა პორტფოლიოში, ასევე სკოლის 7 წლიან სამუშაო გეგმაში, გაწერილია სამომავლოდ რუბრიკების და შეფასების მექანიზმების განხორციელება სკოლაში. შესაბამისად, აღწერის მიხედვით შეფასება უნდა იყოს ვალიდური. **2.2.2.2. ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**სახელმწიფო ენა** - საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებას. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ახორციელებენ ისეთ აქტივობებს, სასწავლო და სოციალურ პროექტებს, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია მოსწავლეთა ფსიქო-სოციალური განვითარება. გასაუბრების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ხელას უწყობენ მოსწავლეთა სოციო-ემოციურ განვითარებას, მოსწავლეებს უვითარდებათ თვითშეფასებისა და თვითრეგულაციის უნარები. მოსწავლე სწავლობს პოზიტიური ურთიერთობების დამყარებას, გუნდურ მუშაობას, სტრესული და კონფლიქტური სიტუაციების, საკუთარი ემოციებისა და ქცევების მართვას. **2.2.2.2. ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**მათემატიკა** -ჩანს ნაწილობრივ წარმოდგენილ დოკუმენტებში, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები რაც დოკუმენტებშია წარმოდგენილი, იძლევა ამის საფუძველს.**2.2.2.2. ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**სპორტი** -საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. მასწავლებლის ინტერვიუდან გამომდინარე, დაწყებით საფეხურზე მასწავლებელი ცდილობს აქტივობები დაგეგმოს სკოლის სპორტის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინფრასტრუქტურის და რესურსების შესაბამისად, მოსწავლეთა ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინებით.**2.2.2.2. ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები ბუნდოვანია, არაა მკაფიოდ გაწერილი კრიტერიუმები, რომლებიც გადის სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებზე. არის მცდელობა, რომ შეფასების რუბრიკები მოარგონ სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიას. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 12.07.2023-30.11.2023)- ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი. დაწესებულებამ უზრუნველყოს შეფასების სისტემის ორიენტირება მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე - სკოლამ შეადგინოს შესაბამისი შეფასების რუბრიკები.**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - სკოლას წარმოდგენილი აქვს სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია (სოლო ტაქსონომია), რომელსაც ეროვნული სასწავლო გეგა მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განიხილავს, თუმცა მასწავლებელს, განმავითარებელი შეფასების სახით, ცხრილში გაწერილი აქვს მხოლოდ ერთი აბსტრაქტული დონის აღწერილობა. აქედან გამომდინარე, რთულია მიხვედრა მასწავლებელს როგორ აქვს წარმოდგენილი და დაგეგმილი ცოდნის კონსტრუირების საფეხურების დეკლარატიული ცოდნიდან პირობისულ ცოდნამდე მისასვლელი ნაბიჯები და ჰოლისტურად შეფასება. **სასურველია** სოლო ტაქსონომიის ყველა დონის სრულად გაწერა. **2.2.2.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**უცხოური ენები** - მასწავლებელთა პორტფოლიოებში წარმოდგენილია მოსწავლის შეფასების რუბრიკები. ინგლისურ ენაში მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილია მოსწავლის სოლო ტაქსონომიით შეფასება. **2.2.2.3. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**ესთეტიკური აღზრდა** -ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ შეფასებისას იყენებენ განმავითარებელ შეფასებას სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე, სტანდარტის შედეგებზე და ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიაზე დაყრდნობით, რომელიც ხუთ დონეს გულისხმობს და ასახავს ცოდნის კრიტერიუმების საფეხურებს დეკლარატიული ცოდნიდან პირობისეულ ცოდნამდე. **2.2.2.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**ტექნოლოგიები** -სკოლაში შემუშავებული მიდგომების მიხედვით, რაც კათედრის ოქმებიდან იკითხება, და ასევე მასწავლებელთა პორტფოლიოებიდან, ყველა სასწავლო აქტივობა მიმართულია მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების მხარდასაჭერად. **2.2.2.3. ინდიკატორი შესაბამისობაშია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**სახელმწიფო ენა** -სკოლას ნაწილობრივ განსაზღვრული აქვს შეფასების ინსტრუმენტები, ნაწილს კი სამომავლოდ შექმნის მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის გათვალისწინებით. კათედრაზე შექმნიან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს კონკრეტული თემისა და დავალებისათვის. მომავალი სასწავლო წლისთვის სკოლა განსაზღვრავს, თუ შეფასების რომელი მოდელით აპირებენ მუშაობას, ასევე დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტს. **2.2.2.3. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**მათემატიკა** -მასალაში წარმოდგენილია როგორც მოსწავლეთა ნამუშევრები, ასევე შეფასების მასალები, რაც იძლევა იმის საფუძველს, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებული გახადოს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე; **2.2.2.3. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**სპორტი** -სკოლის მიერ წარმოდგენილი ფიზიკური აღზრდის განმავითარებელი შეფასების რუბრიკა .არის ჰოლისტური ხასიათის და მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. ფიზიკურ აღზრდაში განმავითარებელი შეფასების გამოყენება და საგაკვეთილო პროცესში სიტყვიერი კომენტარები, რომელსაც იყენებენ მასწავლებლები, დაეხმარება მოსწავლეებს ფიზიკური თვისებების, ორგანიზებულობის და თვითკონტროლის, ჯანსაღი ცხოვრები წესის პრინციპების გაცნობიერებაში. **2.2.2.3. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - დაწყებით საფეხურზე ბუნებისმეტყველების შეფასების სისტემა აქტიურად იყენებს განმავითარებელ შეფასებას. შეფასების კრიტერიუმები რიგ შემთხვევაში ნაკლებ ვალიდურია. **2.2.2.4 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - სკოლას წარმოდგენილი აქვს სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია (სოლო ტაქსონომია), თუმცა მასწავლებელს, განმავითარებელი შეფასების სახით, ცხრილში გაწერილი აქვს მხოლოდ ერთი აბსტრაქტული დონის აღწერილობა. რაც ხელს ვერ უწყობს სასკოლო საზოგადოების მხრიდან შეფასების სისტემის სათანადოდ აღქმა-გააზრებას. მასწავლებლის მიერ დაწერილ ჩატარებული გაკვეთილის რეფლექსიებში აღნიშნულია, რომ მოსწავლეებს თავიდანვე გააცნო შეფასების კრიტერიუმები, რომელიც ყველა მოსწავლისთვის გასაგები და მისაღები იყო და ასევე, ხაზგასმულია, რომ შეთანხმებული რუბრიკითა და კრიტერიუმებით მოხდა გაკვეთილზე შეფასებები/უკუკავშირი. თუმცა, წარმოდგენილ დოკუმენტებში არ არის მკაფიო მტკიცებულებები ამ პროცესის თვალსაჩინოებისთვის. ასევე, არ ჩანს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეთა/სასკოლო საზოგადოების ურთიერთშეფასებისა და თვითსეფასების პრაქტიკა, არც მოსწავლეების ჩართულობა შეფასების დიზანის შემუშავებაში. მიზანშეწონილია შეფასების და თვითშეფასების რუბრიკების შემუშავებაში მოსწავლეთა და სასკოლო საზოგადოების ჩართულობა. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 12.07.2023-30.11.2023- ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი. სკოლამ უზრუნველყოს შეფასების რუბრიკების შემუშავება მოსწავლეთა ჩართულობით, ასევე, დანერგოს მოსწავლეთა/სასკოლო საზოგადოების ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების პრაქტიკა.**

**უცხოური ენები** -უცხოური ენის კათედრამ სასწავლო წლის დასაწყისში იმსჯელა შეფასების სისტემის გამჭვირვალეობის მნიშვნელობაზე. იგივე პრინციპი იკითხება 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაშიც. კერძოდ: მოსწავლეებისთვის წინასწარ უნდა იყოს ცნობილი შეფასების მექანიზმი, შეფასების კრიტერიუმები უნდა მოიცავდეს არა მარტო ცოდნის, არამედ პროცესის შეფასებას. შემაჯამებელი სამუშაოების დაგეგმვის, წარმართვის და მონიტორინგი მიზნით სკოლა-ლიცეუმში შემუშავებულია მექაზნიზმი. სკოლის სასწავლო პროცესისა და ხარისხის მართვის მენეჯერთან. მონიტორინგისთვის შეარჩევს თითოეული საგნობრივი კათედრიდან ერთ შემაჯამებელ დავალებას. შემაჯამებელი სამუშაოს თარიღამდე არაუგვიანეს 5 დღისა, მასწავლებელი მონიტორინგის ჯგუფს აწვდის:  მისაღწევ შედეგებს ინდიკატორების მითითებით ესგ-დან, რომლის მიღწევის შეფასებაც დაისახა მიზნად აღნიშნული შემაჯამებელი სამუშაოთი;  თავად შემაჯამებელი სამუშაოს დავალებებს (საბოლოო ვერსიას);  თითოეული დავალების შეფასების რუბრიკას; შემაჯამებელი სამუშაოს თარიღამდე არაუგვიანეს 2 დღისა:  მასწავლებელი, საჭიროების შემთხვევაში, დირექციისგან იღებს და ითვალისწინებს რეკომენდაციებს. შემაჯამებელი სამუშაოს პროცესში, შემაჯამებელი სამუშაოს პროცესის ობიექტურად მიმდინარეობის მონიტორინგის მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია, მოხდეს მონიტორინგის ჯგუფის წევრის დასწრება შემაჯამებელი სამუშაოს მიმდინარეობაზე; შემაჯამებელი სამუშაოს ჩატარების შემდეგ, შემაჯამებელი სამუშაოს ობიექტურად შეფასების მიზნით, შესაძლებელია ადმინისტრაციამ შემთხვევითობის პრინციპით შეამოწმოს მასწავლებლის მიერ შეფასებული შემაჯამებელი სამუშაო/სამუშაოები. მასწავლებლები ყველა მტკიცებულებას აგროვებენ და ინახავენ, რათა საბოლოო შედეგების დადასტურებისას არგუმენტირებულად წარმოადგინონ პოზიცია. მაგალითად: ზეპირი გამოკითხვის დროს მტკიცებულება იქნება ვიდეოჩანაწერი, წერილობითი დავალების დროს – გასწორებული ნამუშევრები, პროექტის განხორციელების შემთხვევაში – მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები და ა. შ. მასწავლებელი, კათედრის ხელმძღვანელთან ერთად იღებს უკუკავშირს მონტორინგის ჯგუფისგან შემაჯამებელი სამუშაოს ყველა ეტაპთან დაკავშირებით; მონიტორინგის შედეგებს განიხილავს საგნობრივი კათედრა, მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით შემაჯამებელი სამუშაოების დაგეგმვის, წარმართვის და მონიტორინგი მიზნით სკოლა-ლიცეუმში შემუშავებულია მექანიზმი.სკოლის სასწავლო პროცესისა და ხარისხის მართვის მენეჯერთან. მონიტორინგისთვის შეარჩევს თითოეული საგნობრივი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კათედრიდან ერთ შემაჯამებელ დავალებას. შემაჯამებელი სამუშაოს თარიღამდე არაუგვიანეს 5 დღისა, მასწავლებელი მონიტორინგის ჯგუფს აწვდის:  მისაღწევ შედეგებს ინდიკატორების მითითებით ესგ-დან, რომლის მიღწევის შეფასებაც დაისახა მიზნად აღნიშნული შემაჯამებელი სამუშაოთი;  თავად შემაჯამებელი სამუშაოს დავალებებს (საბოლოო ვერსიას);  თითოეული დავალების შეფასების რუბრიკას; შემაჯამებელი სამუშაოს თარიღამდე არაუგვიანეს 2 დღისა:  მასწავლებელი, საჭიროების შემთხვევაში, დირექციისგან იღებს და ითვალისწინებს რეკომენდაციებს. შემაჯამებელი სამუშაოს პროცესში:  შემაჯამებელი სამუშაოს პროცესის ობიექტურად მიმდინარეობის მონიტორინგის მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია, მოხდეს მონიტორინგის ჯგუფის წევრის დასწრება შემაჯამებელი სამუშაოს მიმდინარეობაზე; შემაჯამებელი სამუშაოს ჩატარების შემდეგ:  შემაჯამებელი სამუშაოს ობიექტურად შეფასების მიზნით, შესაძლებელია ადმინისტრაციამ შემთხვევითობის პრინციპით შეამოწმოს მასწავლებლის მიერ შეფასებული შემაჯამებელი სამუშაო/სამუშაოები. მასწავლებლები ყველა მტკიცებულებას აგროვებენ და ინახავენ, რათა საბოლოო შედეგების დადასტურებისას არგუმენტირებულად წარმოადგინონ პოზიცია. მაგალითად: ზეპირი გამოკითხვის დროს მტკიცებულება იქნება ვიდეოჩანაწერი, წერილობითი დავალების დროს – გასწორებული ნამუშევრები, პროექტის განხორციელების შემთხვევაში – მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები და ა. შ. მასწავლებელი, კათედრის ხელმძღვანელთან ერთად იღებს უკუკავშირს მონი-ტორინგის ჯგუფისგან შემაჯამებელი სამუშაოს ყველა ეტაპთან დაკავშირებით;  მონიტორინგის შედეგებს განიხილავს საგნობრივი კათედრა, მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით. **2.2.2.4. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**ესთეტიკური აღზრდა** -მასწავლებლების პორტფოლიოში, ასევე სკოლის 7 წლიან სამუშაო გეგმაში გაწერილია სამომავლოდ რუბრიკების და შეფასების მექანიზმების განხორციელება სკოლაში. შესაბამისად, აღწერის მიხედვით შეფასება უნდა იყოს ვალიდური. აქედან გამომდინარე ერთობლივად შემუშავებული შეფასების სისტემა ობიექტურია. შეფასების სისტემის ვალიდურობაზე/გამჭირვალობაზე/სანდოობაზე /ობიექტურობაზე/სამართლიანობაზე მეტყველებს მკაფიოდ გაწერილი შეფასების რუბრიკები და კრიტერიუმები, რომელიც მოსწავლეებისათვის მარტივი ენითაა ჩამოყალიბებული, ადვილად გასაგები და მისაწვდომია. მათ ზუსტად იციან, როგორ ფასდება და რა მიზნისკენაა მიმართული შეფასება. **2.2.2.4. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**ტექნოლოგიები** -მასწავლებელთა პორტფოლიოში, ასევე, სკოლის 7 წლიან სამუშაო გეგმაში, გაწერილია სამომავლოდ რუბრიკების და შეფასების მექანიზმების განხორციელება სკოლაში. შესაბამისად, აღწერის მიხედვით შეფასება უნდა იყოს ვალიდური. აქედან გამომდინარე, ერთობლივად შემუშავებული შეფასების სისტემა ობიექტურია. **2.2.2.4. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**სახელმწიფო ენა** -სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს შექმნილი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შედეგების ინდიკატორებზე დაყრდნობილი შეფასების რუბრიკები. შესაბამისად, ამ ეტაპზე ძნელია იმის განსაზღვრა, თუ რამდენად ვალიდური,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანია სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 12.07.2023-30.11.2023- ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი. დაწესებულებამ უზრუნველყოს შეფასების რუბრიკების შემუშავება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა შესაბამისად.**

**მათემატიკა** -მოსწავლეთა ნამუშევრებზე და ამ ნამუშევრების შესაბამის შეფასებებზე შეიძლება ითქვას, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი; **2.2.2.4. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**სპორტი** -სკოლის ავტორიზაციის განაცხადზე დაყრდნობით, სკოლის შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა კი ითვალისწინებს შეფასების სისტემის განვითარებასა და დახვეწას, საგანში - ფიზიკური აღზრდა, შეფასების კრიტერიუმები და სქემები მეტ-ნაკლებად არის სანდო, ობიექტური. **2.2.2.4. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

5. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის მექანიზმები: დაწყებითი კათედრის მასწავლებლები ახდენენ გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებას, შემუშავებული აქვთ ურთიერთდასწრების ფორმები, ახდენენ ჩატარებული გაკვეთილების, შემაჯამებელი სამუშაოებისა. სკოლაში ამ ეტაპზე არაა დანერგილი სადიაგნოსტიკო შეფასება. **2.2.2.5. ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - წარმოდგენილი დოკუმენტაციით სკოლას არ აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი და მიზანშეწონილია სკოლამ შეიმუშაოს შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციის მექანიზმი, რომლის საშუალებითაც უზრუნველყოფს სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემის დახვეწა-განვითარებას. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (დასრულებულია - 14.07.2023)- ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

**უცხოური ენები** - წარმოდგენილ დოკუმენტაციას თან ახლავს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. სადაც საუბარია შეფასების სისტემის ვალიდურობაზე, სანდოობაზე, გამჭვირვალეობაზე, სამართლიანობაზე და ობიექტურობაზე. გამჭვირვალეობის მუხლი მოიცავს შემდეგ რეკომენდაციებს: „მასწავლებლები მოსწავლეებთან ერთად ქმნიან შეფასების კრიტერიუმებს; მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმები გამოკრულია საკლასო ოთახში; შეფასების კრიტერიუმები და სქემები ცნობილია ყველასთვის; პედაგოგები მშობელთა პირველივე კრებაზე აცნობს მშობლებს მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმებს.“



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვერიფიკაციის მექანიზმი იკითხება ასევე სასკოლო სასწავლო გეგმაში, კათედრის სამოქმედო გეგმაში, სადაც საუბარია მოსწავლის მიღწევის მონიტორინგზე, კონკრეტულად შემაჯამებელი დავალების ანალიზში. თუმცა ამ შემთხვევაშიც საჭიროა უფრო მეტად ჰოლისტური მიდგომა. მიზანშეწონილია, შედგეს ვერიფიკაციის მექანიზმის უფრო დეტალური აღმწერი დოკუმენტი. მან უნდა მოგვცეს ინფორმაცია სამი მიმართულებით: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია (როგორც ამ კონკრეტულ შემთხვევაში მოცემულია შემაჯამებელ დავალებებთან დაკავშირებით), შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 2023 წლის სექტემბრიდან - 2024 წლის ივნისამდე- ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი. სკოლამ უზრუნველყოს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის შედგენა და ამოქმედება.**

**ესთეტიკური აღზრდა** -ინტერვიუირებისას მასწავლებელმა დაადასტურა, რომ შეფასების სისტემის შექმნა ხორციელდება სკოლის, კათედრების დონეზე, ამიტომაც კათედრის წევრები პასუხისმგებელნი არიან ვერიფიკაციის მექანიზმზე. **2.2.2.5. ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**ტექნოლოგიები** -იქიდან გამომდინარე, რომ შეფასების სისტემის შექმნა ხდება სკოლის, კათედრების დონეზე, კათედრის წევრები პასუხისმგებელნი არიან ვერიფიკაციის მექანიზმზე. **2.2.2.5. ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**სახელმწიფო ენა** -სკოლაში არ ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. არ არსებობს მექანიზმი, რომლითაც მოხდება მოსწავლეთა შეფასების გადამოწმება; **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (დასრულებულია - 14.07.2023) - ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

**მათემატიკა** -სკოლამ წარმოადგინა შეფასების მასალები თუმცა წარმოდგენილ დოკუმენტებში არ არის ვერიფიკაციის მექანიზმი.**სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (დასრულებულია - 14.07.2023) - ინდიკატორი ფასდება შესაბამისი.**

**სპორტი** -სკოლაში შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის არსებობა მნიშვნელოვანია. სკოლის ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებების განხორციელება. მიღებულმა შედეგებმა შესაძლებელია მოგვცეს შიდა შეფასებებზე დასკვნების გაკეთების საშუალება. თუმცა, სკოლაში არის შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის გაუმჯობესების პოტენციალი. იგეგმება კათედრებზე მეტი შეხვედრები და ამ მიმართულებით შეფასების რუბრიკების გადამუშავება.**2.2.2.5. ინდიკატორი შესაბამისობაშია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვასა და შენახვას. **2.2.2.6 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - სკოლას აქვს წარმოდგენილი მასწავლებლის პორტფოლიო, დამრიგებლის პორტფოლიო, მოსწავლეთა ნამუშევრების ნიმუშები, მასწავლებლების მიერ შექმნილი აქტივობები/რესურსები და სხვ. **2.2.2.6 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**უცხოური ენები** - წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლა ინახავს შეფასებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას სასკოლო ჟურნალში. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში „სასკოლო შეფასების სისტემა“ საუბარია მხოლოდ მასწავლებელთა შეფასებაზე. მიზანშეწონილია, აღნიშნული დოკუმენტი მოიცავდეს, შემაჯამებელი სამუშაოების, როგორც მტკიცებულების, შენახვის წესსა და ვადას.

**სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები დასრულებულია18.07.2023) - ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

**ესთეტიკური აღზრდა** -სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/ მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და შენახვა არანაკლებ 3 წლის ვადით.**2.2.2.6 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**ტექნოლოგიები** -სკოლა იყენებს შეფასების ელექტრონულ სისტემას, რაც მონაცემების შენახვის საშუალებას იძლევა, გრძელვადიანი პერსპექტივით. **2.2.2.6 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**სახელმწიფო ენა** -სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების /მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას, მოსწავლეთა ნამუშევრების შენახვას 3 წლის ვადით; **2.2.2.6 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**მათემატიკა** - ჩანს წარმოდგენილ დოკუმენტებში, რომ უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. **2.2.2.6 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**სპორტი** - სკოლი დირექტორის მოადგილესთან გასაუბრების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს დაგეგმილი სამომავლოდ შეიმუშავოს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების შენახვის მექანიზმი, სადაც ასევე აისახება ფიზიკური



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღზრდის მასწავლებლის მიერ შექმნილი რესურსი, შემაჯამებლის ანალიზი თუ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები.**2.2.2.6 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საგნობრივი კურიკულუმები;
- სკოლის თვითშეფასების დოკუმენტი;
- მასწავლებლების პორტფოლიოები;
- კათედრის ოქმები;
- სკოლის შვიდ წლიანი გეგმა;
- კლასის დამრიგებლის დებულება;
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზი;
- შეფასების რუბრიკები;
- ინტერვიურება

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3 სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4 უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - დაწყებით საფეხურზე აქტუალურია სკოლას ჰქონდეს მოსწავლის მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, რასაც კარგად ართმევს თავს დაწყებითი საფეხურის თითოეული პედაგოგი. ისინი უზრუნველყოფენ პოზიტიური გარემოს შექმნას საკლასო სივრცეში. **2.2.3.1. ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - წარმოდგენილი მტკიცებულებები, მთლიანობაში, იძლევა იმის თქმის შესაძლებლობას, რომ სკოლაში სასკოლო საზოგადოების წევრების თანამშრომლობითა და პრობლემაზე ორიენტირებით, გაზიარებული პასუხისმგებლობითა და რეფლექსიით მიმდინარეობს სასკოლო ცხოვრების პროცესი, რომელიც ხელს უწყობს მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას. კერძოდ, სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილში მისიის განაცხადში აღნიშნულია, რომ ხელი ეწყობა მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს ჩამოყალიბებას. სკოლას შემუშავებული აქვს დამრიგებლის სამუშაო გეგმა, ინკლუზიური განათლების პროგრამა, სოლო ტაქსონომიის ერთი ნიმუში, კომპლექსური დავალების ანალიზი, შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზი, მასწავლებლის და დამრიგებლის ანგარიშები. საგნობრივ პროგრამებში გაწერილია სავალდებულო თემები, სტანდარტის შედეგები, ფრაგმენტულად წარმოდგენილია კომპლექსური ტიპის დავალებები. **2.2.3.1. ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**უცხოური ენები** -კათედრის სხდომის ოქმებიდან და მასწავლებელთა თვითშეფასებიდან დგინდება, რომ სკოლაში შექმნილია პოზიტიური, მხარდამჭერი სასწავლო გარემო. მათ მიერ შემუშავებული სტრატეგიები და სასწავლო პროგრამები მოსწავლის პიროვნული ზრდის შესაძლებლობას იძლევა. ინგლისური ენის მასწავლებელთა რეფლექსიებიდან იკითხება, რომ კომუნიკაცია აქვთ მშობლებთან, პასუხობენ მათ შეკითხვებს. ინგლისური ენის ერთ-ერთი მასწავლებლის რეფლექსიაზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ იგი ფასილიტატორის როლშია, მუდმივად ეხმარება მოსწავლეებს წამოჭრილი პრობლემის მოგვარებაში. უცხოური ენის კათედრაზე მასწავლებლები თანამშრომლობენ, ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე წინასწარ შემუშავებული განრიგის შესაბამისად, გასცემენ უკუკავშირს. მასწავლებელთა გამოცდილების გაზიარება ასევე ხორციელდება კათედრის სხდომებზე. **2.2.3.1. ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**ესთეტიკური აღზრდა** - როგორც პედაგოგებმა ინტერვიუს დროს განმარტეს, სკოლაში შექმნილია მიმღებლობითი, მეგობრული გარემო. აღნიშნული ფაქტი თვითშეფასების კითხვარშიც ასახულია და აგრეთვე მასწავლებელთა პორტფოლიოებით და კათედრის ოქმებით, ვლინდება სკოლის თანამშრომლობითი გარემო.**2.2.3.1. ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**ტექნოლოგიები** -მასწავლებელთა პორტფოლიოებით და კათედრის ოქმებით, ვლინდება სკოლის თანამშრომლობითი გარემო. **2.2.3.1. ინდიკატორი შესაბამისობაშია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**სახელმწიფო ენა** -სახელმწიფო ენის კათედრა გეგმავს, შექმნას ისეთი გარემო, სადაც უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა მხარდაჭერა და მიმღებლობითი გარემო. **2.2.3.1. ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**მათემატიკა** - სკოლას უზრუნველყოფილი და შექმნილი აქვს ისეთი გარემო რომელიც მოსწავლეთა მხარდაჭერაზეა ორიენტირებული.**2.2.3.1. ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**სპორტი** -სკოლაში ხდება საგნობრივი მუშაობის კოორდინაცია და მონიტორინგი. ამასთან ერთად, სკოლის ერთწლიან და შვიდწლიან გეგმაში ასახულია სპორტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, რაც გააუმჯობესებს სასწავლი პროცესში მიმღებლობით და მხარდამჭერ გარემოს. **2.2.3.1. ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - დაწყებითი საფეხურის პედაგოგები სასწავლო პროცესს წარმართავენ მოსწავლეზე ორიენტირებულად, სწავლების პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლის შესაძლებლობებსა და თავისებურებებს. **2.2.3.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - სკოლას ფრაგმენტულად აქვს კომპლექსური ბუნების დავალებები, სოლო ტაქსონომია, რომლებიც მოსწავლის ინტერესების, საჭიროებებისა და შესაძლებლობების ინდენტიფიცირებისა და მოსწავლეთა პიროვნული განვითარებისთვის შესაბამისი ინტერვენციების დასაგეგმად ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. სადამრიგებლო პროგრამით ჩატარებულია სასკოლო პროექტები, რაც, ასევე, კარგი საშუალებაა მოსწავლეთა სხვადასხვა ინტერესები დასადგენად და დასაკმაყოფილებლად. პროცესი, რომ უფრო მეტად მოსწავლეზე ორიენტირებული გახდეს სასურველია უფრო მეტი კომპლექსური ბუნებისა და პროექტული ტიპის დავალებების გაწერა სასკოლო კურიკულუმში. **2.2.3.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**.

**უცხოური ენები** -.მასწავლებელთა რეფლექსიების ანალიზი გვაძლევს იმის საშუალებას, რომ დავასკვნათ, მათი მხრიდან ხორციელდება დაკვირვება სწავლის პროცესზე და შედეგების ანალიზი.

**2.2.3.2. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**ესთეტიკური აღზრდა** -ინტერვიუდან კარგად გამოჩნდა, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს მოსწავლეზე ორიენტირებულად და შემოქმედებითად - მასწავლებლები და მოსწავლეები ერთობლივად მუშაობენ კლასის საჭიროებებზე. მასწავლებელი უზურნველყოფს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ყველა მოსწავლის ჩართვას სასწავლო პროცესში, რისთვისაც იყენებს კლასის მართვის ეფექტიან სტრატეგიებს **2.2.3.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია**.

**ტექნოლოგიები** -გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და მოტივაცია დავალების პირობაში. **2.2.3.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**სახელმწიფო ენა** -კურიკულუმებში ჩაშენებული რამდენიმე კომპლექსური დავალება, დაგეგმილი პროექტები და აქტივობები იძლევა იმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულად; **2.2.3.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**მათემატიკა** -წარმოდგენილ ნამუშევრებში ნამდვილად გამოკვეთილია, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად, რაც იმას ნიშნავს, რომ სკოლას სრულად აქვს გააზრებული რომ სასწავლო პროცესი უნდა ეფუძნებოდეს მოსწავლეთა მხარდაჭერას.**2.2.3.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**სპორტი** -ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის ინტერვიუდან გამომდინარე, სასწავლო პროცესში ხდება მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება, იგეგმება აქტივობები მოსწავლეთა საჭიროებიდან და შესაძლებლობიდან გამომდინარე . ე.ს.გ. სტანდარტიდან გამომდინარე, გადამუშავებულ კურიკულუმებში კიდევ მეტად იქნება გათვალისწინებული მოსწავლეთა ინიციატივები. **2.2.3.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების მასწავლებლებს აქვთ ურთიერთთანამშრომლობა როგორ ერთმანეთთან, ასევე საბაზო-საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებთან. **2.2.3.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - ურთიერთდასწრების დოკუმენტებით, კათედრის ოქმით, დამრიგებლის პორტფოლიოთი, მასწავლებლის პორტფოლიოთი და იქ არსებული აქტივობებითა და ანგარიშებით სკოლაში გამოკვეთილია თანამშრომლობითი კულტურა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის და გარკვეული რეფლექსია ამ საკითხის ეფექტურობაზე, თუმცა **სასურველი და მნიშვნელოვანია** სკოლამ შეიმუშაოს კვლევის ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც სისტემატურად გამოავლენს ამ მხრივ არსებულ გამოწვევებს და დაგეგმავს შესაბამის ინტერვენციებს თანამშრომლობის პროცესის ეფექტურობის გაზრდის მიზნით. **2.2.3.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**უცხოური ენები** - კათედრის სხდომის ოქმის საფუძველზე ირკვევა, რომ შედგა გრაფიკი, რომლის მიხედვითაც განხორციელდა სემესტრში 1 დასწრება კოლეგის მიერ. კათედრის თავმჯდომარის ანგარიშიდან დგინდება, რომ „გამოვლინდა, რომ მასწავლებლები სათანადო დონეზე მომზადებულნი შედიან გაკვეთილებზე და იყენებენ ყველა არსებულ რესურსებს რესურსებსა და თვალსაჩინო მასალას. სწორადაა შერჩეული შეფასების სისტემები, გამოყენებულია სწავლის ეფექტური ფორმები და მეთოდები“. მეორე სემესტრშიც გაგრძელდა ურთიერთთანამშრომლობა კათედრის წევრ მასწავლებლებს შორის, რაც ხელს შეუწყობდა სასწავლო პროცესის წარმატებულად წარმართვას. **2.2.3.3. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**ესთეტიკური აღზრდა** -ინტერვიუებში იკვეთება, რომ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის დამოკიდებულება მეგობრულია. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ესთეტიკის კათედრაზე საგნობრივ კურიკულუმზე მუშაობისას ითვალისწინებენ სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, ასევე შეფასების რუბრიკების შედგენასა და მოსწავლეთა მიღწევების ანალიზში კარგად არის გამოხატული თანამშრომლობითი კულტურა და კომუნიკაცია. ხდება საგაკვეთილო პროცესებზე დასწრება და ერთობლივი განხილვა-რეფლექსია **2.2.3.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია**.

**ტექნოლოგიები** -თანამშრომლობა ჩანს კათედრის ოქმებში, მასწავლებელთა პორტფოლიოს მასალებში. **2.2.3.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**სახელმწიფო ენა** -კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით სწავლება, დაგეგმილი პროექტები და აქტივობები გულისხმობს თანამშრომლობითი კულტურის და კომუნიკაციის განვითარებას; შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს **2.2.3.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია**.

**მათემატიკა** -მეტად მნიშვნელოვანია პოზიტიური გარემოს შექმნა სკოლაში და კლასის დონეზე - წარმოდგენილ დოკუმენტებში ნამდვილად ჩანს, რომ ეს ყველაფერი უზრუნველყოფილი აქვს სკოლას.**2.2.3.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**სპორტი** -პედაგოგის პორტფოლიოში გათვალისწინებულია კოლეგებთან თანამშრომლობა, სასკოლო კულტურის განვითარებისა, მოსწავლეთა და მშობლებთან კომუნიკაციის გზები. **2.2.3.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სკოლა უზრუნველყოფს პოზიტიურ კომუნიკაციას თანამშრომლებს, მოსწავლეებსა და მშობლებს შორის. მაღალია დაწყებითი საფეხურის მშობელთა ჩართულობა როგორც საკლასო, ასევე სასკოლო ცხოვრებაში. **2.2.3.4 ინდიკატორი შესაბამისობაშია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - საგნობრივი კურიკულუმების, მასწავლებლის პორტფოლიოს, დამრიგებლის პორტფოლიოს ანალიზით შესაძლებელია იმის თქმა, რომ განხორციელებული აქტივობები ხელს უწყობს პოზიტიური კლიმატის შექმნას სკოლისა და კლასის დონეზე, თუმცა არ არის სხვა უფრო მყარი მტკიცებულება, მაგალითად, ინტერვიუ ან ფოკუს-ჯგუფი მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან და დირექციასთან, რომლის დახმარებითაც გამოიკვეთებოდა აზრი და განცდა აღნიშნულ საკითხზე. სასურველია სკოლამ პერიოდულად ჩაატაროს სასკოლო კლიმატის კვლევა შესაბამისი ინსტრუმენტის გამოყენებით და მიღებული შედეგები გამოიყენოს დამატებითი აქტივობები დაგეგმვის მიზნით. **2.2.3.4 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**უცხოური ენები** - მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ, ისინი ახერხებენ პოზიტიური საკლასო კლიმატის შექმნას, კლასის დონეზე. ვერ დგინდება რას ითვალისწინებენ მასწავლებლები თანასწავლების წახალისების მიზნით. ასევე სასურველია დაიგეგმოს და განხორციელდეს მოსწავლის პიროვნულ ზრდაზე მიმართული სხვადასხვა კლასგარეშე აქტივობები. **2.2.3.4. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**ესთეტიკური აღზრდა** - სასკოლო სასწავლო გეგმით მასწავლებლებს ევალებათ ეფექტური სასწავლო გარემოს შექმნა. რაც მართლაც ვლინდება სასკოლო საზოგადოებაში- თანამშრომლობა, ურთიერთპატივისცემა და კოლეგიალობა . **2.2.3.4 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**ტექნოლოგიები** -სასკოლო სასწავლო გეგმით მასწავლებლებს ევალებათ ეფექტური სასწავლო გარემოს შექმნა. **2.2.3.4 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**სახელმწიფო ენა** -მოსწავლეებს მათი უნარისა და შესაძლებლობების ფარგლებში შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ კომპლექსური დავალებები, არ იზღუდება მათი არჩევანი, რაც მათ საშუალებას აძლევს, თავისუფლად წარმოადგინონ დავალებები და მეტად თავდაჯერებულები იყვნენ. **2.2.3.4 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**სპორტი** -სკოლის ფიზიკური აღზრდის პედაგოგის გასაუბრებიდან გამომდინარე, სკოლაში. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. **2.2.3.4 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საგნობრივი კურიკულუმები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- მასწავლებლების პორტფოლიოები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კათედრის ოქმები;
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- სამოქმედო გეგმა.
- სკოლის შინაგანაწესი;
- კლასის დამრიგებლის დებულება;
- ინტერვიურება;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

**2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** სკოლა აწარმოებს კურიკულუმის მონიტორინგს და შეფასებას. სასწავლო დაწესებულებას ასახული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმაში შიდა სასკოლო მონიტორინგის პრინციპები, რაც ემსახურება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ამაღლებას, თანამშრომელთა სამსახურეობრივი დისციპლინის განმტკიცებას, სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების დანერგვას, საგნობრივი კათედრების მუშაობის ეფექტურად წარმართვას, კლასგარეშე და სკოლის გარეშე ღონისძიებების მიზანმიმართულ ჩატარებას, მოსწავლეთა თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენებას.

სკოლას პედაგოგიური საბჭოს N 1 , 07.09.2022წ. ოქმით დამტკიცებული აქვთ შპს სკოლა-ლიცეუმი სანთელის სასკოლო შეფასების სისტემა. სასკოლო შეფასების ძირითადი მიზანია: განხორციელდეს სწავლა/სწავლების ხარისხის ამაღლება, სასკოლო კურიკულუმების შემუშავება და განხორციელება, რაც გულისხმობს კურიკულუმის მონიტორინგს, შეფასებას, გადასინჯვას და რევიზიას. დოკუმენტში ასევე გაწერილია შეფასების პროცესზე უფლებამოსილი პირები; საჭირო დოკუმენტაცია; მასწავლებელთა შეფასების ჯგუფის მოვალეობები და შეფასების კრიტერიუმები.

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სკოლა-ლიცეუმი სანთელის 2022-2023 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის დებულება. დებულების მიზანია უზრუნველყოს სკოლა-ლიცეუმში სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება. შეფასების შიდა მექანიზმების შემუშავება საჭირო წინადადებებისა და რეკომენდაციების სახით, მასწავლებლებთან კორდინირებული თანამშრომლობით და ეტაპობრივად მონიტორინგის განხორციელებით. **2.3.1.1. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები -** სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია ინფორმაცია მონიტორინგისა და შეფასების პროცესზე, თუმცა აღნიშნული ინფრომაცია არის მოკლე და ზოგადი. სასურველია აღნიშნული პუნქტი ცალკე უფრო მკაფიოდ გამოიყოს მეთოდოლოგიის დოკუმენტში და უფრო მეტად დაკონკრეტდეს მონიტორინგისა და შეფასების პრინციპები, მიმართულებები, ფორმატი, ვადები და ინსტრუმენტები. **2.3.1.1. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**უცხოური ენები** -.სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში - „კურიკულუმის შემუშავების, მონიტორინგის, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიები“ გათვალისწინებულია მონიტორინგისა და შეფასების მნიშვნელოვნება კურიკულუმის გადამუშავების პროცესში, რომლის განხორციელების შედეგად შემუშავდება რეკომენდაციები. ამ უკანასკნელის საფუძველზე კი შედგება სკოლის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განახლებული კურიკულუმი. მიზანშეწონილია, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია მოიცავდეს მონიტორინგისა და შეფასების პროცესების აღწერას. **2.3.1.1. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**ესთეტიკური აღზრდა** -სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერი შეფასების ჯგუფი, რომელიც მასწავლებლებს პროფესიულ განვითარებაში ეხმარება; წინასწარ შემუშავებული რუბრიკების მიხედვით მიმდინარეობს დაკვირვება თითოეული პედაგოგის საქმიანობაზე, ყურადღება ექცევა განმავითარებელ უკუკავშირს. აგრეთვე სკოლამ წარმოადგინა შეფასების სოლო ტაქსონომიის ნიმუში, რომლითაც განხორციელდება შეფასება, ასევე კურიკულუმის შემუშავების, მონიტორინგის, შეფასების და განვითარების მეთოდოლოგიები. **2.3.1.1. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**ტექნოლოგიები** -სკოლამ წარმოადგინა შეფასების სოლო ტაქსონომიის ნიმში, რომლითაც განხორციელდება შეფასება, ასევე კურიკულუმის შემუშავების, მონიტორინგის, შეფასების და განვითარების მეთოდოლოგიების დოკუმენტში საუბარია რომ უნდა განხორციელდეს შეფასება. **2.3.1.1. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**სახელმწიფო ენა** -ვინაიდან სკოლას კურიკულუმში მთელი რიგი საკითხები აქვს გასასწორებელი და განხორციელების პროცესიც მომავალი წლიდან უნდა დაიწყოს, მონიტორინგი და შეფასება არ ხორციელდება კურიკულუმით შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად, არ არსებობს რაიმე დოკუმენტი, რომელიც სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შეფასების პროცესს დაადასტურებს ან მომავალში დაგეგმვაზე მიანიშნებს; შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა არ აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 2023 წლის სექტემბერი - 2024 წლის ივნისამდე) - ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი. სკოლამ უზრუნველყოს სასწავლო პროცესის მონიტორინგის და შეფასების პროცესის განხორციელება სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმების შესაბამისად.**

**მათემატიკა** -სასწავლო პროცესის მონიტორინგი მეტად მნიშვნელოვანია, თუმცა სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში არაა გამოკვეთილი, რომ ხდება ამ პროცესების მონიტორინგი. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 2023 წლის სექტემბერი - 2024 წლის ივნისამდე) - ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი.სკოლამ უზრუნველყოს სასწავლო პროცესის მონიტორინგი.**

**სპორტი** -შპს სკოლა-ლიცეუმი სანთელის სასკოლო შეფასების სისტემაში გაწერილია სასკოლო კურიკულუმების შემუშავებისა და განხორციელების გზები, რაც გულისხმობს კურიკულუმის მონიტორინგს, შეფასებას, გადასინჯვას და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რევიზიას. საგნობრივი კათედრების, მშობელთა კომიტეტის, სასწავლო აღმზრდელობითი პროცესის სხვა შემადგენელი საშუალებებით (მუხლი 1).

აგრეთვე, ფიზიკური აღზრდის და სპორტის პედაგოგის პორტფოლიოდან გამომდინარე, დაგეგმილია კოლეგებთან თანამშრომლობა სასკოლო კულტურის განვითარებისა და მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად. **2.3.1.1. ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სკოლის საზოგადოების წევრების მხარდაჭერას და დახმარებას. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, მათემატიკის და კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრის მასწავლებლებს შორი ხდება გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება და შეფასება, გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, მომიჯნავე საგნების მასწავლებელთა კოორდინირებული თანამშრომლობა, რეკომენდაციების შემუშავება. **2.3.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები -** კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილი მონიტორინგისა და შეფასების ზოგადი აღწერილობა იწვევს მხარდაჭერის მექანიზმის ასოციაციას, თუმცა სასურველია სკოლას იმის დასადგენად მონიტორინგისა და შეფასების სისტემა სასკოლო საზოგადოების მხრიდან აღქმულია „დასჯა-წახალისებად“, თუ მხარდაჭერის მექანიზმად ჰქონდეს კვლევის პრაქტიკა ინტერვიუს ან ფოკუს-ჯგუფის ფორმატში. **2.3.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**უცხოური ენები** -.სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია შიდა სასკოლო მონიტორინგის პრინციპები, სადაც ჩამონათვალის სახითაა მოცემული თუ რას უნდა ემსახურებოდეს მონიტორინგი, კერძოდ, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ოპტიმიზაციას 2. მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ამაღლებას 3. თანამშრომელთა სამსახურეობრივი დისციპლინის განმტკიცებას 4. სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების დანერგვას 5. მოსწავლეთა უსაფრთხოების ღონისძიებების გატარებას 6. საგნობრივი კათედრების მუშაობის ეფექტურად წარმართვას 7.კლასგარეშე და სკოლის გარეშე ღონისძიებების მიზანმიმართულ ჩატარებას 8. მოსწავლეთა თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენებას 9.მოწინავე მოსწავლეებისა და მასწავლებლების სტიმულირების ღონისძიების გატარებას. **2.3.1.2. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**ესთეტიკური აღზრდა -**სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „კურიკულუმის შემუშავების, მონიტორინგის, შეფასების და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განვითარების მეთოდოლოგიების“ შემუშავების დოკუმენტი. ასევე, სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია შეფასების მიზნები და ორიენტირები.

როგორც სკოლის თვითშეფასების კითხვარში და ინტერვიუებში გამოჩნდა, მონიტორინგის განხორციელება სასკოლო საზოგადოებას შორის აღრმავებს მხარდაჭერას და კოლეგიალობას. პედაგოგები იყენებენ ზეპირ და წერილობით განმავითარებელ შეფასების ინსტრუმენტებს, მოსწავლეთა თვითშეფასებას. მასწავლებლები აფასებენ, ადგენენ იმ სფეროებსა და უნარებს, სადაც მოსწავლეს ესაჭიროება დახმარება, აძლევენ უკუკავშირს და მიგნებების გათვალისწინებით გეგმავენ სწავლის პროცესს. სასურველია, ამ პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტაციაც იყოს წარმოდგენილი მტკიცებულებების სახით. **2.3.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**ტექნოლოგიები** -სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „კურიკულუმის შემუშავების, მონიტორინგის, შეფასების და განვითარების მეთოდოლოგიების“ შემუშავების დოკუმენტი. ასევე სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია შეფასების მიზნები და ორიენტირები. **2.3.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**სახელმწიფო ენა** -მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად ჩანს, რომ სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს მასწავლებელთა გაკვეთილზე დასწრებას, უკუკავშირს, რეკომენდაციების მიცემას. კათედრის წევრები ესწრებიან გაკვეთილებს, ახორციელებენ მონიტორინგს და ერთმანეთს სთავაზობენ განვითარებაზე ორიენტირებულ უკუკავშირს. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი გეგმავს უზრუნველყოს განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობების განხორციელება; **2.3.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**მათემატიკა** -ნაწილობრივ გამოკვეთილია, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერას. **2.3.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**სპორტი** -სკოლის განაცხადის ფორმიდან გამომდინარე, მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერას და დახმარებას. სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც ორიენტირებულია სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებაზე. პედაგოგების მიერ ხორციელდება გაკვეთილზე დასწრება, უკუკავშირის, რეკომენდაციების მიცემა. ამასთანავე, ხდება მასწავლებელთა მიერ რეფლექსიის შედგენა. აღნიშნულ პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრებიც. შპს სკოლა-ლიცეუმი სანთელის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის საქმიანობიდან იკვეთება, რომ კათედრები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ, დანერგილ გამოცდილებას. საფეხურებისა და კლასების მიხედვით. ფიზიკური აღზრდის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პედაგოგები ჩართული არიან აღნიშნულ პროცესში. რაც საბოლოო ჯამში, ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და გამოხატავს სასკოლო საზოგადოების წევრების ერთგვარ მხარდაჭერას (შპს სკოლა-ლიცეუმი სანთელის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება).**2.3.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის საშუალებას **2.3.1.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია**.

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილია ინფორმაცია მონიტორინგისა და შეფასების შედეგების საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავებაზე კურიკულუმის გაუმჯობესების მიზნით. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. **2.3.1.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**უცხოური ენები** -სასკოლო სასწავლო გეგმაში მონიტორინგის შედეგად პრობლემის გადაჭრის საშუალებები მოცემულია რამდენიმე ასპექტში. კერძოდ: სსსმ მოსწავლესთან და შემაჯამებელ დავალებებთან მიმართებით. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში - „კურიკულუმის შემუშავების, მონიტორინგის, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიები“ გათვალისწინებულია მონიტორინგისა და შეფასების მნიშვნელოვნება კურიკულუმის გადამუშავების პროცესში, რომლის განხორციელების შედეგად შემუშავდება რეკომენდაციები. ამ უკანასკნელის საფუძველზე კი შედგება სკოლის განახლებული კურიკულუმი. **2.3.1.3. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**ესთეტიკური აღზრდა** -სკოლის მასწავლებლების განცხადებით, „პრაქტიკამ აჩვენა, რომ ჯანსაღი კრიტიკა (მონიტორინგი) ხშირ შემთხვევაში პრობლემის გადაჭრის საუკეთესო ხერხია“; შესაბამისად, წლის განმავლობაში ხშირად ხდება მონიტორინგი კითხვარების საშუალებით: მშობლის კითხვარი, მასწავლებლის კითხვარი, სადაც შერჩეული კითხვების მიხედვით იკვეთება მათი დამოკიდებულება სასწავლო პროცესის მიმართ. აგრეთვე სასკოლო სასწავლო გეგმაში, დაწყებითი საფეხურის კათედრის ოქმებში წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების ნიმუშები **2.3.1.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია**.

**ტექნოლოგიები** - სასკოლო სასწავლო გეგმაში, ასევე დაწყებითი საფეხურის კათედრის ოქმებში წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების ნიმუშები. **2.3.1.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**სახელმწიფო ენა** -სკოლაში არ არსებობს შეფასების ჯგუფის მიერ განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების ამსახველი რაიმე დოკუმენტი, რითაც დასტურდება სწავლა-სწავლებასთან დაკავშირებული პრობლემის გადაჭრის საშუალება; შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა არ აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა,**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 12.07.2023-30.11.2023) - ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი. დაწესებულებამ უზრუნველყოს კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება.**

**მათემატიკა** - არ ჩანს წარმოდგენილ დოკუმენტებში, რომ ხორციელდება ამ პროცესების მონიტორინგი **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 12.07.2023-30.11.2023) - ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი. დაწესებულებამ უზრუნველყოს კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება.**

**სპორტი** -სკოლის მონიტორინგი და შეფასება მეტ- ნაკლებად განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. სკოლაში არსებული ხარისხის მართვის ჯგუფის მიერ მიცემული უკუკავშირები პრობლემის დანახვის საშუალებას იძლევა. დაწესებულებას აქვს მზაობა შეიმუშავოს ისეთი შეფასების რუბრიკები და დახვეწოს მონიტორინგის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს პრობლემის გადაჭრის გზებს და საშუალებებს.**2.3.1.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საგნობრივი კურიკულუმები;
- შპს სკოლა-ლიცეუმი სანთელის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება.
- სასკოლო შეფასების დებულება;
- კურიკულუმის შემუშავების, მონიტორინგის, შეფასების და განვითარების მეთოდოლოგიები;
- დაწყებითი საფეხურის კათედრის ოქმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

### 2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასწავლო პროცესის შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს დირექტორის 08.09.2022 წლის N- ბ-18 ბრძანებით "სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომში გაუმჯობესების მექანიზმები" . მისი მიზანია, სწავლების ხარისხის მაჩვენებლების მონიტორინგი, მათი მუდმივი სრულყოფა, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენება და მათი განვითარებისათვის ხელშეწყობა. სასკოლო შეფასებას საერთო ხელმძღვანელობას უწევს სკოლა-ლიცეუმის დირექტორი. ასევე სკოლის მიერ შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც მონიტორინგსა და დახმარებას უწევს პედაგოგებს სასწავლო პროცესში. შეფასების ჯგუფის შეფასებები და შეხედულებები ჯერდება ჯგუფის უფროსთან და მტკიცდება დირექტორის მიერ.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, მათემატიკის და კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრაზე მასწავლებლები ახდენენ გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებას, შემუშავებული აქვთ ურთიერთდასწრების ფორმები, ახორციელებენ ჩატარებული შემაჯამებელი სამუშაოების და კომლექსური დავალებების რეფლექსიას. კათედრა ახდენს მოსწავლეთა შედეგების ანალიზს და ანგარიშს. **2.3.2.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტი, თუმცა მასში დეტალურად არაა გაწერილი, რომელ მრავალფეროვან წყაროებზე (ვინ? რა?) დაყრდნობით მოხდება შეფასება ან როგორ ფორმატში და რომელი ინსტრუმენტების გამოყენებით. **მიზანშეწონილია** მეთოდოლოგიაში მკაფიოდ გაიწეროს მრავალფეროვანი წყაროები ჰოლისტურად შეფასების მიზნით. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 12.07.2023-30.11.2023) - ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი. სკოლამ გაწეროს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში რომელ მრავალფეროვან წყაროებზე (ვინ? რა?) დაყრდნობით მოხდება შეფასება, როგორ ფორმატში და რომელი ინსტრუმენტების გამოყენებით.**

**უცხოური ენები** - სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში - „კურიკულუმის შემუშავების, მონიტორინგის, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიები" გათვალისწინებულია მონიტორინგისა და შეფასების მნიშვნელოვნება კურიკულუმის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გადამუშავების პროცესში, თუმცა არ არის მოცემული მონიტორინგისა და შეფასების პროცესების აღწერა. მიზანშეწონილია, სკოლამ შეიმუშავოს დოკუმენტი, სადაც აღწერილი იქნება, თუ როგორია ერთიანი მიდგომა და მოიცავდეს მონაცემების შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს, სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 12.07.2023-30.11.2023) - ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი. სკოლამ შეადგინოს დოკუმენტი, სადაც აღწერილი იქნება ერთიანი მიდგომა სასკოლო კურიკულუმის შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვების მეთოდების, წყაროების და რესურსების შესახებ.**

**ესთეტიკური აღზრდა** -შეფასება მეტწილად ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს და ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. ინტერვიუირებისას, მასწავლებლის განმარტებით, შეფასებისას გამოყენებულია სხვადასხვა ინსტრუმენტები. დაწყებითი საფეხურის სხდომის ოქმში N4, წარმოდგენილია და საუბარია შეფასების მნიშვნელობაზე, ტიპებზე, რის საფუძველზე უნდა განხორციელდეს მოსწავლეთა შეფასება, და როგორ წარიმართება ეს პროცესი მომავალში. **2.3.2.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

**ტექნოლოგიები** -დაწყებითი საფეხურის სხდომის ოქმში N4, წარმოდგენილია და საუბარია შეფასების მნიშვნელობაზე, ტიპებზე, რის საფუძველზე უნდა მოხდეს მოსწავლეთა შეფასება, და როგორ წარიმართება ეს პროცესი მომავალში. **2.3.2.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

**სახელმწიფო ენა** -გასაუბრებიდან ირკვევა, რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნამუშევრები და მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებთ, თუმცა ეს არ ჩანს არცერთ დოკუმენტში; შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა არ აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 12.07.2023-30.11.2023) - ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი. სკოლამ შეადგინოს დოკუმენტი, სადაც აღწერილი იქნება ერთიანი მიდგომა სასკოლო კურიკულუმის შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვების მეთოდების, წყაროების და რესურსების შესახებ.**

**მათემატიკა** -სკოლამ წარმოადგინა შეფასების მასალები, სადაც ჩანს, რომ შეფასებისას გამოყენებულია სხვადასხვა წყაროები. **2.3.2.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

**სპორტი** -სკოლის დაწყებითი საფეხურის ფიზიკური აღზრდის განმავითარებელი შეფასების რუბრიკები საჭიროებს დახვეწას. ფიზიკური აღზრდის პედაგოგის ინტერვიუდან გამომდინარე, საგაკვეთილო პროცესში აქტიურად გამოიყენება სიტყვიერი კომენტარი, რომელიც მიმართულია მოსწავლის დადებითი მხარის წარმოსაჩენად და რჩევების ზუსტად და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გასაგებად მიცემაში, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეების განვითარებას და სასწავლო პროცესის შედეგების გაუჯობესებას. შემდგომში, სასურველია, სკოლამ განმავითარებელი შეფასების გამრავალფეროვნების და პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით, გამოიყენოს სადიაგნოსტიკო შეფასების ანალიზი **2.3.2.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია;**.

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - შეფასება ხორციელდება სხვადასხვა მექანიზმით, მაგრამ ნაკლებად არის გათვალისწინებული შეფასების მრავალი კონტექსტი. შეფასების სისტემა ნაწილობრივ არის ორიენტირებული მოსწავლის ჰოლისტურ განვითარების მხარდაჭერაზე. სკოლას არ აქვს მკაფიოდ გაწერილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და ასევე დაუზუსტებელია მოსწავლის მიერ სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიის აღმწერელი რუბრიკები. **2.3.2.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები -** სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტი, თუმცა მასში მკაფიოდ არაა გაწერილი, რამდენად ურთიერთდაკავშირებულად/სხვადასხვა კონტექსტების გათვალისწინებით ხდება დანერგვის პროცესის ამსახველი მასალების დამუშავება. მიზანშეწონილია მეთოდოლოგიაში ჩანდეს რა მექანიზმით მოხდება შეფასებისას სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინება. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 12.07.2023-30.11.2023) - ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი. სკოლამ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში მკაფიოდ გაწეროს, რამდენად ურთიერთდაკავშირებულად/სხვადასხვა კონტექსტების გათვალისწინებით ხდება დანერგვის პროცესის ამსახველი მასალების დამუშავება. უცხოური ენები** - სკოლას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი „სასკოლო შეფასების სისტემა“, რომელშიც აღწერილია თუ როგორ ხდება მასწავლებელთა შეფასება. მიზანშეწონილია, სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში ასახული იყოს ინფორმაციის შეგროვება ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც გავლენას ახდენს მოსწავლის პროდუქტიულობაზე. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 12.07.2023-30.11.2023) - ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი.სკოლამ შეადგინოს დოკუმენტი, სადაც ასახული იქნება ინფორმაციის შეგროვება ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც გავლენას ახდენს მოსწავლის პროდუქტიულობაზე.**

**ესთეტიკური აღზრდა** -ზემოაღნიშნული მრავალფეროვანი წყაროები შესაძლებელს ხდის შეფასება მოხდეს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, .დაწყებითი საფეხურის სხდომის ოქმში N4, წარმოდგენილია და საუბარია შეფასების მნიშვნელობაზე, ტიპებზე, რის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საფუძველზე უნდა მოხდეს მოსწავლეთა შეფასება, და როგორ წარიმართება ეს პროცესი მომავალში .**2.3.2.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**ტექნოლოგიები** -დაწყებითი საფეხურის სხდომის ოქმში N4, წარმოდგენილია და საუბარია შეფასების მნიშვნელობაზე, ტიპებზე, რის საფუძველზე უნდა მოხდეს მოსწავლეთა შეფასება, და როგორ წარიმართება ეს პროცესი მომავალში. **2.3.2.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**სახელმწიფო ენა** -სკოლა განსაზღვრავს შემაჯამებელი დავალებების შენახვის დროს, თუმცა დასახვეწია ის საშუალებები, რითაც ფასდებიან მოსწავლეები, მაგალითად კომპლექსური დავალებების ფარგლებში შექმნილი ნამუშევრები, პროექტული სწავლების დროს შექმნილი პროდუქტები ან პრეზენტაციები; **2.3.2.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**მათემატიკა** -განმავითარებელი შეფასების მასალებში, რაც იყო წარმოდგენილი იყო სოლო ტაქსონომიის სახით, ჩანდა, რომ გათვალისწინებული იყო სხვადასხვა კონტექსტი. **2.3.2.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**სპორტი** -სკოლის ფიზიკური აღზრდის პედაგოგის პორტფოლიოში შესული შეფასების რუბრიკები სასურველია იძლეოდეს მოსწავლეების მრავალმხრივი შეფასების საშუალებას და ხორციელდებოდეს მრავალი კონტექსტის გამოყენებით, .რაც მას მისცემდა საშუალებას გამოიკვეთოს მოსწავლის შესაძლებლობები და ინტერესები. რის მზაობასაც კათედრასთან ერთად გამოხატავს ფიზიკური აღზრდის პედაგოგი.**2.3.2.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდები: შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზი, პედაგოგების რეფლექსიები, მასწავლებელთა ურთიერთდასწრებისა და ურთიერთშეფასების ფორმები. **2.3.2.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტი, თუმცა მასში მკაფიოდ არაა გაწერილი, რომელი და რამდენი მეთოდები გამოიყენება დანერგვის პროცესის შესახებ მონაცემების შესაგროვებლად. **მიზანშეწონილია** მეთოდოლოგიაში ჩანდეს მრავალმხრივი მეთოდები, რომელთა გამოყენებითაც მოხდება შეფასება. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 12.07.2023-30.11.2023) - ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი. სკოლამ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში მკაფიოდ გაწეროს რომელი და რამდენი მეთოდი გამოიყენება დანერგვის პროცესის მონაცემების შეგროვებისას.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ესთეტიკური აღზრდა -** სკოლა იყენებს ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივ და თვისებრივ მეთოდებს, რაც შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს და ამავდროულად, აბალანსებს თითოეული მეთოდის სუსტ მხარეს. დაწყებით საფეხურზე გამოყენებულია მოსწავლეთა როგორც განმავითარებელი, ისე V კლასის მერე სემესტრიდან და VI კლასში განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. მიღებული ინფორმაცია ეხმარება პედაგოგებს სასკოლო ცხოვრების, სასწავლო პროცესის და მოსწავლის მიღწევის გაუჯობესებაში. მნიშვნელოვანია, შეგროვებისას გათვალიწინებულ იყოს მოსწავლეთა ინდივიდუალური მახასიათებლები, რაც სასწავლო პროცესის ეფექტიანად დაგეგმვას უზრუნველყოფს. მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები ხელს შეუწყობს მოსწავლეთა კვლევის უნარის განვითარებასაც. **2.3.2.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**ტექნოლოგიები -**.დაწყებითი საფეხურის სხდომის ოქმში N4, წარმოდგენილია და საუბარია შეფასების მნიშვნელობაზე, ტიპებზე, რის საფუძველზე უნდა მოხდეს მოსწავლეთა შეფასება, და როგორ წარიმართება ეს პროცესი მომავალში. **2.3.2.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**სახელმწიფო ენა** -არ არსებობს რაიმე დოკუმენტი, რაც მტკიცებულება იქნებოდა მონაცემთა შეგროვების შესახებ; **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 12.07.2023-30.11.2023) - ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი. დაწესებულებამ შეფასებებისას გამოიყენოს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდი.**

**მათემატიკა** -შეფასებისას მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდები არ იკვეთება წარმოდგენილ დოკუმენტებში. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 12.07.2023-30.11.2023) - ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი. 2.3.2.3 ინდიკატორი არ არის შესაბამისობაში.დაწესებულებამ შეფასებებისას გამოიყენოს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდი.**

**სპორტი** -სკოლის შეფასების მონაცემთა შეგროვება ხორციელდება. 2023-24 სასწავლო წელს სკოლაში სასურველია დაიგეგმოს მოსწავლეების სადიაგნოსტიკო შეფასება ფიზიკურ აღზრდაში, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა საჭიროებათა გამოსავლენად მონაცემების შეგროვებას.**2.3.2.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**უცხოური ენები** -სკოლას არ აქვს შემუშავებული ერთიანი დოკუმენტი, სადაც აღწერილი იქნება, თუ როგორ ხდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. სასკოლო სასწავლო გეგმაში, მონაცემების შეგროვების მეთოდებად გამოყენებულია შემაჯამებელი დავალებების შეფასება, ციფრობრივი ანალიზის სახით და მასწავლებლის შეფასება სხვადასხვა ასპექტებით. კერძოდ: 1. მასწავლებელთა დაგვიანებების, უნებართვო გასვლების და გაცდენების აღრიცხვის და მონაცემების წარმოდგენა; 2. მასწავლებლის სამუშაო დოკუმენტაციის თავმოყრა და ანალიზი (მათ შორის გაკვეთილების და წლიური გეგმების); 3. მასწავლებლის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დისციპლინარული სახდელების აღრიცხვა; 4. მასწავლებლის გაკვეთილებზე დასწრება და მათი დაოქმება სპეციალურად შემუშავებული ფორმის საფუძველზე; 5. მასწავლებლის მიერ შევსებული თვითშეფასების კითხვარების ანალიზი; 6. მასწავლებლის მონაწილეობის აღრიცხვა სხვადასხვა ღონისძიებებში და მათი ანალიზი; 7. მასწავლებლის ინდივიდუალური განვითარების გეგმის ანალიზი; 8. მასწავლებლის პროდუქტიულობის ანალიზი - მოსწავლეთა აკადემიური და დისციპლინური მიღწევების (შედეგები და პროგრესი) აღრიცხვა და ანალიზი, მოსწავლეთა ინიციატივებისა და აქტიურობის აღრიცხვა და ანალიზი. 9. მასწავლებლის ობიექტურობის ანალიზი- გარე შემოწმება (შეფასების შედეგებთან მისი შეფასების შედეგების შედარება). 10. მასწავლებლის რეიტინგის დადგენა; 11. რეკომენდაციების შემუშავება მისი შემდგომი განვითარების და წახალისება-დასჯის შესახებ (კერძოდ, საკონტრაქტო პირობების შესახებ). მასწავლებელთა შეფასების ჯგუფის ანგარიში სკოლას არ წარმოუდგენია. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 12.07.2023-30.11.2023)) - ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი. დაწესებულებამ შეიმუშავოს ერთიანი დოკუმენტი, სადაც აღწერილი იქნება, თუ როგორ ხდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება.**

4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - მასწავლებლები მოსწავლეთა შეფასებისას იყენებენ განმსაზღვრელ შეფასებას, შედარებით ნაკლებად- განმავითარებელ კომენტარს, ახდენენ თვითრეფლექსიას, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით ბოლომდე არ იკვეთება, როგორი ასახვა ჰპოვა ამან მოსწავლეთა შემდგომ სწავლების განვითარებაზე. მასწავლებლების მიერ წარმოდგენილ რეფლექსიებში ნაკლებად ჩანს მათ მიერ დაგეგმილი და განხორციელებული ინტერვენციები, რათა ხელი შეუწყონ მოსწავლის შემდგომ პროგრესს. **2.3.2.4 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** -სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტი, თუმცა მასში მკაფიოდ არაა გაწერილი, რამდენად ურთიერთდაკავშირებულად/სხვადასხვა კონტექსტების/ფაქტორების გათვალისწინებით ხდება დანერგვის პროცესის ამსახველი მასალების დამუშავება. მიზანშეწონილია მეთოდოლოგიაში ჩანდეს რა მექანიზმით მოხდება შეფასებისას სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინება. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 12.07.2023-30.11.2023) - ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი. სკოლამ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწეროს რა მექანიზმით მოხდება შეფასებისას სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინება.**

**უცხოური ენები** -ცალკეულ დოკუმენტებზე დაყრდნობით შესაძლოა დავასკვნათ, რომ სკოლა ახორციელებს სასწავლო პროცესის შეფასებას მწირ მონაცემებზე დაყრდნობით. მიზანშეწონილია შეფასება ხორციელდებოდეს მოვლენის, სიტუაციის, ინდივიდის შესწავლით, მასზე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია, სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გათვალისწინებული იყოს ყველა ის ფაქტორი, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს შედეგზე.

**სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 12.07.2023-30.11.2023) - ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი.დაწესებულებამ სკოლის კურიკულუმის მეთოდოლოგიაში გაწეროს, რა მექანიზმით მოხდება შეფასებისას სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინება.**

**ესთეტიკური აღზრდა** -დაწყებით საფეხურზე მოსწავლის შეფასება მეტწილად ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორების შესაბამისად, ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც მოსწავლის პროდუქტიულობაზე ახდენს გავლენას **2.3.2.4 ინდიკატორი შესაბამისობაშია.** .

**ტექნოლოგიები** -დაწყებითი საფეხურის სხდომის ოქმში N4, წარმოდგენილია და საუბარია შეფასების მნიშვნელობაზე, ტიპებზე, რის საფუძველზე უნდა მოხდეს მოსწავლეთა შეფასება, და როგორ წარიმართება ეს პროცესი მომავალში. **2.3.2.4 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**სახელმწიფო ენა** -სკოლის შეფასების სისტემა დასახვეწია და მექანიზმები უნდა ითვალისწინებდნენ ახალ სტანდარტებს. დოკუმენტებში არ ჩანს, თუ რა ფაქტორებს ითვალისწინებენ მასწავლებლები შეფასების დროს ან რა ფაქტორებს გაითვალისწინებენ მომავალში; **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 12.07.2023-30.11.2023) - ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი. დაწესებულებამ სკოლის კურიკულუმის მეთოდოლოგიაში გაწეროს, რა მექანიზმით მოხდება შეფასებისას სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინება.**

**მათემატიკა** -განმავითარებელი შეფასების მასალებში, რომლებიც წარმოდგენილი იქნა სოლო ტაქსონომიის სახით, ჩანდა რომ გათვალისწინებული იყო მრავალი ფაქტორი, რაც იმას ნიშნავს, რომ შეფასების სისტემა სკოლაში საკმაოდ გამართულია. **2.3.2.4 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**სპორტი** -სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში აღწერილია თუ როგორ ხდება შეფასება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით და რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას. ასევე, რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად. შემდგომში სასურველია სკოლამ ნათლად ასახოს შეფასების სხვადასხვა ფაქტორები. **2.3.2.4 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საგნობრივი კურიკულუმი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სასკოლო შეფასების დებულება;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- დაწყებითი საფეხურის კათედრის სხდომის ოქმი;
- სკოლა-ლიცეუმი სანთელის 2022-2023 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის დებულება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

#### 2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სკოლაში შექმნილია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდამჭერი სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი. სკოლის 2022-2023 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის დებულებაში გაწერილია, რომ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლაში საგანმანათლებლო პროცესების უწყვეტი გაუმჯობესების მიზნით, მიმდინარეობს რევიზიის ორგანიზება მშობლებთან და მასწავლებლებთან თანამშრომლობით, რომლის საფუძვლეზეც მუშავდება რეკომენდაციები სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებსა და მიდგომებთან დაკავშირებით. ასევე, სკოლაში აღრიცხავენ მასწავლებლის მონაწილეობას სხვადასხვა ღონისძიებაში, ახორციელებენ მასწავლებლის ინდივიდუალური განვითარების გეგმის ანალიზს, მასწავლებლის პროდუქტიულობის ანალიზს. ხორციელდება მოსწავლეთა აკადემიური და დისციპლინური მიღწევების (შედეგები და პროგრესი) აღრიცხვა და ანალიზი, მოსწავლეთა ინიციატივებისა და აქტიურობის აღრიცხვა და ანალიზი. **2.4.1.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები -** კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილია ინფორმაცია მონიტორინგისა და შეფასების შედეგების საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავებზე კურიკულუმის გაუმჯობესების მიზნით. **2.4.1.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**უცხოური ენები** -წარმოდგენილ დოკუმენტში - კურიკულუმის შემუშავების, მონიტორინგის, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიები- ნახსენებია, რომ მონიტორინგისა და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით უნდა განხორციელდეს რეკომენდაციების შემუშავება კურიკულუმის შემდგომი განვითარებისთვის. სასურველია აღნიშნულ დოკუმენტში აღიწეროს პროცესები თუ როგორ მოხდება აღნიშნული რეკომენდაციების შემუშავება. მაგალითად: სკოლამ უპასუხოს შემდეგ კითხვებს: რა გამოცდილება დამიგროვდა სასწავლო წლის მანძილზე; როგორ შეიძლება ეს გამოცდილება გამოვიყენო სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად; რა გავითვალისწინო ახალი სასწავლო წლის დაგეგმვისას; როგორ გავაზიარო პასუხისმგებლობა ამ გამოცდილების გათვალისწინებით სასკოლო საზოგადოებაში და სხვა. **2.4.1.1. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**ესთეტიკური აღზრდა** -კურიკულუმის შემუშავების, მონიტორინგის, შეფასების და განვითარების მეთოდოლოგიების დოკუმენტში აღწერილია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი. ეს დოკუმენტი დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ ბრძანებით **2.4.1.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია**.

**ტექნოლოგიები** -კურიკულუმის შემუშავების, მონიტორინგის, შეფასების და განვითარების მეთოდოლოგიების დოკუმენტში აღწერილია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი. ეს დოკუმენტი დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ ბრძანება №8/36. **2.4.1.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**სახელმწიფო ენა** კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში წარმოდგენილია ინფორმაცია მონიტორინგისა და შეფასების შედეგების საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავების თაობაზე კურიკულუმის გაუმჯობესების მიზნით. **2.4.1.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**მათემატიკა** -სკოლის მიერ წარმოდგენილ წლიურ სამოქმედო გეგმაში ნამდვილად ჩანს, რომ შექმნილია კურიკულუმის განვითრებისა განვითრებისა და მხარდაჭერის საინფორმაციო პაკეტი.**2.4.1.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**სპორტი** -სკოლის დამატებითი დოკუმენტაციის გამოთხოვის შემდეგ, სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია. რაც მიუთითებს იმაზე, რომ სკოლას აქვს გამოცდილება შექმნას კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი. სამომავლოდ, 2023-2024 სასწავლო წლიდან, ფიზიკური აღზრდის პედაგოგებმა აუცილებელია უნდა იხელმძღვანელონ გადამუშავებული კურიკულუმებით, რომლის გადახედვა და ანალიზი ეტაპობრივად განხორციელდება. **2.4.1.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - წარმოდგენილი კურიკულუმები ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს, რაც ასახულია სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმასა და შვიდწლიან სტრატეგიული განვითარების გეგმაში. **2.4.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილია ინფორმაცია სასკოლო კურიკულუმის გადასინჯვასა და რევიზიაზე. აღნიშნულია, რომ მონიტორინგისა და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით უნდა შემუშავდეს რეკომედაციები კურიკულუმის გასაუმჯობესებლად, რომლის საფუძველზე შეიქმნება კურიკულუმის განახლებული ვერსია. სასურველია მეთოდოლოგიაში მკაფიოდ გაიწეროს პასუხისმგებელი პირები და მათი ფუნქციები აღნიშნული საქმის წარმატებით განხორციელების მიზნით. **2.4.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**უცხოური ენები** - წარმოდგენილ დოკუმენტში- კურიკულუმის შემუშავების, მონიტორინგის, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიები - იკითხება, რომ კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. **2.4.1.2. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**ესთეტიკური აღზრდა** -კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია მეტწილად ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. სკოლამ უნდა გაითვალისწინოს, რომ დაწყებითი საფეხურის საგნობრივი სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმების შექმნისას გაითვალისწინა მეორე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები და შედეგები. **2.4.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ტექნოლოგიები -** კურიკულუმის შემუშავების, მონიტორინგის, შეფასების და განვითარების მეთოდოლოგიების დოკუმენტში აღწერილია კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგები. **2.4.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**სახელმწიფო ენა** წარმოდგენილ დოკუმენტში- კურიკულუმის შემუშავების, მონიტორინგის, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიები - იკითხება, რომ კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. **2.4.1.2. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**მათემატიკა -**კურიკულუმის შექმნისას მნიშვნელოვანია წინარე გამოცდილების გათვალისწინება, რათა გამართული იყოს კურიკულუმი, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილია ინფორმაცია სასკოლო კურიკულუმის გადასინჯვისა და რევიზიის შესახებ **2.4.1.2. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**სპორტი** -სკოლაში მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შედგენას მონიტორინგს უწევს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, სკოლის ადმინისტრაციის წევრები. მასწავლებლები ითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას, მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. ამის შედეგად, სკოლის ფიზიკური აღზრდის 2023-24 სასწავლო წლის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი შესაბამისობაში მოვა ე.ს.გ. მოთხოვნებთან.**2.4.1.2. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საგნობრივი კურიკულუმები
- შპს სკოლა-ლიცეუმი სანთელის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება,
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კათედრების პორტფოლიოები;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- 2021-2022 სასწავლო წლის შედეგების საფუძველზე გაკეთებული სკოლის SWOT-ანალიზი
- შპს სკოლა-ლიცეუმი სანთელის სასკოლო შეფასების სისტემა;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

### I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

**ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე**

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| სასკოლო კურიკულუმი -საბაზო საფეხური | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| | ☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

**2. სასკოლო კურიკულუმი - საბაზო საფეხური**

**2.1. კურიკულუმის შემუშავება**

**2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება**

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შეფასებისა და მონიტორინგის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი. შპს სკოლა-ლიცეუმ სანთელის სასკოლო კურიკულუმში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეხედულებები და პრიორიტეტები. სკოლის მიერ ჩატარებულია სვოტ ანალიზი, რომლის საფუძველზეც გამოიკვეთა სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები, ასევე შესაძლებლობები და საფრთხეები. საჭიროების კვლევა ეყრდნობოდა სკოლის საგნობრივი კათედრების წლიურ ანგარიშებს, მოსწავლეების, მასწავლებლების და მოსწავლეთა მშობლების გამოკითხვას. შემუშავდა რეკომენდაციები და დაიგეგმა აქტივობები სუსტი მხარეების გასაუმჯობესებლად, რაც აისახა სკოლის SWOT-ანალიზში და შემდგომში სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში. სკოლის 2023-2024 ერთწლიანი სამოქმედო გეგმაში სტრატეგიულ ამოცანებს წარმოადგენს: სკოლა-ლიცეუმის მართვა, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მონიტორინგი; სწავლა - სწავლების ხარისხის ამაღლება კურიკულუმების შემუშავება, ინოვაციური პედაგოგიური მიდგომების დანერგვის ხელშეწყობა, საგნობრივი კათედრების სხდომების ჩატარება და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შესაბამისი საკითხების განხილვა; კათედრების მიერ შემაჯამებელი დავალებების ანალიზი; სასწავლო პროცესის მონიტორინგის განხორციელება მოსწავლეთა მიღწევების დინამიკის შესწავლა.

სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა "კურიკულუმის შემუშავების, მონიტორინგისა და განვითარების მეთოდოლოგიების" დოკუმენტი, რომელსაც ადმინისტრაციის წარმომადგენლის განმარტებით ჰქონდა სარეკომნაციო ხასიათი და ვიზიტის დასრულებამდე დირექტორმა 30.05.2023 წლის N ბ/36 ბრძანებით დაამტკიცა სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად. **2.1.1.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. სასკოლო კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. საჭიროების კვლევის მიზანს წარმოადგენდა 2021-2022 წელს დანერგილი სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასება. წინასწარ შემუშავებული შეფასების მექანიზმების გათვალისწინებით, კვლევაში მონაწილეთა დახმარებით სასწავლო პროცესში არსებული სირთულეების აღმოჩენა, მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესებისა და მისწრაფებების გაგება. სკოლის სხვადასხვა სტრუქტურული ელემენტის მუშაობის ეფექტურობის გამოვლენა. კვლევა მოიცავდა სამ ეტაპს. პირველ ეტაპი - კითხვარების მომზადება; კვლევის მეორე ეტაპი - გამოკითხვა - განხორციელდა პირველ სემესტრში - ნოემბრის თვეში. სასწავლო წლის დასასრულს კი კითხვარები ეხებოდა მშობლებთან თანამშრომლობისა და კომუნიკაციის ფორმებს, სკოლის სუსტი და ძლიერი მხარეების გამოვლინებას, მომავალი სასწავლო წლისათვის სასურველ ცვლილებებს და სტრუქტურული ერთეულების მუშაობის შეფასებას. კვლევის მესამე ეტაპი-გამოკითხვის შედეგების ანალიზი. **2.1.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სკოლის საჭიროების კვლევის პირველ ეტაპზე მომზადდა კითხვარები სამი მიმართულებით: მშობლები, მასწავლებლები და მოსწავლეები. კითხვარები შემუშავდა სკოლის მონიტორინგის ჯგუფის, კათედრის ხელმძღვანელების, დამრიგებლების მიერ, დოკუმენტაცია განხილულ იქნა საგნობრივ კათედრებზე. მშობლებისა და მოსწავლეების გამოკითხვას ორგანიზებას უწევდნენ კლასის დამრიგებლები - უზრუნველყოფდნენ კითხვარების გავრცელებას, შეგროვებასა და მონიტორინგის ჯგუფისათვის წარდგენას. მონიტორინგის ჯგუფმა განახორციელა მასწავლებლების გამოკითხვა. მიზანშეწონილია, სასკოლო საზოგადოების კურიკულიუმის შემუშავებაში ჩართულობის მიზნით, მეთოდოლოგიაში მკაფიოდ იყოს განსაზღვრული, მთელი წლის განმავლობაში, რა ფორმით, როგორი ინტენსივობით, რომელი ინსტრუმენტების გამოყენებით მოხდება სასკოლო საზოგადოების წევრების პროცესში ჩართვა. **2.1.1.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. კურიკულუმის გაზიარება განხორციელდა პედაგოგიურ საბჭოზე, კათედრის სხდომებზე, მშობელთა კრებებზე.

მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ კათედრაზე მსჯელობენ, თუ როგორ გაუზიარონ კურიკულუმი სასკოლო საზოგადოებას. გეგმავენ, რომ მოაწყონ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები, პრეზენტაციები და გაითვალისწინონ საზოგადოების აზრი სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში; შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**2.1.1.4 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის თვითშეფასების დოკუმენტი;
- სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მასწავლებლების პორტფოლიოები;
- კათედრის პორტფოლიოები;
- კურიკულუმის შემუშავების, მონიტორინგის, შეფასების და განვითარების მეთოდოლოგიები;
- სასკოლო შეფასების სისტემა.
- 2021-2022 სასწავლო წლის შედეგების საფუძველზე გაკეთებული სკოლის SWOT-ანალიზი;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, მათემატიკის და კომპიუტერული ტექნოლოგიების კთედრის პორტფოლიო;
- ინტერვიურება;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

### 2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლა-ლიცეუმ სანთელს განსაზღვრული აქვს, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა დაფუძნებულია მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასა და პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო კონცეფციაზე.

მასწავლებლის პორტფოლიოებში, თემატური მატრიცის ფორმაში დეტალურადაა გაწერილი კომპლექსური დავალება, რომელშიც გვხდება საკვანძო და სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები, რაც მეტაკოგნიტური და სწავლის სწავლის უნარების განვითარების კარგი საშუალებაა. ასევე, მატრიცის ფორმაში არის კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესის და ნამუშევრების პრეზენტაციის ამსახველი ფოტომასალა. თუმცა, კომპლექსური დავალების მსვლელობაში (ეტაპები, ნაბიჯები) არ ჩანს რომელი მეთოდის/რესურსის გამოყენებით ხდება პროდუქტის შექმნის შესახებ ინფორმაციის მიწოდება და გამყარება. საბოლოო პროდუქტის შექმნამდე მხოლოდ ერთი აქტივობაა განსაზღვრული სახელმძღვანელოს რესურსის გამოყენებით, სხვა აქტივობები, დამხმარე რესურსები,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბმულები არ არის მითითებული, წარმოდგენილ მასალაში მკაფიოდ არ ჩანს პროცესის ნაბიჯ-ნაბიჯ განხორციელება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია მოსწავლეზე და პროცესზე ორიენტირებული კონსტრუქტივისტულ პრინციპეზე აგებული პროცესის წარმართვისთვის. სასურველი და მნიშვნელოვანია კურიკულუმებში თითოეულ თემის დონეზე ყველა სამიზნე ცნებაზე ორიენტირება, კონტექსტ-მაგალითებისა და კომპლექსური დავალების იდეების გაწერა შესაბამისი რესურსების მითითებით. წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის ცალკეულ კურიკულუმებზე დაყრდნობით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, სასწავლო კურსით იფარება საფეხურის შედეგები. **2.1.2.1. ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**2.** კათედრის სხდომის ოქმებიდან დგინდება, რომ სკოლას გააზრებული აქვს კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობის ეტაპობრივი დანერგვა და სოლო ტაქსონომიის პრინციპით მოსწავლეთათვის განმავითარებელი შეფასების მიწოდება, სადაც ყველა მოსწავლის მიღწევა აღიწერება სამიზნე ცნებასთან მიმართებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება კიდეც მისი შესრულება, რაც გვიდასტურებს, რომ კურიკულუმი უზრუნველყოფს მოსწავლეებში გლობალურ ფუნქციური უნარების გამომუშავებასა და უპირობოდ პოზიტიური გარემოს შექმნას.

**2.1.2.2. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

3. 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლას გაწერილი აქვს ინკლუზიური განათლების სპეციფიკა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმა და შედგენის პროცედურები, სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების, დასწრებისა და გაცდენების რეგულაციები. ინტერვიურებისას გაირკვა, რომ სკოლას ბოლო პერიოდში არ ჰყოლია სსსმ მოსწავლე, შესაბამისად, შესრულების ანგარიში არ არის წარმოდგენილი. ვინაიდან არ არის წარმოდგენილი არც ერთი მოდიფიცირებული გეგმა, მასწავლებელთა პირველი სემესტრის ანგარიშებზე (წარმოდგენილია კათედრის პორტფოლიოში) დაყრდნობით ვასკვნით, რომ დაწყებით საფეხურზე ხდება მოსწავლეებზე დაკვირვება, პრობლემების გამოკვეთა და ინდივიდუალური უკუკავშირის გაცემა. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა განაცხადეს, რომ იყენებენ მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებულ ადაპტირებულ დავალებებს, დიფერენცირებულ მიდგომებს ამა თუ იმ საკითხების შესწავლისას. სკოლა სწავლისა და განვითარების თანაბარ საშუალებას აძლევს მოსწავლეს, მასწავლებლები აკვირდებიან თითოეულ მათგანს, სწავლობენ მათ თავისებურებებს, ინტერესებს, შესაძლებლობებს და ამ პირობების გათვალისწინებით გეგმავენ სასწავლო პროცესს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.1.2.3. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

4. ინტერვიუდან და პორტფოლიოებში წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. წარმოდგენილი 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, მოსწავლეები ფასდებიან სამი კომპონენტით: ა)მიმდინარე საკლასო დავალება. ბ)მიმდინარე საშინაო დავალება. გ) შემაჯამებელი დავალება. მასწავლებელს უფლება აქვს განმავითარებელი შეფასება გამოიყენოს ნებისმიერ კომპონენტში. კომპლექსური დავალების შესრულების შემდეგ, მოსწავლე ფასდება სოლო ტაქსონომიით. შვიდწლიან განვითარების გეგმაში გაწერილია შეფასების რუბრიკების შემუშავება, რითაც სკოლა იხელმძღვანელებს შემდგომ პერიოდში, საგნობრივად. მნიშვნელოვანია, რომ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შედგენისას ყურადღება უფრო მეტად გამახვილდეს სამიზნე ცნების და თემის მკვიდრ წარმოდგენებზე; **2.1.2.4. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

5. სკოლას წარმოდგენილი აქვს SWOT ანალიზი, რომელშიც გამოკვეთენ სკოლის ძლიერ და სუსტ მხარეებზე. პედაგოგიკის ნაწილში სკოლას ჩატარებული აქვს კვლევა, საჭიროებების დასადგენად. როგორც ინტერვიუდან აგრეთვე მასწავლებლის პორტფოლიოდან გამოჩნდა, მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით. მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების და წლის განმავლობაში მიღწეული შედეგების ანალიზის საფუძველზე, კათედრა ერთობლივად მუშაობს მომავალი წლის კურიკულუმზე, რომელიც ეფუძნება წინარე ცოდნას და ორიენტირებულია შედეგების გაუმჯობესებაზე.**2.1.2.5. ინდიკატორი შესაბამისობაშია**.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საგნობრივი კურიკულემები;
- მასწავლებლების პორტფოლიო;
- განხორციელებული კომპლექსური დავალებების ნიმუშები განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებებით;
- სკოლის 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა,
- SWOT ანალიზი.
- სასკოლო სასწავლო გეგმა;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- მოსწავლეთა შედეგების ანალიზი და ანგარიში;
- მასწავლებელთა თვითრეფლექსია;
- ინტერვიურება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 2.2.კურიკულუმის განხორციელება

### 2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - მოსწავლეები ახორციელებენ ექსპერიმენტებს, დაკვირვებას, უტარდებათ გაკვეთილები ღია სივრცეში. დამატებითი რესურსების სახით ძირითადად იყენებენ PPT-პრეზენტაციებს, მულაჟებს, ტაბულებს, მოსწავლეთა მიერ შექმნილ რესურსებს. სასწავლო გრძელვადიანი პროექტები ნაკლებად ხორციელდება. აქვთ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია რომელიც განლაგებულია სკოლის მეორე სართულზე. ლაბორატორიული აღჭურვილობა განთავსებულია ღია კარადებში, ხოლო რეაქტივები შენახულია დახურულ კარადაში. ლაბორატორიაში არის ერთი ფანჯარა, რომელიც გამოიყენება ბუნებრივი განიავების საშუალებად და გამწოვი. ლაბორატორიაში არ არის წყლის ნიჟარა ონკანით, ასევე, მასში განთავსებული 3 მერხი არ არის პრიალა ზედაპირიანი. შპს სკოლა-ლიცეუმი სანთელის დირექტორის 08.09.2022 წ. №8/21 ბრძანებით დამტკიცებულია ლაბორატორიით სარგებლობის წესი. **2.2.1.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - საფეხურის კურიკულუმებით განსაზღვრული კომპლექსური დავალებები იძლევა მოსწავლის მოსწავლის აქტიურ სუბიექტად გარდაქმნის საშუალებას. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა კომპლექსური ბუნების დავალებები ფრაგმენტულადაა წარმოდგენილი, ხოლო საგან მოქალაქეობაში კურიკულუმებში საერთოდ არ არის გაწერილი კომპლექსური ტიპის დავალება. დამრიგებლის პორტფოლიოებში გაწერილია სადამრიგებლო პროგრამები, საფეხურის მანძილზე განსახილველი თემები, ასევე, სემესტრულად განსახილველი თემები, გაწერილია დამრიგებლის სამუშაო გეგმა, დამრიგებლის I სემესტრის ანგარიში და განხორციელებული ღონისძიებების/აქტივობების ამსახველი ფოტომასალა. გარდა ამისა, მოსწავლეთა თვითმმართველობის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია სხვადასხვა პროექტები: ექსკურსია/ლაშქრობა, სპორტული, შემეცნებითი, სახელოვნებო აქტივობები და სხვ. ინტერვიუს დროს მოვითხოვე ერთ-ერთი აქტივობის განხორციელების მტკიცებულება და მივიღე ისტორიული ძეგლების გაცნობის მიზნით ექსკურსიის მოკლე აღწერილობა ფოტომასალასთან ერთად. სასურველია კურიკულუმების კომპლექსური ბუნების დავალებებით გამდიდრება და, ასევე, კლასგარეშე აქტივობების სახით ესგ-ის ერთ-ერთ პრიორიტეტულ თემაზე სასკოლო პროექტის დაგეგმვა-განხორციელება-ანგარიშგება. **2.2.1.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**უცხოური ენები** -უცხოური ენების კათედრამ, მიმდინარე სასწავლო წლისთვის შედგენილ სამოქმედო გეგმაში სწავლების საბაზო საფეხურზე გაითვალისწინა კომპლექსური, ცხოვრებისეულ კონტექსტთან ახლოს მდგომი პროექტული დავალებები და განახორციელა კიდეც. მასწავლებლების პორტფოლიოებს თან ერთვის მოსწავლეთა ნამუშევრები. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამგვარ სასწავლო გარემოში მოსწავლე, აქტიურ შემოქმედებით პროცესშია ჩართული. **2.2.1.1. ინდიკატორი შესაბამისობაშია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ესთეტიკური აღზრდა** -სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, რაც კარგად ჩანს მასწავლებლის პორტფოლიოში წარმოდგენილი მასალით - კონსტრუქტივისტული მიდგომებით, რესურსებით, მრავალფეროვანი მეთოდებით და სტრატეგიებით. **2.2.1.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**სახელმწიფო ენა** -კათედრას დაგეგმილი აქვს, რომ სწავლა-სწავლების პროცესი წარმართოს კომპლექსური დავალებებით, ამ მეთოდით სწავლება კი მიმდინარეობს შეფასების კომპონენტებში ზემოთ ჩამოთვლილი სწავლების ხუთი პრინციპის დაცვით. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს,რომ მომავალი 2023-2024 სასწავლო წლიდან ყველა თემის ფარგლებში კომპლექსური დავალების ბანკიდან შეარჩევენ კომპლექსურ დავალებებს, რათა მოსწავლეებს მისცენ აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართულობის შესაძლებლობა. **2.2.1.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**მათემატიკა** -სკოლამ წარმოადგინა სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები და მოსწავლეთა ნამუშევრები რაც იძლევ იმის საფუძველს რომ ჩანს რომ სასწავლო პროცესში იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. **2.2.1.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**სპორტი** - სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესბში ჩართულობის მექანიზმები, რომელიც საჭიროებს სრულყოფას. საბაზო საფეხურზე განხორციელებული და დაგეგმილი სპორტული ღონისძიებები, აგრეთვე თემები, რომელიც განისაზღვრება კურუკულუმებში, უზრუნველყოფს მოსწავლეების აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას. **2.2.1.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - საბუნებისმეტყველო კათედრის მიერ წარმოდგენილია გაკვეთილის გეგმები. წინარე ცოდნის გააქტიურება ხდება ძირითადად კითხვა-პასუხით. ნაკლებად იყენებენ მრავალფეროვან მეთოდებს და სტრატეგიებს.

**2.2.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილია სავალდებულო თემები, რომლებიც დაკონკრეტებულია სხვადასხვა საკითხით, რაც საშუალებას იძლევა გააქტიურდეს მოსწავლის წინარე ცოდნა მათთვის ნაცნობი კონტექსტებით. სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტების შემოტანას ხელს უწყობს ფრაგმენტულად წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, მაგრამ ამ მხრივაც გაუმჯობესებას საჭიროებს კომპლექსური ბუნების დავალებების ფრაგმენტული სახით არსებობა, ხოლო საგან მოქალაქეობის კურიკულუმში საერთოდ არარსებობა.

დამრიგებლის პორტფოლიოში გაწერილია არაფორმალური ხასიათის პროექტები/ღონისძიებები/აქტივობები მათი განხორციელების ამსახველი ანგარიშითა და ფოტომასალით, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის მოსწავლის გამოცდილებასთან დაახლოებას. გარდა ამისა,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეთა თვითმმართველობის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია სხვადასხვა პროექტები: ექსკურსია/ლაშქრობა, სპორტული, შემეცნებითი, სახელოვნებო აქტივობები და სხვ. ინტერვიუს დროს მოვითხოვე ერთ-ერთი აქტივობის განხორციელების მტკიცებულება და მივიღე ისტორიული ძეგლების გაცნობის მიზნით ექსკურსიის მოკლე აღწერილობა ფოტომასალასთან ერთად. სასურველია კურიკულუმების კომპლექსური ბუნების დავალებებით გამდიდრება და, ასევე, კლასგარეშე აქტივობების სახით ესგ-ის ერთ-ერთ პრიორიტეტულ თემაზე სასკოლო პროექტის დაგეგმვა-განხორციელება-ანგარიშგება. **2.2.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**უცხოური ენები** - წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან მტკიცდება, რომ უცხოური ენების კათედრა თემატური დაგეგმვისას ითვალისწინებს მოსწავლეთათვის ნაცნობ კონტექსტს, რომელიც მას ეხმარება ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში. ამ მოსაზრებას ისიც ამყარებს, რომ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, რომლებსაც კათედრაზე ძირითად რესურსად იყენებენ, აგებულია იმგვარად, რომ მოსწავლეებს სხვადასხვა უნარებს ნაცნობ კონტექსტში გამომუშავებაში ეხმარება, ლექსიკური მარაგი კი ნელ-ნელა იზრდება. ასევე, კომპლექსური ბუნების დავალებების შესრულების სხვადასხვა ეტაპზე მოსწავლეს უწევს მისი ნაცნობი პრობლემის გადაჭრა, ანალოგის გაკეთება, ამის საფუძველზე ახალი პროდუქტის შექმნა და მისი ახსნა. შესაბამისად, ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. **2.2.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**ესთეტიკური აღზრდა** -მასწავლებლების პორტფოლიოებში წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით კარგად ჩანს, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ; **2.2.1. 2 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**სახელმწიფო ენა** -კათედრას დაგეგმილი აქვს, რომ სწავლა-სწავლების პროცესი წარმართოს კომპლექსური დავალებებით, ამ მეთოდით სწავლება კი მიმდინარეობს შეფასების კომონენტებში ზემოთ ჩამოთვლილი სწავლების ხუთი პრინციპის დაცვით. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მომავალი 2023-2024 სასწავლო წლიდან ყველა თემის ფარგლებში კომპლექსური დავალების ბანკიდან შეარჩევენ კომპლექსურ დავალებებს, რათა მოსწავლეებს მისცენ აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართულობის შესაძლებლობა. **2.2.1. 2 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**მათემატიკა** -წარმოდგენილი კომპლექსური დავალებაში ჩანს, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნაზე დაფუძვნებით.**2.2.1. 2 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**სპორტი** - სკოლის ფიზიკური აღზრდის და სპორტის პედაგოგის განხორციელებული კომპლექსური ტიპის დავალებები ითვალისწინებს, რომ მათზე მუშაობისას განხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის დაშენება. დავალების ყოველ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მომდევნო ეტაპზე მუშაობისას, მოსწავლეს წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით გაუადვილდება სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიან მიზნებზე გასვლა.**2.2.1. 2 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სწავლის სწავლაზე ორიენტირება ხდება კომპლექსური დავალების განხორციელებისას დასმული მეტაკოგნიციური კითხვებით. გაკვეთილებზე იყენებენ მოსწავლეთა თვითრეფლექსიის რუბრიკებს. **2.2.1.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში ერთეული სახით არის გეოგრაფიის მე-8 კლსის კომპლექსური დავალება, რომელშიც არის საკვანძო შეკითხვები, სამიზნე ცნების კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები, პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასასმელი შეკითხვები, შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეში სწავლის-სწავლის, რეფლექსიის, თვითრეგულირებული სწავლის უნარების განვითარებას, მაგრამ აქაც გამოწვევაა კომპლექსური დავალებების ერთ შეთხვევაში ფრაგმენტულობა, ხოლო მეორე შემთხვევაში არარსებობა (მოქალაქეობა). გარდა ამისა, წარმოდგენილი მტკიცებულებებში არ ჩანს თანატოლთა შეფასებისა და თვითშეფასების მაგალითები. სასურველია კურიკულუმების კომპლექსური ბუნების დავალებებით გამდიდრება და, ასევე, კლასგარეშე აქტივობების სახით ესგ-ის ერთ-ერთ პრიორიტეტულ თემაზე სასკოლო პროექტის დაგეგმვა-განხორციელება, ისე, რომ მოსწავლეებს საშუალება ჰქონდეთ მონაწილეობა მიიღონ პროექტის მართვასა და განხორციელებული აქტივობების რეფლექსიაში. **2.2.1. 3 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**უცხოური ენები** - წარმოდგენილ უცხოური ენების საგნობრივ კურიკულუმებში უმრავლეს კლასებში სწავლა ხორციელდება კომპლექსური ტიპის დავალებებით, რომელშიც გათვალისწინებულია საკვანძო შეკითხვები, რომელიც გასდევს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესს, სწორედაც სწავლის -სწავლის სტრატეგიები. კომპლექსური ტიპის დავალებებზე მუშაობისას ასევე წახალისებულია მოსწავლის ფიქრი იმაზე, თუ რა არის მისი მიზანი, რამდენად ეფექტურია მის მიერ შერჩეული სტრატეგიები და სხვა. მასწავლებლების მიერ შექმნილ თემატურ გეგმებში სწავლების საბაზო საფეხურზეა გათვალისწინებული სქემებითა და დიაგრამებით მუშაობა, რაც თავის მხრივ მეტაკოგნიტური უნარების გაუმჯობესებაზეა მიმართული. მასწავლებლების პორტფოლიოებში წარმოდგენილი გაკვეთილის გეგმებისა და შეფასების ფორმებზე (მოსწავლეთა წერილობითი თვითშეფასება, კომპლექსური დავალების შესრულების ზეპირი რეფლექსია) დაყრდნობითაც მტკიცდება, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. **2.2.1.3. ინდიკატორი შესაბამისობაშია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ესთეტიკური აღზრდა** -ინტერვიუდან და პორტფოლიოებში წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე; **2.2.1. 3 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**სახელმწიფო ენა** -კათედრას დაგეგმილი აქვს, რომ სწავლა-სწავლების პროცესი წარმართოს კომპლექსური დავალებებით, ამ მეთოდით სწავლება კი მიმდინარეობს შეფასების კომპონენტებში ზემოთ ჩამოთვლილი სწავლების ხუთი პრინციპის დაცვით. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მომავალი 2023-2024 სასწავლო წლიდან ყველა თემის ფარგლებში კომპლექსური დავალების ბანკიდან შეარჩევენ კომპლექსურ დავალებებს, რათა მოსწავლეებს მისცენ აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართულობის შესაძლებლობა. **2.2.1. 3 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**მათემატიკა** -როგორც ირკვევა, სკოლაში საკმაოდ კარგად ხორციელდება კომპლექსური დავალებები, რაც ნამდვილად გულისხმობს კეთებით სწავლას.**2.2.1. 3 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**სპორტი** -სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენება ისეთ რესურსები, რომელიც მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ-ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების, ორგანიზებულობის და თვითკონტროლის, ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს.**2.2.1. 3 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. ფიზიკისა და ქიმის მასწავლებლები შემაჯამებელ სამუშაოებსა და კომპლექსურ დავალებებში იყენებენ როგორც დეკლარაციულ, პირობისეულ, ასევე, პროცედურულ ცოდნას, რაც შეეხება ბიოლოგის მასწავლებელს - ძირითადათ ააქტიურებს დეკლარატიულ ცოდნას (შემაჯამებელი სამუშაოები). საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, მათემატიკის და კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრას შემუშავებული აქვთ შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმები. ასევე კათედრამ წარმოადგინა 2022-2-23 სასწავლო წლის I სემესტრის მოსწავლეთა მიღწევების დინამიკა, სადაც ასახულია მოსწავლეთა ქულების სტატისტიკა, ანალიზი და ინტერვენციები.**2.2.1.4 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - სასწავლო პროცესის დეკლარატიულ, პროცედურულ და პირობისეულ ცოდნაზე ორიენტირებულობა პირდაპირ კავშირშია საფეხურის კომპლექსურ ბუნების დავალებებში გაწერილ სამიზნე ცნების კონსტრუირებაზე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ორიენტირებულ შეკითხვებთან, თუმცა კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ აქაც ერთგვარი გამოწვევაა კომპლექსური დავალებების ერთ შეთხვევაში ფრაგმენტულობა, ხოლო მეორე შემთხვევაში (მოქალაქეობა) არარსებობა, რადგან ეროვნული სასწავლო გეგმა ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის კარგ მაგალითად განიხილავს პროექტული, პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელებას. **სასურველია** კურიკულუმების კომპლექსური ბუნების დავალებებით გამდიდრება და, ასევე, კლასგარეშე აქტივობების სახით ესგ-ის ერთ-ერთ პრიორიტეტულ თემაზე სასკოლო პროექტის დაგეგმვა-განხორციელება, ისე, რომ მოსწავლეებს საშუალება ჰქონდეთ მონაწილეობა მიიღონ პროექტის მართვასა და განხორციელებული აქტივობების რეფლექსიაში. **2.2.1.4 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**უცხოური ენები** -უცხოური ენის წარმოდგენილ თემატური გეგმებზე, კომპლექსური ტიპის დავალებებზე და მოსწავლეთა ნამუშევრებზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. სახელმძღვანელოში მოცემულ ყველა თავში, მოსწავლე ჯერ ამუშავებს ფაქტობრივ მასალას, ეცნობა ინფორმაციებს როგორც სახელმძღვანელოდან, ასევე სხვა მითითებული წყაროებიდან. როგორც კათედრის პირველი სემესტრის ანგარიშში განმარტავენ მოსწავლეებს არ აქვთ პრობლემები ტექსტზე მუშაობასთან დაკავშირებით (დეკლარატიული ცოდნა). მოსწავლეები ასევე განიხილავენ ცხოვრებისეული კონტექსტის მქონე მაგალითებს (პირობისეული ცოდნა) და იწყენებ ფიქრს იმაზე თუ სად და როგორ გამოიყენონ ცოდნა (პროცედურული ცოდნა), რაშიც მათ თავისდაუნებურად კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტზე მუშაობის ეტაპი ეხმარება. **2.2.1.4 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**ესთეტიკური აღზრდა** -ინტერვიუდან და პორტფოლიოებში წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე გამოჩნდა, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული); **2.2.1.4 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**სახელმწიფო ენა** -კათედრას დაგეგმილი აქვს, რომ სწავლა-სწავლების პროცესი წარმართოს კომპლექსური დავალებებით, ამ მეთოდით სწავლება კი მიმდინარეობს შეფასების კომპონენტებში ზემოთ ჩამოთვლილი სწავლების ხუთი პრინციპის დაცვით. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს,რომ მომავალი 2023-2024 სასწავლო წლიდან ყველა თემის ფარგლებში კომპლექსური დავალების ბანკიდან შეარჩევენ კომპლექსურ დავალებებს, რათა მოსწავლეებს მისცენ აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართულობის შესაძლებლობა. **2.2.1.4 ინდიკატორი შესაბამისობაშია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**მათემატიკა** - წარმოდგენილ მასალებში, მოსწავლეთა ნამუშევრებში და საკლასო აქტივობებში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. **2.2.1.4 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**სპორტი** - სკოლის ფიზიკური აღზრდის და სპორტის პედაგოგების მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი მომავალში საჭიროებს განვითარებას, რათა უზრუნველყოს მოსწავლიეების მიერ თეორიული ცოდნის გამოყენება ფიზიკურ აქტივობებში და მათი გადატანა დაგეგმილი აქტივობების შესწავლის პროცესში. რომელიც ორიენტირებული იქნება ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) რის მზაობასაც გამოხატავს პედაგოგი.**2.2.1.4 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

5. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, მათემატიკის და კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრის პედაგოგებს დაგეგმილი ჰქონდათ ინტეგრირებული გაკვეთილები. განახორციელეს საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეების სასწავლო ვიზიტი მეორადი ნედლეულის გადამუშავების საწარმოში. ვიზიტი დაიგეგმა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, მათემატიკის და კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრის და საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრების მიერ. **2.2.1.5 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - საფეხურის კურიკულუმებში ერთი თემის ფარგლებში სკოლას აქვს კომპლექსური დავალების განხორციელების პრაქტიკა, რაც თავისი ბუნებით უზრუნველყოფს მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას, თუმცა კიდევ უნდა გაესვას ხაზი, კომპლექსური ბუნების დავალებების ფრაგმენტულობას.
დამრიგებლის პორტფოლიოში გაწერილია არაფორმალური ხასიათის პროექტები/ღონისძიებები/აქტივობები მათი განხორციელების ამსახველი ანგარიშითა და ფოტომასალით, რაც ხელს უწყობს ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენებას. სასურველია კურიკულუმების კომპლექსური ბუნების დავალებებით გამდიდრება და, ასევე, კლასგარეშე აქტივობების სახით ესგ-ის ერთ-ერთ პრიორიტეტულ თემაზე სასკოლო პროექტის დაგეგმვა-განხორციელება, ისე, რომ მოსწავლეებს საშუალება ჰქონდეთ მონაწილეობა მიიღონ პროექტის მართვასა და განხორციელებული აქტივობების რეფლექსიაში. **2.2.1.5 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**უცხოური ენები** -უცხოური ენის კათედრის სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარება. ასევე თავად შერჩეულ სახელმძღვანელოებში მოცემულ თემატურ ერთეულებში გათვალისწინებულია ინტეგრირებული თემები. კერძოდ: გარემო, ეკონომიკა, გეოგრაფია, ისტორია. ტექნოლოგიები, სპორტი, ხელოვნება და სხვა. საგანთა შორის კავშირები იკვეთება ასევე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლების მიერ წარმოდგენილ გაკვეთილის გეგმებში. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში მოსწავლეს უხდება საკუთარი მოსაზრების დასაბუთება, სხვისი მოსაზრების გათვალისწინება, გამოსავლის ძიება, რაც მას ცოდნის ორგანიზების გამოცდილებას სძენს. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. **2.2.1.5. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**ესთეტიკური აღზრდა -** ინტერვიუდან და პორტფოლიოებში წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე გამოჩნდა, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. **2.2.1.5 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**სახელმწიფო ენა** -კათედრას დაგეგმილი აქვს, რომ სწავლა-სწავლების პროცესი წარმართოს კომპლექსური დავალებებით, ამ მეთოდით სწავლება კი მიმდინარეობს შეფასების კომპონენტებში ზემოთ ჩამოთვლილი სწავლების ხუთი პრინციპის დაცვით. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მომავალი 2023-2024 სასწავლო წლიდან ყველა თემის ფარგლებში კომპლექსური დავალების ბანკიდან შეარჩევენ კომპლექსურ დავალებებს, რათა მოსწავლეებს მისცენ აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართულობის შესაძლებლობა. **2.2.1.5 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**მათემატიკა -**წარმოდგენილ მასალაში ნაკლებად ჩანს, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.**2.2.1.5 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**სპორტი** -ფიზიკური აღზრდის და სპორტის საგნობრივი კურიკულუმები და მასში გაწერილი კომპლექსური დავალებები, რომლის გადამუშავების მზაობას და სტანდარტთან შესაბამისობასი მოყვანას გამოხატავს სკოლა, ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. **2.2.1.5 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- მასწალებლების პორტფოლიოები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კათედრების პორტფოლიოები;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი და ანგარიში;
- მასწავლებელთა შემაჯამებელი სამუშაოების და კომპლექსური დავალებების თვითრეფლექსია;
- ვიზუალური დათვალიერება;
- შპს სკოლა-ლიცეუმი სანთელის ლაბორატორიით სარგებლობის წესი;

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - კურიკულუმების მიხედვით იკვეთება, რომ კათედრაზე დანერგილია კომპლექსური დავალებები და თემატური მატრიცები, თუმცა მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ ბოლომდე არ აქვთ გათავისებული სამიზნე ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები. სასწავლო პროექტებს ნაკლებად ახორციელებენ. მოსწავლეები ხალისით მუშაობენ კომპლექსურ დავალებებზე, მაგრამ არ ხდება გრძელვადიანი და შუალედური მიზნების გამოკვეთა და ურთიერთდაკავშირება.

**2.2.2.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით სამიზნე ცნებებისა და მის მკვიდრი წარმოდგენების გათავისების შესაძლებლობა მხოლოდ ფრაგმენტულად არის შესაძლებელი საფეხურის კურიკულუმებში ერთეული კომპლექსური დავალების ფარგლებში, რომელშიც გაწერილია სამიზნე ცნება, კომპლექსური დავალების პირობაში ცნების მკვიდრი წარმოდგენების საფუძველზე კი შეფასების კრიტერიუმები (ნაშრომში ხაზგასმით წარმოაჩინეთ), მაგრამ სხვაგან არსად იკვეთება კავშირი სამიზნე ცნებებსა და მის მკვიდრ წარმოდგენებთან. მთლიან საგნობრივ კურიკულუმებში კი მხოლოდ სტანდარტის შედეგებია გაწერილი. აქედან გამომდინარე, სასწავლო პროცესი ფრაგმენტულად უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. სასურველია კურიკულუმების კომპლექსური ბუნების დავალებებით გამდიდრება და, ასევე, კლასგარეშე აქტივობების სახით ესგ-ის ერთ-ერთ პრიორიტეტულ თემაზე სასკოლო პროექტის დაგეგმვა-განხორციელება. **2.2.2.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**უცხოური ენები** -წარმოდგენილი გრძელვადიანი მიზნები ხშირ შემთხვევაში ვერ მოდის კორელაციაში შუალედურ მიზნებთან. ხშირ შემთხვევაში საგნის სწავლების შედეგები მითითებულია ძველი (არამოქმედი) ეროვნული სასწავლო გეგმიდან. ასევე უმეტეს შემთხვევაში, შუალედურ მიზანში (კომპლექსურ დავალებაში) მოხსენიებულია სამიზნე ცნებები სხვა სახელწოდებით, ვიდრე საგნობრივ და მასწავლებლის სამოქმედო გეგმებში. ამ უკანასკნელში სამიზნე ცნებები მითითებულია მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ხდება მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბება, დანაწევრებით მიღებული ცოდნის გამთლიანება, მაგრამ დანამდვილებით ამის თქმა რთულია. მიზანშეწონილია, სასკოლო კურიკულუმი აგებული იყოს მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმის (რომლის დანერგვაც ეტაპობრივად დაიწყო 2018 წლიდან) მიხედვით და გათვალისწინებული იყოს შესაბამისი სამიზნე ცნებები და მისაღწევი შედეგები, რათა დადგინდეს როგორ ხდება სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 12.07.2023-30.11.2023) - ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი. სკოლამ უზრუნველყოს კურიკულუმის შედგენა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად., რათა გათვალისწინებულ იქნას სამიზნე ცნებები და მისაღწევი შედეგები.**

**ესთეტიკური აღზრდა** -მასწავლებლების პორტფოლიოებში და ინტერვიუებიდან გამოჩნდა, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; **2.2.2.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**სახელმწიფო ენა** -სასწავლო პროცესი, კურიკულუმის შესაბამისად, არ უზრუნველყოფს სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; არსებული სასწავლო პროგრამები არ აკმაყოფილებს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 12.07.2023-30.11.2023) - ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი. სკოლამ უზრუნველყოს კურიკულუმის შედგენა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად.**

**მათემატიკა** -კურიკულუმი, ასევე სასწავლო პროექტები ისეა წარმოდგენილი, რომ ნამდვილად იძლევა სამიზნე ცნებების და მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით ;**2.2.2.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**სპორტი** -სასწავლო პროცესი ფიზიკური აღზრდასა და სპორტში აუცილებელია ეფუძნებოდეს მეთოდოლოგიურად გამართულ კურიკულუმებს, რომლებშიც ნათლად იქნება ასახული თუ როგორ ხდება სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. ამას ადასტურებს საბაზო საფეხურის კურიკულუმები, რომლის შემდგომი განვითარებისთვის სკოლა აპირებს ზრუნვას. **2.2.2.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - საგნობრივი კონტექსტები ძირითადად ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. მასწავლებელთა მიერ გაცემული ზეპირი რეკომენდაციები ეხმარება მათ უკეთ გააცნობიერონ საკუთარი პროგრესი და ხელი შეუწყონ მას. **2.2.2.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას ემსახურება წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები და მასში გაწერილი საკვანძო შეკითხვები, შეფასების კრიტერიუმები, თუმცა როგორც უკვე რამდენჯერმე აღინიშნა ასეთი ტიპის დავალებები ერთეული სახითაა წარმოდგენილი, ხოლო საგან მოქალაქეობის კურიკულუმში საერთოდ არ არის გაწერილი. **სასურველია** კურიკულუმების კომპლექსური ბუნების დავალებებით გამდიდრება და, ასევე, კლასგარეშე აქტივობების სახით ესგ-ის ერთ-ერთ პრიორიტეტულ თემაზე სასკოლო პროექტის დაგეგმვა-განხორციელება. **2.2.2.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**უცხოური ენები** -წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმზე, მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებზე, სასწავლო პროცესში გამოყენებულ აქტივობებსა და მასწავლებლის პორტფოლიოზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. აქცენტი კეთდება არა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მარტო ცოდნის მიწოდებაზე, არამედ საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე. საბაზო საფეხურზე, მერვე კლასში ინგლისური ენის მასწავლებლის მიერ განხორციელებული პროექტი მოსწავლეებს აძლევს საშუალებას განივითაროონ სოციალური უნარები. პროექტის მიზანია : მოსწავლეთა მიერ ბულინგის ირგვლივ მოძიებული ინფორმაციის დამუშავება ტექნოლოგიების გამოყენებით.; დასკვნების გამოტანა; პრევენციული ზომებისა და რეკომენდაციების შემუშავება და აღნიშნული ინფორმაციის გაზიარება თანატოლებისთვის. პროექტის ფარგლებში მოსწავლეებმა თავად შეარჩიეს თემა; მოიძიეს ინფორმაცია, დაახარისხეს და მოამზადეს პრეზენტაციები; ამავე თემაზე უყურეს ფილმს და მოაწყევს დისკუსია; გამოტანილი დასკვნები პრეზენტაციის გზით გაუზიარეს თანატოლებს. **2.2.2.2. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**ესთეტიკური აღზრდა** -პორტფოლიოებში წარმოდგენილი დავალებები ეხმარება მოსწავლის პიროვნული სოციო-ფსიქოლოგიურ განვითარებას . **2.2.2.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**სახელმწიფო ენა** -საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებას. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ახორციელებენ ისეთ აქტივობებს, სასწავლო და სოციალურ პროექტებს, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია მოსწავლეთა ფსიქო-სოციალური განვითარება. გასაუბრების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ხელას უწყობენ მოსწავლეთა სოციო-ემოციურ განვითარებას, მოსწავლეებს უვითარდებათ თვითშეფასებისა და თვითრეგულაციის უნარები. მოსწავლე სწავლობს პოზიტიური ურთიერთობების დამყარებას, გუნდურ მუშაობას, სტრესული და კონფლიქტური სიტუაციების, საკუთარი ემოციებისა და ქცევების მართვას. **2.2.2.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**მათემატიკა** -ჩანს ნაწილობრივ წარმოდგენილ დოკუმენტებში, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები რაც დოკუმენტებშია წარმოდგენილი, იძლევა ამის საფუძველს **2.2.2.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**სპორტი** -საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. მასწავლებლის ინტერვუიდან გამომდინარე, საბაზო საფეხურზე მასწავლებელი ცდილობს აქტივობები დაგეგმოს სკოლის სპორტის ინფრასტრუქტურის და რესურსების შესაბამისად, მოსწავლეთა ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინებით. **2.2.2.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები უფრო ანალიტიკურია და მორგებულია კონკრეტულ აქტივობასა და სამუშაოს. ჰოლისტური შეფასება არ ჩანს. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 12.07.2023-30.11.2023) - ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**შესაბამისი. დაწესებულებამ უზრუნველყოს შეფასების სისტემის ორიენტირება მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე - სკოლამ შეადგინოს შესაბამისი შეფასების რუბრიკები.**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები -** სკოლას წარმოდგენილი აქვს სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია (სოლო ტაქსონომია), რომელსაც ეროვნული სასწავლო გეგა მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განიხილავს, თუმცა მხოლოდ ტაქსონომიის დონეების აღწერილობა და შეფასების კრიტერიუმებია (მოლოდინები) გაწერილი და არ არის განმავითარებელი კომენტარის აღწერილობები შესაბამისი სტრუქტურით (დაცული უნდა იყოს სტრუქტურა - დაზუსტება, წახალისება, რჩევა).

ცოდნის კონსტრუირების საფეხურების დეკლარატიული ცოდნიდან პირობისულ ცოდნამდე მისასვლელი ნაბიჯებისა და ჰოლისტურად შეფასების უზრუნველყოფისთვის სასურველია ტაქსონომიაში განმავითარებელი კომენტარების შესაბამისი სტრუქტურის დაცვით გაწერაც.

**2.2.2.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**უცხოური ენები** -მასწავლებელთა პორტფოლიოებში წარმოდგენილია მოსწავლის შეფასების რუბრიკები. საბაზო საფეხურზე ძირითადად გამოიყენება მოსწავლეთა თვითშეფასება. იმავეს თქმა ძნელია რუსული ენისთვის, რადგან არ არის წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები. შემაჯამებელი დავალების შეფასების რუბრიკიდან კი იკვეთება, რომ აქცენტი კეთდება მხოლოდ , მოსწავლეთა ცოდნაზე და არა უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე. თუმცა საგნის სწავლებისას გამოყენებული კომპლექსური ტიპის დავალებები უზრუნველყოფს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერას.

**2.2.2.3. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**ესთეტიკური აღზრდა** -ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ შეფასებისას იყენებენ განმავითარებელ შეფასებას სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე, სტანდარტის შედეგებზე და ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიაზე დაყრდნობით, რომელიც ხუთ დონეს გულისხმობს და ასახავს ცოდნის კრიტერიუმების საფეხურებს დეკლარატიული ცოდნიდან პირობისეულ ცოდნამდე. **2.2.2.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**სახელმწიფო ენა** -სკოლას ნაწილობრივ განსაზღვრული აქვს შეფასების ინსტრუმენტები, ნაწილს კი სამომავლოდ შექმნის მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის გათვალისწინებით. კათედრაზე შექმნიან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს კონკრეტული თემისა და დავალებისათვის. მომავალი სასწავლო წლისთვის სკოლა განსაზღვრავს, თუ შეფასების რომელი მოდელით აპირებენ მუშაობას, ასევე დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტს. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **2.2.2.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**მათემატიკა** -მასალებში წარმოდგენილია როგორც მოსწავლეთა ნამუშევრები, ასევე, შეფასების მასალები რაც იძლევა იმის საფუძველს, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე; **2.2.2.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**სპორტი** -სკოლის მიერ წარმოდგენილი ფიზიკური აღზრდის და სპორტის განმავითარებელი შეფასების რუბრიკა ჰოლისტური ხასიათისაა და მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. ფიზიკურ აღზრდაში და სპორტში განმავითარებელი შეფასების საჭირეობისამებრ გამოყენება და საგაკვეთილო პროცესში სიტყვიერი კომენტარები, რომელსაც იყენებენ მასწავლებლები, დაეხმარება მოსწავლეებს ფიზიკური თვისებების, ორგანიზებულობის და თვითკონტროლის, ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების გაცნობიერებაში. **2.2.2.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** -მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი ანალიტიკური შეფასების რუბრიკები ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანია. რაც შეეხება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევების ტაქსონომიის რუბრიკებს - საჭიროებს დახვეწას. საჭიროა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევების ტაქსონომიის რუბრიკები მაქსიმალურად მოარგონ სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებს, რის უზრუნველსაყოფადაც კომპლექსური დავალებების ხშირი განხორციელებაა მიზანშეწონილი. **2.2.2.4 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - სკოლას წარმოდგენილი აქვს სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია (სოლო ტაქსონომია), თუმცა მხოლოდ ტაქსონომიის დონეების აღწერილობა და შეფასების კრიტერიუმებია (მოლოდინები) გაწერილი და არ არის განმავითარებელი კომენტარის აღწერილობები შესაბამისი სტრუქტურით (დაცული უნდა იყოს სტრუქტურა - დაზუსტება, წახალისება, რჩევა). რაც ხელს ვერ უწყობს სასკოლო საზოგადოების მხრიდან შეფასების სისტემის სათანადოდ აღქმა-გააზრებას. გარდა ამისა, მტკიცებულებებში არ ჩანს მოსწავლეთა/სასკოლო საზოგადოების ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების პრაქტიკა, არც მოსწავლეების ჩართულობა შეფასების დიზაინის შემუშავებაში. **მიზანშეწონილია** შეფასების და თვითშეფასების რუბრიკების შემუშავებაში მოსწავლეთა და სასკოლო საზოგადოების ჩართულობა. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 12.07.2023-30.11.2023) - ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი. სკოლამ უზრუნველყოს შეფასების რუბრიკების შემუშავება მოსწავლეთა ჩართულობით, ასევე, დანერგოს მოსწავლეთა/სასკოლო საზოგადოების ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების პრაქტიკა.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**უცხოური ენები** - უცხოური ენის კათედრამ სასწავლო წლის დასაწყისში იმსჯელა შეფასების სისტემის გამჭვირვალეობის მნიშვნელობაზე. იგივე პრინციპი იკითხება 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაშიც. კერძოდ: მოსწავლეებისთვის წინასწარ უნდა იყოს ცნობილი შეფასების მექანიზმი, შეფასების კრიტერიუმები უნდა მოიცავდეს არა მარტო ცოდნის, არამედ პროცესის შეფასებას. შემაჯამებელი სამუშაოების დაგეგმვის, წარმართვის და მონიტორინგი მიზნით სკოლა-ლიცეუმში შემუშავებულია მექანიზმი. სკოლის სასწავლო პროცესისა და ხარისხის მართვის მენეჯერთან. მონიტორინგისთვის შეარჩევს თითოეული საგნობრივი კათედრიდან ერთ შემაჯამებელ დავალებას. შემაჯამებელი სამუშაოს თარიღამდე არაუგვიანეს 5 დღისა, მასწავლებელი მონიტორინგის ჯგუფს აწვდის: • მისაღწევ შედეგებს ინდიკატორების მითითებით ესგ-დან, რომლის მიღწევის შეფასებაც დაისახა მიზნად აღნიშნული შემაჯამებელი სამუშაოთი; • თავად შემაჯამებელი სამუშაოს დავალებებს (საბოლოო ვერსიას); • თითოეული დავალების შეფასების რუბრიკას; შემაჯამებელი სამუშაოს თარიღამდე არაუგვიანეს 2 დღისა: • მასწავლებელი, საჭიროების შემთხვევაში, დირექციისგან იღებს და ითვალისწინებს რეკომენდაციებს. შემაჯამებელი სამუშაოს პროცესში, შემაჯამებელი სამუშაოს პროცესის ობიექტურად მიმდინარეობის მონიტორინგის მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია, მოხდეს მონიტორინგის ჯგუფის წევრის დასწრება შემაჯამებელი სამუშაოს მიმდინარეობაზე; შემაჯამებელი სამუშაოს ჩატარების შემდეგ, შემაჯამებელი სამუშაოს ობიექტურად შეფასების მიზნით, შესაძლებელია ადმინისტრაციამ შემთხვევითობის პრინციპით შეამოწმოს მასწავლებლის მიერ შეფასებული შემაჯამებელი სამუშაო/სამუშაოები. მასწავლებლები ყველა მტკიცებულებას აგროვებენ და ინახავენ, რათა საბოლოო შედეგების დადასტურებისას არგუმენტირებულად წარმოადგინონ პოზიცია. მაგალითად: ზეპირი გამოკითხვის დროს მტკიცებულება იქნება ვიდეოჩანაწერი, წერილობითი დავალების დროს – გასწორებული ნამუშევრები, პროექტის განხორციელების შემთხვევაში – მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები და ა. შ. მასწავლებელი, კათედრის ხელმძღვანელთან ერთად იღებს უკუკავშირს მონტორინგის ჯგუფისგან შემაჯამებელი სამუშაოს ყველა ეტაპთან დაკავშირებით; მონიტორინგის შედეგებს განიხილავს საგნობრივი კათედრა, მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზანი შემაჯამებელი სამუშაოების დაგეგმვის, წარმართვის და მონიტორინგი მიზნით სკოლა-ლიცეუმში შემუშავებულია მექანიზმი. სკოლის სასწავლო პროცესისა და ხარისხის მართვის მენეჯერთან. მონიტორინგისთვის შეარჩევს თითოეული საგნობრივი კათედრიდან ერთ შემაჯამებელ დავალებას. შემაჯამებელი სამუშაოს თარიღამდე არაუგვიანეს 5 დღისა, მასწავლებელი მონიტორინგის ჯგუფს აწვდის: • მისაღწევ შედეგებს ინდიკატორების მითითებით ესგ-დან, რომლის მიღწევის შეფასებაც დაისახა მიზნად აღნიშნული შემაჯამებელი სამუშაოთი; • თავად შემაჯამებელი სამუშაოს დავალებებს (საბოლოო ვერსიას); • თითოეული დავალების შეფასების რუბრიკას; შემაჯამებელი სამუშაოს თარიღამდე არაუგვიანეს 2 დღისა: • მასწავლებელი, საჭიროების შემთხვევაში, დირექციისგან იღებს და ითვალისწინებს რეკომენდაციებს. 33 შემაჯამებელი სამუშაოს პროცესში: • შემაჯამებელი სამუშაოს პროცესის ობიექტურად მიმდინარეობის მონიტორინგის მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია, მოხდეს მონიტორინგის ჯგუფის წევრის დასწრება შემაჯამებელი სამუშაოს მიმდინარეობაზე; შემაჯამებელი სამუშაოს ჩატარების შემდეგ: • შემაჯამებელი სამუშაოს ობიექტურად შეფასების მიზნით, შესაძლებელია ადმინისტრაციამ შემთხვევითობის პრინციპით შეამოწმოს მასწავლებლის მიერ შეფასებული შემაჯამებელი სამუშაო/.სამუშაოები. მასწავლებლები ყველა მტკიცებულებას აგროვებენ და ინახავენ, რათა საბოლოო შედეგების დადასტურებისას არგუმენტირებულად წარმოადგინონ პოზიცია. მაგალითად: ზეპირი გამოკითხვის დროს მტკიცებულება იქნება ვიდეოჩანაწერი, წერილობითი დავალების დროს – გასწორებული ნამუშევრები, პროექტის განხორციელების შემთხვევაში – მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები და ა. შ. მასწავლებელი, კათედრის ხელმძღვანელთან ერთად იღებს უკუკავშირს მონი-ტორინგის ჯგუფისგან



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შემაჯამებელი სამუშაოს ყველა ეტაპთან დაკავშირებით; • მონიტორინგის შედეგებს განიხილავს საგნობრივი კათედრა, მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით. **2.2.2.4. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**ესთეტიკური აღზრდა** -მასწავლებლების პორტფოლიოში, ასევე სკოლის 7 წლიან სტრატეგიულ გეგმაში გაწერილია სამომავლოდ რუბრიკების და შეფასების მექანიზმების განხორციელება სკოლაში. შესაბამისად, აღწერის მიხედვით შეფასება უნდა იყოს ვალიდური. აქედან გამომდინარე ერთობლივად შემუშავებული შეფასების სისტემა ობიექტურია. შეფასების სისტემის ვალიდურობაზე/გამჭირვალობაზე/სანდოობაზე /ობიექტურობაზე/სამართლიანობაზე მეტყველებს მკაფიოდ გაწერილი შეფასების რუბრიკები და კრიტერიუმები, რომელიც მოსწავლეებისათვის მარტივი ენითაა ჩამოყალიბებული, ადვილად გასაგები და მისაწვდომია. მათ ზუსტად იციან, როგორ ფასდება და რა მიზნისკენაა მიმართული შეფასება. სასურველია შეფასების რუბრიკებში გამოიკვეთოს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები და სტანდარტის შედეგები **2.2.2.4. ინდიკატორი შესაბამისობაშია** .

**სახელმწიფო ენა** -სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს შექმნილი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შედეგების ინდიკატორებზე დაყრდნობილი შეფასების რუბრიკები. შესაბამისად, ამ ეტაპზე ძნელია იმის განსაზღვრა, თუ რამდენად ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანია სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა. აქედან გამომდინარე, სკოლა არ აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 12.07.2023-30.11.2023) - ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი. დაწესებულებამ უზრუნველყოს შეფასების რუბრიკების შემუშავება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა შესაბამისად.**

**მათემატიკა** -მოსწავლეთა ნამუშევრებზე და ამ ნამუშევრების შესაბამის შეფასებებზე შეიძლება თქვას, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი; **2.2.2.4.ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**სპორტი** -სკოლის ავტორიზაციის განაცხადზე დაყრდნობით, სკოლის შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა კი ითვალისწინებს შეფასების სისტემის განვითარებასა და დახვეწას, საგანში - ფიზიკური აღზრდა - შეფასების კრიტერიუმები და სქემები მეტწილად არის სანდო, ობიექტური. **2.2.2.4.ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

5. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის მექანიზმები: საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, მათემატიკის და კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრის მასწავლებლები ახდენენ გაკვეთილებზე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ურთიერთდასწრებას, შემუშავებული აქვთ ურთიერთდასწრების ფორმები, ახდენენ ჩატარებული გაკვეთილების, შემაჯამებელი სამუშაოებისა და კომპლექსური დავალებების რეფლექსიას. **2.2.2.5 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები -** წარმოდგენილი დოკუმენტაციით სკოლას არ აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი და **მიზანშეწონილია** სკოლამ შეიმუშაოს შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციის მექანიზმი, რომლის საშუალებითაც უზრუნველყოფს სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემის დახვეწა-განვითარებას. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულებულია 14.07.2023) - ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

**უცხოური ენები**-წარმოდგენილ დოკუმენტაციას თან ახლავს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. სადაც საუბარია შეფასების სისტემის ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალეობა, სამართლიანობა და ობიექტურობაზე. გამჭვირვალეობის მუხლი მოიცავს შემდეგ რეკომენდაციებს: „მასწავლებლები მოსწავლეებთან ერთად ქმნიან შეფასების კრიტერიუმებს; მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმები გამოკრულია საკლასო ოთახში; შეფასების კრიტერიუმები და სქემები ცნობილია ყველასთვის;
პედაგოგები მშობელთა პირველივე კრებაზე აცნობს მშობლებს მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმებს.“
ვერიფიკაციის მექანიზმი იკითხება ასევე სასკოლო სასწავლო გეგმაში, კათედრის სამოქმედო გეგმაში, სადაც საუბარია მოსწავლის მიღწევის მონიტორინგზე, კონკრეტულად შემაჯამებელი დავალების ანალიზში. თუმცა ამ შემთხვევაშიც საჭიროა უფრო მეტად ჰოლისტური მიდგომა. მიზანშეწონილია, შედგეს ვერიფიკაციის მექანიზმის უფრო დეტალური აღმწერი დოკუმენტი. მან უნდა მოგვცეს ინფორმაცია სამი მიმართულებით: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია (როგორც ამ კონკრეტულ შემთხვევაში მოცემულია შემაჯამებელ დავალებებთან დაკავშირებით), შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 2023 წლის სექტემბრიდან 2024 წლის ივნისამდე) - ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი. სკოლამ უზრუნველყოს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის შედგენა და ამოქმედება**

**ესთეტიკური აღზრდა -**.ინტერვიუზე მასწავლებელმა დაადასტურა, რომ შეფასების სისტემის შექმნა ხდება, სკოლის, კათედრების დონეზე, ამიტომაც კათედრის წევრები პასუხისმგებელნი არიან ვერიფიკაციის მექანიზმზე. **2.2.2.5 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**სახელმწიფო ენა** -სკოლაში არ ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. არ არსებობს მექანიზმი, რომლითაც მოხდება მოსწავლეთა შეფასების გადამოწმება; **2.2.2.5 ინდიკატორი არ არის შესაბამისობაში**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**მათემატიკა** -სკოლამ წარმოადგინა შეფასების მასალები, თუმცა, წარმოდგენილ დოკუმენტებში არაა ვერიფიკაციის მექანიზმი.

**სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულებულია 14.07.2023წ.) - ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

**სპორტი** -სკოლაში შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის არსებობა მნიშვნელოვანია. სკოლის ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის ინტერვიუს დროს გამოიკვეთა სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებების განხორციელება, მიღებულმა შედეგებმა შესაძლებელია მოგვცეს შიდა შეფასებებზე დასკვნების გაკეთების საშუალება. თუმცა, სკოლაში არის შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის გაუმჯობესების პოტენციალი. იგეგმება კათედრებზე მეტი შეხვედრები და ამ მიმართულებით შეფასების რუბრიკების გადამუშავება. **2.2.2.5 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

6. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვასა და შენახვას. **2.2.2.6 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - სკოლას აქვს წარმოდგენილი მასწავლებლის პორტფოლიო, დამრიგებლის პორტფოლიო, მოსწავლეთა ნამუშევრების ნიმუშები, მასწავლებლების მიერ შექმნილი აქტივობები/რესურსები და სხვ. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. **2.2.2.6 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**უცხოური ენები** -.წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლა ინახავს შეფასებათან დაკავშირებულ ინფორმაციას სასკოლო ჟურნალში. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში „სასკოლო შეფასების სისტემა“ საუბარია მხოლოდ მასწავლებელთა შეფასებაზე. მიზანშეწონილია, აღნიშნული დოკუმენტი მოიცავდეს, შემაჯამებელი სამუშაოების, როგორც მტკიცებულების, შენახვის წესსა და ვადას. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულებულია - 18.07.2023წ.) ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

**ესთეტიკური აღზრდა** -სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/ მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და შენახვა. **2.2.2.6 ინდიკატორი შესაბამისობაშია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**სახელმწიფო ენა** -სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების /მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას, მოსწავლეთა ნამუშევრების შენახვას 3 წლის ვადით; შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **2.2.2.6 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**მათემატიკა** -ჩანს წარმოდგენილ დოკუმენტებში, რომ უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით **2.2.2.6 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**სპორტი -** სკოლი დირექტორის მოადგილესთან გასაუბრების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს დაგეგმილი სამომავლოდ შეიმუშაოს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების შენახვის მექანიზმი, სადაც ასევე აისახება ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის მიერ შექმნილი რესურსი, შემაჯამებლის ანალიზი თუ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები. **2.2.2.6 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საგნობრივი კურიკულუმები;
- სკოლის თვითშეფასების დოკუმენტი;
- მასწავლებლების პორტფოლიოები;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- სკოლის შვიდ წლიანი სტრატეგიული გეგმა;
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზი;
- შეფასების რუბრიკები;
- კათედრის პედაგოგთა ურთიერთდასწრების გაკვეთილის შეფასება;
- შემაჯამებელი სამუშაოებისა და კომპლექსური დავალებების თვითრეფლექსია;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, მათემატიკის და კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრის ოქმები;
- ინტერვიუირება;

### 2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3 სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
5 უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, მათემატიკის და კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრის თითოეული პედაგოგი უზრუნველყოფს პოზიტიური გარემოს შექმნას საკლასო სივრცეში. საგაკვეთილო აქტივობები საინტერესო და სახალისოა. მუშაობაში მოპოვებული წარმატებისათვის, შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის და/ან საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის სკოლა-ლიცეუმი უფლებამოსილია პედაგოგისა და თანამშრომლის მიმართ გამოიყენოს წახალისების ფორმები: სკოლის დირექტორის მიერ ბრძანებით მადლობის გამოცხადება; წლის საუკეთესო მასწავლებლის საპატიო სიგელით დაჯილდოება; ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება და ა.შ. **2.2.3.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - წარმოდგენილი მტიცებულებები, მთლიანობაში, იძლევა იმის თქმის შესაძლებლობას, რომ სკოლაში სასკოლო საზოგადოების წევრების თანამშრომლობითა და პრობლემაზე ორიენტირებით, გაზიარებული პასუხისმგებლობითა და რეფლექსიით მიმდინარეობს სასკოლო ცხოვრების პროცესი, რომელიც ხელს უწყობს მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას. კერძოდ, სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილში მისიის განაცხადში აღნიშნულია, რომ ხელი ეწყობა მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს ჩამოყალიბებას. სკოლას შემუშავებული აქვს დამრიგებლის სამუშაო გეგმა, ინკლუზიური განათლების პროგრამა, სოლო ტაქსონომიის ერთი ნიმუში, კომპლექსური დავალების ანალიზი,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზი, მასწავლებლის და დამრიგებლის ანგარიშები. საგნობრივ პროგრამებში გაწერილია სავალდებულო თემები, სტანდარტის შედეგები, ფრაგმენტულად წარმოდგენილია კომპლექსური ტიპის დავალებები. **2.2.3.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**უცხოური ენები** - კათედრის სხდომის ოქმებიდან და მასწავლებელთა თვითშეფასებიდან დგინდება, რომ სკოლაში შექმნილია პოზიტიური, მხარდამჭერი სასწავლო გარემო. მათ მიერ შემუშავებული სტრატეგიები და სასწავლო პროგრამები მოსწავლის პიროვნული ზრდის შესაძლებლობას იძლევა. ინგლისური ენის მასწავლებელთა რეფლექსიებიდან იკითხება, რომ კომუნიკაცია აქვთ მშობლებთან, პასუხობენ მათ შეკითხვებს. ინგლისური ენის ერთ-ერთი მასწავლებლის რეფლექსიაზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ იგი ფასილიტატორის როლშია, მუდმივად ეხმარება მოსწავლეებს წამოჭრილი პრობლემის მოგვარებაში. უცხოური ენის კათედრაზე მასწავლებლები თანამშრომლობენ, ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე წინასწარ შემუშავებული განრიგის შესაბამისად, გასცემენ უკუკავშირს. მასწავლებელთა გამოცდილების გაზიარება ასევე ხორციელდება კათედრის სხდომებზე. **2.2.3.1. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**ესთეტიკური აღზრდა** -როგორც პედაგოგებმა ინტერვიუს დროს განმარტეს, სკოლაში შექმნილია მიმღებლობითი, მეგობრული გარემო. აღნიშნული ფაქტი თვითშეფასების კითხვარშიც ასახულია და აგრეთვე მასწავლებელთა პორტფოლიოებით და კათედრის ოქმებით, ვლინდება სკოლის თანამშრომლობითი გარემო. **2.2.3.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**სახელმწიფო ენა** -სახელმწიფო ენის კათედრა გეგმავს, შექმნას ისეთი გარემო, სადაც უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა მხარდაჭერა და მიმღებლობითი გარემო. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **2.2.3.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**მათემატიკა** - სკოლას უზრუნველყოფილი და შექმნილი აქვს ისეთი გარემო რომელიც მოსწავლეთ მხარდაჭერაზეა ორიენტირებული.**2.2.3.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**სპორტი** -სპორტული და საგნობრივი წრეების მუშაობის კოორდინაცია და მონიტორინგი, რომელსაც ახორციელებს სკოლა, ითვალისწინებს სპორტის პრიორიტეტული სახეობების არჩევას და სათანადო ხელშეწყობას. ამასთან ერთად. სკოლის ერთწლიან და შვიდწლიან გეგმაში ასახულია სპორტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, რაც გააუმჯობესებს სასწავლო პროცესში მიმღებლობით და მხარდამჭერ გარემოს.**2.2.3.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასწავლო პროცესში გამოიყენება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომები. გათვალისწინებულია მოსწავლის შესაძლებლობები და თავისებურებები. სწავლის ხარისხის ამაღლების მიზნით, მოსწავლეთა მასიური ჩაბმა სხვადასხვა საგნობრივ ოლიმპიადებში. **2.2.3.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - სკოლას ფრაგმენტულად აქვს კომპლექსური ბუნების დავალებები, სოლო ტაქსონომია, რომლებიც მოსწავლის ინტერესების, საჭიროებებისა და შესაძლებლობების ინდენტიფიცირებისა და მოსწავლეთა პიროვნული განვითარებისთვის შესაბამისი ინტერვენციების დასაგეგმად ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. სადამრიგებლო პროგრამით ჩატარებულია სასკოლო პროექტები, რაც, ასევე, კარგი საშუალებაა მოსწავლეთა სხვადასხვა ინტერესები დასადგენად და დასაკმაყოფილებლად. პროცესი, რომ უფრო მეტად მოსწავლეზე ორიენტირებული გახდეს სასურველია უფრო მეტი კომპლექსური ბუნებისა და პროექტული ტიპის დავალებების გაწერა სასკოლო კურიკულუმში. **2.2.3.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**უცხოური ენები** -.მასწავლებელთა რეფლექსიების ანალიზი გვაძლევს იმის საშუალებას, რომ დავასკვნათ, მათი მხრიდან ხორციელდება დაკვირვება სწავლის პროცესზე და შედეგების ანალიზი. **2.2.3.2. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**ესთეტიკური აღზრდა** -ინტერვიუდან კარგად გამოჩნდა, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს მოსწავლეზე ორიენტირებულად და შემოქმედებითად - მასწავლებლები და მოსწავლეები ერთობლივად მუშაობენ კლასის საჭიროებებზე. მასწავლებელი უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართვას სასწავლო პროცესში, რისთვისაც იყენებს კლასის მართვის ეფექტიან სტრატეგიებს **2.2.3.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია**.

**სახელმწიფო ენა** -კურიკულუმებში ჩაშენებული რამდენიმე კომპლექსური დავალება, დაგეგმილი პროექტები და აქტივობები იძლევა იმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულად; შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **2.2.3.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**მათემატიკა** -წარმოდგენილ ნამუშევრებში ნამდვილად გამოკვეთილია, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად, რაც იმას ნიშნავს, რომ სკოლას სრულად აქვს გააზრებული რომ სასწავლო პროცესი უნდა ეფუძნებოდეს მოსწავლეთა მხარდაჭერას.**2.2.3.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**სპორტი** -სპორტის და ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის ინტერვიუდან გამომდინარე, სასწავლო პროცესში ხდება მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება, იგეგმება აქტივობები მოსწავლეთა საჭიროებიდან და შესაძლებლობიდან გამომდინარე . ე.ს.გ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტის შესაბამისად გადამუშავებულ კურიკულუმებში, კიდევ მეტად იქნება გათვალისწინებული მოსწავლეთა ინიციატივები.**2.2.3.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, მათემატიკის და კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრის პედაგოგები მჭიდროდ თანამშრომლობენ ერთმანეთთან, უზიარებენ გამოცდილებას, აძლევენ ერთმანეთს რჩევებს და რეკომენდაციებს. **2.2.3.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - ურთიერთდასწრების დოკუმენტებით, კათედრის ოქმით, დამრიგებლის პორტფოლიოთი, მასწავლებლის პორტფლიოთი და იქ არსებული აქტივობებითა და ანგარიშებით სკოლაში გამოკვეთილია თანამშრომლობითი კულტურა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის და გარკვეული რეფლექსია ამ საკითხის ეფექტურობაზე, თუმცა **სასურველი და მნიშვნელოვანია** სკოლამ შეიმუშაოს კვლევის ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც სისტემატურად გამოავლენს ამ მხრივ არსებულ გამოწვევებს და დაგეგმავს შესაბამის ინტერვენციებს თანამშრომლობის პროცესის ეფექტურობის გაზრდის მიზნით. **2.2.3.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**უცხოური ენები** - სკოლის მიერ შედგენილ იქნა გრაფიკი, რომლის მიხედვითაც განხორციელდა სემესტრში 1 დასწრება კოლეგის მიერ. კათედრის თავმჯდომარის ანგარიშიდან დგინდება, რომ „გამოვლინდა, რომ მასწავლებლები სათანადო დონეზე მომზადებულნი შედიან გაკვეთილებზე და იყენებენ ყველა არსებულ რესურსებს რესურსებსა და თვალსაჩინო მასალას. სწორადაა შერჩეული შეფასების სისტემები, გამოყენებულია სწავლის ეფექტური ფორმები და მეთოდები. მეორე სემესტრშიც გაგრძელდა ურთიერთთანამშრომლობა კათედრის წევრ მასწავლებლებს შორის, რაც ხელს შეუწყობდა სასწავლო პროცესის წარმატებულად წარმართვას.

**2.2.3.3. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**ესთეტიკური აღზრდა** -ინტერვიუებში იკვეთება, რომ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის დამოკიდებულება მეგობრულია. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ესთეტიკის კათედრაზე საგნობრივ კურიკულუმზე მუშაობისას ითვალისწინებენ სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, ასევე შეფასების რუბრიკების შედგენასა და მოსწავლეთა მიღწევების ანალიზში კარგად არის გამოხატული თანამშრომლობითი კულტურა და კომუნიკაცია. ხდება საგაკვეთილო პროცესებზე დასწრება და ერთობლივი განხილვა-რეფლექსია. **2.2.3.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**სახელმწიფო ენა** -კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით სწავლება, დაგეგმილი პროექტები და აქტივობები გულისხმობს თანამშრომლობითი კულტურის და კომუნიკაციის განვითარებას; შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს **2.2.3.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია**.

**მათემატიკა** -მეტად მნიშვნელოვანია პოზიტიური გარემოს შექმნა სკოლაში და კლასის დონეზე, წარმოდგენილ დოკუმენტებში ნამდვილად ჩანს ეს ყველაფერი უზრუნველყოფილი აქვს სკოლას.**2.2.3.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**სპორტი** - პედაგოგის პორტფოლიოში გათვალისწინებულია კოლეგებთან თანამშრომლობა, სასკოლო კულტურის განვითარებისა, მოსწავლეთა და მშობლებთან კომუნიკაციის გზები .**2.2.3.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სკოლა უზრუნველყოფს პოზიტიურ კომუნიკაციას თანამშრომლებს, მოსწავლეებსა და მშობლებს შორის. მაღალია მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში. **2.2.3.4 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - საგნობრივი კურიკულუმების, მასწავლებლის პორტფოლიოს, დამრიგებლის პორტფოლიოს ანალიზით შესაძლებელია იმის თქმა, რომ განხორციელებული აქტივობები ხელს უწყობს პოზიტიური კლიმატის შექმნას სკოლისა და კლასის დონეზე, თუმცა არ არის სხვა უფრო მყარი მტკიცებულება, მაგალითად, ინტერვიუ ან ფოკუს-ჯგუფი მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან და დირექციასთან, რომლის დახმარებითაც გამოიკვეთებოდა აზრი და განცდა აღნიშნულ საკითხზე. **სასურველია** სკოლამ პერიოდულად ჩაატაროს სასკოლო კლიმატის კვლევა შესაბამისი ინსტრუმენტის გამოყენებით და მიღებული შედეგები გამოიყენოს დამატებითი აქტივობები დაგეგმვის მიზნით. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. **2.2.3.4 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**უცხოური ენები** - მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დაგინდა, რომ, ისინი ახერხებენ პოზიტიური სასკოლო კლიმატის შექმნას, კლასის დონეზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი საგნობრივი პროექტებით საბაზო საფეხურზე., რომელიც ასევე ძალადობის პრევენციულ ღონისძიებად შეიძლება ჩაითვალოს. ვერ დგინდება რას ითვალისწინებენ მასწავლებლები თანასწავლების წახალისების მიზნით. ასევე სასურველია დაიგეგმოს და განხორციელდეს მოსწავლის პიროვნულ ზრდაზე მიმართული სხვადასხვა კლასგარეშე აქტივობები **2.2.3.4 ინდიკატორი შესაბამისობაშია**.

**ესთეტიკური აღზრდა** -სასკოლო საწსავლო გეგმით მასწავლებლებს ევალებათ ეფექტური სასწავლო გარემოს შექმნა. რაც დანამდვილებით ვლინდება სასკოლო საზოგადოებაში - თანამშრომლობა, ურთიერთპატივისცემა და კოლეგიალობა. **2.2.3.4 ინდიკატორი შესაბამისობაშია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**სახელმწიფო ენა** -მოსწავლეებს მათი უნარისა და შესაძლებლობების ფარგლებში შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ კომპლექსური დავალებები, არ იზღუდება მათი არჩევანი, რაც მათ საშუალებას აძლევს, თავისუფლად წარმოადგინონ დავალებები და მეტად თავდაჯერებულები იყვნენ. **2.2.3.4 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**მათემატიკა** -სასწავლო პროცესში რა აქტივობებიც არის წარმოდგენილი, ეს ნამდვილად უზრუნველყოფს იმას, რომ უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.**2.2.3.4 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**სპორტი** -სკოლის ადმინისტრაციის და სკოლის ფიზიკური აღზრდის პედაგოგის გასაუბრებიდან გამომდინარე სკოლაში .უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.**2.2.3.4 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საგნობრივი კურიკულუმები;
- სკოლის ერთწლიან და შვიდწლიან გეგმა;
- მასწავლებლების პორტფოლიოები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კათედრის ოქმები;
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- სკოლის შინაგანაწესი;
- ინტერვიუირება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## 2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

### 2.3.1.მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სკოლა აწარმოებს კურიკულუმის მონიტორინგს და შეფასებას. სასწავლო დაწესებულებას ასახული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმაში შიდა სასკოლო მონიტორინგის პრინციპები, რაც ემსახურება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ამაღლებას; თანამშრომელთა სამსახურეობრივი დისციპლინის განმტკიცებას; სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების დანერგვას; საგნობრივი კათედრების მუშაობის ეფექტურად წარმართვას; კლასგარეშე და სკოლის გარეშე ღონისძიებების მიზანმიმართულ ჩატარებას; მოსწავლეთა თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენებას.

სკოლას პედაგოგიური საბჭოს N 1, 07.09.2022წ. ოქმით დამტკიცებული აქვთ შპს სკოლა-ლიცეუმი სანთელის სასკოლო შეფასების სისტემა. სასკოლო შეფასების ძირითადი მიზანია: განხორციელედეს სწავლა/სწავლების ხარისხის ამაღლება, სასკოლო კურიკულუმების შემუშავება და განხორციელება, რაც გულისხმობს კურიკულუმის მონიტორინგს, შეფასებას, გადასინჯვას და რევიზიას. დოკუმენტში ასევე გაწერილია შეფასების პროცესზე უფლებამოსილი პირები; საჭირო დოკუმენტაცია; მასწავლებელთა შეფასების ჯგუფის მოვალეობები და შეფასების კრიტერიუმები. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სკოლა-ლიცეუმი სანთელის 2022-2023 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის დებულება. დებულების მიზანია უზრუნველყოს სკოლა-ლიცეუმში სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება. შეფასების შიდა მექანიზმების შემუშავება საჭირო წინადადებებისა და რეკომენდაციების სახით, მასწავლებლებთან კორდინირებული თანამშრომლობით და ეტაპობრივად მონიტორინგის განხორციელებით. **2.3.1.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია ინფორმაცია მონიტორინგისა და შეფასების პროცესზე, თუმცა აღნიშნული ინფორმაცია არის მოკლე და ზოგადი. სასურველია აღნიშნული პუნქტი ცალკე უფრო მკაფიოდ გამოიყოს მეთოდოლოგიის დოკუმენტში და უფრო მეტად დაკონკრეტდეს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მონიტორინგისა და შეფასების პრინციპები, მიმართულებები, ფორმატი, ვადები და ინსტრუმენტები. **2.3.1.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**უცხოური ენები** -სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში - „კურიკულუმის შემუშავების, მონიტორინგის, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიები“ გათვალისწინებულია მონიტორინგისა და შეფასების მნიშვნელოვნება კურიკულუმის გადამუშავების პროცესში, რომლის განხორციელების შედეგად შემუშავდება რეკომენდაციები. ამ უკანასკნელის საფუძველზე კი შედგება სკოლის განახლებული კურიკულუმი. სასურველია, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია მოიცავდეს მონიტორინგისა და შეფასების პროცესების აღწერას. **2.3.1.1. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**ესთეტიკური აღზრდა** -სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერი შეფასების ჯგუფი, რომელიც მასწავლებლებს პროფესიულ განვითარებაში ეხმარება; წინასწარ შემუშავებული რუბრიკების მიხედვით მიმდინარეობს დაკვირვება თითოეული პედაგოგის საქმიანობაზე, ყურადღება ექცევა განმავითარებელ უკუკავშირს. აგრეთვე, სკოლამ წარმოადგინა შეფასების სოლო ტაქსონომიის ნიმუში, რომლითაც განხორციელდება შეფასება, ასევე კურიკულუმის შემუშავების, მონიტორინგის, შეფასების და განვითარების მეთოდოლოგიების დოკუმენტში საუბარია რომ უნდა განხოციელდეს შეფასება. **2.3.1.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**სახელმწიფო ენა** -ვინაიდან სკოლას კურიკულუმში მთელი რიგი საკითხები აქვს გასასწორებელი და განხორციელების პროცესიც მომავალი წლიდან უნდა დაიწყოს, მონიტორინგი და შეფასება არ ხორციელდება კურიკულუმით შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად, არ არსებობს რაიმე დოკუმენტი, რომელიც სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შეფასების პროცესს დაადასტურებს ან მომავალში დაგეგმვაზე მიანიშნებს; **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 2023 წლის სექტემბრიდან 2024 წლის ივნისამდე) - ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი. სკოლამ უზრუნველყოს სასწავლო პროცესის მონიტორინგის და შეფასების პროცესის განხორციელება სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმების შესაბამისად.**

**მათემატიკა** -სასწავლო პროცესის მონიტორინგი მეტად მნიშვნელოვანია, თუმცა სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში არაა გამოკვეთილი რომ ხდება ამ პროცესების მონიტორინგი. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 2023 წლის სექტემბრიდან 2024 წლის ივნისამდე) - ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი. სკოლამ უზრუნველყოს სასწავლო პროცესის მონიტორინგი.**

**სპორტი** - სასკოლო შეფასების სისტემაში სკოლა-ლიცეუმი სანთელში გაწერილია სასკოლო კურიკულუმების შემუშავებისა და განხორციელების გზები, რაც გულისხმობს კურიკულუმის მონიტორინგს, შეფასებას, გადასინჯვას და რევიზიას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგნობრივი კათედრების, მშობელთა კომიტეტის, სასწავლო აღმზრდელობითი პროცესის სხვა შემადგენელი საშუალებებით (მუხლი 1).

აგრეთვე, ფიზიკური აღზრდის და სპორტის პედაგოგის პორტფოლიოდან გამომდინარე, დაგეგმილია კოლეგებთან თანამშრომლობა სასკოლო კულტურის განვითარებისა და მოსწავლეთა შედეგების გაუჯობესების მიზნით. **2.3.1.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სკოლის საზოგადოების წევრების მხარდაჭერას და დახმარებას. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, მათემატიკის და კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრის მასწავლებლებს შორის ხდება გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება და შეფასება, გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, მომიჯნავე საგნების მასწავლებელთა კოორდინირებული თანამშრომლობა, რეკომენდაციების შემუშავება. **2.3.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილი მონიტორინგისა და შეფასების ზოგადი აღწერილობა იწვევს მხარდაჭერის მექანიზმის ასოციაციას, თუმცა სასურველია სკოლას იმის დასადგენად მონიტორინგისა და შეფასების სისტემა სასკოლო საზოგადოების მხრიდან აღქმულია ,,დასჯა-წახალისებად", თუ მხარდაჭერის მექანიზმად ჰქონდეს კვლევის პრაქტიკა ინტერვიუს ან ფოკუს-ჯგუფის ფორმატში. **2.3.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია**.

**უცხოური ენები** - სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია შიდა სასკოლო მონიტორინგის პრინციპები, სასად ჩამონათვალის სახითაა მოცემული თუ რას უნდა ემსახურებოდეს მონიტორინგი. ესენია: სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ოპტიმიზაციას 2. მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ამაღლებას 3. თანამშრომელთა სამსახურეობრივი დისციპლინის განმტკიცებას 4. სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების დანერგვას 5. მოსწავლეთა უსაფრთხოების ღონისძიებების გატარებას 6. საგნობრივი კათედრების მუშაობის ეფექტურად წარმართვას 7.კლასგარეშე და სკოლის გარეშე ღონისძიებების მიზანმიმართულ ჩატარებას 8. მოსწავლეთა თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენებას 9.მოწინავე მოსწავლეებისა და მასწავლებლების სტიმულირების ღონისძიების გატარება. **2.3.1.2. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**ესთეტიკური აღზრდა** -სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „კურიკულუმის შემუშავების, მონიტორინგის, შეფასების და განვითარების მეთოდოლოგია". სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია შეფასების მიზნები და ორიენტირები. როგორც სკოლის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თვითშეფასების კითხვარში და ინტერვიუებში გამოჩნდა, მონიტორინგის განხორციელება სასკოლო საზოგადოებას შორის აღრმავებს მხარდაჭერას და კოლეგიალობას. პედაგოგები იყენებენ ზეპირ და წერილობით განმავითარებელ შეფასების ინსტრუმენტებს, მოსწავლეთა თვითშეფასებას. მასწავლებლები აფასებენ, ადგენენ იმ სფეროებსა და უნარებს, სადაც მოსწავლეს ესაჭიროება დახმარება, აძლევენ უკუკავშირს და მიგნებების გათვალისწინებით გეგმავენ სწავლის პროცესს. სასურველია, ამ პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტაციაც იყოს წაროდგენილი მტკიცებულებების სახით. **2.3.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**სახელმწიფო ენა** -მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად ჩანს, რომ სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს მასწავლებელთა გაკვეთილზე დასწრებას, უკუკავშირს, რეკომენდაციების მიცემას. კათედრის წევრები ესწრებიან გაკვეთილებს, ახორციელებენ მონიტორინგს და ერთმანეთს სთავაზობენ განვითარებაზე ორიენტირებულ უკუკავშირს. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი გეგმავს უზრუნველყოს განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობების განხორციელება; შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **2.3.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**მათემატიკა** - ნაწილობრივ გამოკვეთილია, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერას **2.3.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**სპორტი** - სკოლის თვითშეფასების ფორმიდან გამომდინარე, მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც ორიენტირებულია სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებაზე. პედაგოგების მიერ ხდება გაკვეთილზე დასწრება, უკუკავშირის, რეკომენდაციების მიცემა. ამასთანავე, აღნიშნულ პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრებიც. შპს სკოლა-ლიცეუმი სანთელის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე იკვეთება, რომ კათედრები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ, დანერგილ გამოცდილებას. საფეხურებისა და კლასების მიხედვით. ფიზიკური აღზრდის და სპორტის პედაგოგები ჩართული არიან აღნიშნულ პროცესში. რაც, საბოლო ჯამში, ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და გამოხატავს სასკოლო საზოგადოების წევრების ერთგვარ მხარდაჭერას (შპს სკოლა-ლიცეუმი სანთელის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება).**2.3.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის საშუალებას. **2.3.1.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილია ინფორმაცია მონიტორინგისა და შეფასების შედეგების საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავებაზე კურიკულუმის გაუმჯობესების მიზნით **2.3.1.3. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**უცხოური ენები** -სასკოლო სასწავლო გეგმაში მონიტორინგის შედეგად პრობლემის გადაჭრის საშუალებები მოცემულია რამდენიმე ასპექტში. კერძოდ: სსსმ მოსწავლესთან და შემაჯამებელ დავალებებთან მიმართებით. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში - „კურიკულუმის შემუშავების, მონიტორინგის, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიები“ გათვალისწინებულია მონიტორინგისა და შეფასების მნიშვნელოვნება კურიკულუმის გადამუშავების პროცესში, რომლის განხორციელების შედეგად შემუშავდება რეკომენდაციები. ამ უკანასკნელის საფუძველზე კი შედგება სკოლის განახლებული კურიკულუმი. **2.3.1.3. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**ესთეტიკური აღზრდა** -სკოლის მასწავლებლების განცხადებით, „პრაქტიკამ აჩვენა, რომ ჯანსაღი კრიტიკა (მონიტორინგი) ხშირ შემთხვევაში პრობლემის გადაჭრის საუკეთესო ხერხია“. შესაბამისად, წლის განმავლობაში ხშირად ხდება მონიტორინგი კითხვარების საშუალებით: მშობლის კითხვარი, მასწავლებლის კითხვარი, სადაც შერჩეული კითხვების მიხედვით იკვეთება მათი დამოკიდებულება სასწავლო პროცესის მიმართ. აგრეთვე, სასკოლო სასწავლო გეგმაში, დაწყებითი საფეხურის კათედრის ოქმებში წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების ნიმუშები. **2.3.1.3. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**სახელმწიფო ენა** -სკოლაში არ არსებობს შეფასების ჯგუფის მიერ განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების ამსახველი რაიმე დოკუმენტი, რითაც დასტურდება სწავლა-სწავლებასთან დაკავშირებული პრობლემის გადაჭრის საშუალება; შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა არ აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 12.07.2023-20.09.2023) - ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი. სკოლამ უზრუნველყოს კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება.**

**მათემატიკა** -ნაკლებად ჩანს წარმოდგენილ დოკუმენტებში, რომ ხდება ამ პროცესების მონიტორინგი, შესაბამისად ეს პროცესი არაა გაცნობიერებული როგორც პრობლემის გადაჭრის გზა **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 12.07.2023-20.09.2023) - ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი. სკოლამ უზრუნველყოს კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**სპორტი** -სკოლის მონიტორინგი და შეფასება მეტ- ნაკლებად განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. სკოლაში არსებული ხარისხის მართვის ჯგუფის მიერ მიცემული უკუკავშირები პრობლემის დანახვის საშუალებას იძლევა. სკოლას აქვს მზაობა შეიმუშაოს ისეთი შეფასების რუბრიკები და დახვეწოს მონიტორინგის მექანიზმები რომლებიც უზრუნველყოფს პრობლემის გადაჭრის გზებს და საშუალებებს.**2.3.1.3. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ფიზიკური აღზრდის და სპორტის საბაზო საფეხურის კურიკულუმი.
- შპს სკოლა-ლიცეუმი სანთელის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებუულება.
- შპს სკოლა-ლიცეუმი სანთელის სასკოლო შეფასების სისტემა.
- სკოლის თვითშეფასება;
- კურიკულუმის შემუშავების, მონიტორინგის, შეფასების და განვითარების მეთოდოლოგიები;
- საბაზო საფეხურის კათედრის ოქმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

### 2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** სასწავლო პროცესის შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს დირექტორის 08.09.2022 წლის N- ბ-18 ბრძანებით "სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომში გაუმჯობესების მექანიზმები" . მისი მიზანია, სწავლების ხარისხის მაჩვენებლების მონიტორინგი, მათი მუდმივი სრულყოფა, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენება და მათი განვითარებისათვის ხელშეწყობა. სასკოლო შეფასებას საერთო ხელმძღვანელობას უწევს სკოლა-ლიცეუმის დირექტორი. ასევე სკოლის მიერ შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც მონიტორინგსა და დახმარებას უწევს პედაგოგებს სასწავლო პროცესში. შეფასების ჯგუფის შეფასებები და შეხედულებები ჯერდება ჯგუფის უფროსთან და მტკიცდება დირექტორის მიერ. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, მათემატიკის და კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრაზე მასწავლებლები ახდენენ გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებას, შემუშავებული აქვთ ურთიერთდასწრების ფორმები, ახორციელებენ ჩატარებული შემაჯამებელი სამუშაოების და კომლექსური დავალებების რეფლექსიას. კათედრა ახდენს მოსწავლეთა შედეგების ანალიზს და ანგარიშს. **2.3.2.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** -სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტი, თუმცა მასში დეტალურად არაა გაწერილი, რომელ მრავალფეროვან წყაროებზე (ვინ? რა?) დაყრდნობით მოხდება შეფასება ან როგორ ფორმატში და რომელი ინსტრუმენტების გამოყენებით. **მიზანშეწონილია** მეთოდოლოგიაში მკაფიოდ გაიწეროს მრავალფეროვანი წყაროები ჰოლისტურად შეფასების მიზნით. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 12.07.2023-30.11.2023) - ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი. სკოლამ გაწეროს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში რომელ მრავალფეროვან წყაროებზე (ვინ? რა?) დაყრდნობით მოხდება შეფასება, როგორ ფორმატში და რომელი ინსტრუმენტების გამოყენებით.**

**უცხოური ენები** -სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში - „კურიკულუმის შემუშავების, მონიტორინგის, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიები" გათვალისწინებულია მონიტორინგისა და შეფასების მნიშვნელოვნება კურიკულუმის გადამუშავების პროცესში, თუმცა არ არის მოცემული მონიტორინგისა და შეფასების პროცესების აღწერა. მიზანშეწონილია, სკოლამ შეიმუშავოს დოკუმენტი, სადაც აღწერილი იქნება, თუ როგორია ერთიანი მიდგომა და მოიცავდეს მონაცემების შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს, სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 12.07.2023-30.11.2023) - ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**სკოლამ შეადგინოს დოკუმენტი, სადაც აღწერილი იქნება ერთიანი მიდგომა სასკოლო კურიკულუმის შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვების მეთოდების, წყაროების და რესურსების შესახებ.**

**ესთეტიკური აღზრდა** -შეფასება მეტწილად ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს და ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. ინტერვიუზე მასწავლებლის განმარტებით, შეფასებისას გამოყენებულია სხვადასხვა ინსტრუმენტები. დაწყებითი საფეხურის სხდომის ოქმში N4, წარმოდგენილია და საუბარია შეფასების მნიშვნელობაზე, ტიპებზე, რის საფუძველზე უნდა მოხდეს მოსწავლეთა შეფასება, და როგორ წარიმართება ეს პროცესი მომავალში. **2.3.2.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**სახელმწიფო ენა** -გასაუბრებიდან ირკვევა, რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნამუშევრები და მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებთ, თუმცა ეს არ ჩანს არცერთ დოკუმენტში; შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა არ აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 12.07.2023-30.11.2023) - ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი.სკოლამ შეადგინოს დოკუმენტი, სადაც აღწერილი იქნება ერთიანი მიდგომა სასკოლო კურიკულუმის შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვების მეთოდების, წყაროების და რესურსების შესახებ.**

**მათემატიკა** -სკოლამ წარმოადგინა შეფასების მასალები, სადაც ჩანს რომ შეფასებისას გამოყენებულია სხვადასხვა წყაროები.**2.3.2.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**სპორტი** -საბაზო საფეხურის ფიზიკური აღზრდის განმავითარებელი შეფასების რუბრიკები საჭიროებს დახვეწას, სკოლის ფიზიური აღზრდის და სპორტის საგაკვეთილო პროცესში აქტიურად გამოიყენება სიტყვიერი კომენტარი, რომელიც მიმართულია მოსწავლის დადებითი მხარის წარმოსაჩენად და რჩევების ზუსტად და გასაგებად მიცემაში, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეების განვითარებას და სასწავლო პროცესის შედეგების გაუმჯობესებას. შემდგომში, სასურველია სკოლამ განმავითარებელი შეფასების გამრავალფეროვნების და პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით, გამოიყენოს სადიაგნოსტიკო შეფასების ანალიზი.**2.3.2.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - შეფასება ხორციელდება სხვადასხვა მექანიზმით, მაგრამ ნაკლებად არის გათვალისწინებული შეფასების მრავალი კონტექსტი. შეფასების სისტემა სრულად არაა ორიენტირებული მოსწავლის ჰოლისტურ განვითარების მხარდაჭერაზე. სკოლას არ აქვს მკაფიოდ გაწერილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და ასევე დაუზუსტებელია მოსწავლის მიერ სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიის აღმწერელი რუბრიკები. **2.3.2.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტი, თუმცა მასში მკაფიოდ არაა გაწერილი, რამდენად ურთიერთდაკავშირებულად/სხვადასხვა კონტექსტების გათვალისწინებით ხდება დანერგვის პროცესის ამსახველი მასალების დამუშავება. **მიზანშეწონილია** მეთოდოლოგიაში ჩანდეს რა მექანიზმით მოხდება შეფასებისას სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინება. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 12.07.2023-30.11.2023) - ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი. სკოლამ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში მკაფიოდ გაწეროს, რამდენად ურთიერთდაკავშირებულად/სხვადასხვა კონტექსტების გათვალისწინებით ხდება დანერგვის პროცესის ამსახველი მასალების დამუშავება**

**უცხოური ენები** -სკოლას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი „სასკოლო შეფასების სისტემა“, რომელშიც აღწერილია თუ როგორ ხდება მასწავლებელთა შეფასება. მიზანშეწონილია, სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში ასახული იყოს ინფორმაციის შეგროვება ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც გავლენას ახდენს მოსწავლის პროდუქტიულობაზე. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 12.07.2023-30.11.2023) - ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი. სკოლამ შეადგინოს დოკუმენტი, სადაც ასახული იქნება ინფორმაციის შეგროვება ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც გავლენას ახდენს მოსწავლის პროდუქტიულობაზე.**

**ესთეტიკური აღზრდა** - მრავალფეროვანი წყაროები შესაძლებელს ხდის შეფასება განხორციელდეს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. სკოლის დოკუმენტაციაში წარმოდგენილია და საუბარია შეფასების მნიშვნელობაზე, ტიპებზე, რის საფუძველზე უნდა მოხდეს მოსწავლეთა შეფასება, და როგორ წარიმართება ეს პროცესი მომავალში. **2.3.2.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**სახელმწიფო ენა** -სკოლა განსაზღვრავს შემაჯამებელი დავალებების შენახვის დროს, თუმცა დასახვეწია ის საშუალებები, რითაც ფასდებიან მოსწავლეები, მაგალითად კომპლექსური დავალებების ფარგლებში შექმნილი ნამუშევრები, პროექტული სწავლების დროს შექმნილი პროდუქტები ან პრეზენტაციები; შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს **2.3.2.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია**.

**მათემატიკა** -განმავითარებელი შეფასების მასალები რაც იყო წარმოდგენილი სოლო ტაქსონომიის სახით, ჩანდა რომ გათვალისწინებული იყო სხვადასხვა კონტექსტი**2.3.2.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**სპორტი** -სკოლის ფიზიკური აღზრდის და სპორტის პედაგოგის პორტფოლიოში შესული შეფასების რუბრიკები სასურველია იძლეოდეს მოსწავლეების მრავალმხრივი შეფასების საშუალებას და ხორციელდებოდეს მრავალი კონტექსტის გამოყენებით, .რაც მას



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მისცემდა საშუალებას გამოიკვეთოს მოსწავლის შესაძლებლობები და ინტერესები, რის მზაობასაც კათედრასთან ერთად გამოხატავს სკოლა.**2.3.2.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდები.: მოსწავლეთა კითხვარები, შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზი, რომელიც მოიცავს სემესტრის ბოლოს გაკეთებულ მოსწავლეთა მიღწევების დინამიკასაც, პედაგოგების რეფლექსიები, მასწავლებელთა ურთიერთდასწრებისა და ურთიერთშეფასების ფორმები. **2.3.2.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები -** სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტი, თუმცა მასში მკაფიოდ არაა გაწერილი, რომელი და რამდენი მეთოდები გამოიყენება დანერგვის პროცესის შესახებ მონაცემების შესაგროვებლად. **მიზანშეწონილია** მეთოდოლოგიაში ჩანდეს მრავალმხრივი მეთოდები, რომელთა გამოყენებითაც მოხდება შეფასება. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 12.07.2023-30.11.2023) - ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი. სკოლამ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში მკაფიოდ გაწეროს რომელი და რამდენი მეთოდი გამოიყენება დანერგვის პროცესის მონაცემების შეგროვებისას. უცხოური ენები** -სკოლას არ აქვს შემუშავებული ერთიანი დოკუმენტი, სადაც აღწერილი იქნება, თუ როგორ ხდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. სასკოლო სასწავლო გეგმაში, მონაცემების შეგროვების მეთოდებად გამოყენებულია შემაჯამებელი დავალებების შეფასება, ციფრობრივი ანალიზის სახით და მასწავლებლის შეფასება სხვადასხვა ასპექტებით. კერძოდ: 1. მასწავლებელთა დაგვიანებების, უნებართვო გასვლების და გაცდენების აღრიცხვის და მონაცემების წარმოდგენა; 2. მასწავლებლის სამუშაო დოკუმენტაციის თავმოყრა და ანალიზი (მათ შორის, გაკვეთილების და წლიური გეგმების); 3. მასწავლებლის დისციპლინარული სახდელების აღრიცხვა; 4. მასწავლებლის გაკვეთილებზე დასწრება და მათი დაოქმება სპეციალურად შემუშავებული ფორმის საფუძველზე; **5.** მასწავლებლის მიერ შევსებული თვითშეფასების კითხვარების ანალიზი; 6. მასწავლებლის მონაწილეობის აღრიცხვა სხვადასხვა ღონისძიებებში და მათი ანალიზი; 7. მასწავლებლის ინდივიდუალური განვითარების გეგმის ანალიზი; 8. მასწავლებლის პროდუქტიულობის ანალიზი - მოსწავლეთა აკადემიური და დისციპლინური მიღწევების (შედეგები და პროგრეს) აღრიცხვა და ანალიზი, მოსწავლეთა ინიციატივებისა და აქტიურობის აღრიცხვა და ანალიზი. 9. მასწავლებლის ობიექტურობის ანალიზი- გარე შემოწმება (შეფასების შედეგებთან მისი შეფასების შედეგების შედარება). 10. მასწავლებლის რეიტინგის დადგენა; 11. რეკომენდაციების შემუშავება მისი შემდგომი განვითარების და წახალისება-დასჯის შესახებ (კერძოდ, საკონტაქტო პირობების შესახებ). მასწავლებელთა შეფასების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჯგუფის ანგარიში სკოლას არ წარმოუდგენია **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 12.07.2023-30.11.2023) - ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი. დაწესებულებამ შეიმუშავოს ერთიანი დოკუმენტი, სადაც აღწერილი იქნება, თუ როგორ ხდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება.**

**ესთეტიკური აღზრდა** -სკოლა იყენებს ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივ და თვისებრივ მეთოდებს, რაც შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს და ამავდროულად, აბალანსებს თითოეული მეთოდის სუსტ მხარეს. საბაზო საფეხურზე გამოყენებულია მოსწავლეთა როგორც განმავითარებელი, ისე და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. მიღებული ინფორმაცია ეხმარება პედაგოგებს სასკოლო ცხოვრების, სასწავლო პროცესის და მოსწავლის მიღწევის გაუმჯობესებაში. მნიშვნელოვანია, შეგროვებისას გათვალისწინებულ იყოს მოსწავლეთა ინდივიდუალური მახასიათებლები, რაც სასწავლო პროცესის ეფექტიანად დაგეგმვას უზრუნველყოფს. მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები ხელს შეუწყობს მოსწავლეთა კვლევის უნარის განვითარებასაც. **2.3.2.3. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**სახელმწიფო ენა** -არ არსებობს რაიმე დოკუმენტი, რაც მტკიცებულება იქნებოდა მონაცემთა შეგროვების შესახებ; შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა არ აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 12.07.2023-30.11.2023) - ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი. დაწესებულებამ შეფასებებისას გამოიყენოს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდი.**

**მათემატიკა** -შეფასებისას მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდები არ იკვეთება წარმოდგენილ დოკუმენტებში. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 12.07.2023-30.11.2023) - ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი. დაწესებულებამ შეფასებებისას გამოიყენოს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდი.**

**სპორტი** - სკოლის შეფასების მონაცემთა შეგროვების მეთოდები ბუნდოვანია, შესაბამისად, 2023-24 სასწავლო წელს სკოლაში სასურველია დაიგეგმოს მოსწავლეების სადიაგნოსტიკო შეფასება ფიზიკურ აღზრდაში და სპორტში, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა საჭიროებათა გამოსავლენად მონაცემების შეგროვებას.**2.3.2.3. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - მასწავლებლები მოსწავლეთა შეფასებისას იყენებენ განმსაზღვრელ შეფასებას, შედარებით ნაკლებად- განმავითარებელ კომენტარს, ახდენენ თვითრეფლექსიას, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით ბოლომდე არ იკვეთება, როგორ აისახა მოსწავლეთა შემდგომ სწავლების განვითარებაზე. მასწავლებლების მიერ წარმოდგენილ რეფლექსიებში



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაკლებად ჩანს მათ მიერ დაგეგმილი და განხორციელებული ინტერვენციები, რათა ხელი შეუწყონ მოსწავლის შემდგომ პროგრესს.

**2.3.2.4 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები -** სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტი, თუმცა მასში მკაფიოდ არაა გაწერილი, რამდენად ურთიერთდაკავშირებულად/სხვადასხვა კონტექსტების/ფაქტორების გათვალისწინებით ხდება დანერგვის პროცესის ამსახველი მასალების დამუშავება. **მიზანშეწონილია,** მეთოდოლოგიაში ჩანდეს რა მექანიზმით მოხდება შეფასებისას სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინება. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 12.07.2023-30.11.2023) - ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი. სკოლამ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწეროს რა მექანიზმით მოხდება შეფასებისას სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინება.**

**უცხოური ენები** -ცალკეულ დოკუმენტებზე დაყრდნობით შესაძლოა დავასკვნათ, რომ სკოლა ახორციელებს სასწავლო პროცესის შეფასებას მწირ მონაცემებზე დაყრდნობით. მიზანშეწონილია შეფასება ხორციელდებოდეს მოვლენის, სიტუაციის, ინდივიდის შესწავლით, მასზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია, სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გათვალისწინებული იყოს ყველა ის ფაქტორი, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს შედეგზე.

**სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 12.07.2023-30.11.2023) - ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი. დაწესებულებამ სკოლის კურიკულუმის მეთოდოლოგიაში გაწეროს, რა მექანიზმით მოხდება შეფასებისას სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინება.**

**ესთეტიკური აღზრდა -** საბაზო საფეხურზე მოსწავლის შეფასება მეტწილად ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც მოსწავლის პროდუქტულობაზე ახდენს გავლენას **2.3.2.4 ინდიკატორი შესაბამისობაშია**.

**სახელმწიფო ენა** -სკოლის შეფასების სისტემა დასახვეწია და მექანიზმები უნდა ითვალისწინებდნენ ახალ სტანდარტებს. დოკუმენტებში არ ჩანს, თუ რა ფაქტორებს ითვალისწინებენ მასწავლებლები შეფასების დროს ან რა ფაქტორებს გაითვალისწინებენ მომავალში; შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა არ აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **2.3.2.4 სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 12.07.2023-30.11.2023) - ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი. დაწესებულებამ სკოლის კურიკულუმის მეთოდოლოგიაში გაწეროს, რა მექანიზმით მოხდება შეფასებისას სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინება.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**მათემატიკა** -განმავითრებელი შეფასების მასალები რაც იყო წარმოდგენილი სოლო ტაქსონომიის სახით ჩანდა, რომ გათვალისწინებული იყო მრავალი ფაქტორი, რაც იმას ნიშნავს რომ შეფასების სისტემა სკოლაში გამართულია. **2.3.2.4 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**სპორტი** -სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში აღწერილია, თუ როგორ ხდება შეფასება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას. ასევე, რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად. შემდგომში სასურველია სკოლამ ნათლად ასახოს შეფასების სხვადასხვა ფაქტორები. **2.3.2.4 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საგნობრივი კურიკულუმი.
- სასკოლო შეფასების დებულება;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- შპს სკოლა-ლიცეუმი სანთელის სასკოლო შეფასების სისტემა;
- სკოლა-ლიცეუმი სანთელის 2022-2023 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის დებულება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

### 2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** -სკოლაში შექმნილია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი. სკოლის 2022-2023 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის დებულებაში გაწერილია, რომ სკოლაში საგანმანათლებლო პროცესების უწყვეტი გაუმჯობესების მიზნით, მიმდინარეობს რევიზიის ორგანიზება მშობლებთან და მასწავლებლებთან თანამშრომლობით, რომლის საფუძველზეც მუშავდება რეკომენდაციები სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებსა და მიდგომებთან დაკავშირებით. ასევე, სკოლაში აღრიცხავენ მასწავლებლის მონაწილეობას სხვადასხვა ღონისძიებაში, ახორციელებენ მასწავლებლის ინდივიდუალური განვითარების გეგმის ანალიზს, მასწავლებლის პროდუქტიულობის ანალიზს. ხდება მოსწავლეთა აკადემიური და დისციპლინური მიღწევების (შედეგები და პროგრესი) აღრიცხვა და ანალიზი, მოსწავლეთა ინიციატივებისა და აქტიურობის აღრიცხვა და ანალიზი. **2.4.1.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილია ინფორმაცია მონიტორინგისა და შეფასების შედეგების საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავებაზე კურიკულუმის გაუმჯობესების მიზნით. **2.4.1.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

**უცხოური ენები** -წარმოდგენილ დოკუმენტში - კურიკულუმის შემუშავების, მონიტორინგის, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიები- ნახსენებია, რომ მონიტორინგისა და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით უნდა განხორციელდეს რეკომენდაციების შემუშავება კურიკულუმის შემდგომი განვითარებისთვის. სასურველია აღნიშნულ დოკუმენტში აღიწეროს პროცესები თუ როგორ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოხდება აღნიშნული რეკომენდაციების შემუშავება. მაგალითად: სკოლამ უპასუხოს შემდეგ კითხვებს: რა გამოცდილება დამიგროვდა სასწავლო წლის მანძილზე; როგორ შეიძლება ეს გამოცდილება გამოვიყენო სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად; რა გავითვალისწინო ახალი სასწავლო წლის დაგეგმვისას; როგორ გავაზიარო პასუხისმგებლობა ამ გამოცდილების გათვალისწინებით სასკოლო საზოგადოებაში და სხვა. **2.4.1.1. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**ესთეტიკური აღზრდა** -კურიკულუმის შემუშავების, მონიტორინგის, შეფასების და განვითარების მეთოდოლოგიების დოკუმენტში აღწერილია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი. ეს დოკუმენტი დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ ბრძანებით **2.4.1.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია;**.

**სახელმწიფო ენა** - კურიკულუმის შემუშავების, მონიტორინგის, შეფასების და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში იკვეთება, რომ მონიტორინგისა და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით უნდა განხორციელდეს რეკომენდაციების შემუშავება კურიკულუმის შემდგომი განვითარებისთვის. **2.4.1.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია;**.

**მათემატიკა** - სკოლის მიერ წარმოდგენილ წლიური სამოქმედო გეგმაში ნამდვილად ჩანს, რომ შექმნილია კურიკულუმის განვითრებისა და მხარდაჭერის საინფორმაციო პაკეტი.**2.4.1.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია;**.

**სპორტი** -სკოლის დამატებითი დოკუმენტაციის გამოთხოვის საფუძველზე, სკოლამ წარმოადგინა საბაზო საფეხურის კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია. რაც მიუთითებს იმაზე, რომ სკოლას აქვს გამოცდილება შექმნას კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი. სამომავლოდ, 2023-2024 სასწავლო წლიდან, ფიზიკური აღზრდის პედაგოგებმა აუცილებელია იმუშაონ გადამუშავებული კურიკულუმებით, რომლის ეტაპობრივად გადახედვა და ანალიზი განხორციელდება. **2.4.1.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია;**.

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - წარმოდგენილი კურიკულუმები ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს, რაც ასახულია სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმასა და შვიდწლიან სტრატეგიული განვითარების გეგმაში. **2.4.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილია ინფორმაცია სასკოლო კურიკულუმის გადასინჯვასა და რევიზიაზე. აღნიშნულია, რომ მონიტორინგისა და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით უნდა შემუშავდეს რეკომედაციები კურიკულუმის გასაუმჯობესებლად, რომლის საფუძველზე შეიქმნება კურიკულუმის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განახლებული ვერსია. სასურველია მეთოდოლოგიაში მკაფიოდ გაიწეროს პასუხისმგებელი პირები და მათი ფუნქციები აღნიშნული საქმის წარმატებით განხორციელების მიზნით. **2.4.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**უცხოური ენები** -წარმოდგენილ დოკუმენტში - კურიკულუმის შემუშავების, მონიტორინგის, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიები- იკითხება, რომ კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. **2.4.1.2. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**ესთეტიკური აღზრდა** -კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. სკოლამ უნდა გაითვალისწინოს, რომ საბაზო საფეხურის საგნობრივი სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმების შექმნისას გაითვალისწინა მეორე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები და შედეგებ **2.4.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია** ი ,

**სახელმწიფო ენა** კურიკულუმების გადასინჯვა ხორციელდება წინარე გამოცდილების გათვალისწინებით. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **2.4.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**მათემატიკა** -კურიკულუმის შექმნისას მნიშვნელოვანია წინარე გამოცდილების გათვალისწინება, რათა გამართული იყოს კურიკულუმი, მაგრამ წარმოდგენილ დოკუმენტებში არ ჩანს წინარე გამოცდილების გათვალისწინება. **2.4.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**სპორტი** -მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შედგენას მონიტორინგს უწევს სკოლის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, სკოლის ადმინისტრაციის წევრები. მასწავლებლები ითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას, მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. **2.4.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საგნობრივი კურიკულუმები;
- შპს სკოლა-ლიცეუმი სანთელის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კათედრის პორტფოლიო;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- 2021-2022 სასწავლო წლის შედეგების საფუძველზე გაკეთებული სკოლის SWOT-ანალიზი
- შპს სკოლა-ლიცეუმი სანთელის სასკოლო შეფასების სისტემა;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

# ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

## I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

**ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე**

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| სასკოლო კურიკულუმი _საშუალო საფეხური | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | ☐ არ შეესაბამება |
|---|---|
| **კომონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

### 2. სასკოლო კურიკულუმი - საშუალო საფეხური

### 2.1. კურიკულუმის შემუშავება

### 2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შეფასებისა და მონიტორინგის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი. შპს სკოლა-ლიცეუმ სანთელის სასკოლო კურიკულუმში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები და პრიორიტეტები. სკოლის მიერ ჩატარებულია სვოტ ანალიზი, რომლის საფუძველზეც გამოიკვეთა სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები, ასევე შესაძლებლობები და საფრთხეები. საჭიროების კვლევა ეყრდნობოდა სკოლის საგნობრივი კათედრების წლიურ ანგარიშებს, მოსწავლეების, მასწავლებლების და მოსწავლეთა მშობლების გამოკითხვას. შემუშავდა რეკომენდაციები და დაიგეგმა აქტივობები სუსტი მხარეების გასაუმჯობესებლად, რაც აისახა სკოლის SWOT-ანალიზში და შემდგომში სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში. სკოლის 2023-2024 ერთწლიანი სამოქმედო გეგმაში სტრატეგიულ ამოცანებს წარმოადგენს: სკოლა-ლიცეუმის მართვა, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მონიტორინგი; სწავლა - სწავლების ხარისხის ამაღლება კურიკულუმების შემუშავება, ინოვაციური პედაგოგიური მიდგომების დანერგვის ხელშეწყობა, საგნობრივი კათედრების სხდომების ჩატარება და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შესაბამისი საკითხების განხილვა; კათედრების მიერ შემაჯამებელი დავალებების ანალიზი; სასწავლო პროცესის მონიტორინგის განხორციელება მოსწავლეთა მიღწევების დინამიკის შესწავლა.

სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა "კურიკულუმის შემუშავების, მონიტორინგისა და განვითარების მეთოდოლოგიების" დოკუმენტი, რომელსაც ადმინისტრაციის წარმომადგენლის განმარტებით ჰქონდა სარეკომენდაციო ხასიათი და ვიზიტის დასრულებამდე დირექტორმა 30.05.2023 წლის N ბ/36 ბრძანებით დაამტკიცა სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად. **2.1.1.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. სასკოლო კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. საჭიროების კვლევის მიზანს წარმოადგენდა 2021-2022 წელს დანერგილი სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასება. წინასწარ შემუშავებული შეფასების მექანიზმების გათვალისწინებით, კვლევაში მონაწილეთა დახმარებით სასწავლო პროცესში არსებული სირთულეების აღმოჩენა,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესებისა და მისწრაფებების გაგება. სკოლის სხვადასხვა სტრუქტურული ელემენტის მუშაობის ეფექტურობის გამოვლენა. კვლევა მოიცავდა სამ ეტაპს. პირველ ეტაპი - კითხვარების მომზადება; კვლევის მეორე ეტაპი - გამოკითხვა - განხორციელდა პირველ სემესტრში - ნოემბრის თვეში. სასწავლო წლის დასასრულს კი კითხვარები ეხებოდა მშობლებთან თანამშრომლობისა და კომუნიკაციის ფორმებს, სკოლის სუსტი და ძლიერი მხარეების გამოვლინებას, მომავალი სასწავლო წლისათვის სასურველ ცვლილებებს და სტრუქტურული ერთეულების მუშაობის შეფასებას. კვლევის მესამე ეტაპი-გამოკითხვის შედეგების ანალიზი. **2.1.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. სკოლის საჭიროების კვლევის პირველ ეტაპზე მომზადდა კითხვარები სამი მიმართულებით: მშობლები, მასწავლებლები და მოსწავლეები. კითხვარები შემუშავდა სკოლის მონიტორინგის ჯგუფის, კათედრის ხელმძღვანელების, დამრიგებლების მიერ, დოკუმენტაცია განხილულ იქნა საგნობრივ კათედრებზე. მშობლებისა და მოსწავლეების გამოკითხვას ორგანიზებას უწევდნენ კლასის დამრიგებლები - უზრუნველყოფდნენ კითხვარების გავრცელებას, შეგროვებასა და მონიტორინგის ჯგუფისათვის წარდგენას. მონიტორინგის ჯგუფმა განახორციელა მასწავლებლების გამოკითხვა. მიზანშეწონილია, სასკოლო საზოგადოების კურიკულიუმის შემუშავებაში ჩართულობის მიზნით, მეთოდოლოგიაში მკაფიოდ იყოს განსაზღვრული, მთელი წლის განმავლობაში, რა ფორმით, როგორი ინტენსივობით, რომელი ინსტრუმენტების გამოყენებით მოხდება სასკოლო საზოგადოების წევრების პროცესში ჩართვა. **2.1.1.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. კურიკულუმის გაზიარება განხორციელდა პედაგოგიურ საბჭოზე, კათედრის სხდომებზე, მშობელთა კრებებზე.

მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ კათედრაზე მსჯელობენ, თუ როგორ გაუზიარონ კურიკულუმი სასკოლო საზოგადოებას. გეგმავენ, რომ მოაწყონ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები, პრეზენტაციები და გაითვალისწინონ საზოგადოების აზრი სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში; შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**2.1.1.4 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ერთ წლიანი სამოქმედო გეგმა;
- მშობელთა დებულება;
- სკოლის თვითშეფასების დოკუმენტი;
- სკოლის სასკოლო -სასწავლო გეგმა;
- მასწავლებლების პორტფოლიოები;
- კათედრის პორტფოლიოები;
- კურიკულუმის შემუშავების, მონიტორინგის, შეფასების და განვითარების მეთოდოლოგიები;
- სასკოლო შეფასების სისტემა.

### 2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლა-ლიცეუმ სანთელს განსაზღვრული აქვს, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა დაფუძნებულია მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასა და პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო კონცეფციაზე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლის პორტფოლიოებში, თემატური მატრიცის ფორმაში დეტალურადაა გაწერილი კომპლექსური დავალება, რომელშიც გვხდება საკვანძო და სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები, რაც მეტაკოგნიტური და სწავლის სწავლის უნარების განვითარების კარგი საშუალებაა. ასევე, მატრიცის ფორმაში არის კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესის და ნამუშევრების პრეზენტაციის ამსახველი ფოტომასალა. თუმცა, კომპლექსური დავალების მსვლელობაში (ეტაპები, ნაბიჯები) არ ჩანს რომელი მეთოდის/რესურსის გამოყენებით ხდება პროდუქტის შექმნის შესახებ ინფორმაციის მიწოდება და გამყარება. საბოლოო პროდუქტის შექმნამდე მხოლოდ ერთი აქტივობაა განსაზღვრული სახელმძღვანელოს რესურსის გამოყენებით, სხვა აქტივობები, დამხმარე რესურსები, ბმულები არ არის მითითებული, წარმოდგენილ მასალაში მკაფიოდ არ ჩანს პროცესის ნაბიჯ-ნაბიჯ განხორციელება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია მოსწავლეზე და პროცესზე ორიენტირებული კონსტრუქტივისტულ პრინციპებზე აგებული პროცესის წარმართვისთვის. სასურველი და მნიშვნელოვანია კურიკულუმებში თითოეულ თემის დონეზე ყველა სამიზნე ცნებაზე ორიენტირება, კონტექსტ-მაგალითებისა და კომპლექსური დავალების იდეების გაწერა შესაბამისი რესურსების მითითებით. წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის ცალკეულ კურიკულუმებზე დაყრდნობით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, სასწავლო კურსით იფარება საფეხურის შედეგები. **2.1.2.1. ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**2.** კათედრის სხდომის ოქმებიდან დგინდება, რომ სკოლას გააზრებული აქვს კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობის ეტაპობრივი დანერგვა და სოლო ტაქსონომიის პრინციპით მოსწავლეთათვის განმავითარებელი შეფასების მიწოდება, სადაც ყველა მოსწავლის მიღწევა აღიწერება სამიზნე ცნებასთან მიმართებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება კიდეც მისი შესრულება, რაც გვიდასტურებს, რომ კურიკულუმი უზრუნველყოფს მოსწავლეებში გლობალურ ფუნქციური უნარების გამომუშავებასა და უპირობოდ პოზიტიური გარემოს შექმნას.

**2.1.2.2. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

3. 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლას გაწერილი აქვს ინკლუზიური განათლების სპეციფიკა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმა და შედგენის პროცედურები, სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების, დასწრებისა და გაცდენების რეგულაციები. ინტერვიურებისას გაირკვა, რომ სკოლას ბოლო პერიოდში არ ჰყოლია სსსმ მოსწავლე, შესაბამისად, შესრულების ანგარიში არ არის წარმოდგენილი. ვინაიდან არ არის წარმოდგენილი არც ერთი მოდიფიცირებული გეგმა, მასწავლებელთა პირველი სემესტრის ანგარიშებზე (წარმოდგენილია კათედრის პორტფოლიოში)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაყრდნობით ვასკვნით, რომ დაწყებით საფეხურზე ხდება მოსწავლეებზე დაკვირვება, პრობლემების გამოკვეთა და ინდივიდუალური უკუკავშირის გაცემა. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა განაცხადეს, რომ იყენებენ მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებულ ადაპტირებულ დავალებებს, დიფერენცირებულ მიდგომებს ამა თუ იმ საკითხების შესწავლისას. სკოლა სწავლისა და განვითარების თანაბარ საშუალებას აძლევს მოსწავლეს, მასწავლებლები აკვირდებიან თითოეულ მათგანს, სწავლობენ მათ თავისებურებებს, ინტერესებს, შესაძლებლობებს და ამ პირობების გათვალისწინებით გეგმავენ სასწავლო პროცესს.

**2.1.2.3. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

4. ინტერვიუდან და პორტფოლიოებში წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. წარმოდგენილი 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, მოსწავლეები ფასდებიან სამი კომპონენტით: ა)მიმდინარე საკლასო დავალება. ბ)მიმდინარე საშინაო დავალება. გ) შემაჯამებელი დავალება. მასწავლებელს უფლება აქვს განმავითარებელი შეფასება გამოიყენოს ნებისმიერ კომპონენტში. კომპლექსური დავალების შესრულების შემდეგ, მოსწავლე ფასდება სოლო ტაქსონომიით. შვიდწლიან განვითარების გეგმაში გაწერილია შეფასების რუბრიკების შემუშავება, რითაც სკოლა იხელმძღვანელებს შემდგომ პერიოდში, საგნობრივად. მნიშვნელოვანია, რომ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შედგენისას ყურადღება უფრო მეტად გამახვილდეს სამიზნე ცნების და თემის მკვიდრ წარმოდგენებზე; **2.1.2.4. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

5. სკოლას წარმოდგენილი აქვს SWOT ანალიზი, რომელშიც გამოკვეთენ სკოლის ძლიერ და სუსტ მხარეებზე. პედაგოგიკის ნაწილში სკოლას ჩატარებული აქვს კვლევა, საჭიროებების დასადგენად. როგორც ინტერვიუდან აგრეთვე მასწავლებლის პორტფოლიოდან გამოჩნდა, მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით. მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების და წლის განმავლობაში მიღწეული შედეგების ანალიზის საფუძველზე, კათედრა ერთობლივად მუშაობს მომავალი წლის კურიკულუმზე, რომელიც ეფუძნება წინარე ცოდნას და ორიენტირებულია შედეგების გაუმჯობესებაზე.**2.1.2.5. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საგნობრივი კურიკულემები;
- მასწავლებლების პორტფოლიო;
- განხორციელებული კომპლექსური დავალების ნიმუშები განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებებით;
- სკოლის 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა;
- SWOT ანალიზი.
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მოსწავლეთა შედეგების ანალიზი და ანგარიში;
- მასწავლებელთა თვითრეფლექსია;
- ინტერვიურება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 2.2.კურიკულუმის განხორციელება

### 2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - საშუალო საფეხურის მოსწავლეები ახორციელებენ ექსპერიმენტებს, დაკვირვებას, უტარდებათ გაკვეთილები ღია სივრცეში, აქვთ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია. ლაბორატორიაში არის ერთი დიდი ფანჯარა, რომელიც გამოიყენება ბუნებრივი განიავების საშუალებად, არის გამწოვიც, რეაქტივები ინახება დახურულ კარადაში, ონკანი და ნიჟარა განთავსებულია მეზობელ ოთახში, ასევე, მასში განთავსებული 3 მერხი არ არის პრიალა ზედაპირიანი. სასწავლო პროცესის დროს დამატებითი რესურსების სახით ძირითადად იყენებენ PPT-პრეზენტაციებს, მულაჟებს, ტაბულებს. სასწავლო გრძელვადიანი პროექტები ნაკლებად ხორციელდება.**2.2.1.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები -** საფეხურის კურიკულუმებით განსაზღვრული კომპლექსური ბუნების დავალებები იძლევა მოსწავლის მოსწავლის აქტიურ სუბიექტად გარდაქმნის საშუალებას. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა კომპლექსური ბუნების დავალებები ფრაგმენტულადაა წარმოდგენილი, ხოლო საგან მოქალაქეობასა და გეოგრაფიის კურიკულუმებში საერთოდ არ არის გაწერილი კომპლექსური ტიპის დავალება. დამრიგებლის პორტფოლიოებში გაწერილია სადამრიგებლო პროგრამები, საფეხურის მანძილზე განსახილველი თემები, ასევე, სემესტრულად განსახილველი თემები, გაწერილია დამრიგებლის სამუშაო გეგმა, დამრიგებლის I სემესტრის ანგარიში და განხორციელებული ღონისძიებების/აქტივობების ამსახველი ფოტომასალა. გარდა მაისა, მოსწავლეთა თვითმმართველობის სამოქედო გეგმით გათვალისწინებულია სხვადასხვა პროეტები: ექსკურსია/ლაშქრობა, სპორტული, შემეცნებითი, სახელოვნებო აქტივობები და სხვ. ინტერვიუს დროს მოვითხოვე ერთ-ერთი აქტივობის განხორციელების მტკიცებულება და მივიღე ისტორიული ძეგლების გაცნობის მიზნით ექსკურსიის მოკლე აღწერილობა ფოტომასალასთან ერთად. სასურველია კურიკულუმების კომპლექსური ბუნების დავალებებით გამდიდრება და,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ასევე, კლასგარეშე აქტივობების სახით ესგ-ის ერთ-ერთ პრიორიტეტულ თემაზე სასკოლო პროექტის დაგეგმვა-განხორციელება-ანგარიშგება. **2.2.1.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**უცხოური ენები** - უცხოური ენების კათედრამ, მიმდინარე სასწავლო წლისთვის შედგენილ სამოქმედო გეგმაში სწავლების საშუალო საფეხურზე გაითვალისწინა კომპლექსური, ცხოვრებისეულ კონტექსტთან ახლოს მდგომი პროექტული დავალებები და განახორციელა კიდეც. მასწავლებლების პორტფოლიოებს თან ერთვის მოსწავლეთა ნამუშევრები. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამგავრ სასწავლო გარემოში მოსწავლე, აქტიურ შემოქმედებით პროცესშია ჩართული. **2.2.1.1. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**ესთეტიკური აღზრდა** -სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, რაც კარგად ჩანს მასწავლებლის პორტფოლიოში წარმოდგენილი მასალით - კონსტრუქტივისტული მიდგომებით, რესურსებით, მრავალფეროვანი მეთოდებით და სტრატეგიებით **2.2.1.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია**.

**სახელმწიფო ენა** -კათედრას დაგეგმილი აქვს, რომ სწავლა-სწავლების პროცესი წარმართოს კომპლექსური დავალებებით, ამ მეთოდით სწავლება კი მიმდინარეობს შეფასების კომონენტებში ზემოთ ჩამოთვლილი სწავლების ხუთი პრინციპის დაცვით. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს,რომ მომავალი 2023-2024 სასწავლო წლიდან ყველა თემის ფარგლებში კომპლექსური დავალების ბანკიდან შეარჩევენ კომპლექსურ დავალებებს, რათა მოსწავლეებს მისცენ აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართულობის შესაძლებლობა. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **2.2.1.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**მათემატიკა** -სკოლამ წარმოადგინა სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები და მოსწავლეთა ნამუშევრები რაც იძლევა იმის საფუძველს, რომ ჩანს რომ სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. **2.2.1.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**სპორტი** - სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესებში ჩართულობის მექანიზმები, რომელიც საჭიროებს სრულყოფას. საშუალო საფეხურზე განხორციელებული და დაგეგმილი სპორტული ღონისძიებები, აგრეთვე, აქტივობები, რომელიც განისაზღვრება კურიკულუმებში (თემატური კალენდარული გეგმა), უზრუნველყოფს მოსწავლეების აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას. **2.2.1.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - საბუნებისმეტყველო კათედრის მიერ წარმოდგენილ გაკვეთილის გეგმები წინარე ცოდნის გააქტიურება ხდება ძირითადად კითხვა-პასუხით. სასურველია, მასწავლებლებმა გამოიყენონ მრავალფეროვანი მეთოდები და სტრატეგიები წინარე ცოდნის გააქტიურების მიზნით რათა მოსწავლეს მოტივაცია და ჩართულობა იყოს მაღალი.**2.2.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილია სავალდებულო თემები, რომლებიც დაკონკრეტებულია სხვადასხვა საკითხით, რაც საშუალებას იძლევა გააქტიურდეს მოსწავლის წინარე ცოდნა მათთვის ნაცნობი კონტექსტებით. სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტების შემოტანას ხელს უწყობს ფრაგმენტულად წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, მაგრამ ამ მხრივაც გაუმჯობესებას საჭიროებს კომპლექსური ბუნების დავალებების ფრაგმენტული სახით არსებობა, ხოლო საგან მოქალაქეობასა და გეოგრაფიაში კურიკულუმში საერთოდ არარსებობა.

დამრიგებლის პორტფოლიოში გაწერილია არაფორმალური ხასიათის პროექტები/ღონისძიებები/აქტივობები მათი განხორციელების ამსახველი ანგარიშითა და ფოტომასალით, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის მოსწავლის გამოცდილებასთან დაახლოებას. გარდა მაისა, მოსწავლეთა თვითმმართველობის სამოქედო გეგმით გათვალისწინებულია სხვადასხვა პროეტები: ექსკურსია/ლაშქრობა, სპორტული, შემეცნებითი, სახელოვნებო აქტივობები და სხვ. ინტერვიუს დროს მოვითხოვე ერთ-ერთი აქტივობის განხორციელების მტკიცებულება და მივიღე ისტორიული ძეგლების გაცნობის მიზნით ექსკურსიის მოკლე აღწერილობა ფოტმასალასთან ერთად. სასურველია კურიკულუმების კომპლექსური ბუნების დავალებებით გამდიდრება და, ასევე, კლასგარეშე აქტივობების სახით ესგ-ის ერთ-ერთ პრიორიტეტულ თემაზე სასკოლო პროექტის დაგეგმვა-განხორციელება-ანგარიშგება. **2.2.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**უცხოური ენები** - წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან მტკიცდება, რომ უცხოური ენების კათედრა თემატური დაგეგმვისას ითვალისწინებს მოსწავლეთათვის ნაცნობ კონტექსტს, რომელიც მას ეხმარება ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში. ამ მოსაზრებას ისიც ამყარებს, რომ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, რომლებსაც კათედრაზე ძირითად რესურსად იყენებენ, აგებულია იმგვარად, რომ მოსწავლეებს სხვადასხვა უნარებს ნაცნობ კონტექსტში გამომუშავებაში ეხმარება, ლექსიკური მარაგი კი ნელ-ნელა იზრდება. ასევე, კომპლექსური ბუნების დავალებების შესრულების სხვადასხვა ეტაპზე მოსწავლეს უწევს მისი ნაცნობი პრობლემის გადაჭრა, ანალოგის გაკეთება, ამის საფუძველზე ახალი პროდუქტის შექმნა და მისი ახსნა. შესაბამისად, ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

**2.2.1.2. ინდიკატორი შესაბამისობაშია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ესთეტიკური აღზრდა** - მასწავლებლების პორტფოლიოებში წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით კარგად ჩანს, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით; **2.2.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**სახელმწიფო ენა** -კათედრას დაგეგმილი აქვს, რომ სწავლა-სწავლების პროცესი წარმართოს კომპლექსური დავალებებით, ამ მეთოდით სწავლება კი მიმდინარეობს შეფასების კომონენტებში ზემოთ ჩამოთვლილი სწავლების ხუთი პრინციპის დაცვით. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს,რომ მომავალი 2023-2024 სასწავლო წლიდან ყველა თემის ფარგლებში კომპლექსური დავალების ბანკიდან შეარჩევენ კომპლექსურ დავალებებს, რათა მოსწავლეებს მისცენ აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართულობის შესაძლებლობა. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **2.2.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**მათემატიკა** - წარმოდგენილი კომპლექსური დავალებაში ჩანს, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. **2.2.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**სპორტი** - სკოლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგის მიერ განხორციელებული კომპლექსური ტიპის დავალებები ითვალისწინებს, რომ მათზე მუშაობისას განხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის დაშენება. დავალების ყოველ მომდევნო ეტაპზე მუშაობისას, მოსწავლეს წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით გაუადვილდება სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებზე გასვლა.**2.2.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - საშუალო საფეხურზე ინტენსიური არაა კომპლექსური დავალებებით მუშაობა. ქიმიის მასწავლებელს აქვს წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მეათე კლასში. გაკვეთილებზე იყენებენ მოსწავლეთა თვითრეფლექსიის რუბრიკებს. მოსწავლეთა მიღწევების ანალიზში არის ძირითადად, მოსწავლეთა მიერ შემაჯამებელ დავალებებში მიღებული ქულების სტატისტიკა.**2.2.1.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში ერთეული სახით არის ისტორიის მე-10 კლსის კომპლექსური დავალება, რომელშიც არის საკვანძო შეკითხვები, სამიზნე ცნების კონსტრუირებაზე ორიენტირებული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეკითხვები, პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასასმელი შეკითხვები, შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეში სწავლის-სწავლის, რეფლექსიის, თვითრეგულირებული სწავლის უნარების განვითარებას, მაგრამ აქაც გამოწვევაა კომპლექსური დავალებების ერთ შეთხვევაში ფრაგმენტულობა, ხოლო მეორე შემთხვევაში არარსებობა (მოქალაქეობა, გეოგრაფია). გარდა ამისა, წარმოდგენილი მტკიცებულებებში არ ჩანს თანატოლთა შეფასებისა და თვითშეფასების მაგალითები. სასურველია კურიკულუმების კომპლექსური ბუნების დავალებებით გამდიდრება და, ასევე, კლასგარეშე აქტივობების სახით ესგ-ის ერთ-ერთ პრიორიტეტულ თემაზე სასკოლო პროექტის დაგეგმვა-განხორციელება, ისე, რომ მოსწავლეებს საშუალება ჰქონდეთ მონაწილეობა მიიღონ პროექტის მართვასა და განხორციელებული აქტივობების რეფლექსიაში. **2.2.1.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**უცხოური ენები** -წარმოდგენილ უცხოური ენების საგნობრივ კურიკულუმებში უმრავლეს კლასებში სწავლა ხორციელდება კომპლექსური ტიპის დავალებებით, რომელშიც გათვალისწინებულია საკვანძო შეკითხვები, რომელიც გასდევს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესს. კომპლექსური ტიპის დავალებებზე მუშაობისას ასევე წახალისებულია მოსწავლის ფიქრი იმაზე, თუ რა არის მისი მიზანი, რამდენად ეფექტურია მის მიერ შერჩეული სტრატეგიები და სხვა. მასწავლებლების პორტფოლიოებში არ არის წარმოდგენილი გაკვეთილის გეგმები და შეფასების ფორმები საშუალო საფეხურზე, რომელზე დაყრდნობითაც დამტკიცდება, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. **2.2.1.3. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**ესთეტიკური აღზრდა** - ინტერვიუდან და პორტფოლიოებში წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე **2.2.1.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია**;

**სახელმწიფო ენა** -კათედრას დაგეგმილი აქვს, რომ სწავლა-სწავლების პროცესი წარმართოს კომპლექსური დავალებებით, ამ მეთოდით სწავლება კი მიმდინარეობს შეფასების კომონენტებში ზემოთ ჩამოთვლილი სწავლების ხუთი პრინციპის დაცვით. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს,რომ მომავალი 2023-2024 სასწავლო წლიდან ყველა თემის ფარგლებში კომპლექსური დავალების ბანკიდან შეარჩევენ კომპლექსურ დავალებებს, რათა მოსწავლეებს მისცენ აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართულობის შესაძლებლობა. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **2.2.1.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**მათემატიკა** -როგორც ჩანს, სკოლაში საკმაოდ კარგად ხორციელდება კომპლექსური დავალებები, რაც ნამდვილად გულისხმობს კეთებით სწავლას.**2.2.1.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**სპორტი** -სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში გამოიყენება ისეთი რესურსები, რომლებიც მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ-ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების, ორგანიზებულობის და თვითკონტროლის, ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. **2.2.1.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასწავლო პროცესი ძირითადად ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. ფიზიკისა და ქიმის მასწავლებლები შემაჯამებელ სამუშაოებსა და კომპლექსურ დავალებებში იყენებენ როგორც დეკლარაციულ, პირობისეულ ასევე პროცედურულ ცოდნას, რაც შეეხება ბიოლოგის მასწავლებელს, ძირითადათ ააქტიურებს დეკლარატიულ ცოდნას (შემაჯამებელი სამუშაოები). საბუნებისმეტყველო კათედრაზე შემუშავებული აქვთ შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმები, ასევე კათედრამ წარმოადგინა 2022--23 სასწავლო წლის I სემესტრის მოსწავლეთა მიღწევების დინამიკა, სადაც ასახულია მოსწავლეთა ქულების სტატისტიკა, ანალიზი და ინტერვენციები. **2.2.1.4 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - სასწავლო პროცესის დეკლარატიულ, პროცედურულ და პირობისეულ ცოდნაზე ორიენტირებულობა პირდაპირ კავშირშია საფეხურის კომპლექსურ ბუნების დავალებებში გაწერილ სამიზნე ცნების კონსტრუირებაზე ორიენტირებულ შეკითხვებთან, თუმცა კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ აქაც ერთგვარი გამოწვევაა კომპლექსური დავალებების ერთ შეთხვევაში ფრაგმენტულობა, ხოლო მეორე შემთხვევაში (მოქალაქეობა, გეოგრაფია) არარსებობა, რადგან ეროვნული სასწავლო გეგმა ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის კარგ მაგალითად განიხილავს პროექტული, პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელებას. სასურველია კურიკულუმების კომპლექსური ბუნების დავალებებით გამდიდრება და, ასევე, კლასგარეშე აქტივობების სახით ესგ-ის ერთ-ერთ პრიორიტეტულ თემაზე სასკოლო პროექტის დაგეგმვა-განხორციელება, ისე, რომ მოსწავლეებს საშუალება ჰქონდეთ მონაწილეობა მიიღონ პროექტის მართვასა და განხორციელებული აქტივობების რეფლექსიაში. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. **2.2.1.4 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**უცხოური ენები** - უცხოური ენის წარმოდგენილ თემატური გეგმებზე, კომპლექსური ტიპის დავალებებზე და მოსწავლეთა ნამუშევრებზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სახელმძღვანელოში მოცემულ ყველა თავში, მოსწავლე ჯერ ამუშავებს ფაქტობრივ მასალას, ეცნობა ინფორმაციებს როგორც სახელმძღვანელოდან, ასევე სხვა მითითებული წყაროებიდან. როგორც კათედრის პირველი სემესტრის ანგარიშში განმარტავენ მოსწავლეებს არ აქვთ პრობლემები ტექსტზე მუშაობასთან დაკავშირებით (დეკლარატიული ცოდნა). მოსწავლეები ასევე განიხილავენ ცხოვრებისეული კონტექსტის მქონე მაგალითებს (პირობისეული ცოდნა) და იწყენებ ფიქრს იმაზე თუ სად და როგორ გამოიყენონ ცოდნა (პროცედურული ცოდნა), რაშიც მათ თავისდაუნებურად კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტზე მუშაობის ეტაპი ეხმარება.

**2.2.1.4. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**ესთეტიკური აღზრდა -** ინტერვიუდან და პორტფოლიოებში წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე გამოჩნდა, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული); **2.2.1.4 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**სახელმწიფო ენა -**კათედრას დაგეგმილი აქვს, რომ სწავლა-სწავლების პროცესი წარმართოს კომპლექსური დავალებებით, ამ მეთოდით სწავლება კი მიმდინარეობს შეფასების კომპონენტებში ზემოთ ჩამოთვლილი სწავლების ხუთი პრინციპის დაცვით. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს,რომ მომავალი 2023-2024 სასწავლო წლიდან ყველა თემის ფარგლებში კომპლექსური დავალების ბანკიდან შეარჩევენ კომპლექსურ დავალებებს, რათა მოსწავლეებს მისცენ აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართულობის შესაძლებლობა. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **2.2.1.4 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**მათემატიკა -** წარმოდგენილ მასალებში, მოსწავლეთა ნამუშევრებში და საკლასო აქტივობებში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. **2.2.1.4 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**სპორტი** -სკოლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგების მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი მომავალში საჭიროებს განვითარებას, რათა უზრუნველყოს მოსწავლიეების მიერ თეორიული ცოდნის გამოყენება ფიზიკურ აქტივობებში და მათი გადატანა დაგეგმილი აქტივობების შესწავლის პროცესში. რომელიც ორიენტილებული იქნება ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). რომლის საჭირეობას აცნობიერებს პედაგოგი. **2.2.1.4 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეები ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. პედაგოგებს დაგეგმილი ჰქონდათ ინტეგრირებული გაკვეთილები. განხორციელდა საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეების სასწავლო ვიზიტი მეორადი ნედლეულის გადამუშავების საწარმოში, რომელიც დაიგეგმა საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრების მიერ.

მცირეა საშუალო საფეხურზე კომპლექსური დავალებების განხორციელების რაოდენობა (წარმოდგენილი იყო მხოლოდ ქიმიის მეათე კლასის კომპლექსური დავალებები). მიზანშეწონილია გაიზარდოს კომპლექსური დავალებებზე მუშაობა. **2.2.1.5 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - საფეხურის კურიკულუმებში ერთი თემის ფარგლებში სკოლას აქვს კომპლექსური დავალების განხორციელების პრაქტიკა, რაც თავისი ბუნებით უზრუნველყოფს მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას, თუმცა კიდევ უნდა გაესვას ხაზი, კომპლექსური ბუნების დავალებების ფრაგმენტულობას.

დამრიგებლის პორტფოლიოში გაწერილია არაფორმალური ხასიათის პროექტები/ღონისძიებები/აქტივობები მათი განხორციელების ამსახველი ანგარიშითა და ფოტომასალით, რაც ხელს უწყობს ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენებას. სასურველია კურიკულუმების კომპლექსური ბუნების დავალებებით გამდიდრება და, ასევე, კლასგარეშე აქტივობების სახით ესგ-ის ერთ-ერთ პრიორიტეტულ თემაზე სასკოლო პროექტის დაგეგმვა-განხორციელება, ისე, რომ მოსწავლეებს საშუალება ჰქონდეთ მონაწილეობა მიიღონ პროექტის მართვასა და განხორციელებული აქტივობების რეფლექსიაში. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს **2.2.1.5 ინდიკატორი შესაბამისობაშია** .

**უცხოური ენები** -უცხოური ენის კათედრის სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარება. ასევე თავად შერჩეულ სახელმძღვანელოებში მოცემულ თემატურ ერთეულებში გათვალისინებულია ინტეგრირებული თემები. კერძოდ: ეკონომიკა, ისტორია. ტექნოლოგიები, სპორტი, ხელოვნება და სხვა. საგანთა შორის კავშირები იკვეთება ასევე მასწავლებლების მიერ წარმოდგენილ გაკვეთილის გეგმებში. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში მოსწავლეს უხდება საკუთარი მოსაზრების დასაბუთება, სხვისი მოსაზრების გათვალისწინება, გამოსალის ძიება, რაც მას ცოდნის ორგანიზების გამოცდილებას სძენს. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. **2.2.1.5. ინდიკატორი შესაბამისობაშია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ესთეტიკური აღზრდა** -ინტერვიუდან და პორტფოლიოებში წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე გამოჩნდა, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება . **2.2.1.5 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**სახელმწიფო ენა** -კათედრას დაგეგმილი აქვს, რომ სწავლა-სწავლების პროცესი წარმართოს კომპლექსური დავალებებით, ამ მეთოდით სწავლება კი მიმდინარეობს შეფასების კომონენტებში ზემოთ ჩამოთვლილი სწავლების ხუთი პრინციპის დაცვით. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს,რომ მომავალი 2023-2024 სასწავლო წლიდან ყველა თემის ფარგლებში კომპლექსური დავალების ბანკიდან შეარჩევენ კომპლექსურ დავალებებს, რათა მოსწავლეებს მისცენ აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართულობის შესაძლებლობა. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს . **2.2.1.5 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**მათემატიკა** - წარმოდგენილ მასალებში ნაწილობრივ ჩანს, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.**2.2.1.5 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**სპორტი** - ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგნობრივი კურიკულუმები და მასში გაწერილი კომპლექსური დავალებები, რომლის გადამუშავების მზაობას და სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანას გამოხატავს სკოლა, ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. **2.2.1.5 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- მასწალებლების პორტფოლიოები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კათედრების პორტფოლიოები.
- კურიკულუმი;
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
- მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი და ანგარიში;
- მასწავლებელთა შემაჯამებელი სამუშაოების და კომპლექსური დავალებების თვითრეფლექსია;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ვიზუალური დათვალიერება;
- შპს სკოლა-ლიცეუმი სანთელის ლაბორატორიით სარგებლობის წესი;
- ინტერვიურება.

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - კურიკულუმების მიხედვით იკვეთება, რომ საშუალო საფეხურზე დაწყებით და საბაზო საფეხურთან შედარებით ნაკლებადაა დანერგილი კომპლექსური დავალებები და თემატური მატრიცები. მასწავლებლებთან ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ მათ ბოლომდე არ აქვთ გათავისებული სამიზნე ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, მათემატიკის და კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრა ნაკლებად ახორციელებს სასწავლო პროექტებს. **2.2.2.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით სამიზნე ცნებებისა და მის მკვიდრი წარმოდგენების გათავისების შესაძლებლობა მხოლოდ ფრაგმენტულად არის შესაძლებელი საფეხურის კურიკულუმებში ერთეული კომპლექსური დავალების ფარგლებში, რომელშიც გაწერილია სამიზნე ცნება, კომპლექსური



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დავალების პირობაში ცნების მკვიდრი წარმოდგენების საფუძველზე კი შეფასების კრიტერიუმები (ნაშრომში ხაზგასმით წარმოაჩინეთ), მაგრამ სხვაგან არსად იკვეთება კავშირი სამიზნე ცნებებსა და მის მკვიდრ წარმოდგენებთან. მთლიან საგნობრივ კურიკულუმებში კი მხოლოდ სტანდარტის შედეგებია გაწერილი. აქედან გამომდინარე, სასწავლო პროცესი ფრაგმენტულად უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. სასურველია კურიკულუმების კომპლექსური ბუნების დავალებებით გამდიდრება და, ასევე, კლასგარეშე აქტივობების სახით ესგ-ის ერთ-ერთ პრიორიტეტულ თემაზე სასკოლო პროექტის დაგეგმვა-განხორციელება. **2.2.2.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**უცხოური ენები** -წარმოდგენილი გრძელვადიანი მიზნები ხშირ შემთხვევაში ვერ მოდის კორელაციაში შუალედურ მიზნებთან. ხშირ შემთხვევაში საგნის სწავლების შედეგები მითითებულია ძველი (არამოქმედი) ეროვნული სასწავლო გეგმიდან. ასევე უმეტეს შემთხვევაში, შუალუდურ მიზანში (კომპლექსურ დავალებაში) მოხსენიებულია სამიზნე ცნებები სხვა სახელწოდებით, ვიდრე საგნობრივ და მასწავლებლის სამოქმედო გეგმებში. ამ უკანასკნელში სამიზნე ცნებები მითითებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ხდება მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბება, დანაწევრებით მიღებული ცოდნის გამთლიანება, მაგრამ დანამდვილებით ამის თქმა რთულია. მიზანშეწონილია, სასკოლო კურიკულუმი აგებული იყოს მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმის (რომლის დანერგვაც ეტაპობრივად დაიწყო 2018 წლიდან) მიხედვით და გათვალისწინებული იყოს შესაბამისი სამიზნე ცნებები და მისაღწევი შედეგები, რათა დადგინდეს როგორ ხდება სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

**სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 12.07.2023-30.11.2023) - ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი.სკოლამ უზრუნველყოს კურიკულუმის შედგენა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად., რათა გათვალისწინებულ იქნას სამიზნე ცნებები და მისაღწევი შედეგები. ესთეტიკური აღზრდა** -მასწავლებლების პორტფოლიოებში და ინტერვიუებიდან გამოჩნდა, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; **2.2.2.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**სახელმწიფო ენა** -სასწავლო პროცესი, კურიკულუმის შესაბამისად, არ უზრუნველყოფს სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; არსებული სასწავლო პროგრამები არ აკმაყოფილებს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა არ აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**აქტივობები (შესრულების ვადა - 12.07.2023-30.11.2023) - ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი.სკოლამ უზრუნველყოს კურიკულუმის შედგენა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად.**

**მათემატიკა** -კურიკულუმი, ასევე სასწავლო პროექტები ისეა წარმოდგენილი, რომ ნამდვილად იძლევა სამიზნე ცნებების და მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;**2.2.2.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**სპორტი** - სასწავლო პროცესი ფიზიკური აღზრდასა და სპორტში აუცილებელია ეფუძნებოდეს მეთოდოლოგიურად გამართულ კურიკულუმებს, რომლებშიც ნათლად იქნება ასახული - თუ როგორ ხდება სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. ამას ადასტურებს საშუალო საფეხურის კურიკულუმები რომლის შემდგომი განვითარებისთვის სკოლა აპირებს ზრუნვას. **2.2.2.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - საშუალო საფეხურზე საგნობრივი კონტექსტები ძირითადად ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. მასწავლებელთა მიერ გაცემული ზეპირი რეკომენდაციები მოსწავლეებს ეხმარება უკეთ გააცნობიერონ საკუთარი პროგრესი და ხელი შეუწყონ მას. სკოლაში ხელი ეწყობა არაფორმალურ განათლებას, მოსწავლეთა მენტალურ ჯანმრთელობასა და თანასწორუფლებიანობას. **2.2.2.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას ემსახურება წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები და მასში გაწერილი საკვანძო შეკითხვები, შეფასების კრიტერიუმები, თუმცა როგორც უკვე რამდენჯერმე აღინიშნა ასეთი ტიპის დავალებები ერთეული სახითაა წარმოდგენილი, ხოლო საგან მოქალაქეობისა და გეოგრაფიის კურიკულუმში საერთოდ არ არის გაწერილი. სასურველია კურიკულუმების კომპლექსური ბუნების დავალებებით გამდიდრება და, ასევე, კლასგარეშე აქტივობების სახით ესგ-ის ერთ-ერთ პრიორიტეტულ თემაზე სასკოლო პროექტის დაგეგმვა-განხორციელება. **2.2.2.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**უცხოური ენები** - წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმზე, სასწავლო პროცესში გამოყენებულ აქტივობებსა და მასწავლებლის პორტფოლიოზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. აქცენტი კეთდება არა მარტო ცოდნის მიწოდებაზე, არამედ საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე. **2.2.2.2. ინდიკატორი შესაბამისობაშია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ესთეტიკური აღზრდა** -პორტფოლიოებში წარმოდგენილი დავალებები ეხმარება მოსწავლის პიროვნული სოციო-ფსიქოლოგიურ განვითარებას **2.2.2.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია**.

**სახელმწიფო ენა** -საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებას. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ახორციელებენ ისეთ აქტივობებს, სასწავლო და სოციალურ პროექტებს, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია მოსწავლეთა ფსიქო-სოციალური განვითარება. გასაუბრების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ხელას უწყობენ მოსწავლეთა სოციო-ემოციურ განვითარებას, მოსწავლეებს უვითარდებათ თვითშეფასებისა და თვითრეგულაციის უნარები. მოსწავლე სწავლობს პოზიტიური ურთიერთობების დამყარებას, გუნდურ მუშაობას, სტრესული და კონფლიქტური სიტუაციების, საკუთარი ემოციებისა და ქცევების მართვას. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **2.2.2.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**მათემატიკა** -ჩანს ნაწილობრივ წარმოდგენილ დოკუმენტებში, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები რაც დოლუმენტებშია წარმოდგენილი იძლევა ამის საფუძველს.**2.2.2.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**სპორტი** - საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. მასწავლებლის ინტერვიუდან გამომდინარე, საშუალო საფეხურზე მასწავლებელი ცდილობს აქტივობები დაგეგმოს სკოლის სპორტის ინფრასტრუქტურის და რესურსების შესაბამისად, მოსწავლეთა ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინებით. **2.2.2.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები უფრო ანალიტიკურია და მორგებულია კონკრეტულ აქტივობასა და სამუშაოს. ჰოლისტური შეფასება არ ჩანს. საბაზო საფეხურისაგან განსხვავებით, საშუალო საფეხურზე ნაკლებადაა დანერგილი სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 12.07.2023-30.11.2023) - ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი. დაწესებულებამ უზრუნველყოს შეფასების სისტემის ორიენტირება მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე - სკოლამ შეადგინოს შესაბამისი შეფასების რუბრიკები.**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - სკოლას წარმოდგენილი აქვს სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია (სოლო ტაქსონომია), რომელსაც ეროვნული სასწავლო გეგა მოსწვალის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განიხილავს, თუმცა მხოლოდ ტაქსონომიის დონეების აღწერილობა და შეფასების კრიტერიუმებია (მოლოდინები) გაწერილი და არ არის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განმავითარებელი კომენტარის აღწერილობები შესაბამისი სტრუქტურით (დაცული უნდა იყოს სტრუქტურა - დაზუსტება, წახალისება, რჩევა).

ცოდნის კონსტრუირების საფეხურების დეკლარატიული ცოდნიდან პირობისულ ცოდნამდე მისასვლელი ნაბიჯებისა და ჰოლისტურად შეფასების უზრუნველყოფისთვის სასურველია ტაქსონომიაში განამვითარებელი კომენტარების შესაბამისი სტრუქტურის დაცვით გაწერაც. **2.2.2.3. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**უცხოური ენები** - არ არის წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები ცლკე საშუალო საფეხურისთვის. შემაჯამებელი დავალების შეფასების რუბრიკიდან კი იკვეთება, რომ აქცენტი კეთდება მხოლოდ, მოსწავლეთა ცოდნაზე და არა უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე. თუმცა საგნის სწავლებისას გამოყენებული კომპლექსური ტიპის დავალებები უზრუნველყოფს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერას. **2.2.2.3. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**ესთეტიკური აღზრდა** -ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ შეფასებისას იყენებენ განმავითარებელ შეფასებას სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე, სტანდარტის შედეგებზე და ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიაზე დაყრდნობით, რომელიც ხუთ დონეს გულისხმობს და ასახავს ცოდნის კრიტერიუმების საფეხურებს დეკლარატიული ცოდნიდან პირობისეულ ცოდნამდე. **2.2.2.3. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**სახელმწიფო ენა** -სკოლას ნაწილობრივ განსაზღვრული აქვს შეფასების ინსტრუმენტები, ნაწილს კი სამომავლოდ შექმნის მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის გათვალისწინებით. კათედრაზე შექმნიან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს კონკრეტული თემისა და დავალებისათვის. მომავალი სასწავლო წლისთვის სკოლა განსაზღვრავს, თუ შეფასების რომელი მოდელით აპირებენ მუშაობას, ასევე დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტს. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **2.2.2.3. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**მათემატიკა** -მასალებში წარმოდგენილია როგორც მოსწავლეთა ნამუშევრები, ასევე შეფასების მასალები რაც იძლევა იმის საფუძველს რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;**2.2.2.3. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**სპორტი** - სკოლის მიერ წარმოდგენილი ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განმავითარებელი შეფასების რუბრიკა ჰოლისტური ხასიათისაა და მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. ფიზიკურ აღზრდაში და სპორტში განმავითარებელი შეფასების საჭირეობისამებრ გამოიყენება და საგაკვეთილო პროცესში სიტყვიერი კომენტარები, რომელსაც იყენებენ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლები დაეხმარება მოსწავლეებს ფიზიკური თვისებების, ორგანიზებულობის და თვითკონტროლის, ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების გაცნობიერებაში. **2.2.2.3. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - საშუალო საფეხურზე მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი ანალიტიკური შეფასების რუბრიკები ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანია. **2.2.2.4 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - სკოლას წარმოდგენილი აქვს სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია (სოლო ტაქსონომია), თუმცა მხოლოდ ტაქსონომიის დონეების აღწერილობა და შეფასების კრიტერიუმებია (მოლოდინები) გაწერილი და არ არის განმავითარებელი კომენტარის აღწერილობები შესაბამისი სტრუქტურით (დაცული უნდა იყოს სტრუქტურა - დაზუსტება, წახალისება, რჩევა). რაც ხელს ვერ უწყობს სასკოლო საზოგადოების მხრიდან შეფასების სისტემის სათანადოდ აღქმა-გააზრებას. გარდა ამისა, მტკიცებულებებში არ ჩანს მოსწავლეთა/სასკოლო საზოგადოების ურთიერთშეფასებისა და თვითსეფასების პრაქტიკა, არც მოსწავლეების ჩართულობა შეფასების დიზაინის შემუშავებაში. მიზანშეწონილია შეფასების და თვითშეფასების რუბრიკების შემუშავებაში მოსწავლეთა და სასკოლო საზოგადოების ჩართულობა. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 12.07.2023-30.11.2023) - ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი.სკოლამ უზრუნველყოს შეფასების რუბრიკების შემუშავება მოსწავლეთა ჩართულობით, ასევე, დანერგოს მოსწავლეთა/სასკოლო საზოგადოების ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების პრაქტიკა.**

**უცხოური ენები** - უცხოური ენის კათედრამ სასწავლო წლის დასაწყისში იმსჯელა შეფასების სისტემის გამჭვირვალეობის მნიშვნელობაზე. იგივე პრინციპი იკითხება 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაშიც. კერძოდ: მოსწავლეებისთვის წინასწარ უნდა იყოს ცნობილი შეფასების მექანიზმი, შეფასების კრიტერიუმები უნდა მოიცავდეს არა მარტო ცოდნის, არამედ პროცესის შეფასებას. შემაჯამებელი სამუშაოების დაგეგმვის, წარმართვის და მონიტორინგი მიზნით სკოლა-ლიცეუმში შემუშავებულია მექაზნიზმი. სკოლის სასწავლო პროცესისა და ხარისხის მართვის მენეჯერთან. მონიტორინგისთვის შეარჩევს თითოეული საგნობრივი კათედრიდან ერთ შემაჯამებელ დავალებას. შემაჯამებელი სამუშაოს თარიღამდე არაუგვიანეს 5 დღისა, მასწავლებელი მონიტორინგის ჯგუფს აწვდის:  მისაღწევ შედეგებს ინდიკატორების მითითებით ესგ-დან, რომლის მიღწევის შეფასებაც დაისახა მიზნად აღნიშნული შემაჯამებელი სამუშაოთი;  თავად შემაჯამებელი სამუშაოს დავალებებს (საბოლოო ვერსიას);  თითოეული დავალების შეფასების რუბრიკას; შემაჯამებელი სამუშაოს თარიღამდე არაუგვიანეს 2 დღისა:  მასწავლებელი, საჭიროების შემთხვევაში, დირექციისგან იღებს და ითვალისწინებს რეკომენდაციებს. შემაჯამებელი სამუშაოს პროცესში, შემაჯამებელი სამუშაოს პროცესის ობიექტურად მიმდინარეობის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მონიტორინგის მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია, მოხდეს მონიტორინგის ჯგუფის წევრის დასწრება შემაჯამებელი სამუშაოს მიმდინარეობაზე; შემაჯამებელი სამუშაოს ჩატარების შემდეგ, შემაჯამებელი სამუშაოს ობიექტურად შეფასების მიზნით, შესაძლებელია ადმინისტრაციამ შემთხვევითობის პრინციპით შეამოწმოს მასწავლებლის მიერ შეფასებული შემაჯამებელი სამუშაო/სამუშაოები. მასწავლებლები ყველა მტკიცებულებას აგროვობენ და ინახავენ, რათა საბოლოო შედეგების დადასტურებისას არგუმენტირებულად წარმოადგინონ პოზიცია. მაგალითად: ზეპირი გამოკითხვის დროს მტკიცებულება იქნება ვიდეოჩანაწერი, წერილობითი დავალების დროს – გასწორებული ნამუშევრები, პროექტის განხორციელების შემთხვევაში – მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები და ა. შ. მასწავლებელი, კათედრის ხელმძღვანელთან ერთად იღებს უკუკავშირს მონტორინგის ჯგუფისგან შემაჯამებელი სამუშაოს ყველა ეტაპთან დაკავშირებით; მონიტორინგის შედეგებს განიხილავს საგნობრივი კათედრა, მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნიშემაჯამებელი სამუშაოების დაგეგმვის, წარმართვის და მონიტორინგი მიზნით სკოლა-ლიცეუმში შემუშავებულია მექაზნიზმი .სკოლის სასწავლო პროცესისა და ხარისხის მართვის მენეჯერთან. მონიტორინგისთვის შეარჩევს თითოეული საგნობრივი კათედრიდან ერთ შემაჯამებელ დავალებას. შემაჯამებელი სამუშაოს თარიღამდე არაუგვიანეს 5 დღისა, მასწავლებელი მონიტორინგის ჯგუფს აწვდის: · მისაღწევ შედეგებს ინდიკატორების მითითებით ესგ-დან, რომლის მიღწევის შეფასებაც დაისახა მიზნად აღნიშნული შემაჯამებელი სამუშაოთი; · თავად შემაჯამებელი სამუშაოს დავალებებს (საბოლოო ვერსიას); · თითოეული დავალების შეფასების რუბრიკას; შემაჯამებელი სამუშაოს თარიღამდე არაუგვიანეს 2 დღისა: · მასწავლებელი, საჭიროების შემთხვევაში, დირექციისგან იღებს და ითვალისწინებს რეკომენდაციებს. შემაჯამებელი სამუშაოს პროცესში: · შემაჯამებელი სამუშაოს პროცესის ობიექტურად მიმდინარეობის მონიტორინგის მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია, მოხდეს მონიტორინგის ჯგუფის წევრის დასწრება შემაჯამებელი სამუშაოს მიმდინარეობაზე; შემაჯამებელი სამუშაოს ჩატარების შემდეგ: · შემაჯამებელი სამუშაოს ობიექტურად შეფასების მიზნით, შესაძლებელია ადმინისტრაციამ შემთხვევითობის პრინციპით შეამოწმოს მასწავლებლის მიერ შეფასებული შემაჯამებელი სამუშაო/.სამუშაოები. მასწავლებლები ყველა მტკიცებულებას აგროვებენ და ინახავენ, რათა საბოლოო შედეგების დადასტურებისას არგუმენტირებულად წარმოადგინონ პოზიცია. მაგალითად: ზეპირი გამოკითხვის დროს მტკიცებულება იქნება ვიდეოჩანაწერი, წერილობითი დავალების დროს – გასწორებული ნამუშევრები, პროექტის განხორციელების შემთხვევაში – მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები და ა. შ. მასწავლებელი, კათედრის ხელმძღვანელთან ერთად იღებს უკუკავშირს მონი-ტორინგის ჯგუფისგან შემაჯამებელი სამუშაოს ყველა ეტაპთან დაკავშირებით; · მონიტორინგის შედეგებს განიხილავს საგნობრივი კათედრა, მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით . **2.2.2.4. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**ესთეტიკური აღზრდა** -მასწავლებლების პორტფოლიოში, ასევე სკოლის 7 წლიან სამუშაო გეგმაში გაწერილია სამომავლოდ რუბრიკების და შეფასების მექანიზმების განხორციელება სკოლაში. შესაბამისად, აღწერის მიხედვით შეფასება უნდა იყოს ვალიდური. შეფასების სისტემის ვალიდურობაზე/გამჭირვალობაზე/სანდოობაზე/ობიექტურობაზე/სამართლიანობაზე მეტყველებს მკაფიოდ გაწერილი შეფასების რუბრიკები და კრიტერიუმები, რომელიც მოსწავლეებისათვის მარტივი ენითაა ჩამოყალიბებული, ადვილად გასაგები და მისაწვდომია. პედაგოგებმა ზუსტად იციან, როგორ ფასდება და რა მიზნისკენაა მიმართული შეფასება. სასურველია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასების რუბრიკებში გამოიკვეთოს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები და სტანდარტის შედეგები. **2.2.2.4 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**სახელმწიფო ენა** -სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს შექმნილი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შედეგების ინდიკატორებზე დაყრდნობილი შეფასების რუბრიკები. შესაბამისად, ამ ეტაპზე ძნელია იმის განსაზღვრა, თუ რამდენად ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანია სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა. აქედან გამომდინარე, **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 12.07.2023-30.11.2023) - ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი.დაწესებულებამ უზრუნველყოს შეფასების რუბრიკების შემუშავება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა შესაბამისად.**

**მათემატიკა** -მოსწავლეთა ნამუშევრებზე და ამ ნამუშევრების შესაბამის შეფასებებზე შეიძლება თქვას რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი; **2.2.2.4 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**სპორტი** - სკოლის ავტორიზაციის განაცხადზე დაყრდნობით, სკოლის შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, კი ითვალისწინებს შეფასების სისტემის განვითარებასა და დახვეწას, შეფასების კრიტერიუმები და სქემები არის სანდო, ობიექტური. **2.2.2.4 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

5. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის მექანიზმები: საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, მათემატიკის და კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრის მასწავლებლები ახდენენ გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებას, შემუშავებული აქვთ ურთიერთდასწრების ფორმები, ახდენენ ჩატარებული გაკვეთილების, შემაჯამებელი სამუშაოებისა და კომპლექსური დავალებების რეფლექსიას. ნაკლებად ჩანს დაგეგმილი ინტერვენციები. სკოლაში ჯერ-ჯეროობით არაა დაგეგმილი სადიაგნოსტიკო შეფასება. **2.2.2.5 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - წარმოდგენილი დოკუმენტაციით სკოლას არ აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი და **მიზანშეწონილია** სკოლამ შეიმუშაოს შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციის მექანიზმი, რომლის საშუალებითაც უზრუნველყოფს სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემის დახვეწა-განვითარებას. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (დასრულებულია - 14.07.2023) - ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**უცხოური ენები** -. წარმოდგენილ დოკუმენტაციას თან ახლავს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. სადაც საუბარია შეფასების სისტემის ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალეობა, სამართლიანობა და ობიექტურობაზე. გამჭვირვალეობის მუხლი მოიცავს შემდეგ რეკომენდაციებს: „მასწავლებლები მოსწავლეებთან ერთად ქმნიან შეფასების კრიტერიუმებს; მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმები გამოკრულია საკლასო ოთახში; შეფასების კრიტერიუმები და სქემები ცნობილია ყველასთვის;
პედაგოგები მშობელთა პირველივე კრებაზე აცნობს მშობლებს მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმებს.“
ვერიფიკაციის მექანიზმი იკითხება ასევე სასკოლო სასწავლო გეგმაში, კათედრის სამოქმედო გეგმაში, სადაც საუბარია მოსწავლის მიღწევის მონიტორინგზე, კონკრეტულად შემაჯამებელი დავალების ანალიზში. თუმცა ამ შემთხვევაშიც საჭიროა უფრო მეტად ჰოლისტური მიდგომა. მიზანშეწონილია, შედგეს ვერიფიკაციის მექანიზმის უფრო დეტალური აღმწერი დოკუმენტი. მან უნდა მოგვცეს ინფორმაცია სამი მიმართულებით: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია (როგორც ამ კონკრეტულ შემთხვევაში მოცემულია შემაჯამებელ დავალებებთან დაკავშირებით), შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 2023 წლის სექტემბრიდან - 2024 წლის ივნისამდე) - ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი.სკოლამ უზრუნველყოს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის შედგენა და ამოქმედება.**

**ესთეტიკური აღზრდა** - ინტერვიუზე მასწავლებელმა დაადასტურა, რომ შეფასების სისტემის შექმნა ხდება, სკოლის, კათედრების დონეზე, ამიტომაც კათედრის წევრები პასუხისმგებელნი არიან ვერიფიკაციის მექანიზმზე . **2.2.2.5 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**სახელმწიფო ენა** -სკოლაში არ ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. არ არსებობს მექანიზმი, რომლითაც მოხდება მოსწავლეთა შეფასების გადამოწმება; შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა არ აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (დასრულებულია 14.07.2023) - ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

**მათემატიკა** - სკოლამ წარმოადგინა შეფასების მასალები, თუმცა წარმოდგენილ დოკუმენტებში არ არის ვერიფიკაციის მექანიზმი. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (დასრულებულია 14.07.2023) - ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

**სპორტი** - სკოლაში შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის არსებობა მნიშვნელოვანია. სკოლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის ინტერვიუს დროს გამოიკვეთა სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების ჩატარება. მიღებულმა შედეგებებმა შესაძლებელია მოგვცეს შიდა შეფასებებზე დასკვნების გაკეთების საშუალება, თუმცა სკოლაში არის შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გაუმჯობესების პოტენციალი. იგეგმება კათედრებზე მეტი შეხვედრები და ამ მიმართულებით, შეფასების რუბრიკების გადამუშავება.

**2.2.2.5 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

6. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვასა და შენახვას.

**2.2.2.6 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - სკოლას აქვს წარმოდგენილი მასწავლებლის პორტფოლიო, დამრიგებლის პორტფოლიო, მოსწავლეთა ნამუშევრების ნიმუშები, მასწავლებლების მიერ შექმნილი აქტივობები/რესურსები და სხვ. **2.2.2.6 ინდიკატორი შესაბამისობაშია** .

**უცხოური ენები** - წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლა ინახავს შეფასებათან დაკავშირებულ ინფორმაციას სასკოლო ჟურნალში. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში „სასკოლო შეფასებებში სისტემა“ საუბარია მხოლოდ მასწავლებელთა შეფასებაზე. მიზანშეწონილია, აღნიშნული დოკუმენტი მოიცავდეს, შემაჯამებელი სამუშაოების, როგორც მტკიცებულების, შენახვის წესსა და ვადას. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (დასრულებულია- 14.07.2023) - ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

**ესთეტიკური აღზრდა** -სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/

მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და შენახვა **2.2.2.6 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**სახელმწიფო ენა** -სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების /მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას, მოსწავლეთა ნამუშევრების შენახვას 3 წლის ვადით; შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **2.2.2.6 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**მათემატიკა** - ჩანს წარმოდგენილ დოკუმენტებში რომ უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით . **2.2.2.6 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**სპორტი** - სკოლის დირექტორის მოადგილესთან გასაუბრების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულებას აქვს დაგეგმილი სამომავლოდ შეიმუშავოს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების შენახვის მექანიზმი, სადაც ასევე აისახება ფიზიკური აღზრდის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და სპორტის მასწავლებლის მიერ შექმნილი რესურსი, შემაჯამებლის ანალიზი თუ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები.

### 2.2.2.6 ინდიკატორი შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საგნობრივი კურიკულუმები;
- სკოლის თვითშეფასების დოკუმენტი;
- მასწავლებლების პორტფოლიოები;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- სკოლის შვიდ წლიანი სტრატეგიული გეგმა;
- შეფასების რუბრიკები;
- კათედრის პედაგოგთა ურთიერთადსწრების გაკვეთილის შეფასება;
- შემაჯამებელი სამუშაოებისა და კომპლექსური დავალებების თვითრეფლექსია;
- ინტერვიურება;

### 2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, თითოეული პედაგოგი უზრუნველყოფს პოზიტიური გარემოს შექმნას საკლასო სივრცეში. საგაკვეთილო აქტივობები საინტერესო და სახალისოა. **2.2.3.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - წარმოდგენილი მტკიცებულებები, მთლიანობაში, იძლევა იმის თქმის შესაძლებლობას, რომ სკოლაში სასკოლო საზოგადოების წევრების თანამშრომლობითა და პრობლემაზე ორიენტირებით, გაზიარებული პასუხისმგებლობითა და რეფლექსიით მიმდინარეობს სასკოლო ცხოვრების პროცესი, რომელიც ხელს უწყობს მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას. კერძოდ, სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილში მისიის განაცხადში აღნიშნულია, რომ ხელი ეწყობა მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს ჩამოყალიბებას. სკოლას შემუშავებული აქვს დამრიგებლის სამუშაო გეგმა, ინკლუზიური განათლების პროგრამა, სოლო ტაქსონომიის ერთი ნიმუში, შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზი, მასწავლებლის და დამრიგებლის ანგარიშები. საგნობრივ პროგრამებში გაწერილია სავალდებულო თემები, სტანდარტის შედეგები, ფრაგმენტულად წარმოდგენილია კომპლექსური ტიპის დავალებები. **2.2.3.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**უცხოური ენები** - კათედრის სხდომის ოქმებიდან და მასწავლებელთა თვითშეფასებიდან დგინდება, რომ სკოლაში შექმნილია პოზიტიური, მხარდამჭერი სასწავლო გარემო. მათ მიერ შემუშავებული სტრატეგიები და სასწავლო პროგრამები მოსწავლის პიროვნული ზრდის შესაძლებლობას იძლევა. ინგლისური ენის მასწავლებელთა რეფლექსიებიდან იკითხება, რომ კომუნიკაცია აქვთ მშობლებთან, პასუხობენ მათ შეკითხვებს. ინგლისური ენის ერთ-ერთი მასწავლებლის რეფლექსიაზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ იგი ფასილიტატორის როლშია, მუდმივად ეხმარება მოსწავლეებს წამოჭრილი პრობლემის მოგვარებაში. უცხოური ენის კათედრაზე მასწავლებლები თანამშრომლობენ, ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე წინასწარ შემუშავებული განრიგის შესაბამისად, გასცემენ უკუკავშირს. მასწავლებელთა გამოცდილების გაზიარება ასევე ხორციელდება კათედრის სხდომებზე. **2.2.3.1. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**ესთეტიკური აღზრდა** - როგორც პედაგოგებმა ინტერვიუს დროს განმარტეს, სკოლაში შექმნილია მიმღებლობითი, მეგობრული გარემო; აღნიშნული ფაქტი თვითშეფასების კითხვარშიც ასახულია და აგრეთვე მასწავლებელთა პორტფოლიოებით და კათედრის ოქმებით ვლინდება სკოლის თანამშრომლობითი გარემო. **2.2.3.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**სახელმწიფო ენა** -სახელმწიფო ენის კათედრა გეგმავს, შექმნას ისეთი გარემო, სადაც უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა მხარდაჭერა და მიმღებლობითი გარემო. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **2.2.3.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**მათემატიკა** -სკოლას უზრუნველყოფილი და შექმნილი აქვს ისეთი გარემო, რომელიც მოსწავლეთ მხარდაჭერაზეა ორიენტირებული.**2.2.3.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**სპორტი** - სპორტული და საგნობრივი წრეების მუშაობის კოორდინაცია და მონიტორინგი, რომელსაც ახორციელებს სკოლა, ითვალისწინებს სპორტის პრიორიტეტული სახეობების არჩევას და სათანადო ხელშეწყობას , ამასთან ერთად სკოლის ერთწლიან და შვიდწლიან გეგმაში ასახულია სპორტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, რაც გააუმჯობესებს სასწავლო პროცეში მიმღებლობით და მხარდამჭერ გარემოს.**2.2.3.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად, სწავლების პროცესში გამოიყენება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომები. გათვალისწინებულია მოსწავლის შესაძლებლობები და თავისებურებები.**2.2.3.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - სკოლას ფრაგმენტულად აქვს კომპლექსური ბუნების დავალებები, სოლო ტაქსონომია, რომლებიც მოსწავლის ინტერესების, საჭიროებებისა და შესაძლებლობების ინდენტიფიცირებისა და მოსწავლეთა პიროვნული განვითარებისთვის შესაბამისი ინტერვენციების დასაგეგმად ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. სადამრიგებლო პროგრამით ჩატარებულია სასკოლო პროექტები, რაც, ასევე, კარგი საშუალებაა მოსწავლეთა სხვადასხვა ინტერესები დასადგენად და დასაკმაყოფილებლად. პროცესი, რომ უფრო მეტად მოსწავლეზე ორიენტირებული გახდეს სასურველია უფრო მეტი კომპლექსური ბუნებისა და პროექტული ტიპის დავალებების გაწერა სასკოლო კურიკულუმში. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. **2.2.3.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**უცხოური ენები** - მასწავლებელთა რეფლექსიების ანალიზი გვაძლევს იმის საშუალებას, რომ დავასკვნათ, მათი მხრიდან ხორციელდება დაკვირვება სწავლის პროცესზე და შედეგების ანალიზი. **2.2.3.2. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**ესთეტიკური აღზრდა** - ინტერვიუირების პროცესში გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს მოსწავლეზე ორიენტირებულად და შემოქმედებითად - მასწავლებლები და მოსწავლეები ერთობლივად მუშაობენ კლასის საჭიროებებზე. მასწავლებელი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უზურნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართვას სასწავლო პროცესში, რისთვისაც იყენებს კლასის მართვის ეფექტიან სტრატეგიებს **2.2.3.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**სახელმწიფო ენა** -კურიკულუმებში ჩაშენებული რამდენიმე კომპლექსური დავალება, დაგეგმილი პროექტები და აქტივობები იძლევა იმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულად; შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა **2.2.3.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**მათემატიკა** -წარმოდგენილ ნამუშევრებში ნამდვილად გამოკვეთილია, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად **2.2.3.2 ინდიკატორი შესაბამისია**.

**სპორტი** - სპორტისა და ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის ინტერვიუდან გამომდინარე, სასწავლო პროცესში ხორციელდება მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება. იგეგმება აქტივობები მოსწავლეთა საჭიროებიდან და შესაძლებლობიდან გამომდინარე. ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტის შესაბამისად გადამუშავებულ კურიკულუმებში, კიდევ მეტად იქნება გათვალისწინებული მოსწავლეთა ინიციატივები.**2.2.3.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, მათემატიკის და კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრის პედაგოგები მჭიდროდ თანამშრომლობენ ერთმანეთთან, უზიარებენ გამოცდილებას, აძლევენ ერთმანეთს რჩევებს და რეკომენდაციებს. **2.2.3.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - ურთიერდასწრების დოკუმენტებით, კათედრის ოქმით, დამრიგებლის პორტფოლიოთი, მასწავლებლის პორტფლიოთი და იქ არსებული აქტივობებითა და ანგარიშებით სკოლაში გამოკვეთილია თანამშრომლობითი კულტურა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის და გარკვეული რეფლექსია ამ საკითხის ეფექტურობაზე, თუმცა **სასურველი და მნიშვნელოვანია** სკოლამ შეიმუშაოს კვლევის ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც სისტემატურად გამოავლენეს ამ მხრივ არსებულ გამოწვევებს და დაგეგმავს შესაბამის ინტერვენციებს თანამშრომლობის პროცესის ეფექტურობის გაზრდის მიზნით. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. **2.2.3.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**უცხოური ენები** - სკოლამ შეადგინა განრიგი, რომლის მიხედვითაც განხორციელდა სემესტრში 1 დასწრება კოლეგის მიერ. კათედრის თავმჯდომარის ანგარიშიდან დგინდება, რომ „გამოვლინდა, რომ მასწავლებლები სათანადო დონეზე მომზადებულნი შედიან გაკვეთილებზე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და იყენებენ ყველა არსებულ რესურსებს რესურსებსა და თვალსაჩინო მასალას. სწორადაა შერჩეული შეფასების სისტემები, გამოყენებულია სწავლის ეფექტური ფორმები და მეთოდები. მეორე სემესტრშიც გაგრძელდა ურთიერთთანამშრომლობა კათედრის წევრ მასწავლებლებს შორის, რაც ხელს შეუწყობდა სასწავლო პროცესის წარმატებულად წარმართვას. **2.2.3.3. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**ესთეტიკური აღზრდა** -ინტერვიუებში იკვეთება, რომ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის დამოკიდებულება მეგობრულია. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ესთეტიკის კათედრაზე საგნობრივ კურიკულუმზე მუშაობისას ითვალისწინებენ სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, ასევე შეფასების რუბრიკების შედგენასა. მოსწავლეთა მიღწევების ანალიზში კარგად არის გამოხატული თანამშრომლობითი კულტურა და კომუნიკაცია. ხდება საგაკვეთილო პროცესებზე დასწრება და ერთობლივი განხილვა-რეფლექსია **2.2.3.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია**.

**სახელმწიფო ენა** -კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით სწავლება, დაგეგმილი პროექტები და აქტივობები გულისხმობს თანამშრომლობითი კულტურის და კომუნიკაციის განვითარებას; შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს **2.2.3.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია**.

**მათემატიკა** -მეტად მნიშვნელოვანია პოზიტიური გარემოს შექმნა სკოლაში და კლასის დონეზე, წარმოდგენილ დოკუმენტებში ნამდვილად ჩანს ეს ყველაფერი უზრუნველყოფილი აქვს სკოლას. **2.2.3.3 ინდიკატორი შესაბამისია**

**სპორტი** - პედაგოგის პორტფოლიოში გათვალისწინებულია კოლეგებთან თანამშრომლობა, სასკოლო კულტურის განვითარებისა, მოსწავლეთა და მშობლებთან კომუნიკაციის გზები **2.2.3.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია**.

4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სკოლა უზრუნველყოფს პოზიტიურ კომუნიკაციას თანამშრომლებს, მოსწავლეებსა და მშობლებს შორის. მაღალია მშობელთა ჩართულობა როგორც საკლასო, ასევე სასკოლო ცხოვრებაში. **2.2.3.4 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - საგნობრივი კურიკულუმების, მასწავლებლის პორტფოლიოს, დამრიგებლის პორტფოლიოს ანალიზით შესაძლებელია იმის თქმა, რომ განხორციელებული აქტივობები ხელს უწყობს პოზიტიური კლიმატის შექმნას სკოლისა და კლასის დონეზე, თუმცა არ არის სხვა უფრო მყარი მტკიცებულება, მაგალითად, ინტერვიუ ან ფოკუს-ჯგუფი მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან და დირექციასთან, რომლის დახმარებითაც გამოიკვეთებოდა აზრი და განცდა აღნიშნულ საკითხზე. სასურველია სკოლამ პერიოდულად ჩაატაროს სასკოლო კლიმატის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კვლევა შესაბამისი ინსტრუმენტის გამოყენებით და მიღებული შედეგები გამოიყენოს დამატებითი აქტივობები დაგეგმვის მიზნით. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს **2.2.3.4 ინდიკატორი შესაბამისობაშია.** .

**უცხოური ენები -** მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დაგინდა, რომ, ისინი ახერხებენ პოზიტიური სასკოლო კლიმატის შექმნას, კლასის დონეზე. საშუალო საფეხურზე ვერ დგინდება რას ითვალისწინებენ მასწავლებლები ძალადობის პრევენციისა და/ან თანასწავლების წახალისების მიზნით. ასევე სასურველია დაიგეგმოს და განხორციელდეს მოსწავლის პიროვნულ ზრდაზე მიმართული სხვადასხვა კლასგარეშე აქტივობები. **2.2.3.4. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**ესთეტიკური აღზრდა -**სასკოლო საწსავლო გეგმით მასწავლებლებს ევალებათ ეფექტური სასწავლო გარემოს შექმნა, რაც ვლინდება - თანამშრომლობაში, ურთიერთპატივისცემასა და კოლეგიალობაში **2.2.3.4. ინდიკატორი შესაბამისობაშია** .

**სახელმწიფო ენა** -მოსწავლეებს მათი უნარისა და შესაძლებლობების ფარგლებში შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ კომპლექსური დავალებები, არ იზღუდება მათი არჩევანი, რაც მათ საშუალებას აძლევს, თავისუფლად წარმოადგინონ დავალებები და მეტად თავდაჯერებულები იყვნენ. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **2.2.3.4. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**მათემატიკა -**სასწავლო პროცესში რა აქტივობებსაც არის წარმოდგენილი ეს ნამდვილად უზრუნველყოფს იმას რომ უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.**2.2.3.4. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**სპორტი** -სკოლის ადმინისტრაციის და სკოლის ფიზიკური აღზრდის პედაგოგის გასაუბრებიდან გამომდინარე, სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.**2.2.3.4. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საგნობრივი კურიკულუმი.
- სკოლის ერთწლიან და შვიდწლიან გეგმა.
- მასწავლებლების პორტფოლიოები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კათედრის ოქმები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- თვითშეფასების დოკუმენტი;
- შინაგანაწესი;
- ინტერვიუირება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

### 2.3.2 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სკოლა აწარმოებს კურიკულუმის მონიტორინგს და შეფასებას. სასწავლო დაწესებულებას ასახული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმაში შიდა სასკოლო მონიტორინგის პრიციპები, რაც ემსახურება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ამაღლებას; თანამშრომელთა სამსახურეობრივი დისციპლინის განმტკიცებას; სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დანერგვას; საგნობრივი კათედრების მუშაობის ეფექტურად წარმართვას; კლასგარეშე და სკოლის გარეშე ღონისძიებების მიზანმიმართულ ჩატარებას; მოსწავლეთა თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენებას.

სკოლას პედაგოგიური საბჭოს 07.09.2022წ. N 1 ოქმით დამტკიცებული აქვს შპს სკოლა-ლიცეუმი სანთელის სასკოლო შეფასების სისტემა. სასკოლო შეფასების ძირითადი მიზანია: განახორციელედეს სწავლა/სწავლების ხარისხის ამაღლება, სასკოლო კურიკულუმების შემუშავება და განხორციელება, რაც გულისხმობს კურიკულუმის მონიტორინგს, შეფასებას, გადასინჯვას და რევიზიას. დოკუმენტში ასევე გაწერილია შეფასების პროცესზე უფლებამოსილი პირები; საჭირო დოკუმენტაცია; მასწავლებელთა შეფასების ჯგუფის მოვალეობები და შეფასების კრიტერიუმები.

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სკოლა-ლიცეუმი სანთელის 2022-2023 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის დებულება. დებულების მიზანია უზრუნველყოს სკოლა-ლიცეუმში სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება. შეფასების შიდა მექანიზმების შემუშავება საჭირო წინადადებებისა და რეკომენდაციების სახით, მასწავლებლებთან კორდინირებული თანამშრომლობით და ეტაპობრივად მონიტორინგის განხორციელებით. **2.3.1.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები -** სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია ინფორმაცია მონიტორინგისა და შეფასების პროცესზე, თუმცა აღნიშნული ინფრომაცია არის მოკლე და ზოგადი. სასურველია აღნიშნული პუნქტი ცალკე უფრო მკაფიოდ გამოიყოს მეტოდოლოგიის დოკუმენტში და უფრო მეტად დაკონკრეტდეს მონიტორინგისა და შეფასების პრინციპები, მიმართულებები, ფორმატი, ვადები და ინსტრუმენტები. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს . **2.3.1.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**უცხოური ენები** - სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში - „კურიკულუმის შემუშავების, მონიტორინგის, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიები“ გათვალისწინებულია მონიტორინგისა და შეფასების მნიშვნელოვნება კურიკულუმის გადამუშავების პროცესში, რომლის განხორციელების შედეგად შემუშავდება რეკომენდაციები. ამ უკანასკნელის საფუძველზე კი შედგება სკოლის განახლებული კურიკულუმი. სასურველია, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია მოიცავდეს მონიტორინგისა და შეფასების პროცესების აღწერას. **2.3.1.1. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**ესთეტიკური აღზრდა -**სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერი შეფასების ჯგუფი, რომელიც მასწავლებლებს პროფესიულ განვითარებაში ეხმარება; წინასწარ შემუშავებული რუბრიკების მიხედვით მიმდინარეობს დაკვირვება თითოეული პედაგოგის საქმიანობაზე, ყურადღება ექცევა განმავითარებელ უკუკავშირს. სკოლამ წარმოადგინა შეფასების სოლო ტაქსონომიის ნიმუში, რომლითაც განხორციელდება შეფასება, ასევე კურიკულუმის შემუშავების, მონიტორინგის, შეფასების და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განვითარების მეთოდოლოგიების დოკუმენტში აღწერილია, როგორ უნდა განხოციელდეს შეფასება. **2.3.1.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**სახელმწიფო ენა** -ვინაიდან სკოლას კურიკულუმში მთელი რიგი საკითხები აქვს გასასწორებელი და განხორციელების პროცესიც მომავალი წლიდან უნდა დაიწყოს, მონიტორინგი და შეფასება არ ხორციელდება კურიკულუმით შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად, არ არსებობს რაიმე დოკუმენტი, რომელიც სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შეფასების პროცესს დაადასტურებს ან მომავალში დაგეგმვაზე მიანიშნებს; **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 2023 წლის სექტემბერი - 2024 წლის ივნისამდე) - ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი. სკოლამ უზრუნველყოს სასწავლო პროცესის მონიტორინგის და შეფასების პროცესის განხორციელება სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმების შესაბამისად.**

**მათემატიკა** -სასწავლო პროცესის მონიტორინგი მეტად მნიშვნელოვანია, თუმცა სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში არაა გამოკვეთილი, რომ ხდება ამ პროცესების მონიტორინგი. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 2023 წლის სექტემბერი - 2024 წლის ივნისი) - ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი.სკოლამ უზრუნველყოს სასწავლო პროცესის მონიტორინგი.**

**სპორტი** - სასკოლო შეფასების სისტემაში სკოლა-ლიცეუმ სანთელში გაწერილია სასკოლო კურიკულუმების შემუშავებისა და განხორციელების გზები, რაც გულისხმობს კურიკულუმის მონიტორინგს, შეფასებას, გადასინჯვას და რევიზიას. საგნობრივი კათედრების, მშობელთა კომიტეტის, სასწავლო აღმზრდელობითი პროცესის სხვა შემადგენელი საშუალებებით. (მუხლი 1).
აგრეთვე, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგის პორტფოლიოდან გამომდინარე, დაგეგმილია კოლეგებთან თანამშრომლობა სასკოლო კულტურის განვითარებისა და მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების მიზნით.**2.3.1.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სკოლის საზოგადოების წევრების მხარდაჭერას და დახმარებას. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, მათემატიკის და კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრის მასწავლებლებს შორის ხდება გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება და შეფასება, გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, მომიჯნავე საგნების მასწავლებელთა კოორდინირებული თანამშრომლობა, რეკომენდაციების შემუშავება. **2.3.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**საზოგადოებრივი მეცნიერებები -** კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილი მონიტორინგისა და შეფასების ზოგადი აღწერილობა იწვევს მხარდაჭერის მექანიზმის ასოციაციას, თუმცა სასურველია სკოლას იმის დასადგენად მონიტორინგისა და შეფასების სისტემა სასკოლო საზოგადოების მხრიდან აღქმულია ,,დასჯა-წახალისებად", თუ მხარდაჭერის მექანიზმად ჰქონდეს კვლევის პრაქტიკა ინტერვიუს ან ფოკუს-ჯგუფის ფორმატში. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. **2.3.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**უცხოური ენები -** სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია შიდა სასკოლო მონიტორინგის პრინციპები, სასად ჩამონათვალის სახითაა მოცემული თუ რას უნდა ემსახურებოდეს მონიტორინგი. ესენია: სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ოპტიმიზაციას 2. მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ამაღლებას 3. თანამშრომელთა სამსახურეობრივი დისციპლინის განმტკიცებას 4. სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების დანერგვას 5. მოსწავლეთა უსაფრთხოების ღონისძიებების გატარებას 6. საგნობრივი კათედრების მუშაობის ეფექტურად წარმართვას 7.კლასგარეშე და სკოლის გარეშე ღონისძიებების მიზანმიმართულ ჩატარებას 8. მოსწავლეთა თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენებას 9.მოწინავე მოსწავლეებისა და მასწავლებლების სტიმულირების ღონისძიების გატარება. **2.3.1.2. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**ესთეტიკური აღზრდა -** სკოლის დირექტორის ბრძანებიდ დამტკიცებულია „კურიკულუმის შემუშავების, მონიტორინგის, შეფასების და განვითარების მეთოდოლოგიების" დოკუმენტი. ასევე, სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია შეფასების მიზნები და ორიენტირები. როგორც სკოლის თვითშეფასების კითხვარში და ინტერვიუებში გამოჩნდა, მონიტორინგის განხორციელება სასკოლო საზოგადოებას შორის აღრმავებს მხარდაჭერას და კოლეგიალობას. პედაგოგები იყენებენ ზეპირ და წერილობით განმავითარებელ შეფასების ინსტრუმენტებს, მოსწავლეთა თვითშეფასებას. მასწავლებლები აფასებენ, ადგენენ იმ სფეროებსა და უნარებს, სადაც მოსწავლეს ესაჭიროება დახმარება, აძლევენ უკუკავშირს და მიგნებების გათვალისწინებით გეგმავენ სწავლის პროცესს. სასურველია, ამ პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტაციაც იყოს წაროდგენილი მტკიცებულებების სახით **2.3.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**.

**სახელმწიფო ენა** -მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად ჩანს, რომ სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს მასწავლებელთა გაკვეთილზე დასწრებას, უკუკავშირს, რეკომენდაციების მიცემას. კათედრის წევრები ესწრებიან გაკვეთილებს, ახორციელებენ მონიტორინგს და ერთმანეთს სთავაზობენ განვითარებაზე ორინტირებულ უკუკავშირს. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი გეგმავს უზრუნველყოს განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობების განხორციელება; შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **2.3.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**მათემატიკა** - გამოკვეთილია, რომ შეფასება და მონიტორინგი ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერას. **2.3.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**სპორტი** - სკოლის თვითშეფასების ფორმიდან გამომდინარე, მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც ორიენტირებულია სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებაზე. პედაგოგების მიერ ხორციელდება გაკვეთილზე დასწრება, უკუკავშირის, რეკომენდაციების მიცემა. ამასთანავე, აღნიშნულ პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრებიც. შპს სკოლა-ლიცეუმ სანთელის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დოკუმენტაციიდან იკვეთება, რომ კათედრები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ, დანერგილ გამოცდილებას საფეხურებისა და კლასების მიხედვით. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგები ჩართული არიან აღნიშნულ პროცესში. რაც საბოლოო ჯამში, ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და გამოხატავს სასკოლო საზოგადოების წევრების ერთგვარ მხარდაჭერას (შპს სკოლა-ლიცეუმი „სანთელის“ ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება).**2.3.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის საშუალებას. **2.3.1.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** -კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილია ინფორმაცია მონიტორინგისა და შეფასების შედეგების საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავებზე კურიკულუმის გაუმჯობესების მიზნით. **2.3.1.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**უცხოური ენები** - სასკოლო სასწავლო გეგმაში მონიტორინგის შედეგად პრობლემის გადაჭრის საშუალებები მოცემულია რამდენიმე ასპექტში. კერძოდ: სსსმ მოსწავლესთან და შემაჯამებელ დავალებებთან მიმართებით. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში - „კურიკულუმის შემუშავების, მონიტორინგის, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიები“ გათვალისწინებულია მონიტორინგისა და შეფასების მნიშვნელოვნება კურიკულუმის გადამუშავების პროცესში, რომლის განხორციელების შედეგად შემუშავდება რეკომენდაციები. ამ უკანასკნელის საფუძველზე კი შედგება სკოლის განახლებული კურიკულუმი. **2.3.1.3. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**ესთეტიკური აღზრდა** - სკოლის მასწავლებლების განცხადებით, „პრაქტიკამ აჩვენა, რომ ჯანსაღი კრიტიკა (მონიტორინგი) ხშირ შემთხვევაში პრობლემის გადაჭრის საუკეთესო ხერხია“; შესაბამისად, წლის განმავლობაში ხშირად ხდება მონიტორინგი კითხვარების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საშუალებით: მშობლის კითხვარი, მასწავლებლის კითხვარი, სადაც შერჩეული კითხვების მიხედვით იკვეთება მათი დამოკიდებულება სასწავლო პროცესის მიმართ. აგრეთვე სასკოლო სასწოვლო გეგმაში, დაწყებითი საფეხურის კათედრის ოქმებში წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების ნიმუშები. **2.3.1.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**სახელმწიფო ენა** -სკოლაში არ არსებობს შეფასების ჯგუფის მიერ განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების ამსახველი რაიმე დოკუმენტი, რითაც დასტურდება სწავლა-სწავლებასთან დაკავშირებული პრობლემის გადაჭრის საშუალება; შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა არ აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 12.07.2023-30.11.2023) - ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი.დაწესებულებამ უზრუნველყოს კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება.**

**მათემატიკა** - არ ჩანს წარმოდგენილ დოკუმენტებში რომ ხდება ამ პროცესების მონიტორინგი, შესაბამისად ეს პროცესი არაა გაცნობიერებული როგორც პრობლემის გადაჭრის გზა. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 12.07.2023-30.11.2023) - ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი.დაწესებულებამ უზრუნველყოს კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება.**

**სპორტი** -სკოლის მონიტორინგი და შეფასება მეტ- ნაკლებად განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. სკოლაში არსებული ხარისხის მართვის ჯგუფის მიერ მიცემული უკუკავშირები პრობლემის დანახვის საშუალებას იძლევა. სკოლას აქვს მზაობა შეიმუშაოს ისეთი შეფასების რუბრიკები და დახვეწოს მონიტორინგის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს პრობლემის გადაჭრის გზებს და საშუალებებს.**2.3.1.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საგნობრივი კურიკულუმები;
- შპს სკოლა-ლიცეუმი სანთელის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება.
- სკოლის თვითშეფასება;
- სასკოლო შეფასების დებულება;
- კურიკულუმის შემუშავების, მონიტორინგის, შეფასების და განვითარების მეთოდოლოგიები;
- კათედრის ოქმები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სასკოლო სასწავლო გეგმა.

### 2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** სასწავლო პროცესის შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. სკოლას შემუშვებული და დამტკიცებული აქვს დირექტორის 08.09.2022 წლის N- ბ-18 ბრძანებით "სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომში გაუმჯობესების მექანიზმები". მისი მიზანია, სწავლების ხარისხის მაჩვენებლების მონიტორინგი, მათი მუდმივი სრულყოფა, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენება და მათი განვითარებისათვის ხელშეწყობა. სასკოლო შეფასებას საერთო ხელმძღვანელობას უწევს სკოლა-ლიცეუმის დირექტორი. ასევე, სკოლის მიერ შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც მონიტორინგსა და დახმარებას უწევს პედაგოგებს სასწავლო პროცესში. შეფასების ჯგუფის შეფასებები და შეხედულებები ჯერდება ჯგუფის უფროსთან და მტკიცდება დირექტორის მიერ.
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, მათემატიკის და კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრაზე მასწავლებლები ახდენენ გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებას, შემუშავებული აქვთ ურთიერთდასწრების ფორმები, ახორციელებენ ჩატარებული შემაჯამებელი სამუშაოების და კომლექსური დავალებების რეფლექსიას. კათედრა ახდენს მოსწავლეთა შედეგების ანალიზს და ანგარიშს. **2.3.2.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები -** სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტი, თუმცა მასში დეტალურად არაა გაწერილი, რომელ მრავალფეროვან წყაროებზე (ვინ? რა?) დაყრდნობით მოხდება შეფასება ან როგორ ფორმატში და რომელი ინსტრუმენტების გამოყენებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიზანშეწონილია მეთოდოლოგიაში მკაფიოდ გაიწეროს მრავალფეროვანი წყაროები ჰოლისტურად შეფასების მიზნით. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 12.07.2023-30.11.2023) - ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი.სკოლამ გაწეროს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში რომელ მრავალფეროვან წყაროებზე (ვინ? რა?) დაყრდნობით მოხდება შეფასება, როგორ ფორმატში და რომელი ინსტრუმენტების გამოყენებით.**

**უცხოური ენები** - სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში - „კურიკულუმის შემუშავების, მონიტორინგის, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიები“ გათვალისწინებულია მონიტორინგისა და შეფასების მნიშვნელოვნება კურიკულუმის გადამუშავების პროცესში, თუმცა არ არის მოცემული მონიტორინგისა და შეფასების პროცესების აღწერა. მიზანშეწონილია, სკოლამ შეიმუშავოს დოკუმენტი, სადაც აღწერილი იქნება, თუ როგორია ერთიანი მიდგომა და მოიცავდეს მონაცემების შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს, სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 12.07.2023-30.11.2023) - ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი.სკოლამ შეადგინოს დოკუმენტი, სადაც აღწერილი იქნება ერთიანი მიდგომა სასკოლო კურიკულუმის შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვების მეთოდების, წყაროების და რესურსების შესახებ.**

**ესთეტიკური აღზრდა** -შეფასება მეტწილად ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს და ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. ინტერვიუზე მასწავლებლის განმარტებით, შეფასებისას გამოყენებულია შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტები. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციაში წარმოდგენილია და საუბარია შეფასების მნიშვნელობაზე, ტიპებზე, რის საფუძველზე უნდა განხორციელდეს მოსწავლეთა შეფასება, და როგორ წარიმართება ეს პროცესი მომავალში. **2.3.2.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**სახელმწიფო ენა** - გასაუბრებიდან ირკვევა, რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნამუშევრები და მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებთ, თუმცა ეს არ ჩანს არცერთ დოკუმენტში; შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა არ აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს . **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 12.07.2023-30.11.2023) - ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი.სკოლამ შეადგინოს დოკუმენტი, სადაც აღწერილი იქნება ერთიანი მიდგომა სასკოლო კურიკულუმის შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვების მეთოდების, წყაროების და რესურსების შესახებ.**

**მათემატიკა** --სკოლამ წარმოადგინა შეფასების მასალები, სადაც ჩანს, რომ შეფასებისას გამოყენებულია სხვადასხვა წყაროები.**2.3.2.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**სპორტი -** საშუალო საფეხურის ფიზიკური აღზრდის განმავითარებელი შეფასების რუბრიკები საჭიროებს დახვეწას, სკოლის ფიზიური აღზრდისა და სპორტის საგაკვეთილო პროცესში აქტიურად გამოიყენება სიტყვიერი კომენტარი, რომელიც მიმართულია მოსწავლის ძლიერი მხარის წარმოსაჩენად და რჩევების ზუსტად და გასაგებად მიცემაში, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეების განვითარებას და სასწავლო პროცესის შედეგების გაუმჯობესებას. შემდგომში, სასურველია სკოლამ განმავითარებელი შეფასების გამრავალფეროვნების და პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით, გამოიყენოს სადიაგნოსტიკო შეფასების ანალიზი.**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** შეფასება ხორციელდება სხვადასხვა მექანიზმით, მაგრამ ნაკლებად არის გათვალისწინებული შეფასების მრავალი კონტექსტი. შეფასების სისტემა სრულად არაა ორიენტირებული მოსწავლის ჰოლისტურ განვითარების მხარდაჭერაზე. სკოლას არ აქვს მკაფიოდ გაწერილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და ასევე დაუზუსტებელია მოსწავლის მიერ სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიის აღმწერელი რუბრიკები. **2.3.2.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები -** სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტი, თუმცა მასში მკაფიოდ არაა გაწერილი, რამდენად ურთიერთდაკავშირებულად/სხვადასხვა კონტექსტების გათვალისწინებით ხდება დანერგვის პროცესის ამსახველი მასალების დამუშავება. **მიზანშეწონილია** მეთოდოლოგიაში ჩანდეს რა მექანიზმით მოხდება შეფასებისას სხვადასხვა კონტექსტის გათალისწინება. ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 12.07.2023-30.11.2023) - ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი.. სკოლამ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში მკაფიოდ გაწეროს, რამდენად ურთიერთდაკავშირებულად/სხვადასხვა კონტექსტების გათვალისწინებით ხდება დანერგვის პროცესის ამსახველი მასალების დამუშავება**

**უცხოური ენები** - სკოლას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი „სასკოლო შეფასების სისტემა“, რომელშიც აღწერილია თუ როგორ ხდება მასწავლებელთა შეფასება. მიზანშეწონილია, სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში ასახული იყოს ინფორმაციის შეგროვება ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც გავლენას ახდენს მოსწავლის პროდუქტიულობაზე.
**სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 12.07.2023-30.11.2023) - ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი.სკოლამ შეადგინოს დოკუმენტი, სადაც ასახული იქნება ინფორმაციის შეგროვება ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც გავლენას ახდენს მოსწავლის პროდუქტიულობაზე. ესთეტიკური**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**აღზრდა** -ზემოაღნიშნული მრავალფეროვანი წყაროები შესაძლებელს ხდის შეფასება განხორციელდეს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. საშუალო საფეხურის სხდომის ოქმში, წარმოდგენილია და საუბარია შეფასების მნიშვნელობაზე, ტიპებზე, რის საფუძველზე უნდა მოხდეს მოსწავლეთა შეფასება, და როგორ წარიმართება ეს პროცესი მომავალში. **2.3.2.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**სახელმწიფო ენა** -სკოლა განსაზღვრავს შემაჯამებელი დავალებების შენახვის დროს, თუმცა დასახვეწია ის საშუალებები, რითაც ფასდებიან მოსწავლეები, მაგალითად კომპლექსური დავალებების ფარგლებში შექმნილი ნამუშევრები, პროექტული სწავლების დროს შექმნილი პროდუქტები ან პრეზენტაციები; შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **2.3.2.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**მათემატიკა** - განმავითრებელი შეფასების მასალებში, რაც იყო წარმოდგენილი სოლო ტაქსონომიის სახით, ჩანდა, რომ გათვალისწინებული იყო სხვადასხვა კონტექსტი. **2.3.2.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**სპორტი** -სკოლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგის პორტფოლიოში არსებული შეფასების რუბრიკები სასურველია იძლეოდეს მოსწავლეების მრავალმხრივი შეფასების საშუალებას და ხორციელდებოდეს მრავალი კონტექსტის გამოყენებით, რაც მას მისცემდა საშუალებას გამოკვეთოს მოსწავლის შესაძლებლობები და ინტერესები, რის მზაობასაც კათედრასთან ერთად გამოხატავს სკოლა. **2.3.2.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები: მოსწავლეთა კითხვარები, შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზი, რომელიც მოიცავს სემესტრის ბოლოს გაკეთებულ მოსწავლეთა მიღწევების დინამიკასაც, პედაგოგების რეფლექსიები, მასწავლებელთა ურთიერთდასწრებისა და ურთიერთშეფასების ფორმები.**2.3.2.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტი, თუმცა მასში მკაფიოდ არაა გაწერილი, რომელი და რამდენი მეთოდები გამოიყენება დანერგვის პროცესის შესახებ მონაცემების შესაგროვებლად. მიზანშეწონილია მეთოდოლოგიაში ჩანდეს მრავალმხრივი მეთოდები, რომელთა გამოყენებითაც მოხდება შეფასება. ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოთხოვნებს. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 12.07.2023-30.11.2023) - ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი.სკოლამ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში მკაფიოდ გაწეროს რომელი და რამდენი მეთოდი გამოიყენება დანერგვის პროცესის მონაცემების შეგროვებისას.**

**უცხოური ენები** - სკოლას არ აქვს შემუშავებული ერთიანი დოკუმენტი, სადაც აღწერილი იქნება, თუ როგორ ხდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. სასკოლო სასწავლო გეგმაში, მონაცემების შეგროვების მეთოდებად გამოყენებულია შემაჯამებელი დავალებების შეფასება, ციფრობრივი ანალიზის სახით და მასწავლებლის შეფასება სხვადასხვა ასპექტებით. კერძოდ: 1. მასწავლებელთა დაგვიანებების, უნებართვო გასვლების და გაცდენების აღრიცხვის და მონაცემების წარმოდგენა; 2. მასწავლებლის სამუშაო დოკუმენტაციის თავმოყრა და ანალიზი ( მათ შორის გაკვეთილების და წლიური გეგმების); 3. მასწავლებლის დისციპლინარული სახდელების აღრიცხვა; 4. მასწავლებლის გაკვეთილებზე დასწრება და მათი დაოქმება სპეციალურად შემუშავებული ფორმის საფუძველზე; 5. მასწავლებლის მიერ შევსებული თვითშეფასების კითხვარების ანალიზი; 6. მასწავლებლის მონაწილეობის აღრიცხვა სხვადასხვა ღონისძიებებში და მათი ანალიზი; 7. მასწავლებლის ინდივიდუალური განვითარების გეგმის ანალიზი; 8. მასწავლებლის პროდუქტიულობის ანალიზი - მოსწავლეთა აკადემიური და დისციპლინური მიღწევების (შედეგები და პროგრეს) აღრიცხვა და ანალიზი, მოსწავლეთა ინიციატივობისა და აქტიურობის აღრიცხვა და ანალიზი. 9. მასწავლებლის ობიექტურობის ანალიზი- გარე შემოწმება (შეფასების შედეგებთან მისი შეფასების შედეგების შედარება). 10. მასწავლებლის რეიტინგის დადგენა; 11. რეკომენდაციების შემუშავება მისი შემდგომი განვითარების და წახალისება-დასჯის შესახებ (კერძოდ, საკონტაქტო პირობების შესახებ). მასწავლებელთა შეფასების ჯგუფის ანგარიში სკოლას არ წარმოუდგენია. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 12.07.2023-30.11.2023) - ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი.დაწესებულებამ შეიმუშავოს ერთიანი დოკუმენტი, სადაც აღწერილი იქნება, თუ როგორ ხდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება.**

**ესთეტიკური აღზრდა** - სკოლა იყენებს ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივ და თვისებრივ მეთოდებს, რაც შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს და ამავდროულად აბალანსებს თითოეული მეთოდის სუსტ მხარეს. საშუალო საფეხურზე გამოყენებულია მოსწავლეთა როგორც განმავითარებელი ისე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. მიღებული ინფორმაცია ეხმარება პედაგოგებს სასკოლო ცხოვრების, სასწავლო პროცესის და მოსწავლის მიღწევის გაუმჯობესებაში. მნიშვნელოვანია, შეგროვებისას გათვალისწინებულ იყოს მოსწავლეთა ინდივიდუალური მახასიათებლები, რაც სასწავლო პროცესის ეფექტიანად დაგეგმვას უზრუნველყოფს. მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები ხელს შეუწყობს მოსწავლეთა კვლევის უნარის განვითარებასაც.

**სახელმწიფო ენა** -არ არსებობს რაიმე დოკუმენტი, რაც მტკიცებულება იქნებოდა მონაცემთა შეგროვების შესახებ; შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა არ აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა,**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 12.07.2023-30.11.2023) - ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი. დაწესებულებამ შეფასებებისას გამოიყენოს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდი.**

.

**მათემატიკა** -შეფასებისას მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდები ნაკლებად იკვეთება წარმოდგენილ დოკუმენტებში.

**სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 12.07.2023-30.11.2023) - ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი.დაწესებულებამ შეფასებებისას გამოიყენოს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდი.** .

**სპორტი** - სკოლის შეფასების მონაცემთა შეგროვების მეთოდები ბუნდოვანია, შესაბამისად, 2023-24 სასწავლო წელს სკოლაში სასურველია დაიგეგმოს მოსწავლეების სადიაგნოსტიკო შეფასება ფიზიკურ აღზრდაში და სპორტში რასაც სრულად აცნობიერებს პედაგოგი რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა საჭიროებათა გამოსავლენად მონაცემების შეგროვებას.**2.3.2.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - მასწავლებლები მოსწავლეთა შეფასებისას იყენებენ განმსაზღვრელ შეფასებას, შედარებით ნაკლებად- განმავითარებელ კომენტარს, ახდენენ თვითრეფლექსიას, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით ბოლომდე არ იკვეთება, როგორი ასახვა ჰპოვა ამან მოსწავლეთა შემდგომ სწავლების განვითარებაზე. მასწავლებლების მიერ წარმოდგენილ რეფლექსიებში ნაკლებად ჩანს მათ მიერ დაგეგმილი და განხორციელებული ინტერვენციები, რათა ხელი შეუწყონ მოსწავლის შემდგომ პროგრესს. **2.3.2.4 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტი, თუმცა მასში მკაფიოდ არაა გაწერილი, რამდენად ურთიერთდაკავშირებულად/სხვადასხვა კონტექსტების/ფაქტორების გათვალისწინებით ხდება დანერგვის პროცესის ამსახველი მასალების დამუშავება. მიზანშეწონილია მეთოდოლოგიაში ჩანდეს რა მექანიზმით მოხდება შეფასებისას სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინება. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 12.07.2023-30.11.2023) - ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**შესაბამისი. სკოლამ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწეროს რა მექანიზმით მოხდება შეფასებისას სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინება..**

**უცხოური ენები** - ცალკეულ დოკუმენტებზე დაყრდნობით შესაძლოა დავასკვნათ, რომ სკოლა ახორციელებს სასწავლო პროცესის შეფასებას მწირ მონაცემებზე დაყრდნობით. მიზანშეწონილია შეფასება ხორციელდებოდეს მოვლენის, სიტუაციის, ინდივიდის შესწავლით, მასზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია, სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გათვალისწინებული იყოს ყველა ის ფაქტორი, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს შედეგზე.

**სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 12.07.2023-30.11.2023) - ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი. დაწესებულებამ სკოლის კურიკულუმის მეთოდოლოგიაში გაწეროს, რა მექანიზმით მოხდება შეფასებისას სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინება. ესთეტიკური აღზრდა** - საშუალო საფეხურზე მოსწავლის შეფასება მეტწილად ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც მოსწავლის პროდუქტიულობაზე ახდენს გავლენას. **2.3.2.4 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**სახელმწიფო ენა** -სკოლის შეფასების სისტემა დასახვეწია და მექანიზმები უნდა ითვალისწინებდნენ ახალ სტანდარტებს. დოკუმენტებში არ ჩანს, თუ რა ფაქტორებს ითვალისწინებენ მასწავლებლები შეფასების დროს ან რა ფაქტორებს გაითვალისწინებენ მომავალში; შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა არ აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა - 12.07.2023-30.11.2023) - ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი. დაწესებულებამ სკოლის კურიკულუმის მეთოდოლოგიაში გაწეროს, რა მექანიზმით მოხდება შეფასებისას სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინება.**

**მათემატიკა** -განმავითარებელი შეფასების მასალებში, რაც იყო წარმოდგენილი სოლო ტაქსონომიის სახით, ჩანდა, რომ გათვალისწინებული იყო მრავალი ფაქტორი, რაც იმას ნიშნავს, რომ შეფასების სისტემა სკოლაში გამართულია. **2.3.2.4 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**სპორტი** - სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში აღწერილია, თუ როგორ ხდება შეფასება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას, ასევე რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად. შემდგომში სასურველია სკოლამ ნათლად ასახოს შეფასების სხვადასხვა ფაქტორები.**2.3.2.4 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საგნობრივი კურიკულუმები;
- სასკოლო შეფასების დებულება;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კათედრის სხდომის ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

### 2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სკოლაში შექმნილია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერი სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი. სკოლის 2022-2023 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის დებულებაში გაწერილია, რომ სკოლაში საგანმანათლებლო პროცესების უწყვეტი გაუმჯობესების მიზნით, მიმდინარეობს რევიზიის ორგანიზება მშობლებთან და მასწავლებლებთან თანამშრომლობით, რომლის საფუძვლეზეც მუშავდება რეკომენდაციები სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებსა და მიდგომებთან დაკავშირებით. ასევე სკოლაში აღრიცხავენ მასწავლებლის მონაწილეობას სხვადასხვა ღონისძიებაში, ახორციელებენ მასწავლებლის ინდივიდუალური განვითარების გეგმის ანალიზს, მასწავლებლის პროდუქტიულობის ანალიზს. ხდება მოსწავლეთა აკადემიური და დისციპლინური მიღწევების (შედეგები და პროგრეს) აღრიცხვა და ანალიზი, მოსწავლეთა ინიციატივობისა და აქტიურობის აღრიცხვა და ანალიზი. **2.4.1.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილია ინფორმაცია მონიტორინგისა და შეფასების შედეგების საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავებაზე კურიკულუმის გაუმჯობესების მიზნით. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. **2.4.1.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**უცხოური ენები** - წარმოდგენილ დოკუმენტში- კურიკულუმის შემუშავების, მონიტორინგის, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიები- ნახსენებია, რომ მონიტორინგისა და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით უნდა განხორციელდეს რეკომენდაციების შემუშავება კურიკულუმის შემდგომი განვითარებისთვის. სასურველია აღნიშნულ დოკუმენტში აღიწეროს პროცესები თუ როგორ მოხდება აღნიშნული რეკომენდაციების შემუშავება. მაგალითად: სკოლამ უპასუხოს შემდეგ კითხვებს: რა გამოცდილება დამიგროვდა სასწავლო წლის მანძილზე; როგორ შეიძლება ეს გამოცდილება გამოვიყენო სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად; რა გავითვალისწინო ახალი სასწავლო წლის დაგეგმვისას; როგორ გავაზიარო პასუხისმგებლობა ამ გამოცდილების გათვალისწინებით სასკოლო საზოგადოებაში და სხვა. **2.4.1.1. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**ესთეტიკური აღზრდა** -კურიკულუმის შემუშავების, მონიტორინგის, შეფასების და განვითარების მეთოდოლოგიების დოკუმენტში აღწერილია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი. ეს დოკუმენტი დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. **2.4.1.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**სახელმწიფო ენა** კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილია ინფორმაცია მონიტორინგისა და შეფასების შედეგების საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება **2.4.1.1. ინდიკატორი შესაბამისობაშია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**მათემატიკა** - სკოლის მიერ წარმოდგენილ წლიური სამოქმედო გეგმაში ნამდვილად ჩანს, რომ შექმნილია კურიკულუმის განვითრებისა და მხარდაჭერის საინფორმაციო პაკეტი. **2.4.1.1. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**სპორტი** - სკოლის დამატებითი დოკუმენტაციის გამოთხოვის შემდეგ, სკოლამ წარმოადგინა საბაზო საფეხურის კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია, რაც მიუთითებს იმაზე, რომ სკოლას აქვს გამოცდილება შექმნას კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი. სამომავლოდ, 2023-2024 სასწავლო წლიდან, ფიზიკური აღზრდის პედაგოგებმა აუცილებელია იმუშაონ საშუალო საფეხურის გადამუშავებული კურიკულუმებით, რომლის ეტაპობრივად გადახედვა და ანალიზი განხორციელდება.**2.4.1.1. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - წარმოდგენილი კურიკულუმები ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს, რაც ასახულია სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმასა და შვიდწლიან სტრატეგიული განვითარების გეგმაში. **2.4.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილია ინფორმაცია სასკოლო კურიკულუმის გადასინჯვასა და რევიზიაზე. აღნიშნულია, რომ მონიტორინგისა და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით უნდა შემუშავდეს რეკომედაციები კურიკულუმის გასაუმჯობესებლად, რომლის საფუძველზე შეიქმნება კურიკულუმის განახლებული ვერსია. **სასურველია** მეთოდოლოგიაში მკაფიოდ გაიწეროს პასუხისმგებელი პირები და მათი ფუნქციები აღნიშნული საქმის წარმატებით განხორციელების მიზნით. **2.4.1.2. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**უცხოური ენები** - წარმოდგენილ დოკუმენტში- კურიკულუმის შემუშავების, მონიტორინგის, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიები- იკითხება, რომ კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. **2.4.1.2. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**ესთეტიკური აღზრდა** -კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია მეტწილად ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. სკოლამ უნდა შექმნას საშუალო საფეხურზე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების და მუსიკის კურიკულუმები, სადაც გაითვალისწინებული იქნება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები და შედეგები. **2.4.1.2. ინდიკატორი შესაბამისობაშია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**სახელმწიფო ენა** კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია მეტწილად ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. **2.4.1.2. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**მათემატიკა** -კურიკულუმის შექმნისას მნიშვნელოვანია წინარე გამოცდილების გათვალისწინება, რათა გამართული იყოს კურიკულუმი, წარმოდგენილ დოკუმენტებში ჩანს წინარე გამოცდილების გათვალისწინება. **2.4.1.2. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**სპორტი** - მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შედგენას მონიტორინგს უწევს სკოლის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, სკოლის ადმინისტრაციის წევრები. მასწავლებლები ითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას, მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. აღნიშნულის საფუძველზე პედაგოგის აზრით სკოლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის 2023-24 სასწავლო წლის საშუალო საფეხურის კურუკულუმები შესაბამისობაში მოვა ე.ს.გ. მოთხოვნებთან.**2.4.1.2. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საგნობრივი კურიკულუმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კათედრების პორტფოლიოები;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- 2021-2022 სასწავლო წლის შედეგების საფუძველზე გაკეთებული სკოლის SWOT-ანალიზი
- შპს სკოლა-ლიცეუმი სანთელის სასკოლო შეფასების სისტემა;
- სკოლა-ლიცეუმი სანთელის 2022-2023 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის დებულება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დასკვნა: 239 (ორასოცდაცხრამეტი) გვერდი.
დანართი: 30 (ოცდაათი) გვერდი.

28.07.2023წ.
თარიღი





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: